

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
SHOTA MESKHIA STATE TEACHING UNIVERSITY OF ZUGDIDI

შრომების კრებული
VOLUME OF SCIENTIFIC WORKS

№11



ISSN 1987-6777

თბილისი / Tbilisi
2019

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:
თეონა ხუფენია

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო:

ზაალ ქორთუა, ბელა მოსია, ქეთევან ლატარია, გელა სვირავა, ნინო მაქაცარია, დევი ხვედელიანი, ნატო ქობულაძე, იოსებ ზარანდია, ლაშა ნარსია, ლარისა თირქია, ენვერ არველაძე, იორგ ჰარდი.

ტომის რედაქტორი:
ხათუნა გოგია

Chairman of the scientific-editorial board:
Teona Khupenia

Scientific-Editorial Board:

Zaal Kortua, Bela Mosia, Qetevan Lataria, Gela Svirava, Nino Maqatsaria, Devi Khvedeliani, Nato Qobuladze, Ioseb Zarandia, Lasha Narsia, Larisa Tirkia, Enver Arveladze, Joerg Hardy.

Editor of the Volume:
Khatuna Gogia

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანათლება / EDUCATION

მაია ახვლედიანი, ქეთევან ლატარია – ყურადღება – სტუდენტის წარმატების განმაპირობებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი Maia Akhvlediani, Ketevan Lataria - Attention - one of the main factors of student success	7
ნატო ქობულაძე, დალი ბერანძე – ინკლუზიური განათლების საკითხები საჯარო სკოლებში Nato Kobuladze, Dali Berandze – Inclusive education in public schools	13
ნატო ქობულაძე, თეონა ხუფენია – თანამედროვე გამოწვევები საქართველოს განათლების სისტემაში Nato Kobuladze, Teona Khupenia – Contemporary Challenges in the Georgian Education System	19
ნინო ორჯონიკიძე, დიმა სიჭინავა – ლექციის როლი პრესის, ტელევიზიისა და ინტერნეტის კონკურენციის პირობებში Nino Orjonikidze, Dima Sichinava – The role of lecture during the competition of the press, television and internet	24
ენვერ არველაძე სკაფოლდინგის მეთოდის პრაქტიკული მაგალითი ქიმიაში Enver Arveladze Practical Examples of Using the Scaffolding Method in a Study of Chemic	29
ციცინო თორია სადიაგნოსტიკო ტესტირების გამოყენება მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად Tsitsino Toria Use diagnostic testing to improve student learning outcomes	35
ხათუნა გოგია ვაჟა-ფშაველასა და კ. გამსახურდიას პერსონაჟები ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის შუქზე Katuna Gogia Vazha-Pshavela's and K. Gamsakhurdia's characters according to Lawrence Kohlberg's moral development theory	53
ნესტან ფიფია, ასმათ შონია წიგნის ფუნქცია სწავლა – სწავლების მოტივაცია უნდა იყოს (ნესტან კუპრავას, დოდო ნაზირაშვილის, მზია ფოფხაძისა და მაია ხაზურის „მშობლიური ენის“ შესახებ) Nestan Pipia, Asmat Shonia	

The function of book is the motivation of the learning-teaching process
(About “Native Language” by Nestan Kuprava, Dodo Nazirashvili,
Mzia Fofkhadze and Maia Khazuri) 53

ასმათ შონია

კომპოზიტების სწავლების მეთოდები და აქტივობები
დანყებით საფეხურზე

Asmat Shonia

Composite teaching methods and activities at the primary stage 63

ჰუმანიტარული მეცნიერებანი / HUMANITIES

ავთანდილ თორდია

იმერეთის მეფე გიორგი II (გენეალოგიური და
ქრონოლოგიური ძიებანი)

Avtandil Tordia

King of Imereti George II (Genealogical and chronological searches) 70

რევაზ შეროზია

არტანუჯის ეტიმოლოგია – ისტორიისათვის

Revaz Sherozia

About History and etymology of Artanuji castle 90

ლალი ჭითანავა

დროის „მექანიზაცია“ და თომას კარლაილი

Lali Chitanava

Time „mechanization“ and Thomas Carlyle 93

**ბიზნესის ადმინისტრირება/მენეჯმენტი/
BUSINESS ADMINISTRATION / MANAGEMENT**

გელა სვირავა, გიორგი სვირავა

ადამიანური რესურსების პერსპექტივები საქართველოში
გრძელვადიან პერიოდში

Gela Svirava, Giorgi Svirava

Long-Term Perspectives of Human Resources in Georgia 98

ნინო მაყატარია

მცირე ბიზნესი და საზოგადოების სოციალური სტაბილურობა

Nino Maqatsaria

Small business and social stability of society 115

გიული ეხვაია

დროის მენეჯმენტი, როგორც წარმატების სანინდარი

Giuli Ekhvaia

Time management, guarantee of success 123

ლაშა ნარსია

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის

კონკურენტუნარიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებები

Lasha Narsia

Main directions for increasing the competitiveness of small

and medium businesses in Georgia	132
ენვერ არველაძე, ბადრი ნანეიშვილი ენერჯის წყაროები და მასთან დაკავშირებული პრობლემები Enver Arveladze, Badri Naneishvili Energy and ecological problems	143

სოციალური მეცნიერებები/SOCIAL SCIENCES

მაღზაზ გოგუა

პოლიტიკური ქცევის არსი და ფორმები

Malkhaz Gogua

The Essence of Political Behavior and Forms	152
---	-----

ზვიად გამსახურდია 80 / ZVIAD GAMSAKHURDIA 80

თინათინ ბიგანიშვილი

დიდგორის ალეგორია, ალუზია და პარადიგმა

„ვეფხისტყაოსანში“ (ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველების მიხედვით)

Tinatin Biganishvili

Allegory of the Didgori War, allusions and paradigms in the poem

„The Knight in the shoes of a Panther“	160
--	-----

ხათუნა გოგია

ზ. გამსახურდია თარგმანის ღირებულების შესახებ

Khatuna Gogia

Z. Gamsakhurdia about Evaluation of the quality of Literary translations ..	175
---	-----

თამთა როგავა

„ზვიად გამსახურდიას ზღაპრების გმირთა მითოლოგემა“

Tamta Rogava

Mithologema of the Heroes in Zviad Gamsakhurdia’s Fairy-Fables	183
--	-----

ზეინაბ სარია

ზვიად გამსახურდია – ამერიკული პოეზიის მთარგმნელი

Zeinab Saria

Zviad Gamsakhurdia _ Translator of American Poetry	188
--	-----

ნესტან ფიფია

რუსთველისეული პერსონაჟები ბიოგრაფიულ რომანში

(როსტომ ჩხეიძის „მერაბ კოსტავას ცხოვრების ქრონიკები, ძენი მუსიკის, ძენი ქარიშხლის“)

Nestan Pipia

Perspnages like Rustaveli’s in a biographical novel (Rostom Chkheidze’s

Son of music’, ‘Days of storm’- cronicle of Merab Kostava’s life)	198
---	-----

ზაალ ქორთუა

1991-92 წწ. სამხედრო გადატრიალების ასახვა უახლოეს

ქართულ ისტორიოგრაფიაში (საქართველოს პირველი

პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან

80 წლისთავთან დაკავშირებით)

Zaal Kortua

1991-1992 military turnover in the recent Georgian historiography
(concerning the 80th anniversary of Zviad Gamsakhurdia,
the first president of Georgia) 207

ლუიზა ხაჭაპურიძე, თეონა ხუფენია

ლიტურგიკული მისტერია ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

Luiza Khachapuridze, Teona Khupenia

Liturgical Mystery in Zviad Gamsakhurdia's Poetry 215

მაია ახვლედიანი, ქეთევან ლატარია

ყურადღება – სტუდენტის წარმატების განმაპირობებელი ერთ-ერთი ძირითადი პირობა

ანოტაცია: სტატია ეძღვნება ლექციაზე სტუდენტის ყურადღებიანობის ხარისხს და მის მნიშვნელობას წარმატებისათვის. ვსაუბრობთ ლექტორის მუდმივ ძალისხმევაზე, როგორ ჩამოაყალიბოს სტუდენტი აქტიურ მსმენელად. გთავაზობთ ყურადღების კონცენტრირების სტრატეგიებს. კიდევ ერთხელ გვინდა გაფუსვავთ ხაზი ამ დროს მოტივაციის მნიშვნელობას, სალექციო თემის კავშირს სტუდენტთა ინტერესების სფეროსთან, გადაღლის შემთხვევაში ყურადღების ხელახალ აქტივაციას, ასოციაციების, პარალელების, რიტორიკული და სააზროვნო შეკითხვების დამხმარე როლს მასალის საფუძვლიანი დამუშავებისათვის. შევეცადეთ ტერმინების – ხანმოკლე, გარე და ხანმოკლე მეხსიერების მოკლე მიმოხილვას ახალ მასალაზე კონსპექტის გაკეთების შემთხვევაში. ლექციაზე მთავარი პრობლემა სტუდენტის პასიური როლია. აქტიურ აზროვნებას კი გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეფექტური სწავლისათვის.

ამოსავალი სიტყვები: უნარი, ყურადღება, შესაძლებლობები, სტრატეგია, აქტიური აზროვნება.

Maia Akhvlediani, Ketevan Lataria

ATTENTION - ONE OF THE MAIN FACTORS OF STUDENT SUCCESS

Annotation: *The article is dedicated to the quality of the student's attention to the lecture and its significance for success. We talk about the lecturer's continuous efforts to establish a student as an active listener. Offer attention concentrating strategies. Once again we would like to emphasize the importance of motivation at this time, the topic of the lecture community in the field of students' interests, the re-activation of the attention, and the supporting role of associations, parallels, rhetorical and inquiry questions for a thorough processing of material. We tried a brief overview of the terminology - short, external and short memory in case of concrete on new material. The main problem on the lecture is the passive role of the student. Active thinking is crucial for effective learning.*

Key words: *Ability, attention, opportunities, strategy, active thinking.*

სტუდენტის წარმატებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი პირობა – მისი ყურადღებულობის ხარისხია ლექციაზე. საკმაო ძალისხმევას ვანდომებ ლექციის სათანადოდ დაგეგმვას, პრეზენტაციას, რათა უზრუნველყო სწავლის მიმართ სტუდენტის პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება და შექნილი ცოდნის მაქსიმალური რეალიზაციის უნარის გამომუშავება. მუდმივ საზრუნავად რჩება სტუდენტის ყურადღების კონცენტრირება, რადგან, ინფორმაციის დამუშავების თვალსაზრისით, სტუდენტის წარმატების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ყურადღება, რაც გულისხმობს კოგნიტური შესაძლებლობების ფოკუსირებას ცვალებად, ახალ, ან საინტერესო საგანსა თუ მოვლენაზე. თუმცა თითოეული ინდივიდის უნარი – კონცენტრირება მოახდინოს გარემომცველი სამყაროს ამა თუ იმ მახასიათებელზე – შეზღუდულია. ჩვეულებრივ, ინდივიდთა შესაძლებლობებს ერთმანეთისაგან განასხვავებს აქტივაციისა და მოტივაციის ხარისხი. ერთსა და იმავე დროს შესაძლებლობის გარკვეული ნაწილი ეთმობა მოცემულ დავალებას (ჩვენს შემთხვევაში ლექციის მოსმენას), მეორე ნაწილი – კონსპექტის შედგენას, მესამე ნაწილი – გარეშე ფაქტორებს, ხშირად პირად განცდებსა და ფიქრებს.

ყურადღების დაფანტვა უპირატესად ნიშანდობლივია პასიური ლექციური სიტუაციებისათვის, რომლის დროსაც სტუდენტს არ ეძლევა მოცემული მასალის ირგვლივ აქტიური აზროვნების საშუალება. ალბათ ყოველი ჩვენგანი გაიხსენებდა შემთხვევას, როცა აღმოვაჩინეთ, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე სულაც არ ვუსმენდით ლექტორს, რადგან ყურადღებამ უნებურად გადაინაცვლა ჩვენი საკუთარი ფიქრებისაკენ, რომელთაც, თავის მხრივ, სუსტი კავშირი აქვთ ლექციის თემატიკასთან.

სტუდენტები ფლობენ ყურადღების კონცენტრირების მრავალფეროვან სტრატეგიებს. ნებისმიერი ლექტორი იცნობს ყურადღების მიპყრობის მარტივ ხერხს, კერძოდ, თემის გაშუქებას იწყებს გაფრთხილებით: „მომავალი ტესტი მოიცავს მოცემულ მასალას“. აუდიტორიის ყურადღებას, როგორც წესი, იპყრობს ცალკეული სიტყვები, ან ფრაზები, რომლებიც მიუთითებენ, რომ წინამდებარე თემის დასწავლას სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

ყურადღებას იზიდავს გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ცვლილებებიც. ლექტორს შეუძლია კარგად ისარგებლოს ცვლილების აღნიშნული ეფექტით და საუბრის დროს მიმართოს ინტონაციის, ტემპის, ჟესტიკულაციის, სახის გამომეტყველების, აუდიოვიზუალური საშუალებების მრავალფეროვან ვარიაციებს.

სმენითი ყურადღების მიმართულებას რამდენადმე განსაზღვრავს ვიზუალური ყურადღება. გარეშე მოძრაობას შეუძლია სტუდენტის ყურადღება ლექტორის საუბარს ჩამოაშოროს. თუმცა ეს უარყოფითი ფაქტორი, სწორი გამოყენების შემთხვევაში, უაღრესად პოზიტიურ შედეგს იძლევა. სტუდენტი უკეთ ითვისებს ახსნილ მასალას, როცა ხედავს მოსაუბრის სახესა და ტუჩებს. ეცადეთ არ განწყვიტოთ მზერიითი კონტაქტი აუდიტორიასთან.

ყურადღების მიზიდვის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოტივაციას. ლექციის დაკავშირება სტუდენტთა ინტერესების სფეროსთან; ცოცხალი, „დამაინტრიგებელი“ მაგალითები; ძალების მიმართვა კონფლიქტის გადაჭრისაკენ – აი, კონცენტრაციის უზრუნველყოფისათვის საჭირო ხერხების სპექტრი. თუმცა აქვე უნდა გავიხსენოთ მოსაზრება ლექციის დაწყებიდან ათი წუთის შემდეგ ყურადღების შესუსტების შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ ვცადოთ სტუდენტის ყურადღების შენარჩუნება ერთი საათის, ან უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უმჯობესია პერიოდულად შევწყვიტოთ ლექციის კითხვა და შევთავაზოთ პრობლემის წამოჭრა – „ერთნუთიანი წერა“.

გავეცანი ბრაუნისა და ატკინსის, ბლასის გამოკვლევებს ყურადღებისა და აზროვნების სასურველი დონის მიღწევისათვის ლექციის განმავლობაში. ჩემს კოლეგებს ვურჩევდი, რომ როცა სტუდენტებს გადალლას შეამჩნევთ, მიეცით ფეხზე წამოდგომისა და მცირე ხნით შესვენების შესაძლებლობა. ვნახავთ, რომ მეცადინეობის განახლების შედეგად მიღებული ცოდნა არა მარტო აკომპენსირებს იმ ცოდნას, რომელსაც შევიძინეთ შესვენებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არამედ მნიშვნელოვნად აღემატება მას ხარისხის თვალსაზრისით.

ლექტორმა სისტემატურად უნდა იზრუნოს, რომ სტუდენტი ჩამოაყალიბოს აქტიურ მსმენელად. მოსმენის უნარი თანდაყოლილია, თუმცა შესაძლებელია მისი დახვეწა სათანადო ვარჯი-

შის შედეგად. მაგალითისათვის, თხოვეთ სტუდენტებს ერთი წუთის განმავლობაში დაწერონ რას ელიან თქვენი ლექციისაგან, ან რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებაში, რომელიც დღევანდელი დღისათვის უნდა მოემზადებინათ. აუხსენით მათ, რომ აღნიშნული სტრატეგია მნიშვნელოვნად განავითარებს მოსმენის უნარს, რადგან იგი ხელს უწყობს ყურადღების მობილიზებას და შესაბამისი ძველი ცოდნის აქტივაციას.

მომდევნო სტრატეგია გულისხმობს ლექტორის მოსმენას ხუთი-ათი წუთის განმავლობაში ყოველგვარი ჩანაწერის გაკეთების გარეშე და, შემდეგ, მოსმენილის წერილობით შეჯამებას. სტუდენტები ხშირად ადარებენ ერთმანეთის ნაშრომებს.

ლექციის დასასრულს, სასურველია სტუდენტებს მიეცეთ ხუთი წუთი, რათა მათ მოკლედ გააცნონ საკვანძო საკითხები გვერდით მჯდომ სტუდენტებს. გაარკვეით რამდენად ეფექტურად იმოქმედა ამ სავარჯიშომ მოსმენის უნარის განვითარებაზე და მიუთითეთ, რომ ლექციაზე მსგავსი ხერხის გამოყენება შესაძლებელია საკუთარი კონსპექტის შედგენის დროსაც.

ასევე უნდა დავაკვირდეთ, როგორ ამუშავებენ სტუდენტები ლექტორის მიერ მიწოდებულ მასალას. სტუდენტთა დიდი ნაწილი სათანადო ყურადღებას უთმობს ლექციას. თუმცა მასალის გაგებას, დამახსოვრებასა და გამოყენებას ყოველი მათგანი სასურველ დონეზე ვერ ახერხებს. სტუდენტები ფლობენ მასალის გადამუშავების განსხვავებულ შესაძლებლობებს, რომელთაც დაწვრილებით აღწერენ გოტებორგის უნივერსიტეტის მკვლევარები: მარტონი, სალიო და სხვ. ზოგიერთი სტუდენტი თავს არიდებს დამუშავების პროცესს და სიტყვასიტყვით იწერს ლექტორის საუბარს („ზედაპირული მიდგომა“). სხვები ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ ნათქვამის არსს, განახორციელონ მასალის ინტერპრეტაცია და შეუთავსონ იგი თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. ისინი გამოირჩევიან კრიტიკული დამოკიდებულებით ნებისმიერი მოსაზრების მიმართ („საფუძვლიანი დამუშავება“).

გამოცდილი სტუდენტი სტრატეგიას ირჩევს კონკრეტულ სიტუაციაში არსებულ მოთხოვნებზე დაყრდნობით. საზოგადოდ, „საფუძვლიანი დამუშავება“ უზრუნველყოფს მასალის უკეთ დამახსოვრებასა და შექნილი ცოდნის ეფექტურ რეალიზებას. ჯგუფს მასალის საფუძვლიანი დამუშავებისაკენ უბიძგებს ასო-

ციაციები, პარალელები, რიტორიკული და სააზროვნო შეკითხვები. დაეხმარეთ სტუდენტს გააცნობიეროს ახალი კონცეფციის პირად გამოცდილებასთან დაკავშირების მნიშვნელობა.

ხშირად მიფიქრია, საჭიროა თუ არა ლექციის ჩანერა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ლექციის დროს ჩანანერების გაკეთების წყალობით სტუდენტი ახდენს ყურადღების კონცენტრირებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში და გაცილებით იოლად იმახსოვრებს მასალას. ტერმინი – „ხანმოკლე მეხსიერება“ მიუთითებს, რომ მოცემულ მომენტში გონებაში შეიძლება აღიბეჭდოს მხოლოდ განსაზღვრული მოცულობის ინფორმაცია. როცა ლექტორი ჩქარ ტემპში აყალიბებს მრავალრიცხოვან ახალ-ახალ კონცეფციას, სტუდენტთა ნაწილი საერთოდ წყვეტს წერას, ნაწილი კი სტრესულ ვითარებაში აგრძელებს კონსპექტის შედგენას. მაშასადამე, ლექციის მსვლელობისას ჩანანერების გაკეთება საჭიროებს საკმაოდ დიდ ძალისხმევას, ყურადღების ხანგრძლივად დაძაბვას, მოსმენილის გაგებას და მის შენახვას ხანმოკლე მეხსიერებაში დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში, რომელიც საკმარისი იქნება მასალის ჩასანერად. ინფორმაციის დამუშავების უნარი დამოკიდებულია მოცემული მასალის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაციის, მთლიანობაში აღქმის ხარისხზე.

ჩანანერების მეთოდს ყველაზე ეფექტურად იყენებენ გამორჩეულად ნიჭიერი სტუდენტები, თუმცა მნიშვნელოვანია არა მარტო თანდაყოლილი ნიჭი, არამედ შეძენილი ინტელექტიც. ცოდნის დაბალი დონის მქონე ინდივიდი კოგნიტიური ძალების ძირითად ნაწილს უთმობს არა მოსმენასა და გაგებას, არამედ წერას, რის შედეგადაც მისი ცნობიერების მიღმა არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი რჩება. სტუდენტების უნარი – წერის დროს შეინახონ ინფორმაცია მეხსიერებაში და, რაც მთავარია, უზრუნველყონ მისი დამუშავება – დამოკიდებულია მათ კოგნიტიურ სტრუქტურებზე.

დასკვნა: და მაინც, როგორ შევაჩვიოთ სტუდენტი აქტიურ აზროვნებას ლექციის დროს? როგორც აღვნიშნეთ, ლექციაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენს სტუდენტის პასიური როლი. თუმცა, ინფორმაციის დამახსოვრებისა და შემდგომში მისი გამოყენების მიზნით, საჭიროა აქტიური აზროვნება. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ მარტივ და ეფექტურ ხერხს წარმოადგენს

„ერთწუთიანი წერა“. მეცადინეობის დაწყებისას ლექტორი აცნობებს ჯგუფს, რომ გარკვეული ხნის შემდეგ დროებით შეწყვეტს ლექციის კითხვას და თხოვს სტუდენტებს ერთი (ზოგჯერ ორი, ან სამი) წუთის განმავლობაში წერილობით განიხილონ მათთვის საინტერესო საკითხი, რომელიც უკავშირდება ან მოცემულ ლექციას, ან წინა მეცადინეობებს. და ბოლოს მუდმივად შეახსენეთ სტუდენტებს, რომ აქტიურ აზროვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეფექტური სწავლისათვის.

ლიტერატურა

რ. ჯ. მარზანო, ი. ს. მარზანო, დ. ფ. ფეიქნიგი. 2009 კლასის მართვა. თბილისი.

ჯორჯ ბრაუნი. 1978. ლექციის კითხვა და ახსნა-განმარტება. ლონდონი, მიუნხენი.

პ. მარკი. 1994. პროფესორის ვალდებულებები: კოლეჯში სწავლების ეთიკური საკითხები. ნიუ იორკი.

ინკლუზიური განათლების საკითხები საჯარო სკოლებში

ანოტაცია: ინკლუზიური განათლება თანამედროვე განათლებაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. იგი ეფუძნება მიდგომას, რომლის ცენტრშიც მოსწავლეა თავისი შესაძლებლობებითა და საჭიროებებით და არა კონკრეტული საგანი თუ პროგრამა. ხარისხიანი განათლების მიღება მაშინ არის შესაძლებელი, როცა სწავლების მეთოდები და სტრატეგიები მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზეა მორგებული და არა პირიქით. შესაბამისად, ის სირთულეები, რომლებსაც ბავშვი სკოლაში განიცდის, სკოლის და ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზების, სწავლების მეთოდის ნაკლად განიხილება და არა მოსწავლის სისუსტედ. ინკლუზიური განათლების ეფექტური დანერგვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მაღალკვალიფიციური სპეციალობის მასწავლებელი. 2010 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წამოიწყო სპეციალური მასწავლებლისთვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება. 2014 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა სასწავლო მოდული იმ სტანდარტებზე დაყრდნობით, რომელსაც ამზადებენ სპეციალური მასწავლებლები. სტანდარტი არის უნივერსიტეტების საფუძველი, შეიმუშაონ სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო და სამაგისტრო პროგრამები.

საკვანძო სიტყვები: სპეციალური განათლება, ინკლუზიური განათლება, სპეციალური მასწავლებელი, სტანდარტი, საგანმანათლებლო საჭიროებები, ხარისხიანი განათლება.

Nato Kobuladze, Dali Berandze

INCLUSIVE EDUCATION IN PUBLIC SCHOOLS

Annotation: Inclusive education is based on the approach, at the center of which is a student of his own abilities and needs, not a specific subject or program. Quality education can be achieved when teaching methods and strategies are tailored to the student's capabilities and needs, and not vice versa. Consequently, the difficulties that the child is experiencing at school will be considered a blemish of school and general educational system and teaching methodology, and not as a student's weakness. One of the most im-

portant factors in effective implementation of inclusive education is the highly qualified specialty teacher. Since 2010 the Ministry of Education and Science has initiated the development of professional standards for the special teacher. Since 2014, the National Center for Teacher Professional Development has developed training modules based on the standards that are prepared by special teachers. The standard is the foundation for universities, to develop special teacher's undergraduate and graduate programs.

Key words: *Special education, inclusive education, special teacher, standard, educational needs, quality education.*

ინკლუზიური განათლებისადმი თანამედროვე ხედვა არსებითად განსხვავდება წარსულში არსებული ე. წ. „სამედიცინო მოდელისაგან“, რომლის მიხედვითაც, სპეციალური საჭიროება ინდივიდის „ნაკლოვანებად“ ითვლებოდა და პედაგოგთა მთელი ძალისხმევა ასეთი მოსწავლეების რეაბილიტაციაზე – მათი ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და უნარების „აღდგენაზე“ იხარჯებოდა. ძველი მიდგომის თანახმად, ეს ყველაფერი საშუალებას აძლევდა მოზარდს, რომ სკოლის გარემოს მორგებოდა და იმ მოთხოვნებისა თუ მიზნებისათვის ეპასუხა, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა უსახავდა. მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამგვარი მიდგომა ადამიანის უფლებების დარღვევა და მნიშვნელოვანია „სოციალურ მოდელზე“ გადასვლა, რომელიც ეფექტურია, როგორც ინდივიდის განვითარების, მისი დამოუკიდებლობის ხარისხის, სოციალიზაციისა და თვითეფექტიანობის გაზრდისათვის.

„ინკლუზიური განათლება – ნიშნავს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას“ (mes.gov.ge).

დღეს განათლების სისტემის ამოცანაა სკოლების იმგვარი ორგანიზება, სადაც მოსწავლეთა ინდივიდუალობა არის გათვალისწინებული, ხოლო მათი განსხვავებული საჭიროებები – დაკმაყოფილებული. სწორედ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) არის ის ინსტრუმენტი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, კერძოდ, მათ,

ვისაც უჭირს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა, საშუალებას აძლევს მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სწვლება შეასთავაზოს, რის შედეგადაც მოსწავლეები გარკვეულ შედეგებზე გადაიან და წარმატებებს აღწევენ. სწორედ სკოლა იღებს ამდაგვარ ვალდებულებას, შექმნას ინდივიდზე მორგებული პროგრამა და სწავლების ორგანიზების ფორმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. ისგ გეგმები ეროვნულ სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს და მათში ასახული სასწავლო მიზნები განსაზღვრულია მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე. ისგ-ს შედგენა-განხორციელებაში მონაწილეობს მშობელი, კლასის დამრიგებელი, სკოლის მასწავლებლებისა და მოწვეული სპეციალიტებისგან შემდგარი გუნდი, რომელიც ფოკუსირებულია კონკრეტული სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებზე.

ინკლუზიური განათლების ხარისხიანი დანერგვისათვის მნიშვნელოვანია კვალიფიციური სპეცმასწავლებლის ჩართულობა სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში. 2010 წელიდან საქართველოს განათლებისა და მიეცნიერების სამინისტროს ინიციატივით დაიწყო სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შემუშავების ხელშეწყობა. 2014 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრმა, სტანდარტზე დაყრდნობით, შეიმუშავა სატრენინგო მოდულები, რომლის მიხედვითაც მზადდება სპეციალური მასწავლებლები. სტანდარტი არის საფუძველი შემუშავდეს უმაღლესი განათლების შესაბამისი სპეციალობები (საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამები).

სტანდარტში განმარტებულია, თუ რა კომპეტენციებს, პროფესიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალური მასწავლებელი. მისი როლი მნიშვნელოვანია ასევე, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობაში, ასევე ამ მოსწავლეთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში.

„სპეციალური მასწავლებელი“ არის მასწავლებელი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ შეაფასოს მოსწავლის სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები; განსაზღვროს და განახორციელოს სწავლე-

ბის შესაბამისი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. კონსულტაცია გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელს/ებს და სხვა სპეციალისტებს მოსწავლის სწავლასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით“ (სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი-2014).

სპეციალური მასწავლებელი აფასებს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სპეციალურ საჭიროებებს, კონსულტაციას უწევს მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელსა და სხვა სპეციალისტებს. სპეციალური მასწავლებელი, გამომდინარე მისი კომპეტენციებიდან, ეხმარება ასევე მშობლებს, საგნის მასწავლებლებსა და სპეციალისტებს სსსმ მოსწავლეთა სასკოლო სივრცეში ორიენტირება-ინტეგრაციაში. იგი მასწავლებლებთან ერთად აფასებს სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებებს და ამ საჭიროებებზე მორგებით იძლევა სასწავლო მიზნებისა და მიზნის მისაღწევი სტრატეგიების შექმნა-განხორციელების რეკომენდაციებს. აღსანიშნავია, რომ სპეციალური მასწავლებელი, სკოლის დირექციასთან ერთად, სწავლის დასაწყისში ადგენს სკოლაში ინკლუზიური განათლების განვითარების სტრატეგიულ გეგმას, რომელშიც პრიორიტეტების მიხედვით განერილია შესასრულებელი სავალდებულო აქტივობები, აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რესურსები და შესრულების ვადები. ამდენად, სტრატეგიული გეგმა უზრუნველყოფს, რომ სკოლის ხელმძღვანელობამ სწავლის დაწყებისთანავე იზრუნოს შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე და მხარდაჭერა გაუწიოს სპეც.მასწავლებელს ინკლუზიური განათლების ხარისხიანად დაწერგვის პროცესებში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველო მუდმივად ზრუნავს საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების განვითარებისათვის, რისი დასტურია საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეთა მზარდი სტატისტიკის შესაბამისად დამატებითი ფინანსების გამოყოფა სპეციალისტების შესარჩევად. დღეისათვის საჯარო სკოლებს ეძლევათ შესაძლებლობა სსსმ მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად რამდენიმე სპეციალისტი მოიწვიოს სკოლაში, რომლებიც ზრუ-

ნავენ კონკრეტული სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ფეექტიანი ჩართულობისა და სოციალიზაციისათვის.

წარმოგიდგენთ დღისათვის საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სტატისტიკას:

2019 წლისათვის სსსმ მოსწავლეთა ფინანსური მხარდაჭერა საქართველოს საჯარო სკოლებისათვის შემდეგია:

1-დან 5 სსსმ მოსწავლე – 500 ლარი თვეში;

5-დან 10 სსსმ მოსწავლე – 1000 ლარი თვეში;

10-დან 15 სსსმ მოსწავლე – 1500 ლარი თვეში;

15 -ზე – 20 სსსმ მოსწავლე -2000 ლარი თვეში.

1 დან 5 სსსმ მოსწავლის ჩათვლით სკოლას შეუძლია შეარჩიოს სპეციალისტები, სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე და გახარჯონ საჭირო ინვენტარსა თუ განმავითარებლებზე სკოლაში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დაწესებისათვის. 2018 სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებისათვის სპეციალური მასწავლებლის გარდა, ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა სპეციალისტის ჩართულობა, ესენია: ლოგოპედი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, პერსონალური ასისტენტი.

დღეისათვის იმერეთის რეგიონში ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია 300-მდე სკოლა, სადაც სპეციალისტების რაოდენობა მერყეობს 1-დან 4-მდე სსსმ მოსწავლეთა რაოდენობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. ტენდენცია მზარდია, 2019-2020 სასწავლო წლისათვის პირველ კლასში ჩარიცხვისა და საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით იმერეთის რეგიონში შემოვიდა მომართვიანობა და შეფასდა 67 სსსმ მოსწავლე, რომე-ბლიც უზრუნველყოფილი იქნებიან საგანმანათლებლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობითა და შესაბამისი სპეციალისტებით.

ლიტერატურა

„ვისწავლოთ ერთად“- ინკლუზიური განათლება www.inclusion.ge (24.07.2019).

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი – 2014 წ. http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf (24.07.2019).

ინკლუზიური განათლება – www.mes.gov.ge/content.php?id=289&lang=geo (24.07.2019).

თანამედროვე გამონახვევი საქართველოს განათლების სისტემაში

ანოტაცია: საქართველოს განთლების სისტემა მუდმივი განახლება-მოდერნიზაციის პროცესშია. კრიტიკული აზროვნებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციები თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამონახვევაა. ზოგადი განათლების უმნიშვნელოვანესი საბაზისო, მარეგულირებელი დოკუმენტი ეროვნული სასწავლო გეგმა ეტაპობრივად განიცდიდა ცვლილებებს, აღნიშნულ ეტაპებზე გაანალიზებულია, თუ რა, როდის და როგორ უნდა განხორციელებულიყო სასწავლო პროცესი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. რა გამონახვევის წინაშე იდგა სწავლა-სწავლება და საგანმანათლებლო სფერო. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სამივე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მსგავსება-განსხვავებებზე. დღეისათვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უახლესს, მესამე თაობის 2018-2024 ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებით საფეხურის სტრუქტურულ ანალიზს.

სიახლეა ისიც, რომ ყოველიური საგაკვეთილო დაგეგმვა ჩანაცვლდა თემატური დაგეგმვით, ყოველი თემის დამუშავება მიმდინარეობს მთელი დაწყებითი საფეხურის განმავლობაში, სწავლების შინაარსი განისაზღვრება ამ კონკრეტულ თემასთან მიმართებაში და ყოველ საფეხურზე წარმოდგენილია ასაკობივი თავისებურებების შესაბამისი სირთულით.

ახალ ესგ-ში თემა არის ფუნქციური კონტექსტი, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

„ახალი სკოლის მოდელი“ განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი მიზანია პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეს 21-ე საუკუნის რეალობისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მისცემს.

საკვანძო სიტყვები: ახალი სკოლის მოდელი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, თემატური დაგეგმვა, სასკოლო კურიკულუმი, ცოდნის კონსტრუირება;

CONTEMPORARY CHALLENGES IN THE GEORGIAN EDUCATION SYSTEM

Annotation: *The Georgian Education System is in the process of constant updating and modification. Critical thinking competences and usage of theoretical knowledge into practice are one of the major challenges of the modern education system. The most basic, regulatory document for general education, the national curriculum has undergone gradual changes. At the above stages what, when and how the educational process should be implemented in Georgian Public Schools has been analyzed. What challenges did the teaching-learning and educational field face? It is important to focus on the similarities and differences of the national curriculum of all three generations. At present, special attention is paid to the most recent, Structural Analysis of the Primary Education of the Third Generation 2018-2024 National Curriculum.*

It is also a novelty that daily subject planning has been replaced by thematic planning, each topic is processed throughout the level of primary education, the content of the learning is defined in relation to this particular topic and each stage is presented with a complexity of age-appropriate features.

The theme in the new National Curriculum has functional context, which allows to provide integrated and interrelated teaching of the issues of standardized results, concepts or specific issues.

"The new school model" is an important part of the planned reform in the education system. Its purpose is to create a person-oriented educational environment, which will provide students with the knowledge and skills needed for 21st century reality.

Key Words: *New School Model, National Curriculum of the Third Generation, Thematic planning, School curriculum, Knowledge building.*

ესგ-ს საგნობრივ სტანდარტებში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას: ა) დეკლარატიულს, ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის პროცედურულად გამოყენებას.

ბ) პროცედურულს ანუ დინამიურ ცოდნას, რომელიც ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა;

გ) პირობისეულ ცოდნას, ანუ ფუნქციურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას.

განსაკუთრებული სიახლე, რომელიც აქამდე არცერთი

თაობის ესგ-ს არ ჰქონია, არის ის, რომ ამჟამინდელ 2018-2024 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მისაღწევი შედეგები განერილია არა ცალკეული წლების მიხედვით, არამედ საფეხურების I-IV და V -VI კლასების მიხედვით. მესამე თაობის ესგ-ს უმთავრესი მიზანია სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს განწყობა- დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე, თვითფექტიანობის განცდის ფორმირებაზე, კვლევა-ძიების, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის მიზნობრივად ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაზე.

მნიშვნელოვანია იმგვარი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც მაქსიმალურად შეუნყოფს ხელს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების განვითარებას. ცხადია, ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტი, ფილოსოფია შეცვლილი არ არის და ეს ფილოსოფიაა მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. თუმცა, გეგმაში არის მთელი რიგი ცვლილებები, რომელიც შეეხება სწავლა-სწავლების ორგანიზებას. კერძოდ, ყოველწლიურის ნაცვლად შემუშავდა საფეხურებრივი სწავლები სშედეგები, რაც მასწავლებლებს მეტ საშუალებას მისცემს, ცალკეული მოსწავლის განვითარების ტემპს მოარგოს საგანმანათლებლო პროცესი, გაითვალისწინოს ცალკეული მათგანის ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, სწავლის სტილი, პირადი გამოცდილება და აკადემიური საჭიროებები.

მასწავლებელს ორიენტირი სწორედ საფეხურების ბოლოს აქვს გადატანილი. სტანდარტის საფეხურებრივი შედეგების შემოტანით, ყოველ კონკრეტულ სკოლას ეძლევა საშუალება, საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეების შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმოს. ამავე დროს, შენარჩუნდა წლიური პროგრამებიც, სკოლას ეძლევა საშუალება, სტანდარტის შედეგების მისაღწევად, სურვილის შემთხვევაში, გაჰყვეს მომზადებულ წლიურ პროგრამებს.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შეიქმნა სახელმწიფო პროგრამა – „ახალი სკოლის მოდელი“, რომლის განხორციელების ფარგლებში სკოლამ საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს:

ა) ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.

ბ) ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;

გ) კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას;

დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას;

ე) გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის;

ვ) კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას;

ზ) სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებით მესამე თაობის ესგ-ში სასკოლო კულტურის მნიშვნელობა უფრო სიღრმისეულად და მიზნობრივად არის წამოწეული წინა პლანზე, რაც მოსწავლეზე ორიენტირებას კიდევ უფრო აძლიერებს.

სიახლეა ისიც, რომ ყოველდღიური საგაკვეთილო დაგეგმვა ჩანაცვლდა თემატური დაგეგმვით, ყოველი თემის დამუშავება მიმდინარეობს მთელი დაწყებითი საფეხურის განმავლობაში, სწავლების შინაარსი განისაზღვრება ამ კონკრეტულ თემასთან მიმართებაში და ყოველ საფეხურზე წარმოდგენილია ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი სირთულით.

ახალ ესგ-ში თემა არის ფუნქციური კონტექსტი, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი. თემები იცვლება, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგების სახითაა ფორმულირებული.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ეყრდნობა ხუთ საგანმანათლებლო პრინციპს:

1. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპი: რეალური ცხოვრებისეული სიტუაციებიდან მოყვანილი მაგალითების საშუალებით.

2. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. აუცილებელია, მოხდეს წინა წლებში ნასწავლი მასალის გათვალისწინება.

3. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გულისხმობს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს (ტესტების, რუკების, დიაგრამების...) კითხვასა და ანალიზს.

4. სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

5. სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).

აქვე უნდა გამოვკვეთოთ, რომ „ახალი სკოლის“ მოდელი, ორიენტირებული იქნება უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე და სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტირებასა და წიგნიერებაზე. მასწავლებლებს მიეცემათ საშუალება თავად დაგეგმონ და განახორციელონ სასკოლო კურიკულუმი.

„ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში სკოლებში განახლდება კომპიუტერული კლასები, აღიჭურვება ინტერნეტითა და WiFi-ით. პირველ კლასელთა ნეტბუქები მოდიფიცირდება თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებით (მაგ. Minecraft Education Edition, Scratch და სხვა). განვითარდება ვებგვერდის el.ge, სადაც თავმოყრილი იქნება საგანმანათლებლო და შემეცნებითი რესურსები. დაინერგება სთრიმინგ გაკვეთილები. საინტერესო სპიკერები ონლაინ რეჟიმში ჩაატარებენ ლექციათა ციკლს, რომელიც მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და მათემატიკური და ალგორითმული უნარების გაღრმავებაზე იქნება ორიენტირებული.

„ახალი სკოლის მოდელი“ განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი მიზანია პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა,

რომელიც მოსწავლეს 21-ე საუკუნის რეალობისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მისცემს. ეს სიახლე I-IV კლასებს შეეხება, მომზადდა სასკოლო კულტურისა და მე-4 კლასის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების ინსტრუმენტები.

მიმდინარე პროცესებში შეიქმნა მხარდამჭერი ჯგუფები, რომელთა მთავარი ამოცანაა, დაეხმარონ სკოლებს სასკოლო კლიმატისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. ისინი, I-IV კლასების პედაგოგებთან, სკოლის ბაზაზე, ქოუჩინგის პრინციპით იმუშავენ შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვა; სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარება; ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. ახალი სკოლის მოდელს, ორი ძირითადი მიზანი აქვს: ერთი, რომ სწავლა-სწავლების ხარისხი გაუმჯობესდეს და მეორე, სკოლაში შეიქმნას გარემო, რომელიც 21-ე საუკუნის ღირებულებების მქონე მოქალაქის აღზრდას შეუწყობს ხელს.

ლიტერატურა

საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 – დოკუმენტის სამუშაო ვერსია.

<https://edu.aris.ge/news/sabazo-safexuris-erovnuli-saswavlo-gegma-2018-2024-dokumentis-samushao-versia.html> (15.06.2019)

<https://www.mes.gov.ge/content.php?id=8987&lang=geo> (15.06.2019)

ლექციის როლი პრესის, ტელევიზიისა და ინტერნეტის კონკურენციის პირობებში

ანოტაცია: კვლევებმა აჩვენა, რომ ლექცია, როგორც სწავლების მეთოდი, ზოგჯერ აფერხებს სტუდენტის დამოუკიდებელ სწავლასა და აზროვნებას. მიუხედავად ამისა, ჩვენს სტატიაში შევეცადეთ გვეჩვენებინა რიგი უპირატესობები, რაც გააჩნია ლექციურ მეთოდს. კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი როგორ ვაკავშრებთ ლექციას სტუდენტის ინტერესების სფეროსთან, გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ცვლილებებთან, ლექტორის წვლილს სტუდენტის მოტივაციის გაძლიერების საქმეში. გთავაზობთ ჩვენს ხედვას ლექციის სწორად დაგეგმვაში და შემდგომ მის ორგანიზაციაში. ასევე, მსმენელის ყურადღების კონცენტრირების მრავალფეროვან სტრატეგიებს.

ამოსავალი სიტყვები: ხარისხი, კვლევა, მეთოდთა შედარება, ეფექტურობა, ანალიზი, სწავლა, აზროვნება.

Nino Orjonikidze, Dima Sichinava

THE ROLE OF LECTURE DURING THE COMPETITION OF THE PRESS, TELEVISION AND INTERNET

Annotation: Studies have shown that lecture as a teaching method sometimes hinders student's independent learning and thinking. In our article, we tried to show a number of advantages, which has a lecturing method. We once again emphasize how we will give a lecture to the student's interests, with the ongoing changes in the surrounding world, lecturer's contribution to enhancing student motivation. We present our vision in the correct planning of the lecture and then in its organization. Also, the diverse strategies for concentrating the listener's attention.

Key words: quality, research, comparison of methods, effectiveness, analysis, learning, thinking.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ლექციის როლზე უმაღლეს სასწავლებლებში. ლექცია არის ინფორმაციის გადაცემის ეფექტური გზა, განსაკუთრებით ისეთ ჯგუფებში, სადაც შეინიშნება მკვეთრი განსხვავება სტუდენტთა ცოდნის დონებს, გონებრივ შესაძლებლობებსა და ინტერესთა სფეროებს შორის.

ჩვენ ასევე გიჩვენებთ, რამდენად სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს ლექციის სათანადოდ დაგეგმვა და პრეზენტაცია, რათა უზრუნველყოთ სწავლის მიმართ სტუდენტის პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება და შეძენილი ცოდნის მაქსიმალური რეალიზაცია.

მრავალი გამოკვლევა მიედგინა ლექციური მეთოდის შედარებას სწავლების სხვა მეთოდებთან. დადგინდა, რომ ლექციური მეთოდი, შეიძლება ითქვას, უძველესია სწავლების არსებულ მეთოდთა შორის და დღესაც ყველაზე ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში. ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვილ იქნა სერიოზული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ლექციის ჩატარებების ტექნოლოგიების შესახებ. პროფესიონალი ლექტორის საქმიანობა, როგორც წესი, წარმოადგენს მკვლევარის, მწერლის, პროდიუსერის, მსახიობისა და მასწავლებლის როლების სინთეზს, რომელიც შეესატყვისება სწავლების მიზნებს. თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ პროფესორთა მხოლოდ მცირე რაოდენობა აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს. საუკეთესო ლექტორებიც ყოველთვის როდი აჩვენებენ ოპტიმალურ შედეგს. ლექცია არ თმობს პოზიციებს ბექდვითი სიტყვის, ტელევიზიისა და კომპიუტერის მხრივ მძლავრი კონკურენციის პირობებშიც კი.

იბადება კითხვები: არის ლექცია სწავლების ეფექტური მეთოდი? თუ არის, რა განაპირობებს მის მაქსიმალურ ნაყოფიერებას? შეკითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა არა მარტო ლექციის, როგორც სწავლების მეთოდის დეტალური კვლევა, არამედ იმ კოგნიტური პროცესების ანალიზი, რომელთაც სტუდენტები მიმართავენ ლექციის მსვლელობისას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ლექციას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები სხვა მეთოდებთან შედარებით.

- უახლესი ინფორმაცია, რომელიც სახელმძღვანელოში შეიძლება ჯერ არ არის შეტანილი.
- მრავალფეროვან წყაროებში გაბნეული მასალის შეკრება-შეჯამება.
- მასალის შეხამება ცალკეული ჯგუფის სტუდენტების ცოდნის დონესა და ინტერესებთან კონკრეტულ დროს, კონკრეტულ ადგილზე.
- ეფექტური კითხვის უნარის განვითარება ორიენტაციის

მიცემისა და კონცეპტუალური ჩარჩოს შეთავაზების გზით.

- კონცენტრაცია უმთავრეს კონცეპტებზე, პრინციპებსა და მოსაზრებებზე.

დიდია ლექტორის წვლილი სტუდენტის მოტივაციის გაძლიერების საქმეში. ეხმარება რა მას ცალკული პრობლემის, კონტრასტული მოსაზრებების სათანადოდ გააზრებაში, ლექტორი მძლავრ სტიმულს აძლევს სტუდენტის შემდგომ დაინტერესებას. ლექტორის თვალსაზრისი და ენთუზიაზმი ასევე მნიშვნელოვან ზეგავლენს ახდენს სტუდენტის მოტივაციაზე. შეეცადეთ თითოეულ ლექციაზე წარმოადგინოთ ისეთი თემა, რომელიც თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს იმსახურებს. აღნიშნული თემის გაშუქებისას თქვენი ხმა და შესტიკულაცია გაცილებით ენერგიული და ექსპრესიულია. ახლა ეცადეთ ეს მახასიათებლები სხვა თემებზეც განავრცოთ. ენთუზიაზმით სავსე მასწავლებლები განუწყვეტლივ მოძრაობენ, არცერთ სტუდენტს არ უშვებენ თვალთახედვის არიდან და მიმართავენ მრავალფეროვან შესტიკულაციურ და ვოკალურ ვარიაციებს. ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია დაეუფლოს ამ თვისებებს. ამრიგად, თეორია სავსებით ემხრობა მასწავლებლის ენთუზიაზმით აღსავსე ქცევას სტუდენტის ყურადღების მიპყრობის მიზნით. (აუცილებელი არ არის ნებისმიერ წუთს მოახდინოთ ენერგიის მაღალი ინტენსივობის დემონსტრირება. ზოგჯერ საჭიროა მშვიდი, დინჯი საუბარი, გარკვეული პაუზა შეკითხვაზე პასუხის გაცემის წინ.)

ლექტორი სტუდენტებს სთავაზობს პრობლემისადმი მიდგომის გზებს, უჩვენებს მათ როგორ უნდა მუშაობდეს ნამდვილი მკვლევარი. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ მათ: „ეს გახლავთ პრობლემის გადაჭრის ჩემი უფლები ვარიანტი. ახლა თავად სცადეთ!“ ასეთი მუშაობა შესაძლებელია როგორც ლექციაზე, ისე აუდიტორიის გარეთ. გარდა ამისა, ფაქტია, რომ ესა თუ ის პროფესორი ხშირად ხდება აღტაცებისა და მიბაძვის ობიექტი.

ამრიგად, ლექცია შეიძლება იყოს საკმაოდ ეფექტური, თუმცა, ზოგჯერ აფერხებს სტუდენტის დამოუკიდებელ სწავლასა და აზროვნებას.

ამის შემდგომ უნდა ვიზრუნოთ ლექციის სწორ ორგანიზაციაზე ლექციის ორგანიზებისას მასწავლებელთა უმეტესობა, უპირველეს ყოვლისა, ფიქრობს მასალის სტრუქტურის შესახებ,

შემდეგ აგებს შინაარსს ლოგიკური გზით, დედუქციური (ზოგადიდან კერძოსაკენ), ან ინდუქციური (კერძოდან ზოგადისაკენ) პრინციპების დაცვით. ხშირად მთელი ყურადღება ეთმობა მასალის გაშუქებას და გვაზინყდება ვკითხვით საკუთარ თავს: „რას უნდა ახსოვდეთ ჩემი ლექციიდან სტუდენტებს მომავალ კვირას, მომავალ წელს?“

არსებობს ლექციის ორგანიზაციასთან დაკავშირებული რამდენიმე ზოგადი პრინციპი: მიზეზ-შედეგობრივი; თანმიმდევრობა დროში (მაგ. მოთხრობა); პარალელური ორგანიზაცია, როგორცაა თეორია – მტკიცებულება; პრობლემა – გადაჭრის გზა; ნაცნობი – უცნობი; თეორია – პრაქტიკა.

საგნის ლოგიკური სტრუქტურა ლექციის ორგანიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია, თუმცა თანაბრად მნიშვნელოვანია სტუდენტის კოგნიტური სტრუქტურა. საჭიროა მასალასა და აღნიშნულ სტრუქტურას შორის მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა. ჩვენი დახმარებით სტუდენტი ახდენს არსებული სტრუქტურების რეორგანიზაციას, ან ამდიდრებს მათ ახალი შტრიხებით. მაშასადამე, ლექციის ორგანიზაციისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სტუდენტთა ცოდნის დონე, მათი დამოკიდებულება კურსის მიმართ.

მივმართოთ ანალოგის მოძებნის მეთოდს, რაც გულისხმობს ახალი იდეების დაკავშირებას სტუდენტთათვის უკვე ნაცნობ კონცეფციებთან.

უნდა გვახსოვდეს, რომ სტუდენტები უნდა გაეცნონ ლექციის ორგანიზაციას. ეს დაეხმარება მათ მოარგონ სტრუქტურას შესაბამისი ფაქტები, განამტკიცონ საფუძველი შემდგომი სწავლისა და აზროვნებისათვის. სასურველია ჯგუფის წევრებს დაურიგდეთ მოცემულ ლექციაზე შესასწავლი მასალის მონახაზი ძირითადი სათაურებით და ჩანაწერებისათვის განკუთვნილი ცარიელი ადგილით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლექციის შესავალის დაგეგმვისას გაითვალისწინეთ: შესავალი მიზნად უნდა ისახავდეს სტუდენტის კოგნიტური სტრუქტურის გამდიდრებას.

დასკვნა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა ლექციური მეთოდის შედარებას სწავლების სხვა მეთოდებთან. დისკუსიამ საკმაოდ დაჩრდილა ლექცია მრავალი თვალსაზრისით. ამკარაა ბეჭდვითი სიტყვის უპირატესობაც.

ჩვენი მოსაზრებით, ლექციის ყველაზე ოპტიმალური ვა-

რიანტი მოიცავს როგორც ინფორმაციის გადაცემისა და პრობლემის გადაჭრის მოდულირების პროცესებს, ისე დისკუსიას, რომელიც მიზნად ისახავს პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარებას. აუცილებელია სწორად განისაზღვროს თითოეული მათგანისათვის გამოყოფილი დრო. ლექციისა და დისკუსიის ზემოთ აღნიშნული ფორმით შერწყმა უდაოდ ლოგიკურია ყოველთვის, როცა, კურსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ლექტორს მოეთხოვება არა მარტო ინფორმაციის გადაცემა, არამედ სტუდენტთა დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარება.

ლიტერატურა

ნ. ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი. 2014. *მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემები*, ქუთაისი.

დ. კარი. 2000. *პროფესიონალიზმი და ეთიკა პედაგოგიურ საქმიანობაში*. ნიუ იორკი.

პ. მარკი. 1994. *პროფესორის ვალდებულებები: კოლეჯში სწავლების ეთიკური საკითხები*, ნიუ იორკი.

სკაფოლდინგის მეთოდის პრაქტიკული მაგალითი ქიმიაში

ანოტაცია: სტატიის ავტორი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან გვთავაზობს აპრობირებულსა და შედეგზე წარმატებულად ორიენტირებული ლექციის სქემა—მოდელს ანალიზურ ქიმიაში. სტატია აჩვენებს სკაფოლდინგის მეთოდის გონივრულ შერწყმას სხვა აპრობირებულ მეთოდებთან და სასურველ შედეგამდე გასვლის გზას; ასევე იძლევა მაგალითს, თუ როგორ ხდება არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენება, მარტივიდან რთულზე გადასვლა. ასევე, ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება ავამაღლოთ სტუდენტის მოტივაცია და შეფასებები ლექციაზე მისი აქტიური როლით.

საკვანძო სიტყვები: ლაკმუსის მოქმედების მექანიზმი.

Enver Arveladze

PRACTICAL EXAMPLES OF USING THE SCAFFOLDING METHOD IN A STUDY OF CHEMIC

Annotation: *The aim of the article to show the example of result oriented lecture model in a study of chemic. What kind of results can be achieved using the method of discovery learning? When we are thinking about the method for learning it is really important to choose the relevant method of study. What kind of result can be achieved when you are looking for the process from easy to difficult? Scaffolding method combination with other different and approved methods are the examples of getting the results and enhance the students' ability and knowledge and it is the example of making learning and studying method as a tool of assessment.*

Key words: *mechanism of using litmus paper.*

განსახილველ თემად შევარჩიეთ ერთ-ერთი საკითხი ანალიზური ქიმიის კურსიდან „მჟავურ ფუძური ინდიკატორის (ლაკმუსი) მოქმედების მექანიზმის დადგენა მასზე ფუძეებისა და მჟავების ურთიერთქმედებისას“. დასაწყისში სტუდენტები მარტივი ცდებით მჟავათა (HCl , H_2SO_4 , H_3PO_4) და ფუძეთა (NaOH , NH_4OH , $\text{Ca}(\text{OH})_2$) ხსნარებზე ლაკმუსის დამატებით ვიზუალურად არკვევენ, რომ მჟავა ინდიკატორ ლაკმუსს ანით-



ლებს, ფუძე კი ანიჭებს ლურჯ შეფერვას. ამაზე დაფიქსირების შემდეგ, ჩვენი მიზანია გავარკვიოთ რა მექანიზმი უდევს საფუძვლად ინდიკატორის ფერთა ასეთ ცვლილებას. ამოცანის გამარტივების მიზნით ვახდენთ მის დიფერენცირებას 2 ეტაპად.

1. გავარკვიოთ, უშუალოდ რომელი ნაწილაკი (კათიონი, ანიონი თუ არადისოცირებული მოლეკულა) იწვევს ინდიკატორის განითლებას ან გალურჯებას.

2. რა გზით, რა მექანიზმით ახდენს ინდიკატორის ფერის შეცვლას პირველ ეტაპზე შერჩეული ნაწილაკი.

3. ამავდროულად, ლექტორი ცდილობს აღუძრას სტუდენტებს მოტივაცია. ის არწმუნებს მათ, რომ ზუსტი, საბოლოო დასკვნების გამოტანას თვითონვე შეძლებენ, თუ გზადაგზა ლექტორის მიერ მიზანმიმართული და მათთვის უკვე ნასწავლი საკითხების გარშემო დასმულ კითხვებს გასცემენ სწორ პასუხებს. – ახლა შევეცადოთ გავარკვიოთ, რომელია ის ნაწილაკი, რომელიც ანითლებს ლაკმუსის ხსნარს მასზე მჟავის დამატებისას. ვაძლევთ მიმართულებას: – ჯერ გაიხსენეთ, როგორ დისოცირდება მჟავა წყალში და შემდეგ ნახეთ, რა ნაწილაკებს შეიცავს მისი წყალხსნარი.

ეს საკითხი მათთვის კარგადაა ცნობილი. წერენ მჟავის დისოციაციას. განვლილი მასალიდან ახსოვთ, რომ მჟავები წყალში დისოცირდებიან წყალბადის კათიონად და მჟავათა ნაშთის ანიონებად.



აქედან გამომდინარე, მჟავებით ინდიკატორ ლაკმუსის განითლების მიზეზი შეიძლება იყოს მჟავათა ანიონები, წყალბადის კათიონები, ან კიდევ უშუალოდ არადისოცირებული მჟავათა მოლეკულები. კითხვაზე, – როგორ გავარკვიოთ ანიონების როლი ინდიკატორთან მიმართებაში, დიდი ალბათობით, შესაძლოა, ვერ მივიღოთ სწორი პასუხი. ასეთ შემთხვევაში ვუჩვენებთ სწორ გზას და ვუსვამთ უფრო ადვილად მისახვედრ კითხვას: – თუ ანიონებია ინდიკატორის ფერის შეცვლის მიზეზი, მაშინ ლოგიკურად, მჟავის გარდა, რომელი სხვა ნივთიერება მოგვცემდა ანალოგიურ შედეგს? პასუხი უმარტივესია – იგივე შედეგს მივიღებდით ამ ანიონების შემცველი მარილების

შემთხვევაშიც, რადგანაც წყალში მათი დისოციაციისას მიიღება ანიონები, როგორც ეს ხდება მჟავების დროს. ატარებენ ცდებს: მარილების ხსნარებს ამატებენ ინდიკატორ ლაკმუსს, ხედავენ, რომ ლაკმუსი არ განითლდა. შედეგად ასკვნიან: მჟავათა ანიონები ლაკმუსის ხსნარს ფერს არ უცვლიან.

მომდევნო შეკითხვაზე, – შესაძლებელია თუ არა წყალბადის კათიონი (H^+) იყოს ინდიკატორის ფერთა შეცვლის მიზეზი? პასუხად მოჰყავთ არგუმენტი: – რადგანაც წყალბადიონის შემცველობა მჟავათა წყალხსნარებისათვის საერთოა, შესაძლოა, ამან განაპირობოს მათი მსგავსება თვისებებში, მათ შორის ლაკმუსის ხსნარის განითლება. პედაგოგი იწონებს პასუხს. ეს მოსაზრება ნამდვილად ლოგიკური და მისაღებია, მაგრამ იქვე აძლევს შემხვედრ შეკითხვას: – იქნებ მჟავათა მსგავსი თვისებები ინდიკატორთან მიმართებაში დამოკიდებულია არა მჟავათა ხსნარში თავისუფალ მდგომარეობაში არსებული წყალბადის კათიონებზე, არამედ წყალბადის ატომებზე, რომელიც ბმულ მდგომარეობაში შედის არადისოცირებული მჟავის მოლეკულაში? როგორ გავარკვიოთ ეს? სტუდენტთა აზრით, ამ მოსაზრების შემონშება ადვილად შეიძლება ცდით. აბსოლუტურად უწყლო მჟავას, მაგალითად გოგირდმჟავას, რომელიც შეიცავს მხოლოდ არადისოცირებულ მჟავის მოლეკულებს და არ შეიცავს წყალბადის კათიონებს, ვამატებთ ლაკმუსს და ვაკვირდებით ფერთა ცვლილებას. მაგრამ ამ ცდის ჩატარების შესაძლებლობა არა გვაქვს, რადგანაც აბსოლუტურად უწყლო გოგირდმჟავა სასწავლო ლაბორატორიებში არ მოგვეპოვება. ამიტომ, სტუდენტებს ვუხსნით, ეს ცდა შეიძლება შევცვალოთ ირიბი მეთოდით. ამ მიზნით ვთავაზობთ ეთილის სპირტის (C_2H_5OH) წყალხსნარს. მის მოლეკულაში წყალბადის ატომი ბმულ მდგომარეობაშია ჟანგბადის ატომთან და სპირტის მოლეკულა არ დისოცირდება H^+ -ის წარმოქმნით. სტუდენტები ცდით აფიქსირებენ, რომ სპირტზე ლაკმუსის დამატება არ იწვევს ხსნარის განითლებას. შედეგი გადაგვაქვს მჟავის არადისოცირებულ მოლეკულაზე.

ამრიგად, ცდების შედეგების ანალიზის საფუძველზე აკეთებენ დასკვნას – ლაკმუსის განითლება მასზე მჟავების დამატებისას ხდება უშუალოდ წყალბადის კათიონით. ანალოგიურად მტკიცდება, რომ ფუძით ლაკმუსის გალურჯება აიხსნება ფუძის დისოციაციისას მიღებული ჰიდროქსიდ (OH) იონებით.

ამის შემდეგ პედაგოგი შეახსენებს სტუდენტებს გეგმის მეორე ნაწილს და მიმართავს მათ: ახლა დროა პასუხი გავცეთ მთავარ კითხვას: – როგორ, რა გზით, რა მექანიზმით ახდენს H^+ და OH^- იონები ლაკმუსის ხსნარის ფერთა ცვლილებებს? ლექტორი ხაზს უსვამს, რომ ისინი ამაზე ალბათ ახლა პასუხს ვერ გასცემენ, რადგანაც ჯერ არ იციან ინდიკატორ ლაკმუსის ფორმულა და მისი წყალხსნარის შემცველობა, და ის აწვდის დაწვრილებით ინფორმაციას: ლაკმუსი არის ორგანული მჟავა, რომელიც წყალში დისოცირდება წყალბადის კათიონად და ინდიკატორის ანიონად. არადისოცირებულ მოლეკულას ($HInd$) და დისოციაციის შედეგად მიღებულ ანიონს (Ind^-) აქვს სხვადასხვა შეფერილობა – წითელი და ლურჯი:



წითელ და ლურჯ ფერთა ნაზავი ლაკმუსის ხსნარს ანიჭებს იისფერ შეფერვას. აქვე სტუდენტებს ვაძლევთ მინიშნებას, რომ ლაკმუსის მოლეკულის წითელი და ანიონის ლურჯი შეფერილობები არის ის ფერები, როგორსაც ლეზულობს ლაკმუსის ხსნარი მასზე მჟავის ან ტუტის დამატებისას, და მათ ამის გათვალისწინება მოუწევთ. ამ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ გადავდივართ ე. წ. „გონებრივ იერიშზე“ და უკვე არსებულ ცოდნაზე დაყრდნობის მეთოდით სტუდენტები მიგვეყავს საბოლოო სწორ დასკვნამდე ანუ „ამ გზით სტუდენტი მწყობრად აშენებს ახალ ცოდნას მისთვის უკვე ცნობილისა და წინა გამოცდილებების საფუძველზე“ (ვიგოტსკი, პიაჟე).

წარმოგიდგენთ ლექტორსა და სტუდენტებს შორის გამართული კითხვა-პასუხების სქემა-მოდელს:

კითხვა – **როგორი პროცესია ინდიკატორის დისოციაცია?**

პასუხი – შექცევადი პროცესი.

კითხვა – **დისოციაციის დროს როგორი წონასწორობა მყარდება?**

პასუხი – დინამიური.

კითხვა – **რომელი კომპონენტების წონასწორობა შეიცვლება ლაკმუსის წყალხსნარზე მჟავის დამატებისას?**

პასუხი – გაიზრდება წყალბადის კათიონის კონცენტრაცია, რადგანაც ლაკმუსის ხსნარში არსებულ H^+ იონებს ემატება მჟავას წყალხსნარში შემავალი წყალბადის კათიონები.

კითხვა – **რას გამოიწვევს წყალბადის კონცენტრაციის გაზრდა ინდიკატორის ხსნარის წონასწორულ სისტემაში?**

პასუხი – გამოიწვევს დინამიური წონასწორობის შეცვლას.

კითხვა – **ლე-შატელიეს პრინციპის თანახმად, როგორი პროცესი უნდა აღიძვრას სისტემაში დინამიური წონასწორობის დარღვევისას?**

პასუხი – პროცესი, რომელიც მიმართული იქნება წონასწორობის დამრღვევი ფაქტორის შემცირების მიმართულებით, ანუ U^+ -ის კონცენტრაციის შემცირების მიმართულებით.

კითხვა – **ეს როგორ მოხდება?**

პასუხი – წყალბადის კათიონი შუერთდება ინდიკატორის ანიონს:



შედეგად შემცირდება როგორც H^+ ასევე Ind^- კონცენტრაცია, ხოლო HInd -ის კონცენტრაცია გაიზრდება და წონასწორობა სისტემაში (2) გადაიხრება მარჯვნიდან მარცხნივ.

კითხვა – **ეს როგორ აისახება წყალხსნარის შეფერილობაზე?**

პასუხი – რადგანაც შემცირდა ლურჯი შეფერილობის ანიონის (Ind^-) კონცენტრაცია, სისტემაში შესაბამისად შესუსტდება ან სრულიად გაქრება ლურჯი ფერის ინტენსივობა ხსნარში, ხოლო წითელი ფერის მატარებელი ინდიკატორის მოლეკულის კონცენტრაციის გაზრდა კი გამოიწვევს ხსნარში წითელი ფერის ინტენსივობის მკვეთრად გაზრდას და ხსნარი საბოლოოდ შეიფერება წითლად.

ლექტორი – აი, უკვე თქვენ საბოლოოდ გაარკვიეთ ლაკ-მუსზე მჟავის დამატებისას ინდიკატორის წითლად შეფერვის მექანიზმი და როგორც ნახეთ, ეს ხდება შემდეგნაირად: მჟავის დამატება ინდიკატორის წყალხსნარში იწვევს H^+ -ის კონცენტრაციის გაზრდას, რის შედეგადაც სისტემაში წონასწორობის გადახრა ხდება წითელი შეფერილობის ინდიკატორის მოლეკულის HInd კონცენტრაციის გაზრდის და ლურჯი შეფერილობის ანიონის კონცენტრაციის შემცირების მიმართულებით. შედეგად ლაკმუსის ხსნარი ღებულობს წითელ შეფერვას.

ანალოგიურად ხდება იდიკატორზე ფუძის დამატებისას. დამატებული ფუძე დისოცირდება OH^- იონის წარმოქმნით:



შემდეგ OH^- უერთდება ინდიკატორის წონასწორულ სისტემაში შემავალ წყალბადის H^+ იონს:



და მცირდება H^+ კონცენტრაცია. ამ დროს, განსხვავებით უკვე განხილული შემთხვევისა, სისტემაში აღიძვრება პროცესი მიმართული წყალბადის კონცენტრაციის გაზრდისაკენ (და არა შემცირებისაკენ, როგორც ეს მოხდა ლაკმუსზე მჟავის დამატებისას) რეაქციის საფუძველზე:



რომლის შედეგადაც შემცირდება $HInd$ -ის კონცენტრაცია და შესაბამისად წითელი შეფერილობა, ხოლო გაიზრდება ლურჯი შეფერვის ანიონის Ind^- -ის კონცენტრაცია. შედეგად ხსნარი შეიფერება ლურჯად.

ლიტერატურა

ნინო ჭიაბრიშვილი, 11 დეკემბერი. 2015. *ხარაჩოები უკეთ სწავლისთვის*. <http://mastsavlebeli.ge/?p=1524> (12.08.2019).

ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა. ია კუტალაძის რედაქტორობით. 2010. https://naec.ge/uploads/postData/PED-2017/efectiani_swavleba.pdf (12.08.2019).

ზუგდიდის მე-10 საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრის ტრენერ- კონსულტანტი,
მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული
განვითარების პროექტის ტრენერი,
საქართველოს დანყებითი განათლების პროექტის
(G-PRiED) მათემატიკის მიმართულების ტრენერი.

სადიაგნოსტიკო ტესტირების გამოყენება მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად

ანოტაცია: სტატიაში აღწერილია პრაქტიკული პროცესი მე-5 კლასში ჩატარებული სადიაგნოსტიკო სკრინინგული ტესტირებისა. მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების პროცენტულად განსაზღვრის შემდეგ დაიგეგმა საკორექციო მუშაობა, კომპეტენციების მიხედვით გამოკვეთილი შედეგების შესაბამისად განხორციელდა სარემედიაციო პროგრამა. აღნიშნულ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში განხილულია პროცესის მიმდინარეობა, ცხრილში მითითებულია ფოკუსირებული პრეტესტის და ანალოგიური პოსტტესტის შედეგები.

ამოსავალი სიტყვები: ტესტები, უნარები, კომპეტენციები, სადიაგნოსტიკო, სარემედიაციო.

Tsitsino Toria

USE DIAGNOSTIC TESTING TO IMPROVE STUDENT LEARNING OUTCOMES

Annotation: The article describes the practical process of diagnostic screening in grade 5. After determining the proportion of students' strengths and weaknesses, remedial work was planned and a rehabilitation program was implemented in accordance with the competencies. This process is discussed in the given article. The table presents the results of the target pretest and a similar post test.

key words: tests, skills, competencies, diagnostics, remedial.

შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ეს განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით: „მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის

მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ“ (ესგ. – VII: 27).

ესგ-ს მიხედვით, შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. დიდია განმავითარებელი შეფასების როლი მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. ეს დადასტურებულია პედაგოგიურ პრაქტიკასა და კვლევებში. „განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე“ (ესგ.- VII : 28).

განმავითარებელი შეფასების ტესტური ფორმა – სადიაგნოსტიკო ტესტირება არის მოსწავლის ცოდნის, უნარ-ჩვევების შემოწმების ინსტრუმენტი. ამ მეთოდით ვადგენთ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს, მიღწევებსა და საჭიროებებს. ტესტის შედეგების გაანალიზება გვეხმარება სასწავლო პროცესის მომდევნო ეტაპის დაგეგმვაში, მეთოდების, დავალებების თუ სასწავლო რესურსების სწორად შერჩევაში. ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნითი ხასიათისაა გიორგი ნოზაძის მოსაზრება, რომ „თანამედროვე საგანმანათლებლო კვლევების მიხედვით, განმავითარებელი შეფასება, ანუ შეფასება სწავლისთვის არის საგანმანათლებლო ფაქტების მოძიებისა და ინტერპრეტაციის პროცესი. ამ ფაქტებს მოსწავლეები და მასწავლებლები იყენებენ. ამ გზით ირკვევა, თუ რა აითვისეს მოსწავლეებმა, კიდევ რა უნდა ისწავლონ და როგორ.“ (სადიაგნოსტიკო შეფასების არსი და დანიშნულება-გიორგი ნოზაძე, ინტერნეტგაზეთი maststavlebeli.ge)

მაქვს გარკვეული გამოცდილება ჩემი პრაქტიკიდან სადიაგნოსტიკო სკრინინგული ტესტირების ჩატარების და შედეგების ანალიზის. ვარ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PRiED) ტრენერი, ინტენსიური ურთიერთობა მქონდა ტრენინგების ჩატარების თუ გაკვეთილებზე ვიზიტების პროცესთან, ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, დამიგროვდა გარკვეული თეორიული და კვლევითი გამოცდილება. პროექტში მონაწილეობის წლებმა დაადასტურა, რომ ეს ტრენინგები პედაგოგთა პრაქტიკულ საქმიანობაში ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან

თითოეული ეტაპი გათვლილი იყო მეთოდურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე.

2018-2019 სასწავლო წელს საგაკვეთილო პროცესის წარმართვა მომინია ჩემთვის ახალ, მე-5 კლასში. კლასის გაცნობისა და მოსწავლეთა მზაობის შეფასებისთვის I სემესტრის დასაწყისში ჩავატარე სადიაგნოსტიკო ტესტირება სკრინინგული ტესტით. ტესტირებისთვის გამოვიყენე საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PRiED) სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების პორტალზე (www.kargiskola.ge) განთავსებული სადიაგნოსტიკო ტესტი და ტესტის შედეგების ანალიზის ფორმა. პორტალზე განთავსებული სადიაგნოსტიკო ტესტის ყოველი ამოცანა ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ინდიკატორს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე საკვანძო კომპეტენციას მათემატიკის ოთხი ძირითადი მიმართულებიდან: რიცხვები და მოქმედებები, ალგებრა და კანონზომიერება, გეომეტრია და სივრცის აღქმა, მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა. ამდენად, სადიაგნოსტიკო ტესტირებამ საშუალება მომცა დამედგინა ჩემი მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები ამა თუ იმ კომპეტენციასთან მიმართებით.

სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების აღრიცხვამ და ანალიზმა დამანახა მოსწავლეების წარმატების პროცენტული მაჩვენებელი მთლიანად ტესტსა და თითოეულ კომპეტენციაში. ასევე კლასის წარმატების პროცენტული მაჩვენებელი მთლიან ტესტსა და თითოეულ კომპეტენციაში. სადიაგნოსტიკო სკრინინგულ ტესტირებაში მონაწილეობდა მე-5 კლასის 22 მოსწავლე. ტესტირებისთვის გამოვიყენე მე-4 კლასის სადიაგნოსტიკო ტესტი, რომლის საშუალებითაც შევძელი შემემონებინა წინა წლის მასალის ცოდნის დონე. რომელ მოსწავლეს რომელი კომპეტენციები ხელეწიფება და რა კონკრეტული ხარვეზი აქვს ცოდნასა და უნარ-ჩვევებში. ტესტირების შედეგებით კლასის წარმატების პროცენტული მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი აღმოჩნდა ძირითადი საკვანძო კომპეტენციებიდან ორ კომპეტენციაში, კერძოდ, რიცხვების შედარებასა და კანონზომიერებაში. ტესტის შედეგების მიხედვით კლასი პირობითად დაიყო სამ ჯგუფად:

მოსწავლეები, რომელთა წარმატების ჯამური პროცენტული მაჩვენებელი აღემატებოდა 80%-ს, ამ მოსწავლეებს მე-5 კლასის

საკითხების შესწავლისას არ ჰქონიათ პრობლემები. მათ სრულად დააკმაყოფილეს მოლოდინი.

1) მოსწავლეები, რომელთა წარმატების ჯამური პროცენტული მაჩვენებელი 50%-80% შუალედში იყო. მათ ძირითადად დააკმაყოფილეს მოლოდინი და მცირე პრობლემები თუ შეექმნათ ზოგიერთი საკითხის შესწავლისას.

2) მოსწავლეები, რომელთა წარმატების ჯამური პროცენტული მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო. ამ მოსწავლეების მზაობა არ იყო საკმარისი მე-5 კლასის მასალის დაუფლებისთვის.

შემდგომი საკორექციო მუშაობისთვის მთელ კლასს რამდენიმე გაკვეთილზე შევთავაზე დამატებითი აქტივობა იმ კომპეტენციასთან დაკავშირებით, რომელშიც მათ ხარვეზები აღმოაჩნდათ. პირველი ჯგუფის მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებდნენ ცოდნის გამამდიდრებელ, გამონვევის შემცველ, რთულ ან ძნელ სავარჯიშოებს. მეორე ჯგუფის მოსწავლეებისთვის განაფვის მიზნით შევარჩიე დამატებითი, ცოდნის გამაღრმავებელი თუ უნარ-ჩვევათა განმამტკიცებელი სავარჯიშოები, ხოლო მესამე ჯგუფის მოსწავლეებს თითქმის ხელახლა შევასწავლე საკითხი, რათა დაეძლიათ ცნებობრივი თუ პროცედურული გაუგებრობები. მესამე ჯგუფის იმ მოსწავლეებთან, რომელთაც დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდათ სწორედ აღნიშნულ ორ კომპეტენციაში, განვახორციელე სარემედიაციო პროგრამა (რემედიაცია-არსებული პრობლემების შემცირება ან აღმოფხვრა) საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის გამოცდილების შესაბამისად.

ზოგადი განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა დაწყებით კლასებში მათემატიკის უნარების განვითარებაა. მოსწავლემ დაწყებით საფეხურზე სწავლის პერიოდში შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე უნდა შეძლოს შემდგომ, საბაზო საფეხურზე სწავლის წარმატებით გაგრძელება. ამ მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება დიფერენცირებული სწავლების გზით და მოსწავლეთა მხარდაჭერა პირველივე საჭიროების გამოვლენისთანავე.

„ბევრ ქვეყანაში ყოველდღიური სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების და დიფერენცირებული სწავლების გარდა, მათემატიკაში პრობლემების მქონე ბავშვებისათვის

დამატებით მიმართავენ ე.წ. სარემედიაციო პრაქტიკას. ამ ინტერვენციის მიზანია მოსწავლეთა ხელშეწყობა სწავლის ფუნდამენტური უნარების (წიგნიერება და მათემატიკა) ათვისების კუთხით არსებული სირთულეების აღმოსაფხვრელად. საქართველოს სკოლებში სარემედიაციო პროგრამის პილოტირებამ აჩვენა, რომ რემედიაციის მოსწავლეები სწრაფად ენევიან სასწავლო პროცესს და პროგრამას და მოკლევადიანი რემედიაციის შემდეგ, მომავალში, წარმატებებს აღწევენ საგანში. გარდა ამისა, რემედიაციის პროგრამა დიდ გავლენას ახდენს მთლიანად იმ კლასის წარმატებების მაჩვენებლებზე მათემატიკაში, რომელთაც რემედიაციის მოსწავლეები წარმოადგენენ.“ (საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, მათემატიკის სარემედიაციო პროგრამის გზამკვლევი, გვ.1-სარემედიაციო პროგრამის მიზანი.)

მესამე ჯგუფის მოსწავლეებს ჩავუტარე ფოკუსირებული ტესტირება არასაკმარისად განვითარებულ კომპეტენციებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ფოკუსირებული ტესტირების შედეგად გავარკვიე თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები სამიზნე უნარებთან მიმართებით, გამოირიცხა შერჩევის შემთხვევითი ფაქტორი. ფოკუსირებული ტესტების შემონიშნა/შედეგების შეჯამებით შევარჩიე მოსწავლეები სადიაგნოსტიკო ინტერვიუსთვის. ინტერვიუს მიზანი იყო დაბალი აკადემიური შედეგების განმაპირობებელი მიზეზების და სამიზნე უნარებთან მიმართებით არსებული ხარვეზების მასშტაბების დადგენა. ყოველივე ამის შედეგად, სკრინინგული და ფოკუსირებული ტესტირებისა და ზეპირი დიაგნოსტიკური ინტერვიუს შედეგების საფუძველზე შევიმუშავე რემედიაციის გაკვეთილების თემატურ-კალენდარული და ჩასატარებელი სასწავლო აქტივობების გეგმები. დავაკომპლექტე სარემედიაციო პროგრამაში მონაწილე მოსწავლეების საბოლოო სია (7 მოსწავლე), შევხვდი მათ მშობლებს, გავაცანი ინფორმაცია, პროგრამის მიზანი, შინაარსი, ხანგრძლივობა და განრიგი. სარემედიაციო პროგრამა (დამატებითი გაკვეთილები) მიმდინარებდა ორი თვის განმავლობაში (ოქტომბერი-ნოემბერი), კვირაში 3-ჯერ, გაკვეთილების შემდეგ. გაკვეთილი იწყებოდა წინარე ცოდნის გააქტიურებით, ვაკვირდებოდი მოსწავლის სწავლის პროცესს და აღვრიცხავდი დაკვირვების შედეგებს. მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგისთვის შევიმუშავე დაკვირვების დღიური, გაკვეთილის ბოლოს მოსწავლე ავსებდა თვითშეფასების ბარათს ან

გასასვლელ ბარათს. ეს აქტივობა ეხმარებოდა მოსწავლეს საკუთარი წინსვლის თუ ხარვეზის გაცნობიერებაში, მეტაკოგნიტიური უნარების განვითარებაში, რაც სწავლის აკადემიური ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ვანარმოებდი ყოველი ჩატარებული გაკვეთილის მოკლე ანალიზს, მოსწავლეზე დაკვირვების დღიური და მოსწავლის თვითშეფასების ბარათი მეხმარებოდა მომდევნო გაკვეთილის უკეთ დაგეგმვაში.

ჯგუფზე დაკვირვების სააღრიცხვო ცხრილის ნიმუში

თარიღი-----

რომელ აქტივობაზე ჩატარდა დაკვირვება -----

მოსწავლეთა გვარები	კითხულობს რიცხვებს	ასახელებს რიცხვის ჩანაწერში თანრიგებში მდგომი ციფრების მნიშვნელობებს	წარმოადგენს რიცხვს სათნრიგო შესაკრებთა ჯამის სახით	იყენებს პოზიციურ სისტემას რიცხვების შედარებისას	აღაგებს მოცემულ რიცხვებს ზრდით ან კლებით	რაიმე ხერხით მოცემული შესაბამისობისთვის პოულობს მითითებული ელემენტის წინა სახეს	აგებს რეალური ვითარების ადეკვატურ შესაბამისობასოპიექტთა მოცემულ ორ ჯგუფს შორის და ცხრილის ან სქემის საშუალებებით გამოსახავს მას
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							

სარემედიაციო პროგრამის მიზანი იყო მასში ჩართული მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაუმჯობესება დამატებითი გაკვეთილების ჩატარებით, პროცესის მონიტორინგისთვის გა-

მოვიყენე შუალედური ტესტირებები და ფოკუსირებული პრეტესტის ანალოგიური პოსტტესტი.

მოსწავლეების მიერ შესრულებული ფოკუსირებული ტესტების საშუალებით ვარკვევდი მათ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს სამიზნე უნარებთან მიმართებით. თითოეული შუალედური ტესტირების შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევდი უკუკავშირს, რა გააკეთეს კარგად, რა საჭიროებდა გაუმჯობესებას.

სარემედიაციო პროგრამის განმავლობაში ტესტირება ჩავატარე ოთხჯერ, 3 შუალედური და ბოლოს პოსტ ტესტი. ამ ტესტირების შედეგებით ვაკვირდებოდი და ვარკვევდი მოსწავლეების სწავლის დინამიკას.

ცხრილში მოცემულია სარემედიაციო პროგრამაში მონაწილე მოსწავლეების სადიაგნოსტიკო, პრეტესტის, შუალედური ტესტებისა და პოსტტესტის შედეგების პროცენტული მაჩვენებელი. (სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგები მითითებულია რიცხვების შედარებასა და კანონზომიერებაში)

მოსწავლეთა ტესტირების შედეგები

მოსწავლე	სადიაგნოსტიკო	პრეტესტი	შუალედური 1	შუალედური 2	შუალედური 3	პოსტტესტი
მოსწავლე1	36	43	50	54	60	71
მოსწავლე2	36	43	50	54	60	64
მოსწავლე3	36	43	50	54	67	71
მოსწავლე4	27	43	42	46	53	57
მოსწავლე5	27	36	42	46	53	57
მოსწავლე6	27	36	33	38	47	57
მოსწავლე7	18	27	33	38	40	50
სამიზნე ჯგუფი	30	39	43	47	54	61

შუალედური და პოსტტესტირების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს მოსწავლეების წინსვლას, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას სამიზნე ცოდნასთან და უნარებთან მიმართებით.

აღნიშნული მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ დამატებით მეცადინეობებში. მათ გაუჩნდათ ნდობის და კეთილგანწყობის განცდა. ის ფაქტი, რომ მოსწავლეები თავიანთი საჭიროების შესაბამის გამოწვევებს და მხარდაჭერას იღებენ, უზრუნველყოფს მათ ჩაბმულობას საგაკვეთილო პროცესში, აძლიერებს მოტივაციას და ამბობს აკადემიურ შედეგს. ჩატარებული საკორექციო მუშაობის შედეგების გათვალისწინებით შემიძლია ვთქვა, რომ პროგრამაში ჩართული მოსწავლეების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებამ ორ კონკრეტულ კომპეტენციაში, დადებითი გავლენა იქონია მთლიანი კლასის წარმატების მაჩვენებელზე. გაიზარდა მოსწავლეების სწავლისადმი პასუხისმგებლობის ხარისხი, თვითშეფასება, თავდაჯერებულობა. და რაც მთავარია, ჩამოუყალიბდათ მათემატიკის მიმართ პოზიტიური შეხედულება. საგნისადმი, სწავლისადმი ასეთი დამოკიდებულება, ნაყოფიერი და შემოქმედებითი მუშაობა კი მასწავლებელს ენთუზიაზმს მატებს, სწავლებისაგან სიამოვნების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

ლიტერატურა

დანყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024).

განმავითარებელი შეფასება მათემატიკაში. 2014. მასწავლებლის სახელმძღვანელო. („დანყებითი კლასების მათემატიკის 1-4 კლასების მასწავლებელთა ტრენინგი“, თბილისი: საქართველოს დანყებითი განათლების ტრენინგი)

მათემატიკის სარემედიაციო პროგრამის გზამკვლევი, http://kargiskola.ge/teachers/resource_books/math/geo/math_remediacia_gzamkvlevi.pdf

მათემატიკის სარემედიაციო აქტივობების კრებული http://kargiskola.ge/teachers/resource_books/math/geo/activoba_sruli.pdf

მათემატიკის დიფერენცირებული სწავლება. 2015. მასწავლებლის სახელმძღვანელო. („დანყებითი კლასების მათემატიკის 5-6 კლასების მასწავლებელთა ტრენინგი“, თბილისი, საქართველოს დანყებითი განათლების ტრენინგი).

ნოზაძე გ. 2013. სადიაგნოსტიკო შეფასების არსი და დანიშნულება („ინტერნეტგაზეთი maststavlebeli.ge“)

საქართველოს დანყებითი განათლების პროექტის (G-PRiED) სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების პორტალი – www.kargiskola.ge.

**ვაჟა-ფშაველასა და კ. გამსახურდიას პერსონაჟები
ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების
თეორიის შუქზე**

ანოტაცია: სტატია გვანოდეხს ლიტერატურული პერსონაჟების დახასიათების ნოვატორულ მეთოდს. ცნობილია, რომ ფსიქოლოგებისა და მწერლების ინტერესს ერთნაირად იწვევს მორალური განწყობები და მათი ფორმირების პროცესები, რაც იძლევა სრულ უფლებას, ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური თეორია გამოყენებულ იქნას ლიტერატურული პერსონაჟების ხასიათის გახსნისთვის. ნაშრომში ამერიკელი ფილოსოფოსის ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების თეორია გამოყენებულია ახალი მიზნით: ლიტერატურული პერსონაჟი შეფასებულია მორალური განვითარების კოლბერგისეული სქემის მიხედვით და ამით განსაზღვრულია, თუ რა საფეხურს შეესაბამება იგი მის მიერ შემუშავებულ სკალაზე – რაც სტატიის ძირითადი სიახლეა. დაკვირვებისთვის შერჩეულია ორი თვალსაჩინო ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველასა და კ. გამსახურდიას თხზულებებთან ყველასთვის ნაცნობი გმირები. სტატია ეყრდნობა და აგრძელებს ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებულ ორ სტატიას: „თავისუფლების ცნება და ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები“ და „ღმერთთან მებრძოლი იაკობი, როგორც კონსტანტინე არსაკიძის წინასახე კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“.

საკვანძო სიტყვები: შიშით მორჩილება, მორალური დილემები, ავტონომიური მორალი.

Katuna Gogia

VAZHA-PHAVELA'S AND K. GAMSAKHURDIA'S CHARACTERS ACCORDING TO LAWRENCE KOHLBERG'S MORAL DEVELOPMENT THEORY

Annotation: The article presents an innovative method of characterization of literary characters. It is known that the moral attitudes and the process of their formation equally raises the interest of psychologists and writers, which gives an absolute freedom to use psychological-philosophical theory for opening the character of literary characters. Moral development theory of American philosopher Lawrence Kohlberg is used for a new purpose in this

work, which is the main novelty of the article. Literary character is assessed according to Kohlberg's stages of moral development and is defined to which level it is relevant according to Kohlberg's developed scale. Famous characters of two well-known Georgian writers Vazha-Pshavela and K. Gamsakhurdia have been selected for observation. The article is based on two articles already published by the author, which follows: "Concept of Freedom and characters of Vazha-Pshavela" and "Jacob wrestling with God", As a prototype of Constantine Arsakidze In K. Gamsakhurdia's historical novel "The right hand of the Great master".

Keywords: *obedience to fear, moral dilemmas, autonomous morals.*

ლიტერატურის სწავლება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მოზარდებს მხატვრული ნაწარმოები ეხმარება ცხოვრებისა და გარე სინამდვილის უკეთ აღქმაში. როცა ისინი ლიტერატურულ ხასიათებსა და პერსონაჟთა ქცევებს აფასებენ, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, საკუთარ პიროვნებას უღრმავდებიან. ლიტერატურას სააშკარაოზე გამოაქვს მათი შინაგანი ღირსებებიც და ხარვეზებიც. მოსწავლეები მხატვრული ტექსტის მეშვეობით სწავდებიან საკუთარი ცნობიერების დაფარულ შრეებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღწევ შედეგებს შორის არის: "ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა" (ესგ). ქართულის მასწავლებელს არა აქვს იმაზე დიდი მისია და ამოცანა, ვიდრე მოსწავლის ლიტერატურული გემოვნების დახვეწა და მისგან კარგი მკითხველის ჩამოყალიბება. მხატვრულ ნაწარმოებში მოსწავლემ უნდა შეძლოს გარკვევა, თუ რა იდეა უკავშირდება ამა თუ იმ პერსონაჟს და რა ღირებულებებს გვანოდებს მწერალი მათი მეშვეობით. გმირის საქციელის შეფასება, მისი ფსიქიკის დეკოდირება უმთავრესი უნარია, რომელიც სკოლის პერიოდში ყალიბდება.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში პოპულარულია ამერიკელი ფსიქოლოგის ლოურენს კოლბერგის (1927-1987) ნაშრომი *The Philosophy of Moral Development, Harper @ Row, 1981*. კოლბერგი ემპირიული ცდების საფუძველზე მსჯელობს რეალურ შემთხვევებზე და ასკვნის, რომ ადამიანი შეიძლება იმყოფებოდეს მორალური განვითარების სამ ძირითად დონეზე, რომელსაც იგი უწოდებს *პრეკონვენციურ, კონვენციურსა და პოსტკონ-*

ვენციურს. თითოეული გულისხმობს კიდევ შიდა ორ საფეხურს, ამიტომ ლებულობს სულ ექვს სტადიას. ამ სკალის თითოეული საფეხური წინაზე რთული და მეტისმომცველია. მორალური განვითარება უმნიშვნელოვანესია, რადგან მორალი არა მხოლოდ არეგულირებს ადამიანურ ურთიერთობებს, არამედ იგი არსებობს ზოგადი სიკეთის დასაცავად. ის უპირობო და უნივერსალურია და ქმნის ემოციურ ველს პერსონათა შორის. თანაბარი მორალური პოზიციის მქონე ხალხს უჩნდება ერთმანეთის მიართ სიახლოვე, მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობა. ეს ხდის ამ სწრაფვას სასურველს.

სკოლაში ხდება პიროვნების მორალური განვითარება, რაშიც ლიტერატურა უდიდეს როლს ასრულებს. მართალია, კოლბერგის თეორია მხატვრულ ლიტერატურას არანაირად არ უკავშირდება, მაგრამ ფსიქოლოგებისა და მწერლების ინტერესს ერთნაირად ინვესს მორალური განწყობები და მათი ფორმირების პროცესები, ასევე – ლიტერატურული პერსონაჟების ხასიათის გახსნაში ხშირად გვეხმარება სხვადასხვა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური თეორიები. ვფიქრობთ, ამ მიზნით ამ ფილოსოფიის გამოყენება არათუ შესაძლებელია, არამედ საინტერესოც. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ კოლბერგის მიერ ჩამოყალიბებული სტადიები კულტურულადაც უნივერსალურია და მის მიერ განსაზღვრული დონეები უფრო აზროვნების დონეებია, ვიდრე ასაკობრივი. მეცნიერის დასკვნებით, მორალი არ არის დამოკიდებული არც ბიოლოგიურ მონაცემებზე, არც სოციალიზაციაზე. ის უპირველეს ყოვლისა, აზროვნების პროდუქტია, ანუ პიროვნების მორალური განვითარების სხვადასხვა საფეხურს განსაზღვრავს მისი აზროვნება. რატომ არ შეიძლება ლიტერატურული პერსონაჟი შევაფასოთ მორალური განვითარების მისეული სქემის მიხედვით და ამით განვსაზღვროთ, რა საფეხურს შეესაბამება იგი ამ სკალაზე?

დაკვირვებისთვის შევარჩიეთ ორი თვალსაჩინო ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველასა და კ. გამსახურდიას თხზულებებათა ყველასთვის ნაცნობი გმირები. ჩვენს ადრინდელ სტატიებში „თავისუფლების ცნება და ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები“ და „ღმერთთან მებრძოლი იაკობი, როგორც კონსტანტინე არსაკიძის წინასახე კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ძირითადად პერსონაჟთა მორალური

და ზნეობრივი პოზიციების ანალიზს მოიცავდა. წინამდებარე სტატია აგრძელებს ამ ორ ნაშრომში დაწყებულ ფიქრს.

პრეკონვენციური მორალი კოლბერგის სქემაზე უმდაბლესი საფეხურია და გულისხმობს 5-6 წლის ასაკისთვის დამახასიათებელ უსიტყვო მორჩილებას, რომლის ერთადერთი განმაპირობებელი ფაქტორია დასჯის შიში. ამ საფეხურზე მორალი განიხილება, როგორც გარკვეული ძალაუფლების მქონე ადამიანებისგან (ძალისგან) გამოგონილი და დამკვიდრებული ქცევის წესები, რომლებსაც უნდა დაემორჩილო, რათა თავიდან აიცილო დასჯა. ამ დონეზე ადამიანის ქმედებას განსაზღვრავს გარკვეული მაიძულებელი ფაქტორის – დასჯის შიში. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვისგან მოელის ის ამას: კონკრეტული პიროვნებისგან, სახელმწიფოსგან, საზოგადოებისგან თუ თვით ღმერთისგან. მორალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადამიანს ჰქონდეს სხვებისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობის, სხვისი აზრისა და ქცევის ანალიზის უნარი, რაც ამ სტადიაზე არ არსებობს. აქ არსებობს მხოლოდ შიში, მორჩილება, ან სამართლიანი აღებ-მიცემობა.

კ. გამსახურდიამ „დიდოსტატის მარჯვენაში“ დახატა სცენები, სადაც მოქმედი პირების ქმედებას განსაზღვრავს ერთადერთი რამ – შიში. გავიხსენოთ, როგორ დაიმორჩილა გიორგი მეფემ მეამბოხე ფეოდალები. ისინი შეაშინა ძელიცხოვლის ცრუსასწაულით. მეფემ რელიგია გამოიყენა ზემოქმედების იარაღად, რადგან ხალხის მორალური განვითარების დონე ამის საშუალებას აძლევდა. სულიერი უმნიშვნელობა მანიპულირებადს ხდის საზოგადოებას. ნაწარმოებში დაუვინყარი ეპიზოდი ასევე მეფის სასახლიდან ჯაჭვით დაბმული ჯვრის „გაპარვა“. აქ მწერალი ცხადად გვიჩვენებს, რომ შიშს ფანატიზმი შობს, რომელიც არა მხოლოდ თრგუნავს პიროვნებას, არამედ აგრესიულსაც ხდის. ამ აგრესიის გამოხატულება იყო შუასაუკუნეებში ინკვიზიცია. ასეთი საზოგადოებისთვის უცხო არ არის ცრუაპოკალიპტიკა, ცრურწმენები, ადამიანის დასჯა „სატანის თანაზიარობისა“ და მკრეხელობისთვის. ამ აზროვნების მსხვერპლი გახდა სახლთუხუცესი რატი და ამ ბრალდებით დაისაჯა კონსტანტინე არსაკიძეც. ასეთი საზოგადოება დაბეჩავებულია და უფრო ბრბოს სახე აქვს. კ. გამსახურდია არაერთგზის აღწერს მას:

ა) შეძრწუნებულნი ფხოველნი დალახვრული თვალეებით შესცქეროდნენ ჯვარისმტვირთველის ხელში აღმართულ ძელიცხოველს. თავს იმიშვლებდნენ, პირჯვარს ინერდნენ, კალთებს უკოცნიდნენ კათალიკოსს (გამსახურდია 1984:56).

ბ) მთელი კვირის მანძილზე კოლონკელიძის სასახლეში თავზარდაცემული დაბორიალობდა დიდი და მცირე, ჭიაბერის მაგალითით დაშინებულნი, დღე-დღეზე ელოდნენ კოლონკელიძის სიკვდილს (გამსახურდია 1984:57).

გ) მოულოდნელად შეუჟღალდა საფეთქლები კოლონკელიძეს, წვერი გაუჭალარავდა, უცნაურად მოტყდა და დაშინდა (გამსახურდია 1984:57).

დ) ბორდოხანი და მამამზე ფორთხვით დაუფარდებოდნენ ჯვარს, ავედრებდნენ ჭიაბერის სულს. დაძინებული სახლეული, მხეველები და მსახურები შიშით ველარ ბედავდნენ იმ დარბაზში შესვლას, სადაც ძელიცხოველი ესვენა (გამსახურდია 1984:58).

ე) შორს მდგარნი მიახლოებას გაურბოდნენ, ახლოს მყოფნი შიშით გვერდს უვლიდნენ მას. ცერებზე დგებოდნენ, კისერს იგრძელებდნენ, ბრბოში ისრისებოდნენ, შეძრწუნებულნი, გაცებულნი თვალეებით ეძებდნენ მრისხანე ჯვარს, ამ ლომგულოვანი რაინდის მომაკვდინებელს (გამსახურდია 1984:54).

ვ) ყველაზე მეტად წმ. გიორგის მცხეთის სასახლიდან «გაპარვამ» დაალონა მარიამი, უდიდესი უბედურების მაცნედ მიიჩნია ეს ამბავი (გამსახურდია 1984:137).

აქ ჩანს შეძრწუნებული, დათრგუნული, შიშით შეპყრობილი ადამიანების სახეები, რომლებიც მორალური განვითარების ზუსტად იმ საფეხურს შეესაბამებიან, რომელსაც კოლბერგი პრეკონვენციურს უწოდებს. სვეტიცხოვლის ამგები კონსტანტინე არსაკიძე ამ მასისგან გამოცალკევებულია და სრულიად არ ჰგავს, მათზე ათასჯერ ამაღლებულია. მის მსგავს ადამიანებში (რომელთა რიცხვი ძალიან მცირეა) განვითარებისა და სიცოცხლის ენერგიაა დავანებული და შიში, ძრწოლა, შური სრულიად უცხოა. მას არც მეფის ემინია, არც კათალიკოსის, არც ჟამიანობის მმუსვრელი ხელის, არც „სასახლიდან გაპარული ხატების, „არც ურჩებისა და ორგულების „დამსჯელი“ ჯვრებისა სწამს. შიში უცხო იყო არსაკიძისთვის, საგანგებოდ ამბობს მწერალი და ამით უსვამს ხაზს, რომ ამ პერსონაჟის ქცევებს სულ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს. „განა მეფისა და

კათალიკოსის წყალობის მოლოდინში შევალთ სვეტიცხოველს ჯანი? (გამსახურდია 1984:286). ის არც სასყიდელს ელოდება და არც სახელ-დიდებას, მეტიც, ქვეცნობიერად კიდევ გრძნობს, რომ მკლავის მოკვეთით „დაუფასდება“ არაამქვეყნიური, საუკუნეებს გადაწვდენილი ღვანლი.

ცხადია, კოლბერგის თეორიის ე. წ. პრეკონვენციური მორალზე, რომელიც განვითარების ადრეული ასაკისათვის არის დამახასიათებელი და ის გარდაუვალი აუცილებლობაა გარკვეულ პერიოდში, მაგრამ აუცილებელია პიროვნებამ და საზოგადოებამ განაგრძოს განვითარება და არ დარჩეს ამ არასასურველ „მარადიულ სიმცირეში“.

კონვენციური მორალი. კოლბერგის სქემის მეორე საფეხურია ე. წ. კონვენციური მორალი, რომელიც 10-დან 16 წლამდე ასაკში ყალიბდება. ამ სტადიაზე მორალი განიხილება, როგორც უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი შეთანხმებაა. ადამიანი ვალდებულია თვის თავს ოჯახისა და საზოგადოების მოლოდინების შესაბამისად იცხოვროს და კანონმორჩილი იყოს. კარგი საქციელი აღნიშნავს სიყვარულის, ემპათიის, ნდობის, სხვებზე ზრუნვის უნარს და ამით სოციალური წესრიგის შენარჩუნებას. ამ სტადიაზე მყოფ ადამიანებს სულ უფრო და უფრო მეტად აღელვებთ საზოგადოება, ემორჩილებიან კანონებს და ასრულებენ მოვალეობებს, რათა სოციალური წესრიგი შენარჩუნდეს. პიროვნება აზროვნებს, როგორც სოციუმის სრულფასოვანი წევრი და მორალურ გადაწყვეტილებასაც მხოლოდ სოციუმის ინტერესიდან გამომდინარე ღებულობს. ის პატივისცემას იჩენს და იცავს საზოგადოებისაგან აღიარებულ ობიექტურ სიკეთეს, რომელიც მოთხოვნილია თვით ამ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მისი მომავალი სტაბილურობისა და ბედნიერებისათვის. მორალური ქმედებისათვის ადამიანებს სხვადასხვა რამე უბიძგებს: ეს არის თანამშრომლობა, წარმატების მიღწევა სხვადასხვა ასპარეზზე, სოციალური აღიარებისკენ სრაფვა, ალტრუიზმი... პიროვნება იმდენად ეთანხმება საზოგადოებაში მიღებულ კონვენციებს, ნორმებს, რომ მათ განიხილავს საკუთარ ინდივიდუალურ ნებად და მას ემორჩილება მაშინაც კი, როცა დამორჩილებას ან დაუმორჩილებლობას არანაირი შედეგი არ მოჰყვება. იშვიათად შეაქვს ეჭვი კანონების სისწორეში.

ვაჟა-ფშაველას პოემებში მორალური განვითარების კონვენ-

ციურ სტადიაზე იმყოფება თემი. მწერალი აღწერს მის საოცარ ერთიანობასა და სიმტკიცე-შეუვალობას, როცა საქმე ეხება თავისი წევრების ზნეობას: „მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ, რა ხარ სიცრუის მთქმელადა. იგი ზნეობრიობის დარაჯად მიიჩნევს თავს და არ დაუშვებს, რომ პიროვნება, ვინც არ უნდა იყოს და რა დამსახურებაც არ უნდა მიუძღოდეს ხალხის წინაშე, მოიქცეს ისე, როგორც მის გუნება-განწყობას მოესურვება. თვითნებობას სისასტიკით აღკვეთს და ასე იცავს თავის თავს.

თემი თავისებურად გულწრფელია იმაში, რომ ემინია ზნეობის დეფიციტის. იგი დარწმუნებულია, რომ ეს დაარღვევს საუკუნოვან, ძნელად მიღწეულ ერთიანობას, დაემუქრება მის სიმტკიცეს. ის გრძნობს პასუხისმგებლობას, ამიტომაც თავგამოდებით აკონტროლებს თავის ყველა წევრს და როცა საქმე მორალსა და ზნეობას ეხება, არის მკაცრი და უკომპრომისო, არ ახასიათებს ლიბერალობა და შემწყნარებლობა. თემის წევრები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ წესებისა და კანონების გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს. მათი სიმკაცრე იმით აიხსნება, რომ მათ ცნობიერებაში ადათისა და წესის დარღვევა უმომავლობასთან, დაშლასთან და კატასტროფასთან ასოცირდება.

ასეთი საზოგადოების ნაკლია ზედმეტი კონსერვატიულობა. ის უნდა მიხვდეს, რომ განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა შეიცვალოს ზოგი წესი მოთხოვნათა შესაბამისად. ვაჟა-ფშაველას პოემებში თემის წარმომადგენლები უმეტესად გულის თვალთ ბრმანი და ყრუნი არიან. ისინი შეჭგუებიან ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ კანონებს, არ ეეჭვებათ მათი მართებულობა.

პოსტკონვენციური მორალი გულისხმობს ორიენტაციას უნივერსალურ პრინციპებზე. პიროვნებისთვის, რომელმაც მიაღწია განვითარების ამ ეტაპს, სოციალური ნორმები და ღირებულებები აღიქმება, როგორც ბუნებრივი და ნორმალური რამ, რადგანაც ის სოციალიზაციის ერთადერთი საფუძველია. მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე ხდება ყველა ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. პიროვნებას აქვს უნარი განიხილოს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები და დააფასოს ინდივიდუალიზმი უნივერსალურობის პრინციპით. არ აღიარებს კანონს, რომელიც თუნდაც ერთს აზიანებს სხვების

სასარგებლოდ. „კოლბერგის სამართლიანობის უნივერსალური პრინციპი ეფუძნება კანტის, მაჰათმა განდის და მარტინ ლუთერ კინგის ფილოსოფიას, ამიტომ ის უფრო მეტად თეორიულად არსებობს და ნაკლებად ემპირიულია“. როგორც თავად კოლბერგი ამბობდა, მისი ინტერვიუს მეთოდი არ იყო საკმარისი ამ ბოლო სტადიის მეცნიერული კვლევისთვის. ეს სტადია ინდივიდუალურ მორალურობაზე ხაზგასმით ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი კონტრაქტის უზენაესობას. თავად მარტინ ლუთერ კინგსაც სწამდა, რომ სამართლიანობის უნივერსალური პრინციპი ხშირად ითხოვს სამოქალაქო დაუმორჩილებლობას“ (ჰერბა.გე. ფსიქოლოგია, ლოურენს კოლბერგი).

ამ უმაღლეს საფეხურზე სწორი ქმედება განისაზღვრება სინდისის თვითამორჩეული ეთიკური პრინციპებით, რომლებიც ვრცელდება მთელ კაცობრიობაზე, განურჩევლად კანონისა და სოციალური შეთანხმებისა. ეს ფასეულობები აბსტრაქტულია და არა ათ მცნებასავით კონკრეტული. ამ საფეხურზე მყოფები, წესისამებრ, საუბრობენ ისეთ პრინციპებზე, როგორებიცაა თანაბარი ზრუნვა ყველა ადამიანის მოთხოვნილებაზე, თითოეული პიროვნებისთვის პატივის მიგება და ღირსების პატივისცემა.

ამგვარი აზროვნება 25-30 წლის ასაკისთვის ვითარდება და სრულყოფილების ამ ასაკს სულიერებისა საზოგადოების უმცირესი ნაწილი თუ აღწევს. კოლბერგის მიხედვით, ადამიანთა ძალიან მცირე ნაწილი აღწევს მეექვსე სტადიამდე.

ვაჟა-ფშაველას პოემების გმირები ადამიანურ კანონებს არ აღიქვამენ როგორც საღვთო მცნებებს, რომელთაც უსიტყვოდ უნდა დაემორჩილო. მათ აქვთ შინაგანი მორალი და შეხედულებები სწორი თუ არასწორი საქციელის შესახებ. ეს პრინციპები ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: სიცოცხლე, თავისუფლება და სამართლიანობა. ეს უმაღლესი მორალური სტადიაა, როცა ადამიანებს აქვთ უნივერსალური ეთიკური პრინციპები, რომელიც დაფუძნებულია შინაგან უნივერსალურ სტანდარტებზე. ისინი არ დაემორჩილებიან წესებს, თუ ეს წესები მათ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

მიგვაჩნია, რომ ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა, ზვიადაური, ალაზა სწორედ პოსტკონვენციური მორალის ადამიანები არიან. საყოველთაო წესების დარღვევა თვითმიზანი როდია მათთვის. მათ სრულიად არა აქვთ წინასწარგანზრახვა

დაუპირისპირდნენ თემის რომელიმე ადათს და უარყონ იგი. მეტიც: მათ არა აქვთ ადათთა დარღვევის ცნობიერება, მას შემდეგაც კი, რაც ისინი თემის მიერ გაკიცხული აღმოჩნდებიან. ამას მოწმობს ის, რომ შერისხული პიროვნებანი თემის ძაგებას კრძალავენ და გაბოროტებას არ გრძნობენ. ალუდა არ იცავს თავს თანასოფლელთა შეურაცხყოფისაგან, რადგან იცის და გრძნობს, რომ რაღაც საყოველთაოდ მიღებულს, დადგენილსა და ხელშეუხებელს არღვევს, ვარდება საერთო დინებიდან და ამის გამო სინანული აქვს, მაგრამ შინაგანი ბუნება არ აძლევს უფლებას მოიქცეს სხვანაირად, არ ძალუძს დამორჩილება.

უდავოა, რომ მორალური განვითარება ხდება მაშინ, როცა პიროვნება ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს ეცნობა. უდიდესი შინაგანი კულტურა სჭირდება იმას, რომ აღიქვას და გაიგოს სხვა ადამიანების განსხვავებული პერსპექტივები. კვლევები მოწმობს, რომ მხოლოდ ურბანიზებული და განათლებული საზოგადოების წევრები აღწევენ მორალური განვითარების უმაღლეს საფეხურებს. ადამიანები განუხრელად აგრძელებენ მორალურ განვითარებას, თუმცა ყველა მათგანი ვერ აღწევს ამ სტადიას და მხოლოდ ზოგიერთებს ხელენიფებათ უფრო წინ სვლა.

ყველა კულტურაში არც გვხვდება გვიანდელი სტადიები. ქართულ კულტურაში კი ვაჟა-ფშაველა გვაძლევს უმაღლესი მორალით აღჭურვილი პიროვნებების პორტრეტებს. ვაჟამაც იცის, რომ მსგავსი ფასეულობებით ცხოვრება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია: „ციური გულის დუღილის“ საკუთარ თავში აღმოჩენას კონკრეტული პიროვნებისაგან განსაკუთრებული სულიერება სჭირდება, რაც აძლევს ადამიანს მსხვერპლად შეენიროს ჭეშმარიტ ღირებულებებს: „აზრის და სიმართლისათვის მხოლოდ ვაჟკაცი კვდებისა“.

ამრიგად, კოლბერგის მორალური განვითარების თეორია არის უნივერსალური კულტურული თვალსაზრისით და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ლიტერატურული ანალიზის დროსაც. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველა და კ. გამსახურდია მხატვრულად ასხამენ ხორცს იმავე თვალსაზრისს, სანამდეც ფილოსოფოსი მიიყვანა ემპირიულმა ცდებმა და კვლევებმა. ფილოსოფოსები და მწერლები ხშირად ერთსა და იმავე იდეებს გვანოდებენ სხვადასხვა გზით, რაზე დაკვირვებაც ყოველთვის საინტერესო შედეგებს მოგვცემს.

ლიტერატურა

გამსახურდია, კონსტანტინე. 1976. დიდოსტატის მარჯვენა. საბჭოთა საქართველო. თბილისი.

გოგია, ხათუნა. პიროვნული თავისუფლების იდეა და ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, N 6. 2013.

გოგია, ხათუნა. „ღმერთთან მეზრძოლი იაკობი, როგორც კონსტანტინე არსაკიძის წინასახე კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომები, N 7-8, 2017.

ვაჟა-ფშაველა 1986: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ, 1986.

LLawrence Kohlberg, The Philosophy of Moral Development, Harper @ Row, 1981.

ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული ენა და ლიტერატურა, საბაზო საფეხურის სტანდარტი, <http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf> (30.07.2019)

ფსიქოლოგია, ლოურენს კოლბერგი. <http://herba.ge/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98> (30.07.2019).

წიგნის ფუნქცია სწავლა – სწავლების მოტივაცია უნდა იყოს

(ნესტან კუპრავას, დოდო ნაზირაშვილის, მზია ფოფხაძისა და მაია ხაზურის „მშობლიური ენის“ შესახებ)

ანოტაცია: სტატიაში განხილულია აღნიშნული წიგნის ავტორების ჩანაფიქრი მეთოდურ – ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ვსაუბრობთ პირველკლასელთა „დედაენის“ ნაცვლად შექმნილი „მშობლიური ენის“ ერთი მონაკვეთის შესახებ. ეს არის წინასაანბანო პერიოდი – პლასტილინის ფიგურების ფოტოებით განწყობილი. ვთვლით, რომ ეს მიდგომა არ აკმაყოფილებს არც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, არც წიგნის ფუნქციას – იყოს საიმედო იარაღი სწავლა – სწავლების პროცესში. ვმსჯელობთ იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდზე, მის უნივერსალობაზე; ვიმონუმებთ შედარებით ანალიზს და ვასკვნით: ამ ავტორებს „მშობლიური ენა“ (ჩვენ მიერ გამოკვლეული პირველი ნაწილი) არ ამართლებს თავის ფუნქციას.

საკვანძო სიტყვები: ნახატი, ფიგურები, მეთოდი, პირველკლასელი, მეთოდი.

Nestan Pipia, Asmat Shonia

THE FUNCTION OF BOOK IS THE MOTIVATION OF THE LEARNING-TEACHING PROCESS

(About “Native Language” by Nestan Kuprava, Dodo Nazirashvili,
Mzia Fofkhadze and Maia Khazuri)

Annotation: *The authors' thoughts of the above mentioned book are discussed in this article through methodical and psychological point of view. We are talking about one section of the first graders' "Native Language", which is published instead of the "Mother Language(Dedaena). This is a prealphabetical period _ illustrated with the pictures of plasticine figures. We think that this approach satisfies neither the requirements of national curriculum nor the function of the book _ being the reliable tool in the process of learning and teaching. We are discussing the method of Iakob Gogebashvili and its versatility. Confirming the relative analysis, we conclude: the "Native Language" written by these authors does not meet its function (First part researched by us).*

Key words: *painting, figures, method, first grader.*

ყოველივე ახალი ცხოვრების გზაზე იდუმალ მოლოდინს უკავშირდება, მით უმეტეს პირველკლასელობა... მოსწავლის შეხვედრა ნიგნთან, ანბანთან მეცნიერულად გათვლილი გზით უნდა წარიმართოს – რას უნდა მიაღწიოს მშობლიური ენის მასწავლებელმა, რა შედეგზეა ორიენტირებული სწავლების პროცესი, დამტკიცებულია ეროვნული სასწავლო გეგმით. საფუძველი დღემდე არის იაკობ გოგებაშვილის დედაენა. მისი შექმნის პრინციპი იაკობ გოგებაშვილისთვის იყო მარტივიდან რთულისკენ. გათვლილი იყო, რომ ნიგნი სახალისო უნდა იყოს ყმანვილთათვის. 1865 წელს შედგენილ ნიგნს ერქვა „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი ნიგნი მოსწავლეებისათვის“. 10 წლის შემდეგ ნიგნს დედაენა უწოდა ავტორმა. ეს არის მეთოდურად ყოველმხრივ დახვეწილი სახელმძღვანელო. ის სიცოცხლისუნარიანია და ფეხდაფეხ მოჰყვება დროის დინებას; 1912 წლამდე ავტორის სიცოცხლეში 33 ჯერ გამოიცა. იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი გამოცემა სპეციალურ კომისიას მიანდეს. დიახ, ნიგნი იხვეწება, ეპოქის მოთხოვნებს მოირგებს, მაგრამ იმდენად უნივერსალურია მეთოდური პრინციპები, რითაც იგი აიგო, ეს პრინციპები უცვლელი რჩება. ნიშანდობლივია, რომ დედაენის მეთოდური აღნაგობის უნივერსალურობა აღიარებულია საერთაშორისო დონეზე. „1960 წელს ვენესუელის ქალაქ კარაკასში გამართულ მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა – კონკურსზე იაკობის დედაენის მიხედვით შექმნილმა სახელმძღვანელომ, პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა“ (dalma.news).

ზოგადად, რაც ყველა დროის პედაგოგიური აზროვნებით მიღებულია: ნიგნი ეხმარება ბავშვს გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობის სწავლაში. სწავლა – სწავლების როგორი მეთოდითაც არ უნდა იყოს მასწავლებელი აღჭურვილი, მას და მოსწავლეს სჭირდებათ მეთოდურად გამართული ნიგნი, რაც მათი სამუშაო ველი ხდება.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ნიგნი? ხაზი გავუსვათ რამდენიმე აუცილებელ შტრიხს: ა) ხელს უნდა უწყობდეს ასაკობრივად გათვალისწინებული ყველა დონისა და უნარ-ჩვევების განვითარებას ბ) აძლევდეს მრავალფეროვან მდიდარ ფაქტობრივ ცოდნას გ) უნდა უკავშირდებოდეს მოსწავ-

ვლის ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ეროვნული სასწავლო გეგმა (მუხლი 58) მიუთითებს, რომ „ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვის წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. საამისო შემეცნებითი ბაზის განვითარება პირველკლასელთა წიგნში ნახატების გაცნობითა და მათზე მსჯელობით იწყება.

სწორედ ამ თვალსაზრისით ვადარებთ დედაენის ორ გამოცემას:

1. მშობლიური ენა (I ნაწილი). ავტორები: ნესტან კუპრავა, დოდო ნაზირაშვილი, მზია ფოფხაძე, მაია ხაზიური (2018).

2. დედა ენა. ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით) (2011. 2014).

მათ შორის „მშობლიური ენა“ ვერ დააკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს. ამ წერილით შევეხებით ზოგიერთ არგუმენტს. დავინყოთ იმით, რომ წიგნი პლასტილინის ფიგურების ფოტოებით არის გაფორმებული, დაწყებული ყდიდან, თითოეულ გვერდის ჩათვლით.

ნიშანდობლივია, რომ ხატვა, დახატული ფიგურები, ხატვისადმი დამოკიდებულება ბავშვთა ფსიქოლოგიური კვლევის მნიშვნელოვან მეთოდად ითვლება, ეს მსოფლიო პრაქტიკაა. ტესტებად ნახატების გამოყენება ერთ-ერთმა პირველმა XX საუკუნის ამერიკელმა ფსიქოლოგმა ფლორენს გუდივანმა სცადა. ნახატი ტესტები დღესაც ყველაზე ინფორმაციულ და ზუსტ ტესტებად მიიჩნევა. თუ ბავშვის ნახატი გვაძლევს მისი ფსიქოლოგიის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას, ცხადია, ნახატებთან ურთიერთობაც ფსიქოლოგიურ-გონებრივი პროცესია. შესაბამისად, ის სწავლების დაწყების პროცესში სათანადოდ უნდა იყოს შერჩეული. მით უფრო, ეროვნული სასწავლო გეგმით მითითებულია ნახატთან მოსწავლის დამოკიდებულების საფეხურები: აღწერა, სახვითი ხელოვნების ელემენტები: ხაზი, ფერი, ფაქტურა, სივრცე; პრინციპი: ჰარმონია, კონტრასტი. (ამის შესწავლისთვის არის დისციპლინა – ხელოვნება).

ნახატთან ურთიერთობა ბავშვს ეხმარება გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობის სწავლაში, იძლევა განტვირთვის საშუალებას, არის მოტივაცია – თვითონაც დახატოს, შექმნას. რომელ მათგანს შეუწყობს ხელს წიგნი, რომელსაც განვიხი-

ლავთ? „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ ეს რიტორიკული კითხვა სწორედ გაცნობიერებული, ანონილ-დანონილი, „დროთა შესაფერისი ცოდნითა და მარჯვენით“ ქვეყნის გადარჩენის აუცილებლობის დასაბუთებულ მსჯელობას მიაღწენა. ილიამვე ბრძანა: „ბავშვი დიდი მდინარის სათავეაო“. ეს სათავე მოსაფრთხილებელია, დასაცავია და მისი ფსიქოლოგიურ-ცნობიერი სიჯანსაღისთვის საზრუნავია მუცლადყოფნიდანვე; მით უფრო, როცა ამქვეყნად მოსული შეუდგება განვითარების გზას.

ბალის შემდეგ ბავშვისთვის იწყება შემეცნების ახალი სამყარო; სკოლაში შებიჯების პირველი ნუთებიდანვე უამრავ ფაქტორს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ უდავოა, რომ უარსებითესი არის წიგნი. მისი ესთეტიკურ-პროგრამული დატვირთვა, ბავშვის ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურების გათვალისწინება. ამჯერად ყურადღება გავამახვილოთ „დედაენაზე“. საზოგადოებას ახსოვს პროტესტი პირველკლასელთა წიგნის მიმართ, ავტორთა ჯგუფმა თვით სახელიც რომ შეუცვალა და დაარქვა „მშობლიური ენა“ (ნესტან კუპრავა, დოდო ნაზირიშვილი, მაია ფოფხაძე, მაია ხაზიური. გამომცემლობა „დიოგენე“. გრიფმინიჭებულია 2018წელს). არ ვიცი, რით ამჯობინეს მათ მიერ შერქმეული სახელი, მაგრამ ცხადია „დედაენას“ წუნი არ დაედება: ჟღერადობით, შინაარსობრივ-ფსიქოლოგიური დატვირთვით. (ამ საკითხს შეიძლება ცალკე გამოკვლევა მიეძღვნას, იმდენად ღრმად).

გადანყვეტილება – წიგნის გაფორმებისა პლასტიკისაგან გამოძერწილი ფოტოებით, ნამდვილად არ ამართლებს პირველკლასში მოსული ბავშვის მოტივაციის პროვოცირების მიზანს. ეს ფოტოები ვერ აკმაყოფილებენ ვერანაირ ესთეტიკურ მხარეს, ბავშვებს დახვეწილობისა და განწყობის შემქმნელი სახეებისა თუ ცხოველ-ფრინველთა საინტერესო გამოსახულებების ნაცვლად რეალობას ცუდად მიმსგავსებული ფოტოები ეგებებათ. მაგალითისთვის: დასახელებული წიგნის გვ. 7-ზე არის ოჯახის ფოტო. (იხ. დანართი) დამეთანხმებით, უშინაარსო, უინტერესო სურათია. რა ემოცია იგულისხმოს ბავშვმა ამ სახეების დანახვისას, ან პირის ნაცვლად ღრმული როგორ ახსნას?!

შედარებისთვის გვერდიგვერდ ვათავსებთ აღნიშნული მშობლიური ენის და იაკობ გოგებაშვილის დედაენის მიხედვით გამოცემულ სახელმძღვანელოებში დაბეჭდილ ირმის, თხის, ძუის

ფოტოებს. (იხ. დანართი) განსხვავება ნათელია: ა) პირველ შემთხვევაში მხოლოდ მიმსგავსებულობაზე ვსაუბრობთ ბ) მეორე შემთხვევაში გამოსახულების სიცხადესთან ერთად იკვეთება ცხოველთა თვისებებიც კი.

პლასტიკის ფიგურებიან წიგნში ირემი და ნუკრი ბავშვებს მიეწოდებათ გამოძიებული ცხოველების ფოტოებით. ზოგადად, ირემი და შვლის ნუკრი სილამაზის სიმბოლოა. ბევრი სიტყვა გვაქვს ამის გამომხატველი: განსაკუთრებული მოყვანილობის ლამაზი თვალები – ნუკრისთვალება; აღნაგ, ტანად ადამიანზე იტყვიან ირემივით ასხლეტილიო, ირემივით ყელმოღერებულიო. „მოიბან შენი ირმის ფეხებიო“, – ასე მიმართა ტიცინი ტაბიძემ თავის მუზას, თამუნია წერეთელს. საცოდაობა არ არის ირმისა და ნუკრის მშვენიერების ნაცვლად ბავშვები ამ სიმახინჯეს ვაყურებინოთ, დავაბრალებინოთ მისთვის ირმობა და შვლობა.

ეს პირველკლასელები რამდენიმე წელიწადში ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობს“ გაეცნობიან. ასეთი შთაბეჭდილებით შევაგებოთ იმ მშვენიერებას? მეცნიერებაში გამოკვლეულია ჰემისფეროებს შორის ფუნქციონირება დადანიშნულების, ანუ ლატერალიზაციის პროცესი. კრაიგის მოსაზრებით: მხედველობით-სივრცითი ნახატები, შემოქმედებითი აზროვნება, წარმოსახვა (ფანტაზია), მუსიკის აღქმა, მხატვრობის აღქმა მარჯვენა ჰემისფეროს ფუნქციონირებს. ის შედარებით გვიან იწყებს აქტიურ განვითარებას (8-10 წლის ასაკში), მაგრამ წინ უძღვის ფონოლოგიური ცნობიერებისა და სიმბოლიზაციის უნარის განვითარება. აქ ბავშვი თავის სამყაროშია და მთავარია, უნდოდეს ხატვა, განავითაროს გრაფო-მოტორული უნარები; მაგრამ როცა ჩვენ ვთავაზობთ გამოსახულებებს სწავლა-სწავლების პროცესში, ის ესთეტიკურადაც და ინფორმაციულადაც გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. „მშობლიური ენის“ ფურცელზე გამოსახული თხა ნამდვილად არ შეესაბამება თხას. პარადოქსულია ძუას გამოსახულება. ვერ გაარკვევ სპორტულ ძელზე გამობმული თასმებია თუ ძუა. შედარება, რომელსაც ახლავს დანართი შედარებითი ფიგურებისა, ცხადად გვიჩვენებს განსხვავებას მოხმობილი მაგალითებით. „დედაენის“ სახელმძღვანელოში ძუა რომ ცხენის კუდს ჰქვია ძალიან ნათელია; უფრო მეტიც, გამოკვეთილია ამ ცხოველის ტანის სილამაზე, მოქნილობა, ძუაც მის ღინამიკაში აღიქმება.

სიმღერის, ნახატის ესთეტიკური აღქმა იწყება გაცილებით ადრე, ვიდრე სხვა შესაბამისი უნარების განვითარება. გარკვეული დროის წინ სოციალური ქსელები მოიცვა ვიდეომასალამ, როგორ რეაგირებს მუცლადმყოფი ბავშვი კლასიკურ მუსიკაზე; გამოხატავს აღტაცებას (არც ის არის ახალი ამბავი, რომ ორსულ დედებს ექიმები ურჩევენ ხშირად „ასმენინონ“ კლასიკური მუსიკა) შესაბამისად, ბავშვის ფაქიზ სამყაროს ხელი უნდა შევუწყნოთ ბუნების სილამაზის, ცხოველებისა და ფრინველების ესთეტიკურად აღქმაში, რეალური ნიშან-თვისებების გაცნობიერება-განმტკიცებაში. სკოლის სახელმძღვანელო მასწავლებელს ამაში ხელს უნდა უწყობდეს. ასრულებს ამ ფუნქციას „მშობლიური ენა“? – „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სათანადო პრაქტიკისა და კომპეტენციის მქონე პედაგოგები ერთხმად უთითებენ, რომ სწავლების პროცესი დაწყებითი კლასების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა დავიწყოთ. „ამ ასაკის ბავშვისათვის დამახასიათებელია თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნება. იმისთვის, რომ უკეთ გაიგოს შესწავლილი მასალა, მას სჭირდება ამ მასალის გათვალისწინება: ნახატები, სურათები, ფილმები, ფოტოები, მაკეტები და ა. შ. – ინსაროძე, ნაჭყებია – 13:2006) სწორედ ამ თვალსაზრისით გავამახვილეთ ყურადღება ფოტოებზე, შევადარეთ ისინი პირველკლასელთა განხილულ სახელმძღვანელოებში.

მოტივაციის მნიშვნელოვან მეთოდებად პირველ კლასში მიჩნეულია ვიზუალირება, ასოციაციური კავშირები. არც აქ გავგიჟირდება დასკვნა: ვერ იქნება ეფექტური, ამ თვალსაზრისით, ძნელად ამოსაცნობი პლასტელინის ფიგურები. (ვერ გამოვრიცხავთ, რომ საპირისპირო შედეგი მივიღოთ).

შედარებისა და კვლევის პროცესში დავინტერესდით მოსწავლეთა აზრითაც; დემეტრე როსტობაიამ პირველი კლასის პროგრამა „დედაენის“ ნაცვლად „მშობლიური ენის“ წიგნით ისწავლა. მას ორი დასახლებული სახელმძღვანელო მივეცი, დავუსვით კითხვა: ახლა ვინც პირველ კლასში წავა, რომელი წიგნი ვაჩუქოთ, რომ სწავლა მოენონოს? მან დინჯად ათვალიერა წიგნები და აარჩია ის დედაენა, რომლითაც მას არ უსწავლია. ასევე შვიდი წლის ქრისტინე იზორიამ „მშობლიურ ენას“ „დედაენა“ აარჩია, ხაზი გაუსვა ნახატების შთამბეჭდავობას, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება წიგნში პირველკლა-

სელთა რვეულის შესაბამის ბადესა და იქ ამონყებულ ასოებზე, რაც „მშობლიურ ენის“ სახელმძღვანელოში მხოლოდ ორიოდ მტრიხით არის შეტანილი.

საკითხის გასაანალიზებლად გამოვიკითხეთ 13-14 წლის ასაკობრივი ჯგუფიც; აქაც თავიანთი არგუმენტებით ამჯობინეს „დედაენა“. ე. წ. 3D ფიგურის ირმისა და შვლის ფიგურის დანახვაზე ერთ-ერთმა თქვა: პირველ კლასში ასეთი ფიგურებით რომ ესწავლებინათ, „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ ვერ ვიტყვებდიო“. 7 წლის დემეტრეს და ქრისტინეს გამოცდილებაც, ვფიქრობთ, ყურადსაღებია და უფრო მასშტაბური გამოკითხვა რომ ჩატარდეს, ამასვე დაადასტურებს.

რატომ ამართლებს იაკობ გოგებაშვილისეული „დედაენის“ სხვადასხვა რედაქცია? თამამად გავიმეორებთ იმას, რაც არა ერთხელ აღნიშნულა: „იგი კარგად იცნობდა მსოფლიოს პედაგოგიკის კლასიკოსთა მოძღვრებებსა და პედაგოგიკურ მიმართულებებს... ცდილობდა შემოქმედებითად განეფიქრებინა და დაენერგა ჩვენს სინამდვილეში“ (გოგებაშვილი. ტ I-48.1989). იმ ორიგინალურ დიდაქტიკურ მიგნებებთან ერთად, რითაც არსებითად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ პედაგოგიკაში, სწორედ ეს დამოკიდებულება – შემოქმედებითობა ხდის იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკას, სწავლების სისტემას მთლიანსა და ჰარმონიულს. ეს მყარი დულაბია საფუძვლად, ვალიარებთ ამას თუ – არა. ამავ დროს თავისთავად იგულისხმება განვითარება, პროგრესი. ე. ი. შერწყმა გამოცდილებისა და დროის მოთხოვნისა. დღეს უსუსურ არგუმენტად ხშირად გავიგონებთ: იაკობ გოგებაშვილმა დედაენა XIX საუკუნეში შექმნა, ახლა XXI საუკუნეაო. ვფიქრობთ, უფრო ღრმად და მონდომებით უნდა გავეცნოთ იმას, რასაც უარყოფთ, ან ვენინალმდეგებით, რომ უკეთესი შევქმნათ. დასახელებული არგუმენტის საპასუხოდ ისევ იაკობ გოგებაშვილის წერილი „სახელმძღვანელოს შესახებ“ მეტყველებს, სადაც ხაზგასმულია, რომ პედაგოგიკაზე სწორი წარმოდგენა აქვს მას, „ვისაც დაახლოებით აქვს გაცნობილი ხალხის განათლების თავგადასავალი“ (გოგებაშვილი 262: 1989). მეთოდურ-პედაგოგიკური აზროვნება უნდა იკვლევდეს, სწავლობდეს სხვათა გამოცდილებას, საკუთარი ერის ცნობიერ-ფსიქოლოგიურ ვითარებას და ამით კვალავდეს გზას მომავლისკენ. წერილში გამოკვეთილია მოსაზრება, რომ სახელმძღვანელო უნდა ითვალისწინებდეს ზოგად გამოცდი-

ლებასაც, მაგრამ არსებითი მნიშვნელობის უნდა იყოს მიზანმიმართული, მეთოდურად დახვეწილი სწავლება დედაენისა, „სამშობლო წერა-კითხვისა.“

ამ პრინციპით აგებული „დედაენის“ რეცენზიაში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლალი ურდულაშვილი წერს: „ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილ მეთოდიკურ ორიენტირებს; ასევე ხელს უწყობს მრავალმხრივი შეხედულებებისა და ყველა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას, დაწერილია თანამედროვე ტერმინოლოგიის გათვალისწინებით და სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით... სასწავლო მასალა უკავშირდება მოსწავლის ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას“ (დედაენა – იაკობ გოგებაშვილის მიხედვით. შემდგენლები: ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი). ამ პრინციპით, მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის გათვალისწინებით, იქმნება სახელმძღვანელო – ორიენტირებული სწავლების ნაყოფიერებაზე.

„მშობლიური ენის“ ავტორთა ჩანაფიქრი ფიგურებთან დაკავშირებით ასეა ახსნილი: „გაფორმების ეს ორიგინალური ხერხი დადებით ემოციების ეფექტს ახდენს ბავშვებზე და მათში „მსგავსების შექმნის“ სურვილს აღვიძებს, (dedaena-maswavleblebis tsigni.indd) ამ ფიგურებსა და მათ შესაძლო გავლენაზე ბავშვის ფსიქოლოგიაზე უკვე ვიმსჯელებთ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ დავსვამთ კითხვას: მეტი დახვეწილობა ამ სურვილს ჩაახშობდა? (და საკითხავიც არის რამდენად აღმოაჩინეს | კლასის მასწავლებლებმა ამ წიგნით „მსგავსის შექმნის“ სურვილით შთაგონებული მოსწავლეები).

წიგნში დამარცვლის ნაცვლად გვხდება ე. წ. „ფერადი მარცვლები“, ავტორები თვლიან, რომ ეს აიოლებს სიტყვების დამარცვლასა და სიტყვის აღქმასაც. არ ვიცით, რამდენად დადასტურდა ეს ექსპერიმენტი, მაგრამ ჩვენ განხილვისთვის მხოლოდ ე.წ. „სამგანზომილებიანი პლასტილინის ფიგურები“ ავიღეთ. არ ვთვლით საჭიროდ დეტალურ საუბარს, მტკიცებითი ფორმისათვის დამატებით არგუმენტების მოხმობას, ეს ფორმატი ამის საშუალებას არ გვაძლევს.

დასკვნის სახით ვიტყვით: ადვილად არ გავიმეტოთ პირველკლასელები ექსპერიმენტებისთვის!

მხოლოდ ერთხელ არის ადამიანი პირველკლასელი და ამ წიგნით ვისაც ასწავლეს, ღირებული „დედაენის“ გარეშე დაწყებინეს სკოლასთან ურთიერთობა. ჩვენი წერილის სათაურში

წიგნის ფუნქციაზე (სახელმძღვანელო წიგნის) გავამახვილეთ ყურადღება. იაკობ გოგებაშვილის მოსაზრება ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, მხოლოდ გარკვეული დროის კუთვნილება არ არის, გაუზუნარი ქვემარტივებაა: „სახელმძღვანელო ორპირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლიან დიდი სიკეთეც დათესოს და დიდი სიბოროტეც ჩანერგოს სკოლის და ხალხის ცხოვრებაში“ (გოგებაშვილი -261: 1989). ეს არის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის, ფიქრის, ქმედების განმსაზღვრელი ფორმულა და თითოეული ჩვენგანისგან თანაზიარობას მოითხოვს.

საკითხი, რომელზეც ვისაუბრეთ, ბუნებრივია, იყო ფართო განხილვისა და დისკუსიის საგანი. შედეგად: პარლამენტის წევრ ზაზა გაბუნიასა და განათლების, მეცნიერებისა კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაშის საკანონმდებლო ინიციატივით „დედაენა“ დაუბრუნდა პირველკლასელებს.

„დედაენას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. საერთაშორისო კონვენციით განსაზღვრულია ვალდებულება, რაც ასეთ ძეგლებს ეხება. ამ შემთხვევაში საქართველომ „დედაენა“ უნდა ჩართოს ფორმალურ და არაფორმალურ სასწავლო პროცესში. „დედაენის“ ადგილი საგანმანათლებლო პროცესსა და სკოლაშია, ის არ უნდა იქცეს მხოლოდ სამუზეუმო რარიტეტად, – განაცხადა ინტერვიუში EDU. ARIS. GE. კანონპროექტის ინიციატორმა კახა გაბუნიამ.

ლიტერატურა

დედაენა (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით). 2011-2014. ნინო გორდელაძისა და გვანცა ჩხენკელის მიხედვით. თბილისი.

მშობლიური ენა. 2018. ნესტან კუპრავა, დოდო ნაზირაშვილი, მზია ფოფხაძე, მაია ხაზური თბილისი.

ინასარიძე მაია. ნაჭყებია მაია. 2006. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები. თბილისი.

იაკობ გოგებაშვილი. 1989. თხზულებათა ტომი I. თბილისი.

Dedaena- maswavleblis tsigni- indd

მშობლიური ენა



თხა

დედა ენა



ჭეა



კომპოზიციების სწავლების მეთოდები და

ასმათ შონია

აქტივობები დანყებით სწავსურზე

ანოტაცია: კომპოზიტების სწავლების ამოცანაა მოსწავლე გაერკვეს სიტყვის აგებულებაში; ერთმანეთისგან გამიჯნოს მარტივი, ნაწარმოები და რთული სიტყვები; გააცნობიეროს კომპოზიტების დეფინით და უდეფინოდ წერის შემთხვევები; თვითონაც შეძლოს რთული სიტყვების შედგენა. სწავლა სახალისო, საინტერესო, შედეგზე ორიენტირებული რომ გავხადოთ, საჭიროა მასწავლებელს ჩამოყალიბებული ჰქონდეს საკუთარი სტრატეგია. სტრატეგიის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი.

ამოსავალი სიტყვები: კომპოზიტი, სტრატეგია, ერთცნებიანი, მრავალცნებიანი, ნაირფუძიანი, წარმოქმნილი, მარტივი, ინტერაქტიური.

Asmat Shonia

COMPOSITE TEACHING METHODS AND ACTIVITIES AT THE PRIMARY STAGE

Annotation: *The tasks of the composites are: to get students aware in the construction of words; to distinguish simple, derived and complex words from each other; to understand the cases of writing composites with and without hyphen; to make complex words independently; The teacher should have its own strategy to make learning process more interesting, result oriented and cheerful. While selecting a strategy the teacher should define the lesson goal and the expected result.*

Key words: *Composites, strategy, one-concept words, multi- concept words, derived, multy root words, simple, interactive words.*

მშობლიური ენის სწავლება დანყებით საფეხურზე ემსახურება თვითგამოხატვისთვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. სწავლების ყველა ძირითადი – ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. ენა განიხილება, როგორც აზროვნებისა და კომუნიკაციის საშუალება. შესაბამისად, მისი სწავლებაც ენის ამ ორი უმთავრესი

ფუნქციის წინ წამოწევას ემსახურება (ესგ).

მოსწავლეები ეუფლებიან მშობლიური ენის მართლწერისა და მართლმეტყველების ძირითად ნორმებს, რაც არ გულისხმობს გრამატიკული ცოდნის დაგროვებას, არამედ ამ ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულად, კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში. ძირითადი აქცენტი გადატანილია პრაქტიკული ფუნქციონალური გრამატიკის საკითხების სწავლებაზე (*მაღლაკელიძე 2013: 98*)

ეს სტატია ეხება უშუალოდ კომპოზიტების (რთული სიტყვების) შესწავლას დაწყებით საფეხურზე. გაკვეთილის მიზანი უნდა იყოს, რომ მოსწავლემ გამიჯნოს ერთმანეთსაგან მარტივი, ნაწარმოები და რთული სიტყვები. კომპოზიტების შესწავლისას თეორიული სწავლება რეკომენდებული არ არის. ამიტომ მასწავლებლის ამოცანაა, ტექსტების სწავლებისას, პრაქტიკულად აჩვენოს ყველა შესაძლო ვარიანტი, რომელსაც შეიძლება შევხვდეთ რთული სიტყვების შედგენისას.

კომპოზიტების შესწავლისას მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა, რათა სწორად მიანოდოს აუცილებელი საკითხები კომპოზიტებთან დაკავშირებით. კომპოზიტთა მართლწერა, ძირითადად განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენ ცნებას გამოხატავს ის: ერთცნებიანი კომპოზიტები იწერება უდევისოდ, ხოლო ორ- და მეტ- ცნებიანი დეფისით.

„თავისთავად კომპოზიტთა დაწერილობა დიდ ნაირგვარობას არ გულისხმობს, შესაბამისი წესი მარტივი ალტერნატივის სახით წარმოდგება: შერწყმულად დაწეროთ თუ დეფისით, მაგრამ ამ მარტივი ამოცანის უკან, კომპოზიტთა დიდი ნაირგვარობა იგულისხმება. უპირველესად უნდა გავმიჯნოთ ორი ჯგუფი: ფუძეგაორკეცებული და ნაირფუძიანი კომპოზიტები.

გაორკეცებული შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ჯგუფის სიტყვა:

არსებითი სახელი: *თავთავი, წამწამი, წყალწყალა...*

ზედსართავი სახელი: *დიდ-დიდი, პატარ-პატარა, მაღალ-მაღალი, ჭრელ-ჭრელი...*

რიცხვითი სახელი: *ერთ-ერთი, ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი ...*

ნაცვალსახელი: *ეს-ეს, ის-ის, ვიღაც-ვიღაცები...*

ზმნიზედა: *ნაპირ-ნაპირ, ხევ-ხევ, ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან...*

მორისდებული: *ვიშივიში, ვაი-ვაი ...*

შესაძლებელია გაორკეცებისას ამოსავალი ფუძის რომელიმე ბგერა შეიცვალოს და რთული სიტყვა, ერთი შეხედვით, განსხვავებულ ფუძეთა შეერთებად მოგვეჩვენოს: *ბიჭბუჭები, ერთურთი, ბინდბუნდი...*

ნაირფუძიანი კომპოზიტები ისეთი სიტყვებია, რომლებიც სხვადასხვა სიტყვათა შეერთებით არის წარმოქმნილი.

ა) შეიძლება თითოეული კომპონენტი ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი: *ძალ-ლონე, დღე-ღამე, ქალ-ვაჟი, ქართლ-კახეთი.*

ბ) შეიძლება ერთი კომპონენტი ფუძის სახით იყოს, მეორე რაიმე სხვა ფორმით: *ძმისწული, ქვითკირი, ნათლიდედა...*

გ) შეიძლება თითოეული კომპონენტი საკუთარი ფორმით იყოს წარმოდგენილი კომპოზიტში: *ზედამხედველი, კაციჭამია...* (არაბული 2005: 126-128).

სწავლა სახალისო, საინტერესო, შედეგზე ორიენტირებული რომ გავხადოთ, საჭიროა მასწავლებელს ჩამოყალიბებული ჰქონდეს საკუთარი სტრატეგია. სტრატეგიის შერჩევას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი. აუცილებელია, რომ შერჩეული სტრატეგია შეესაბამებოდეს მოსწავლეთა შესაძლებლობებს. ამისათვის მოსწავლეები უნდა ფლობდნენ სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, როგორებიცაა ინფორმაციის ორგანიზება, დამუშავება, შეჯამება, დასკვნების გამოტანა, ჩანაწერების გაკეთება და ა. შ. (*მიქაძე, შანიძე 2018: 212*).

აქტივობა: კომპოზიტების ნაირსახეობანი;

რესურსი: პლაკატი;

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი უკითხავს ან ასმენინებს ისეთ ნაწარმოებს (მაგალითად, გურამ დოჩანაშვილის „ყველაზე კარგი პაპა“), რომელშიც გამოყენებულია ძირეული, წარმოქმნილი და რთული სიტყვები. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამიჯნავენ ერთმანეთისაგან ამ ფორმის სიტყვებს, მასწავლებელი დაფაზე გააკრავს პლაკატს, რომელზეც არეულად ამონერილია ძირეული, წარმოქმნილი და რთული სიტყვები. იმართება მსჯელობა, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის თითოეული მათგანი. მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს მისცეს ბიძგი, რათა განასხვავონ ერთმანეთისაგან სიტყვები დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით.

შეფასება: შეფასდება, რამდენად შეძლებენ მოსწავლეები ძირეული, ნაწარმოები და რთული სიტყვების განსხვავებას

ერთმანეთისგან.

მეთოდური მითითება: უფრო მარტივი სახით ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია წინა კლასებშიც.

აქვე შესაძლებელია მივცეთ შემდეგი სახის პრაქტიკული დავალება, პლაკატის მიხედვით დაალაგონ სიტყვები შესაბამის სქემაში;

ა)

ძირეული სიტყვები	წარმოქმნილი სიტყვები	რთული სიტყვები

ბ) გარკვეით რომელი მეტყველების ნაწილია თითოეული რთული სიტყვა

ნიშუმი: ხელებგაშლილი ---- ხელები – არსებითი სახელი

სავარჯიშო: ამონერეთ რთული სიტყვები (კომპოზიტები) და იმსჯელეთ, როგორ არის შედგენილი თითოეული მათგანი. ილია ჭავჭავაძე „მოძღვარი“

ერთცნებიანი	ორცნებიანი

სავარჯიშო: მითითებული ტექსტიდან (ლევან გოთუა „ქვის დედაენა“)

ა) ცალ-ცალკე დააჯგუფეთ დეფისიანი და უდეფისო კომპოზიტები;

ბ) იმსჯელეთ რატომ იწერება ზოგი კომპოზიტი დეფისით და ზოგი უდეფისოდ.

მოსწავლეთა წერისა და მეტყველების გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა შეცდომების გასწორებაზე მუშაობა. ბავშვების მეხსიერებაში უნდა წამოვწიოთ ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც მათ პასიურ მარაგში აქვთ.

ვადღევთ ისეთ სავარჯიშოს, სადაც კომპოზიტები როგორც სწორი, ისე არასწორი ფორმით იქნება წარმოდგენილი. ვაკონტროლებთ წერით ნამუშევრებს და ვაკვირდებით, ასწორებენ თუ არა შეცდომებს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ კომპოზიტებზე, რომელსაც ესა თუ ის მწერალი უპირატესობას ანიჭებს და მათი გამოყენება ახალ ელფერს სძენს სათქმელს.

სავარჯიშო: ა) ჩანერე სწორი ფორმით ის სიტყვები, რომლებშიც შეცდომებია დაშვებული:

ცოლქმარი, ტანი სამოსი, შავტარიანი, სულ გაყიდული, პირის ფარეში, ხელეზ გაშლილი, თან და თან, ქალიშვილი, ცეკვა – სიმღერა, ნელ-ნელა, გოგობიჭები, გუდა – ნაბადი, მარტოდ მარტო, დაძმობა, ჭექაქუხილი, ჭიკ ჭიკი, ბაგაბუგი, თავ ჩაღუნული, ცალთვალა, დიდ-პატარა, თვალ წარმტაცი, ეზოყურე, ცადაზიდული, სულგანაბული, წვერ უღვაშ გაპარსული, ქინძის თავი, რამე რუმე, არე მარე.

ბ) კომპოზიტების გამოყენებით შეადგინონ პატარა მოთხრობა.

ინტერაქტიური სწავლება/სწავლა არის თანამედროვე ჰუმანიზმის პრინციპებზე დამყარებული საგანმანათლებლო სისტემა. აღსანიშნავია, რომ სწავლება/სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის კვლევითი ინტერესებისკენ არის მიმართული. ამგვარად აგებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს უვითარებს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, ინფორმაციის მოპოვების, პრობლემათა გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარებს (*მიქაძე, შანიძე 2018: 161*).

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით საფეხურზე ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს – სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ, ასევე მულტიმედიურ ტექსტს.

ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობაც მოსწავლეს შესძენს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის საჭირო გამოცდილებას. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, საინფორმაციო – შემეცნებითი და პრაგმატული ტექსტების აღქმის, გაგების, გამოყენებისა და შექმნის, ასევე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საბაზისო უნარ-ჩვევებს (*ფიფია 2018: 197*).

ამრიგად, კომპოზიტების სწავლების ამოცანაა მოსწავლე

გაერკვეს სიტყვის აგებულებაში; ერთმანეთისგან გამიჯნოს მარტივი, ნაწარმოები და რთული სიტყვები; გააცნობიეროს კომპოზიტების დეფისით და უდეფისოდ წერის შემთხვევები; თვითონაც შეძლოს რთული სიტყვების შედგენა.

ლიტერატურა

არაბული 2004: ავთანდილ არაბული, *მეტყველების კულტურა*, თბილისი, 2004.

ეროვნული სასწავლო გეგმა 2011- 2016.

მაღლაკელიძე 2013: ნათელა მაღლაკელიძე, *ქართული ენის სწავლების მეთოდის დიდაქტიკა (I – VI კლასები)*, თბილისი, 2013.

მაღლაკელიძე, მიქაძე 1996: ნათელა მაღლაკელიძე, მანანა მიქაძე, *ქართული ენის სწავლების მეთოდის დიდაქტიკა*, თბილისი, 1996.

მიქაძე, შანიძე 2018: მანანა მიქაძე, მალვინა შანიძე, *ქართული ენის სწავლების მეთოდის დიდაქტიკა დაწყებით საფეხურზე*, ქუთაისი, 2018.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. მშობლიური ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), თბილისი, 2008.

ინასარიძე, ნაჭყებია 2006: მაია ინასარიძე, მაია ნაჭყებია, *ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები*, თბილისი, 2006.

ფიფია 2018: რუსუდან ფიფია, *ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე პარადიგმები*, თბილისი, 2018.

რეხვიაშვილი 1999: მიხეილ რეხვიაშვილი, *ქართული ენის საკითხთა სწავლების მეთოდის დიდაქტიკა*, თბილისი, 1999.

ჯინჯიხაძე 2014: ლევან ჯინჯიხაძე, *ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდის დიდაქტიკა და ტექნოლოგია*, თბილისი, 2014.

**იმერეთის მეფე გიორგი II
(გენალოგიური და ქრონოლოგიური ძიებანი)**

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია და მოკვლეულია გიორგი II-ის მეფობის პერიოდის, არამხოლოდ იმერეთის, არამედ ოდიშის, გურიის, სამცხე-საათაბაგოს ისტორიის საკითხები, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ისტორიოგრაფიაში დღემდე დამკვიდრებულ არაერთ თვალსაზრისს.

1. სათანადო წერილობით წყაროთა მიმოხილვის შედეგად დავადგინეთ, რომ გიორგი II -ის გამეფების, შესაბამისად, ბაგრატ III -ის გარდაცვალების დრო [1565 წ.], რომელიც ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს და გაზიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, არასწორია. სწორია [ერთი ან ორი წლის ცდომილებით - 1549 ან 1550 წ.წ.] ვახუშტის თარიღი 1548 წ.

2. ჩვენი გამოკვლევით გიორგი II -ის პირველი თანამეცხედრეა [და არა მეორე] თამარი, შერმაზან დიასამიძის ასული, ხოლო გამომდინარე აქედან, მეორე – რუსუდან შარვაშიძე, რომელიც მკვლევართა მიერ პირველ მეუღლედ არის მიჩნეული.

3. დავადგინეთ, რომ გიორგი II -ის „უხვედრო“ ქორწინება თამარ დიასამიძესთან [1535 წ.] შედეგია იმ მტრული ურთიერთობისა, რასაც ადგილი ჰქონდა სამცხე-საათაბაგოსა [ნავ-ყვარყვარე III, ქაიხოსრო II] და იმერეთის სამეფოს [ბაგრატ III, გიორგი II] ხელისუფალთა შორის XVI ს-ის 30-იან 50-იან წლებში, როცა ქაიხოსრო II ჯაყელთან დაპირისპირებულ ფეოდალებს მეთავეობდა შერმაზან დიასამიძე.

4. ასევე გარკვეულია, რომ თამარ დედოფლის შემონაზენება [1561] და ტახტის მემკვიდრის მამიას „გაუჩინარება“ სამეფო კარიდან კავშირშია გიორგი II -ისა და ქაიხოსრო II-ის დაზავებასთან 1562 წ.ს.

5. აგრეთვე დაზუსტებულია და დადგენილი არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც მოხდა დასავლეთ საქართველოში XVI ს-ის მთელ სიგრძეზე, მათ შორის გიორგი II -ის ოჯახის ტრაგიკული დასასრული.

ამოსავალი სიტყვები: გიორგი II, თამარ დედოფალი, იჯუ შერმაზანი, ანყვერის ღვთისმშობლის ხატი, ლუარსაბ II, ჯავახ ჭილაძე, ხოსროსოული, მამია დადიანი, რუსუდან დედოფალი, მუსაღია, მამია და ბაგრატ უფლისწულები, ლევან მეფე.

**KING GEORGE II OF IMERETI
(Genealogical and chronological researches)**

Annotation: *The work discusses the reign of George II, this period includes not only the history of Imereti, but also the history of Odishi, Guria, Samtskhe-Saatabago, and this significantly changes the many points of view we had in historiography until now.*

1. *After reviewing the written sources, we found out that according to the reign of George II, the death of Bagrat III [1565], which is shared in our historiography by Iv. Javakhishvili is incorrect. Vakhushti's date _ 1548 is correct [with one or two years error -1549 or 1550].*
2. *According to our research, the first spouse of George II is Tamar, the daughter of Shermazan Diasamidze [and not the second], accordingly his second spouse is Rusudan Sharvashidze, who is regarded by some researchers as his first wife.*

We were also able to find out that the unsuccessful marriage of George II to Tamar Diasamidze [1535] is the result of the hostile relationship between the authorities of Samtskhe-Saatabagago [Nav-Kvarkvare III, Qaikhosro II] and the authorities of the Kingdom of Imereti [Bagrat III, George II] in the 30s and 50s of the XVI century, when Shermazan Diasamidze commanded the Feudal Lords opposed to the Qaikhosro II Jakhel. The facts that Queen Tamar became a Nun (1561) and the heir of the throne, Mamia disappeared from the royal Palace are connected to the truce of George II and Qaikhosro II in 1562.

3. *A number of important facts that happened throughout western Georgia in the 16th century, have also been specified and explained including the tragic end of the family of George II.*

Key words: *George II, Queen Tamar, Ijushermazani, Icon of Virgin Mary of Atskhveri, Luarsab II, Javakh Chiladze, Khosrosouli, Mamia Dadiani, Queen Rusudan, Musadia, Princes Maia and Prince Bagrat, King Levan.*

გიორგი II-ის მეფობის პირველი დათარიღება ეკუთვნის ვახუშტის, რომელიც წერს: „ამის შემდგომად მოკუდა მეფე ბაგრატ ქსა ჩემს, ქარ. ს'ლვ [=1548 წ-ს]. შემდგომად მეფისა ბაგრატიისა დაჯდა ძე ამისი გიორგი მეფედ“ (1; 811-815). მიუხედავად ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში მოხდა 1548 წ-ის გადათარიღება და თითქმის ყველა, ვინც კი შეეხო კონკრეტულად ამ საკითხს, 1565 წელზე თანხმდება (2: 123), თუმცა როგორც

ვახუშტის, ისე სხვადასხვა ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროთა შეჯერების შედეგად დავრწმუნდებით, რომ სახელოვანი მეცნიერი, ზუსტი თუ არა, სინამდვილესთან ახლოს (1548-1550 წწ.) უეჭველად უნდა იყოს. ამისთვის ისევე მივუბრუნდეთ ვახუშტის მონათხრობს“ – „ამან გიორგი მოიწყო იმერეთი და დაიზავა დადიან-გურიელი და იყო მშვიდობით. შემდგომად მოვიდა მეფე ლუარსაბ ლტოლვილი შაჰთამაზისაგან ქ'სა ჩვენ, ქარ.ს'მდ [=1556წ-ს] ხიზნად, შემდგომად მოკუდა ალექსანდრე ძე გიორგი მეფისა ქ'სა ჩვენს. ქარ.ს'მვ“ [=1558წ-ს]... მოკუდა ცოლი გიორგი მეფისა, ქ'სა ჩვოა. ქარ.ს'მთ [=1561წ-ს]... შემდგომად ამისა მოიყვანა გიორგი მეფემან ცოლი ჩერქეზის ბატონის ასული რუსუდან და იქორწინა მის თანა, ქ'სა ჩვენ. ქარ.ს'ნა [=1563წ-ს]. (1: 814-815). როგორც ქვემოთ ვნახავთ, 1. ჩამოთვლილი ფაქტების თანმიმდევრობა და თარიღები სწორია, მაგრამ ბაგრატი III-ის გარდაცვალების და გიორგი II-ის გამეფების წელი (1548) შეიძლება მცირე დაზუსტებას მოითხოვდეს, თანაც, რასაკვირველია, თუ ზუსტი არა, ეს თარიღი 1565 წელთან განსხვავებით ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან. 2. გიორგი II-ის პირველი ცოლის გარდაცვალების თარიღი კი არ არის 1561 წ., არამედ შემონაზვნების. 3. მართალია ვახუშტი, როცა რუსუდან ჩერქეზთ ბატონის ასულს გიორგი II-ის მეორე მეუღლედ თვლის (1563 წ.). ამის საფუძველს გვაძლევს ის დოკუმენტური მასალა, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ქართული ისტორიოგრაფია 1548 წლამდე და 1563 წლის შემდგომ ეყრდნობა იმერეთის ისტორიის საკითხების შესასწავლად ვახუშტის, მაგრამ ამ ორ თარიღს შორის კი საკვირველია, საერთოდ არ ითვალისწინებს, არ იზიარებს მის ცნობებს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. განსაკუთრებით ყურადღებას არ აქცევს ორ თარიღს: – 1. „მოკუდა ალექსანდრე ძე გიორგი მეფისა“ (1558 წ) და 2. „მოკუდა ცოლი გიორგი მეფისა“ (1561 წ.). ჩვენ ვფიქრობთ, არავითარი საფუძველი არ არსებობს დიდ მეცნიერს ამ შემთხვევაში არ ვენდოთ. თუმცა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბაგრატი III-ის გარდაცვალების, შესაბამისად გიორგი II-ის გამეფების თარიღად მიღებულია 1565წ. [ამ თარიღს ეხმიანება თითქოს „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ერთი ცნობა, 1568 წლის ამბებთან ჩართული: – „მაშინ გიორგი მპყრობელი იმერეთისა, ვინაიდან ახალი ბატონი იყო, სუსტად ეპყრა საბატონო

თვისი“ (3;361). ახალი 1568 წელს როგორ იქნებოდა, როცა იგივე წყაროს მიხედვით- როცა ბაგრატ III-ის მიერ, როსტომ გურიელის „ვითომც დასახმარებლად“ გაგზავნილი მისი უმცროსი ძმა „შემოიქცა ვახტანგ თვისად სამყოფსა და მის ჟამსა შინა მიიძვალა ბაგრატ და დამარხეს გელათს და დაჯდა მის წილად ძე მისი გიორგი“ (იქვე;361). ყველა ეს ამბავი ვახუშტის მიხედვით თარიღდება 1548 წლით (1;814-815). მცდარ დათარიღებას [1548] საფუძვლად უდევს გიორგი II-ის ე.წ. „გელათის“ 1568 წლის სიგელი (4;409-410), სადაც წერია: – „ჩუენ ღვთივეგვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან გიორგი და დედოფალთ-დედოფალმან რუსუდან და პირმშომან ... ძემან ჩუენმან ბაგრატ შემოგწირეთ მამული ... <<ინდიქტიონსა მეფობასა ჩუენისა მეოთხესა ქ'კ'სა ს'ნვ [256=1568წ-ს-ა.თ.] თვესა აგვისტოსა ლ[30]-[იქვე]. – „მაშასადამე, იმერეთის მეფე გიორგი 1565 წელს უნდა გამეფებულიყო“- წერს ივ. ჯავახიშვილი (5;262). მას აგრეთვე მოჰყავს რამდენიმე თარიღიანი ცნობა:– „დაინერა ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა მეოთხესა (ს ი ს) ქ'კ'სა სნვ [257+1312=1569] თუესა თებერვალსა დ [4]. – (იხ. საეკლესიო მუზეუმის ხელთნაწერი N49, 241;417). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კი წერს: – „თუ 1569წ. გიორგი მეფის მეოთხე ინდიქტიონი (რომელიმე წელი მეფის ტახტზე ასვლიდან), მაშინ თითქოს 1566 წელს უნდა გამეფებულიყო“ (5;263). ე.ი. გამომდინარე ამ ცნობებიდან, რომელსაც ეყრდნობა გიორგი II გამეფების თარიღი (1565წ) მყარი და შეუვალი ჩანს და მაინც არსებულ ცნობათა ანალიზი ამას საფუძვლიანად აყენებს ეჭვქვეშ. ჩვენი აზრით, ეს „მეოთხესა“ უნდა შეიცვალოს, რადგან ქვემოთ ვნახავთ ასეთი დათარიღება (1565 ან 1566 წწ) გამომდინარე სხვადასხვა გარემოებათა გამო, აშკარა შეცდომაა და თუ ეს უთუოდ ასეა, ერთადერთი მისაღები ვარიანტი „მეოცესა“ უნდა იყოს. მაშინ მივიღებთ რეალურ დათარიღებას. (ე.ი. გიორგი II გამეფებულა 1549 წლის 30 აგვისტოდან 1550 წლის 4 თებერვლამდე), რაც ახლოს უდგება ვახუშტის ცნობას (1548წ.) და თუ რატომია ეს ასე, ამაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ. ცნობილია, რომ გიორგი II-ს ორი თანამეცხედრე ჰყავდა. პირველ თანამეცხედრედ ქართულ ისტორიოგრაფიაში, გამომდინარე მისი გამეფების 1565 წლით დათარიღებისა, ითვლება რუსუდანი („ჩერქეზთ ბატონის ასული“), რომელიც, ვახუშტის მიხედვით, 1563 წელს

შეურთავს გიორგის. (აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დათარიღებას არავინ უარყოფს). მეორე მეუღლედ ითვლება თამარი („შარმაზან დიასამიძის ასული“), რომელიც მას რუსუდან დედოფლის გარდაცვალების (1578წ.) შემდეგ უნდა შეერთო. ამ შემთხვევაში ისტორიკოსთა შეცდომის მთავარი საფუძველი გახდა გელათის მონასტრის ფრესკები და ხატების წარწერები, სადაც თამარი დედოფალთ-დედოფლად იხსენიება. თუ გიორგი II 1565 წელს გამეფდა, რასაკვირველია, პირველი მეუღლე თავისთავად ის ვერ იქნებოდა, გამომდინარე მისი „დედოფალთ-დედოფლობიდან“. თან რუსუდანს, როგორც ვიცით, 1563-1578 წლებში უკავია ეს ადგილი. გარდა ამისა, თითქოს ამას ადასტურებს – „იმერეთის დედოფლის თამარის შეწირულობის წიგნი გელათის წმ. გიორგის ტაძრისადმი“, რომელიც 1586 წლით თარიღდება – „ჩუენ მეფეთ-მეფის ბაგრატის უხუცესი შვილის მეფეთ-მეფისა გიორგის თანამეცხედრემან, დედოფალთ-დედოფალმან, ბატონის დიასამიძის სახელოვანის შერმაზანის და ანას ქალმან, პატრონმან თამარ ყოფილმან ქრისტიანემ შემოგწირეთ და შევამკეთ და გავაჭედინეთ ოქროს ყოვლად წმიდისა კარის ღვთისმშობლისა ხატი და შევამკეთ პატიოსნითა თვალითა და მარგალიტითა“ (4;425 და 6;32-33). თამარს შეუძკია აგრეთვე გელათის ღვთისმშობლის კარედი ხატი, სადაც ვედრების კომპოზიციაში გამოსახულნი არიან თამარი, მეუღლე გიორგი II-თან ერთად. – „მეფე გ/იორგ/ი და დედოფალი თამარ“, ამავე ხატის წარწერაში აგრეთვე ხაზგასმითაა თამარის ვინაობა აღნიშნული-„ჩვენ დიასამიძის სახელგანთქმულის შერმაზანის და თანამეცხედრის მისისა ანას ასულმა“ (7;247-248). ე.ი. გამოდის თითქოს 1578 წლამდე გიორგი II-ის პირველი მეუღლე და იმერეთის დედოფალი იყო რუსუდანი, ხოლო შემდგომ – თამარი. ამის უარსაყოფად უნდა მივუბრუნდეთ ისევ ვახუშტის და მოვლენათა მისეულ თხრობას თანმიმდევრულად გავაყოლოთ თვალი.

ვახუშტი წერს: – „ამის მხილველი ვახტანგიცა წარვიდა იმერეთს, ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე გონია და შემოვიდნენ მოსწყვიდნეს ჭანეთი და აჭარა და დაიპყრეს თვსად, რამეთუ ეპყრა იგინი გურიელსა. ამის შემდგომად მოკუდა მეფე ბაგრატ ქ'სა ჩ'ფმშ. ქარ.ს'ლუ (1548წ.) და დაუტევნა ძენი ორნი, გიორგი და კონსტანტინე [ვახუშტი აქ ცდება, ბაგრატს კიდევ ჰყავდა ძეები – თეიმურაზი და ვახტანგი და ასული თამარი, ლუარსაბ

I-ის მეუღლე – ა. თ.] და დაფლეს გელათს. შემდგომად მეფისა
 ბაგრატიისა დაჯდა ძე ამისი გიორგი მეფედ“ (1;814-815). როგორც
 აღვნიშნეთ, ამასვე იმეორებს ბერი ეგნატაშვილი („ახალი ქართ-
 ლის ცხოვრების“ I ტექსტი) – „ვახტანგი დაბრუნდა გურიიდან
 და „მას ჟამსა შინა“ გარდაიცვალა ბაგრატი... და გამეფდა გიორ-
 გი“ (3;361). მიუხედავად იმისა, რომ წყარო თარიღს არ იძლევა,
 თუმცა მონათხრობი ამბებიდან გამომდინარე, ეს დხლ. ერთი და
 იგივე დროზე მიუთითებს (1548 წ.), ჩვენ კი როგორც აღვნიშ-
 ნეთ, ეს 1549-1550 წწ.-ში მოხდა. ამ დროს გიორგი საკმაოდ
 მონიჭული მამაკაცია [წყაროებით ცნობილია, რომ მისი მომ-
 დევნო ძმა 1519წ. გარდაცვლილია, ხოლო და თამარი 1526 წლის
 25 მარტს გაათხოვეს ქართლის მეფე ლუარსაბ I-ზე (1527-1556
 წწ.), რომელიც თამარზე დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ,
 1527 წელს გამეფდა. მის გამეფებაში და უზურპატორი ბიძის,
 გიორგი IX-ის (1525-1527 წწ.) გადაყენებასა და შემონაზვნებაში,
 როგორც ჩანს აღნიშნულმა დანათესავებამ გადამწყვეტი როლი
 ითამაშა]. გამეფებისას დაახლოებით 35 წლის უნდა ყოფილიყო
 ნაკლებად დასაჯერებელია, მას მეუღლე ამ ასაკში არ ყოლო-
 და, ხოლო 1563 წლამდე-წარმოუდგენელი. გიორგი II-ის ორი
 მეუღლიდან ერთ-ერთი თამარი იყო („სახელოვანი შერმაზან
 დიასამიძის ასული“), რომლის სახელს არაერთი ნარატიული
 წყარო ახსენებს და რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.
 რაც შეეხება მის საგვარეულოს, დიასამიძეები სამცხე-საათაბა-
 გოში ცნობილი თავადები იყვნენ, განსაკუთრებით თამარის მამა
 შერმაზანი, რომელიც ხშირად იხსენიება როგორც ქართულ,
 ისე უცხოურ წყაროებში. შერმაზანი ლუარსაბ I-ის მომხრეა
 შაჰ-თამაზ I-ის და ქაიხოსრო II ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლა-
 ში. ვახუშტი წერს : – „*კახთ ბატონის ლევანის და ათაბაგის
 დამორჩილება ყეენისა (ე.ი. შაჰ-თამაზ I-ისადმი.-ა.თ.)-შეუძნდა
 (გაუძნელდა, აუტანელი გაუხდა-ა.თ.)-მეფესა ლუარსაბს და
 ვიეთთა წარჩინებულთა მესხთთა, სახელითა იჯუს, შერმაზანს
 [ვახუშტის, ასევე ბერი ეგნატაშვილს (3;364) იჯუ ცალკე სახელი
 ჰგონიათ, როცა ის შერმაზან დიასამიძის ზედმეტი სახელია
 – იჯუ-შერმაზანი. ე.ი. ტექსტში იჯუსა და შერმაზანს შორის
 „მძიმე“ ნიშანი საჭირო არ არის-ა. თ.] და ვახუშტი დიასამიძე-
 სა. ამათ მოუწოდეს ლუარსაბ მეფესა“ (1;404,716). ლუარსაბმა
 დიასამიძეთა თანადგომით ქაიხოსრო II-ს წაართვა „მტკურის*

აღმოსავლეთი კერძი“ (იქვე). ამან გამოიწვია შაჰ-თამაზ I-ის მომდევნო ლაშქრობა (1552 წ.-ს) – „ხოლო უღონო ქმნილი იჯუ, შერმაზან, ვახუშტი და ამოვან მიენდნენ ყეენსა. მან შეიპყრნა იგინი, მოკლა იჯუ და შერმაზან (იჯუ-შერმაზანი – ა.თ.) და ვახუშტი და ამოვან ნაიყვანნა ტყუედ განზრახვითა ათაბაგისათა, რამეთუ ბრალეულ-ჰყოფდა მათ ქაიხოსრო. უკუნიქცა ყეენი, ჩავლო ერევანი და წარვიდა სპარსეთად ქ'სა ჩ'ფნგ, ქართულსა ს'მა“-1535წ. (1;716-717). სხვათა შორის, ამას მოჰყვა იმავე 1553 წელს გიორგი II-ის ლაშქრობა სამცხეში, რაც ქაიხოსრო ათაბაგზე შურისძიება უნდა ყოფილიყო [მაშინ მან აწყურის ღვთისმშობლის ხატი დაატყვევა და იმერეთში გადასვენა] შერმაზან-იჯუს, (სიმამრის) დასჯის გამო (იქვე). ამ შერმაზანზე და საერთოდ დიასამიძეებზე იხ. გარდა ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილისა (1,404,716-717 და 3;364,506), ფარსადან გორგიჯანიძე (8;31-33), ჰასან რუმლე (9;28-31 და 59-60), ისკანდერ მუნში (10;18-19). აი, რა წერია შერმაზანზე ერთ-ერთ თურქულ წყაროში (XVI ს-ის 20-იანი წლები): – „ერთი კიდევე არის შერმაზან-ოღლუ, თავისი ნათესავებითა და ხელქვეითი პირებით, ესეც მათი ტოლი და სწორია (ლაპარაკია საათაბაგოს დიდებულებზე – ა.თ.) მისი სამფლობელო ჯავახეთად წოდებული ადგილია“ (11;56). იხ. აგრეთვე (12;49-53, 13;99,167-168, 14;43,55 22;254-255).

გიორგი II-ს თამარი უფლისწულობის დროს უნდა შეერთო. ის იყო მისი პირველი თანამეცხედრე. როგორც ჩანს, ეს „უხვედრო“ ქორწინება განპირობებული იყო 1535 წლის მურჯახეთის ბრძოლის შემდეგ შექმნილი ვითარებით. გამარჯვებული ბაგრატ III საათაბაგოს შემოერთების შემდეგ დასაყრდენს იქაურ ფეოდალებს შორის ეძებდა და ესენი აღმოჩნდნენ შალიკაშვილების (ისინი ჯაყელ-ათაბაგთა მომხრეების ბანაკს მეთაურობდნენ – ოთარ შალიკაშვილი) შემდეგ ყველაზე ძლიერი ფეოდალები საათაბაგოში-დიასამიძეები და მათი სახლის მეთაური-შერმაზან-იჯუ. ეს ნაბიჯი ალბათ აუცილებელი იყო ჯაყელთა მომხრეების საბოლოოდ დასამარცხებლად და შემოერთებული ტერიტორიების შესანარჩუნებლად. როგორც ვნახეთ, დიასამიძეები შაჰ-თამაზის წინააღმდეგ ბრძოლაში ბაგრატ III-ის სიძის ლუარსაბ I-ის თანამებრძოლებადაც გამოდიან, რასაც შეეწირნენ კიდეც. სამცხე-საათაბაგოში გიორგი II-ის

1553 წლის ლაშქრობაზე ვახუშტის (1;717) გარდა მოგვითხრობს „ახალი ქართლის ცხოვრების“ III ტექსტი: – „ამასვე ქორონიკონსა ციხიჯვარიდან აწყურის ღვთისმშობელი ტყვედ წაასუენეს იმერეთს“ (3;501). 1553 წელს ეს ხატი აწყვერში აღარ ყოფილა დასვენებული, ის იქიდან ციხისჯვარში [ჯაყელთა მთავარ ციხე-სიმაგრე აბასთუმანთან (ძვ. ოძრხე) ახლოს, ზეკარის (რკინისჯვარი) უღელტეხილთან მდებარეობდა] გადაუსვენებია ბაგრატ III-ს, როცა სოხოისტის ომში (1545წ.) დამარცხებულმა, მეორე წელს ისევ ილაშქრა საათაბაგოში: – „მერე კუალად გარდავიდა მეორესა წელსა ბაგრატ მეფე სამცხეს, წარმოასვენა აწყურის ღვთისმშობელი ციხისჯვარს და ვერღარა დაიპყრა სამცხე, ვინაითგან ციხენი სრულიად დაეპყროთ ოსმალთა“ (1;813). ეს რომ სინამდვილეა, ამას ამტკიცებს აწყვერის ღვთიმშობლის ხატის ჩარჩოს ქვედა არშიაზე გაკეთებული წარწერა: – „ქ.ჩვენ მეფეთ-მეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთდედოფალმან თამარ და ძეთა ჩვენთა პირმშოთა ალექსანდრე და მამია მოვაჭედინეთ, ხატი ესე ყოვლად წმიდისა (.) წარსამართებლად მეფობისა ჩვენისათვის და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, ამინ“ (15; 15 და 15;147-155). სამწუხაროდ, როგორც სხვა ავტორები, თვლიან თამარი გიორგი II-ის მეორე მეუღლეა და წარწერა ამ ხატზე გაკეთებულია შესაბამისად 1578-1585 წლებში (147;180, შენიშვნა 260), თუმცა გამომდინარე ყოველივე ზემოთ თქმულიდან, წარწერა 1553 წელს თუ არა, 1558 წლამდე, ე.ი. უფლისწულ ალექსანდრეს გარდაცვალებამდე (1;815) მაინც უნდა იყოს შესრულებული, ე.ი. ამ დროს გიორგი II-ს და თამარს ყოლიათ ორი ძე-ალექსანდრე და მამია.

თამარ დედოფალი იხსენიება გელათის წმ. გიორგის ღმრთისმშობლის კარედი ოქროს ხატის ზურგზე მოთავსებულ საექტიტორო წარწერაში: – „დიასამიძის სახელგანთქმულის შერმაზანის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან თამარ შევაძკევი ხატი ესე...ღვთისმშობლისა, რათა მეოხ გვექმნეს წინაშე ღვთისა ორსავ შინა ცხოვრებასა მეფეთ მეფისა გიორგითურთ...“ (15;189). მულახის თემის სოფ. ჟამუშის ეკლესიის მაცხოვრის ხატის წარწერაში კი ვკითხულობთ: – „ღმერთო და მაცხოვარო მულახისაო, გააძლიერე მეფეთ მეფობა პატრონისა [პატრონის ნაცვლად წერია „პატონის“ . ექ. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ამომკვეთი მეგრელი იყო (16;290), თუმცა შეიძლება ამომკვე-

თელს ასო გამორჩენოდ – ა.თ.]. გიორგისა, დედოფალთ დედოფალი პატრონი თამარ, ძეთა მისთა ალექსანდრე“... (16;289). წარწერა აქ წყდება. ის დასრულებული არ არის.

სწორად აღნიშნავს ექ. თაყაიშვილი, როცა წერს: – „მრავლობითი „ძეთა“ უჩვენებს, რომ დამწერელს აზრად ჰქონდა სხვა შვილებიც დაესახელებია მეფისა და დედოფლისა, მაგრამ ადგილი არ ყოფნიდა ან უფრო საფიქრებელია, მეხუთე სტრიქონი არ შენახულა“ (იქვე; 290) და ისიც თვლის, რომ წარწერა 1578-1585 წლებს შორისაა გაკეთებული და თამარი გიორგი II-ის მეორე თანამეცხედრეა (იქვე). ჩვენ კი ამ წარწერას უეჭველად 1558 წლამდე შესრულებულად ვთვლით, თამარი კი უკვე გარკვეულია, იმერეთის მეფის პირველი ცოლია, ხოლო „ძეთაში“ მეორე ძე მამია უეჭველად იგულისხმება. [სვანეთში დაცული ხატების, სადაც გიორგი II, თამარი და მათი ძეები – ალექსანდრე და მამია იხსენიებიან, 1578-1585 წლებით ვერ დათარიღდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წარწერაში 1573 წელს დაბადებული, 1585 წლიდან იმერთა მეფე ლევან I (არა აქვს მნიშვნელობა, რომ სხვა ცოლის-რუსუდანის [! 1578 წ] – შვილია) არ იხსენიება, როცა აუცილებლად უნდა იხსენიებოდეს, თანაც პირმშოდ, ამ შემთხვევაში].

სანამ მეფის შვილებზე ვისაუბრებთ, ერთს აღვნიშნავთ. XVI ს-ის 50-იანი და 60-იან წლების ამბების სიმცირე იმერეთზე, რაც ნარატიულ ლიტერატურას (ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი, ...) ახასიათებს, გამონწვეული უნდა იყოს იმით, რომ მამასთან (ბაგრატ III) შედარებით გიორგი II ნაკლებ ამბიციურია (ყოველ შემთხვევისათვის მეფობის პირველ ეტაპზე). მან რეალურად შეაფასა არსებული ვითარება და შეეგუა იმას, რომ ოდიში და გურია დამოუკიდებელი ერთეულები არიან და ნებით არასოდეს აღიარებენ იმერეთის მეფის, თუნდაც ბაგრატიონის უზენაესობას, მით უმეტეს მის ქვეშევრდომობას. სწორად შენიშნავს ვახუშტი, როცა წერს: – „ამან გიორგი მოიწყო იმერეთი და დაიზავა დადიან-გურიელი (დადიანი და გურიელი – ა.თ.) და იყო მშვიდობით“. მაგრამ ეს მშვიდობა საკუთრივ მეფის ოჯახში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1558 წელს გარდაიცვალა ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე (1;815). ამის შემდეგ ისეთი რამ მოხდა, რამაც გამოიწვია 1561 წელს თამარ დედოფლის შემონაზვნება გელათის მონასტერში [სადაც წმინდა გიორგის

ეკლესიის ფრესკაზე გამოსახული არიან- კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე, მეფე ბაგრატ III, დედოფალი ელენე, მეფე გიორგი II, დედოფალი თამარი და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე (17; 15) ქრისტიანე სახელით (იხ. ზემოთ), ვახუშტის ცნობით კი ამ წელს გიორგი II-ის პირველი მეუღლე გარდაცვლილა (1; 815). სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი იცის გიორგი II-ს რუსუდანის შერთვამდე მეუღლე ჰყავდა, მისი სახელი და წარმომავლობა არ სცოდნია. იცოდა აგრეთვე, რომ ჰყავდა ძე ალექსანდრე და ისიც, როდის გარდაიცვალა, მაგრამ ეტყობა მეორე ვაჟის – მამია შესახებ ცნობები არ ჰქონდა, არც ის, რა მოხდა სამეფო ოჯახში და რამ გამოიწვია თამარის მიერ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე უარის თქმა, რაც დღემდე ბურუსითაა მოცული ისტორიოგრაფიისათვის. ვახუშტი ამას წერტილს ასე უსვამს: „მოკუდა ცოლი გიორგი მეფისა“ – 1561წ. (იქვე; 815), თუმცა ამას ჩვენ ნაწილობრივ ახსნას ვუძებნით თვით დიდი ისტორიკოსის *მონათხრობიდან*: – „შემდგომად [ეს თამარის გარდაცვალების ცნობას მოსდევს – ა.თ.] ზავჰყო გიორგი მეფემან და ათაბაგმან ქახოსრომ და მისცა გიორგი მეფემან აწყურის ღვთისმშობელი“ – 1562 წელს (იქვე; 815), თუმცა რასაკვირველია, ვახუშტი არ იცის, რა კავშირშია ეს გიორგი II-ის ცოლის „გარდაცვალებასთან“ (სინამდვილეში შემონაზვნებასთან). მას თამარის ვინაობა რომ სცოდნოდა, სულ სხვანაირად აღწერდა იმ მოვლენებს, რაც თუნდაც აწყურის ხატთან არის დაკავშირებული (იხ. ზემოთ). გამომდინარე ჩვენი ინფორმირებულობისაგან, ამ საკითხთან დაკავშირებით, გასაგებია, თუ რატომ მოხდა დაზავება და ხატის გადაცემა, თამარის შემონაზვნების შემდეგ, რომელიც ასეთი ნაბიჯის გადადგმას, ცნობილ მიზეზთა გამო, ბუნებრივია, არ იზიარებდა. მართალია, ამან გარკვეული როლი ითამაშა მის გადანყვეტილებაზე (თუმცა შემონაზვნება შესაძლებელია იძულებითი ნაბიჯი იყო), მაგრამ მაინც, აქ როგორც ჩანს, ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი მათი მეორე ძე-მამია უნდა იყოს. ჯერ ერთი, საინტერესოა, რატომ დაარქვა გიორგი მეფემ დადიანების და „გურიელების“ საგვარეულო სახელი [მამია] მას. ჩვენი ვარაუდით, ბაგრატ III-ის მეუღლე ელენე მამია I გურიელის, ან რომელიმე მისი ძმის ასული უნდა იყოს [აქ ყურადსაღებია ისიც, რომ მამია I გურიელის, შესაბამისად მისი ძმების დედასაც ელენე ერქვა] და სავარაუდებელია,

ამიტომაც უნდა გიორგი II თავის ძეს ეს სახელი, რომელსაც უფროსი ძმის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრის ადგილი უნდა დაეკავებინა, თუმცა პირიქით, ძმის გარდაცვალებასთან ერთად მისი კვალიც იკარგება იმერეთის ისტორიიდან. თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მას გიორგი II შვილებს შორის არ ახსენებს [ნიშანდობლივია ისიც, რომ ყველა სიგელი თუ ხატის წარწერა, მათ შორის ფრესკა, სადაც თამარი გიორგისთან ერთად არის ნახსენები და გამოსახული შვილებთან ერთად ალექსანდრე უფლისწულის გარდაცვალებამდეა შესრულებული, ე.ი. 1558 წლამდე]. როგორც ჩანს, მან დატოვა იმერეთი და შესაძლებელია, ამან გამოიწვია მისი დედის, დედოფალ თამარის შემონაზვნებაც [ამ დროს მამია სრულასაკოვანი უნდა ყოფილიყო, თორემ ვერ გადადგამდა ამ ნაბიჯს. ყველა ნიშნის მიხედვით, გიორგი II, რომელიც დაიბადა 1515 წლის ახლოს, 1535-1536 წლებში უნდა დაქორწინებულიყო თამარ დიასამიძეზე, ხოლო ალექსანდრე და მამია 1536-1540 წლებს შორის უნდა იყვნენ დაბადებულნი] და ამის ერთერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ გიორგი II-ს სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა და თამარს კი ამ დროს ასაკის გამო შვილის ყოლა არ შეეძლო.


მამია ბატონიშვილი კი ისევ პოლიტიკურ ასპარეზზე XVII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. მანამდე სავარაუდოდ, ის ოსმალეთში თუ არა, იმერეთის ფარგლებს გარეთ მაინც იმყოფებოდა. ამას ადასტურებს ის, რომ 1580 წ-ს ის თბილისის ბეგლარბეგია (ფაშა), გიორგი-ბეგის სახელით (2;133). 1582 წელს კი იუსუფ-ფაშას სახელით ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგად დანიშნეს (იქვე;136). [საინტერესოა, მამია მამის სახელს რატომ ატარებს ან 1582 წელს რატომ იცვლის მას? (თუ უცვლიან?) ის ამის შემდეგ იუსუფ-სინან ფაშად იწოდება. გიორგი ბეგის/სინან ფაშას შესახებ ცნობები მოიძია და მისი იდენტიფიკაცია მამია გიორგი II-ის, იმერეთის მეფის ძესთან მოახდინა მ. სვანიძემ, რომელიც საკმაოდ ვრცლად საუბრობს ამ საკითხზე თავის მონოგრაფიაში, – „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან“ – XVI-XVIII.ს (18;141;143). თურქი ისტორიკოსის, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით: – „საქართველოს ბეგებში ყველაზე გამჭრიახი იყო გიორგი ბეგი, რომელსაც მორჩილება უნინდელი

სარდლისთვის (იგულისხმება ლალა-მუსტაფა-ფაშა-მ.ს.) გამოეცხადებინა. ეხლა მოვიდა, ისლამი მიიღო, სახელოვანი სერასქირის სეხნია გახდა. თბილისის ვილაეთი ებოძა მას (გიორგის) იუსუფ-ფაშას სახელით (იქვე; 141 და 19; 61). მამიას შესახებ ცნობები დაცულია აგრეთვე-ტომაზო მინადოს, ჰამერის, დონ ხუან სპარსელის, ქუთუკოღლუს შრომებში). სწორედ დონ ხუან სპარსელის ცნობაში: – „გიორგის შვილი იუსუფი“ მოხსენიებულია ალექსანდრე კახთა მეფის და დაუთ-ხანის გვერდით (18; 141-142 და 20; 143), რამაც მ. სვანიძეს საშუალება მისცა გამოეთქვა ვარაუდი, რომ იუსუფი [მისი ხსენება ალექსანდრე კახთ ბატონის და დაუთ-ხანის გვერდით, სავარაუდოდ გვაფიქრებინებს, რომ ის ან ერთის, ან მეორის კარზე იმყოფებოდა] იმერეთის მეფის, გიორგი II-ის შვილია (18; 142). ის აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს ალის „ნუსრეთ ნამეზე“, იქ დაცულ ერთ ცნობაზე: – როცა დერბენდიდან მუსტაფა-ლალა-ფაშა უკან ბრუნდებოდა [1578 წლის ნოემბერი] და გორში გაჩერდა, მასთან გამოცხადდა იმერეთის მეფის გიორგის ძმა (უნდა იყოს შვილი – ა.თ.) მამია და სარდალს მორჩილება გამოუცხადა (იქვე; 142). მ. სვანიძე აგრეთვე მ. ბროსეს ცნობის გათვალისწინებით: – რომ იმერეთის მეფეს გიორგის, მეორე (?) ცოლისგან, თამარ შერმაზან დიასამიძის ასულისგან ჰყავდა სამი ვაჟიშვილი; -ალექსანდრე, როსტომი [როსტომი გიორგის უმცროსი ძმის კონსტანტინეს ძეა -ა.თ.] და მამია (21; 642-643) სრულიად მართებულად ასკვნის, რომ მამია გიორგი II-ის შვილია [თუმცა ამას მტკიცება არც უნდა, მამია ერთადერთია ბაგრატიონებს შორის ამ სახელის მატარებელი ამ საუკუნეში და ის ხშირად იხსენიება წყაროებში, როგორც ზემოთ ვნახეთ – ა.თ.] თან მეორე ცოლისგან [აქ ის უბრალოდ ეყრდნობა მ. ბროსეს და ყურადღებას არ ამახვილებს ერთ გარემოებაზე, რაც ისტორიოგრაფიაში მიღებულია და რასაკვირველია, შეცდომაა-ა.თ.], რომელიც მან შეერთო 1578 წლის შემდგომ. [თუ ეს ასეა, მამია როგორ იქნებოდა გიორგი II-ის შვილი, რომელიც იმავე 1578 წლის ნოემბერში გამოცხადდა გორში ლალა-ფაშასთან – ა.თ.] მ. სვანიძე აგრძელებს: – „საფიქრებელია, რომ გიორგი მეფე სწორედ ამ ვაჟიშვილისათვის [მამიასთვის] მოითხოვდა თბილისის გადაცემას [საფიქრებელია მამიას გიორგი II-სთან დაპირისპირება რუსუდან დედოფალს უკავშირდებოდა, ხოლო მისი გარდაცვალების [იმავე 1578წ-

ს) შემდეგ მამა-შვილი „შერიგდნენ“ თუმცა, საეჭვოა, რადგან შერიგება რეალური რომ ყოფილიყო, ის იმერეთის ტახტის მემკვიდრედ უნდა ეცნოთ, მისთვის მსგავსი მოთხოვნა თბილისის გადაცემაზე, ყოველივეს არარეალურად აჩენს, რასაც მამიას შემდგომი ნაბიჯი-გამაჰმადიანებაც ამტკიცებს.-ა.თ.] და ამ მიზნით იგი გაგ ზავნა გორში ლალა-ფაშასთან და მას მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან გიორგი მეფის შვილს არ გადასცა თბილისი [ქართლი] საგამგებლოდ“ (18;142). ჩვენ სვანიძის ეს მოსაზრება სათუოდ გვეჩვენება, გამომდინარე გიორგისა და მამიას ურთიერთობიდან [იხ. ზემოთ], რაც გამორჩენია პათივცემულ პროფესორს. ჩვენი აზრით, მამია თავისი ნება-სურვილით გამოცხადდა ოსმალთა ბანაკში. მუსტაფა-ლალა ფაშამ არა, მაგრამ მისმა მონაცვლემ სინან-ფაშამ 1580 წელს უბოძა მას თბილისის ბეგლარბეგობა [ფაშობა] და ამაზე ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. ნიშანდობლივია ის, რომ 1581 წელს, [მანამდე კი ლიხის მთაზე ლალა-ფაშას მიერ გაგზავნილი ჯარი დაამარცხეს იმერლებმა 1579 წელს (1;410-411, 819). სინან ფაშამ ყვარყვარე IV ათაბაგი მიუგზავნა გიორგი II-ს, „რათა ემტეროს სვიმონ მეფესა და ქართლს“, მან კი „განზრახვითა ათაბაგისათა“ შემოიკრიბა ჯარი და დადიანთან და გურიელთან ერთად დალაშქრა ქართლი – „ვერა სადა ჰპოვნეს ხიზანნი და დანვნეს სრულიად გაღმა-გამოღმისანი. მერმე უკუმოიქცნენ და მოვიდნენ უვნოდ“: – წერს ვახუშტი იმერეთის ცხოვრებაში (იქვე; 819). იგივე ამბავს ოდნავ განსხვავებით გადმოგვცემს ქართლის მეფეთა „ცხოვრება და ქმნულებაში“: – იქ წერია, რომ ეს ლაშქრობა მოხდა „სიტყვითა ფაშისათა“ [ფაშას სახელი არ წერია, თუმცა ჩანს სინან ფაშას გულისხმობს, ლალა მუსტაფა ფაშას შემცვლელს] (იქვე; 413). როდის მოხდა ეს ლაშქრობა, სინან ფაშას მიერ მამიას [გიორგი ბეგის/იუსუფ-ფაშას] ბეგლარბეგად დანიშვნამდე თუ დანიშვნის შემდეგ, ძნელი დასადგენია, ისე, როგორც გაურკვეველია კავშირი მამიას დანიშვნასა და გიორგი II-ის ქართლში ლაშქრობას შორის. ქართლის [თბილისის] ბეგლარბეგმა სინან ფაშამ არ გაუმართლა ოსმალებს ამ თანამდებობაზე და გადააყენეს (18;151), თუმცა ერთი წლის შემდეგ 1582 წელს ახლა უკვე ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშნეს, მუსტაფა-ფაშას [მანუჩარ II ათაბაგი] ნაცვლად. მ.სვანიძე ფიქრობს, რომ ეს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით იყო გამოწ-

ვეული, რადგან ადგილობრივი მოსახლეობისთვის ის უფრო მისაღები იქნებოდა, ვიდრე რომელიმე თურქი მოხელე-„რადგან ამ პერიოდში ოსმალეთის მთავრობა ჯერ კიდევ ვერ ბედავდა ჩილდირის ბეგლარბეგად ტომით თურქი მოხელის დანიშვნას“ (იქვე;153). მასზე ოსმალები დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, მან აქაც ვერ გაამართლა: – „იუსუფ-ფაშამ ვერ შეძლო ვერც მანუჩარის დამარცხება და სამცხეში ოსმალთა ძალაუფლების აღდგენა და ვერც ალლყაშემორტყმული თბილისისთვის დახმარების აღმოჩენა“ (18;154). ამიტომ ის გადააყენეს და ყარსის ბეგლარბეგად დანიშნეს 1583 წელს (იქვე;155). საინტერესოა, იუსუფ-სინან-ფაშა (მამია) ვერ ახერხებდა თუ განზრახ აკეთებდა, თუმცა უუნარო რომ ყოფილიყო, ყარსის ბეგლარბეგად არ დანიშნავდნენ. ამის შემდეგ წყაროებში მასზე ცნობები წყდება. ყოველ შემთხვევაში ის საქართველოში არ გამოჩენილა და არც მამის გარდაცვალების შემდეგ გამოუთქვამს პრეტენზია იმერეთის ტახტზე, რომელიც კანონიერად მას ეკუთვნოდა. მოსალოდნელია, რომ ამ დროს [1585წ.] ის ცოცხალი აღარაა, თორემ ოსმალეთის მთავრობა იმერეთის ტახტზე თავისი პრეტენდენტის დასმის შანსს ხელიდან არ გაუშვებდა, ყოველ შემთხვევაში, ეცდებოდა მაინც, თუმცა ამისათვის მისი მაჰმადიანობა უეჭველად ხელისშემშლელი გარემოება იქნებოდა.

ცაბ. № 1



თამარის შემონაზვნების შემდეგ ვახუშტის ცნობით:–„შემდგომად ამისა მოიყვანა გიორგი მეფემან ცოლად ჩერქეზის ბატონის ასული რუსუდან და იქორწინა მას თანა“ 1563 წელს, ხოლო აქედან ორი წლის თავზე – „უშვა გიორგი მეფესა რუსუდან ძე ბაგრატ“ – 1565 წელს (15; 815). ამ რუსუდანზე და-

ქორწინებიდან ბაგრატ უფლისწულის დაბადებამდე უნდა იყოს გაცემული-„წყალობის წიგნი გიორგი მეფისა კლდიაშვილ-შალი-კაშვილებისადმი“-1563-1564 წწ.[თანაც ამ დოკუმენტის დათარიღება უეჭველს ხდის ბაგრატ III-ის გარდაცვალების და გიორგი III გამეფების თარიღად 1565 წლის მიჩნევის არასწორობას. ამ დოკუმენტში მხოლოდ გიორგი II და რუსუდან დედოფალი იხსენიებიან (22; 192-193). ე.ი. გამოდის, ბაგრატ უფლისწული ჯერ დაბადებული არ ყოფილა, თორემ მისი დაბადებიდან [1565 წ] გარდაცვალებამდე [1578 წ.] ყველგან, ფრესკაზე თუ წარწერებზე სამივე ერთად არიან გამოსახულნი და დასახელებული. მაგალითად, 1. ლატალის თემის სოფელ მაცხვარიშის ეკლესიის მაცხოვრის ხატის წარწერაში: – „ქ.მაცხოვარო ლატალისაო ადიდენ მეფეთმეფე გიორგი, დედოფალთდედოფალი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ, რომელთა შეამკვეს ხატი ესე მაცხოვრისა მულაყისა სადღეგრძელოდ, ცოდვათა მათთა შესანდობლად“ (იქვე;288). სხვათა შორის, გიორგი II-ს მოხსენიება ბალს ზემო სვანეთის ხატების წარწერებზე მიმანიშნებელია იმ გავლენაზე, რაც მაშინ იმერეთის მეფეებს ჰქონიათ ამ მხარეში. ამ დროს, როგორც ჩანს დადიანებს ბალს ზემო სვანეთის ამ ნაწილზე გავლენა დაუკარგავთ XV ს-ის შემდეგ. გიორგი II, რუსუდან დედოფალი და მეფისწული ბაგრატი ერთად გამოსახულნი არიან აგრეთვე გელათის მთავარი ტაძრის ფრესკაზე (17;14 ტაბ.60). ფრესკა, როგორც ჩანს დახატულია 1576 წლის ახლოს, რადგან ბაგრატი საკმაოდ მოზრდილი, 10-12 წლის ასაკის ჩანს [13 წლისა ის გარდაიცვალა]. რაც შეეხება ხატებზე წარწერებს, ის შესრულებული უნდა იყოს 1565 წლიდან 1573 წლამდე, ე.ი. მათი მეორე ვაჟის დაბადებამდე: – „ქორონიკონსა [1573წ] იშვა ძე გიორგი მეფისა რუსუდანისაგან ლევან“ (1;816).

1565 წლიდან დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის დამთავრდა მშვიდობის პერიოდი და დაიწყო არეულობა, რომლის საბაბი გახდა 1564 წ. გარდაცვლილი როსტომ გურიელის ასულის „დაგდება“ ლევან I დადიანის უფროსი ვაჟის მიერ და ბიძისთვის ცოლის წართმევა (იქვე;815). ამას მოჰყვა დაპირისპირება დადიანებსა და გურიელებს შორის, რომელშიც გიორგი II-ც ჩაერთო. შფოთის და ბრძოლის შემდეგ ერთი ხანობა დაზავდნენ. გიორგი II გურიელმა ლევან I-ის ასული და გიორგი დადიანის და შეერთო, როგორც ჩანს


შურისძიების მიზნით და მალე განუტევა „დაადგო“ის და „ემზახლა“ გიორგი II იმერეთის მეფეს „რამეთუ ჰყვანდა მეფესა გიორგის მუსაღია ქურივი და მისცა იგი გიორგი გურიელსა ცოლად და დაიმოყვრნენ ამით“(იქვე). ამ წინადადებაში ნათლად არ ჩანს, ვახუშტი მეფის „ქვრივ დას“ გულისხმობს, თუ „და“ აქ მხოლოდ კავშირის მოვალეობას ასრულებას. ამ შემთხვევაში ორივე შესაძლებლობა არსებობს]. ისტორიკოსთა ნაწილი მას გიორგი II-ის დად მიიჩნევს (1;815 და 23;8), ნაწილი კი არა, რადგან ეს ამბავი სხვაგვარადაა მოცემული ბერი ეგნატაშვილთან: – „ცნა რა ესე გიორგი მჰყრობელმან იმერეთისაგან, ვინაითგან მტერ ექმნეს ურთიერთს დადიანი და გურიელი, ამ გიორგის ჰყვა ერთი ქურივი რძალი და მისცა გურიელსა თვისის ქალის მაგიერად და ესენიცა ...[აქ დედანს უნდა აკლდეს (ს. ყაუხჩიშვილი) მრავალწერილი ივ. ჯავახიშვილისა“] – მაშინ იწყეს შურობად და ლაშქრობად დადიანისა“ (3;361, თუ ვინ არის ქვრივი რძალი, ამაზე ქვემოთ გვამცნობს იგივე წყარო, გიორგი დადიანის [პირით] შემონათვალისა: – „რადგან ჩერქეზის ქალი ერთი თქუენ გყავსო [რუსუდან დედოფალი – ა.თ.] ერთი გურიელსაო [მუსაღია ქვირივი – ა.თ.] მესამე დაი გაუთხოვარი [თამარი – ა.თ.] თქუენ რომ ზრდით, ეგ მე მომეცითო, თუ არა, რით გენდოო“ (იქვე;352). აქედან კარგად ჩანს, მუსაღია ქვრივი გიორგი II-ის ცოლის და ყოფილა და არა და, როგორც ეს ვახუშტის ტექსტიდან გამომდინარე ჰგონიათ [ვახუშტის ტექსტი ასე უნდა გაიმართოს – „რამეთუ ჰყვანდა მეფეს გიორგის მუსაღია ქურივი ცოლის და და მისცა იგი გიორგი გურიელსა ცოლად“. ეს „და“ გიორგი II-ის დად [ბაგრატ III-ის ასულად] რომ მივიჩნიოთ, ტექსტში ორი „და“ „უნდა იყოს ...“მუსაღია ქურივი და და მისცა“...] და ბოლოს, მუსაღია გიორგი მეფის და რომ ყოფილიყო, გიორგი გურიელი ვერ მოიყვანდა ცოლად, რადგან ისინი ამ შემთხვევაში მამიდაშვილ-ბიძაშვილი იქნებოდნენ ერთმანეთისთვის [ბაგრატ III-ის მეუღლე ელენე გიორგი II გურიელის მამიდა იყო]. გიორგი II-ს მოწინააღმდეგეები სახლიკაცებშიც ჰყავდა – ესა იყო მისი ბიძის, ვახტანგის [ძის]ძე ხოსრო ბატონიშვილი, რომელმაც „მოიმწო“ ლევან I დადიანი, თუმცა იანეთთან ბრძოლაში [1568 წ] ხოსრო და მისი მოკავშირეები დამარცხდნენ. ეს ხოსრო ბიძაშვილი იმერთა მეფისა [ვახუშტის მიხედ-

ვით, ბიძაშვილის შვილი, ე. ი ძის ძე] იხსენიება გიორგი მეფის მიერ გელათის საყდრისადმი ბოძებულ შეწირულობათა წიგნში: – როცა ბეჟან ნემსაძემ უღალატა გიორგი მეფეს და იანეთში ყოფნისას თავს დაასხა ხოსრო, რომელიც, როგორც ჩანს, მკაცრად დაუსჯიათ, ხოსროსეული სასახლე ხონში გიორგი მეფეს მიუცია [უწყალობებია] დავით ნულუკიძისათვის (24;371). „ხონს ხოსროსეული სასახლე და გლეხები“ (25;18-19). ამ მამულების ხოსრო ბატონიშვილთან დაკავშირება გამორიცხა ო. სოსელიამ. ის წერს: – „შეიძლება „ხონს ხოსროსოული“ მამული კაცმა შემოხსენებულ ხოსრო ბატონიშვილის მამულად მიიჩნიოს, მაგრამ ასეთი ვარაუდის დაშვება გამორიცხებულია; ჯერ ერთი, იანეთის ბრძოლის დროს, [1568 წ. ?]. იმერეთის სამეფოში საუფლისწულო მამული სამეფო სახლის საერთო მამულიდან ჯერაც არ იყო გამოყოფილი, ე.ი. ხოსრო ბატონიშვილს მამული ცალკე არ ჰქონდა, ხოლო როცა საუფლისწულო გამოყვეს, [1578 წ.] ტერიტორიულად, ის შემო იმერეთზე მოდიოდა“ (26;36 და აგრეთვე 1;820, 222, 206, სქოლიო 22). ო. სოსელიას ეს მსჯელობა დაუსაბუთებელი გვეჩვენება. „ხონის ხოსროსოულში“ უეჭველად ხოსრო ბატონიშვილის მამული იგულისხმება, ხოლო დოკუმენტის მიხედვით, ის გაცემული უნდა იყოს 1570-71 წწ.-ში), რადგან, როგორც ვნახეთ, გიორგი II გამეფდა 1549-50 წწ.-ში. აქედან გამომდინარე, მისი მეფობის „ინდიქტიონსა ოცდამეორესა“ (147;18-19) უდრის 1570-1571 წლებს, [მხოლოდ ამ „ინდიქტიონსა ოცდამეორესა“-ს გათვალისწინება საკმარისია გიორგი II-ის გამეფების თარიღად მიჩნეული – 1565 წ. – უარსაყოფად, რადგან 1585წ. გარდაცვლილი გიორგის მეფობა ინდიქტიონ 22-ს ვერ წვდება]. ე.ი. სიგელი გაცემულია დავით ნულუკიძისადმი იანეთის ბრძოლიდან 2-3 წელიწადში, რაც დამაჯერებელს ხდის ჩვენს მოსაზრებას. ე.ი. ეს „ღალატი“ ხოსრო ბატონიშვილის დასჯით, შემდეგ კი „ხოსროსოული მამულის“ სხვაზე გაცემით დამთავრებულა. იანეთის ბრძოლაში ლევან I დადიანის მომხრედ გამოდის ჭილაძე ვარაზა, [ეს სახელი არა მხოლოდ ჭილაძეთათვის, არამედ მთელს დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის უცხოა, თუმცა შესაძლებელია, ის სამხრეთ საქართველოდან შემოვიდა ამ საგვარეულოში. კერძოდ, შა-

ლიკაშვილ-ოთართა საგვარეულოდან, ქორწინების გზით ისე, როგორც სახელი ჯ ა ვ ა ხ გავრცელდა იმავე ქილაძეებს შორის]. ამიტომ, გამორიცხული არაა ვახუშტის შეცდომა დაეშვა და არასწორად გადმოეცა მისი სახელი. ის შესაძლებელია ვ ა რ ნ ა ო ზ ი / ვ ა რ ნ ა ო ზ ა იყოს, რომელიც დოკუმენტური წყაროებითაა ჩვენთვის ცნობილი.

რაც შეეხება საჭილაო-საჯავახოს საკითხს, ბევრი რამ გასარკვევი და დასადგენია. მიუხედავად იმისა, რომ საჭილაო-საჯავახოს, ქილაძეთა საგვარეულოს ისტორიას მრავალი მეცნიერ-მკვლევარი შეეხო და შეისწავლა [ე.თაყაიშვილი, ო. სოსელია, თ. ბერაძე...] მაინც ბევრი რამ დარჩა გამოსაკვლევ. მაგ. ჯ ა ვ ა ხ ი ს [II თუ III] მიმართება ვ ა რ ა ზ ა ს თ ა ნ თუ ვ ა რ ნ ა ო ზ თ ა ნ და ამათი საერთოდ რ ე ვ ა ზ ა – რ ე ვ ა ზ ი ს თ ა ნ [„რევახისოული“] და რ ო ვ ა ნ ო ზ თ ა ნ (27;8,13,18). ამას მოჰყვა ის, რომ გიორგი II-მ მიიწვია ჯავახ ქილაძე „სახლსა თვისსა“ და „შურისათვის წინათქმულისა [იანეთის ბრძოლის გამო – ა. თ.], რამეთუ მიმდგომიც იყო დადიანისა“ ლალატი მოკლა და „დაიპყრა მამული ჯავახ ქილაძისა მეფემან გიორგი“ (1;816 და 3;361,503), მაგრამ ქილაძის მამულის დაპყრობა არ დაანებეს მას „შეითქუენ“ დადიანი და გურიელი და შუაზე გაიყვეს ქილაძის მამული“ (იქვე). გიორგი II კი შერიგება ამჯობინა. ის დაუმოყვრდა დადიანს. მისი უმცროსი ასული „ცოლად“ მოჰგვარა ტახტის მემკვიდრეს, რვა წლის ბაგრატს. [ამ დროს მამია რომ ყოფილიყო სამეფო კარზე, ალბათ მას შერთავდნენ დადიანის ასულს და არა რვა წლის ბაგრატს]. ეს ის ქალია, რომელიც თავის დროზე გიორგი II გურიელს ჰყავდა „ცოლად“. ცხადია, ისიც არ იქნებოდა ასაკოვანი, მაგრამ მაინც ბაგრატზე გაცილებით უფროსი რომ იყო, უეჭველია. მალე დიდი უბედურება დაატყდა თავს გიორგი II-ს, 1578 წელს გარდაიცვალნენ უფლისწული ბაგრატი [რომელიც 13 წლის თუ იქნებოდა] და დედოფალი რუსუდანი. [სხვათაშორის, იმავე წელს გარდაიცვალა კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე]. მანამდე გიორგიმ დაამარცხა ლალა ფაშას გამოგზავნილი ჯარი [„შეუკრა მთა ლიხისა“]. ამაზე უწინარეს კი მეორე ცოლის და თამარი მიათხოვა გიორგი V დადიანს და დაზავდნენ მეფე-მთავრები, რაზეც ვახუშტი წერს: – „იქმნა ამათ სამთავე [გიორგი II იმერთა მეფე, გიორგი V დადიანი და გიორგი II გურიელი-ა.თ.] შორის მშვიდობა“ (1;817-818).

ცხ. № 2



გიორგის მოღვაწეობის ბოლო წლებზე ის ვიცით, რომ 1583 წელს, ვახუშტის ცნობით: - „შეიპყრა მეფემან გიორგი ძმა თვ'ის კონსტანტინე ძით მისით როსტომით, ვინაჲთგან ლევან ძე გიორგი მეფისა მცირე იყო, რათა არა მძლე ექმნას და მცირე ექნეს მეფობასა, და ჰყო პატიმრად, არამედ მოქმედთა ესე ვითარებათა, გარნა აქუნდათ მშვიდობაცა ჟამად. შემდგომად მოკუდა მეფე გიორგი“ 1585 წელს (იქვე; 819). ლევანი ამ დროს სულ თორმეტიოდე წლის იქნებოდა, რელური რომ იყო გიორგი II-ის შიში, შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, მაგრამ 1583 წ.-ს ძმისა და ძმისშვილის შეპყრობამაც, როგორც ვნახავთ, ვერ უშველა, საბოლოოდ გიორგი II-ის ოჯახისთვის ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდა, როცა მის ვაჟს ლევან იმერეთის მეფესა და მამია II დადიანს შორის მოყვრობა [მას ცოლად ჰყავდა დადიანის და მარეხი] მტრობით დასრულდა 1591 წლის 15 მაისს ქუთაისთან მომხდარ ბრძოლაში ოდიშის მთავარს ტყვედ ჩაუვარდა. ტყვეობაში მყოფი 1592 წელს გარდაიცვალა შხეფის ციხის დილეგში, 19 წლის ასაკში და მასზე შეწყდა გიორგი II-ის შთამომავალთა ისტორია.

ლიტერატურა

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

3. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
4. ჟორდანია თ., *ქრონიკები*, წიგნი II, ტფ. 1897.
5. ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია*, ტ. IV, თბ., 1967.
6. კაკაბაძე ს., *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*, წიგნი I, ტფ., 1921.
7. სანებლიძე ო., *ისტორიულ პირთა გამოსახულებები XVI-XVII სს. ქართულ ოქრომჭედლობაში*, საქ.სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების „მომამბე“, 3, 1962.
8. Горгиджанидзе Парсадан, *История Грузии*, Перевод П.К. Кикнадзе и В. С. Путуридзе Тб., 1990.
9. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით, გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966.
10. *ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით, გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო დ. კაციტაძემ, თბ., 1969.
11. *თურქული წყაროები XVI ს-ის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის*, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983.
12. *თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებელი დაურთო დ. კლდიაშვილმა. თბ., 1986.
13. მეტრეველი ელ., *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის*, თბ., 1962.
14. შარაშიძე ქ., *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVII სს)* თბ., 1961.
15. საყვარელიძე თ., *XIV—XIX სს ქართული ოქრომჭედლობა*, ნაკვეთი I, XIV-XVI სს., თბ., 1987.

16. თაყაიშვილი ე., *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*, ენ, 2, თბ., 1991

17. გელათი, არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები, ფოტოალბომი., თბ., 1982.

18. სვანიძე მ., *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს*, თბ., 1971.

19. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964.

20. Don Juan of Persia, *Relaciones*, trad, of espanol, London, 1926.

21. Broset M., *Histoire de la Georgie depuis I, antiquite jusqua XIX siècle*, II partie. Tre livraison, edition, IX, S.P.B., 1856.

22. *ქართული სამართლის ძეგლები, II, X-XIX სს.*, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1965.

23. ტულუში აბ., *სამეგრელოს სამთავროს ისტორია*, ზუგდიდი, 1999.

24. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, *XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით*, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, მ. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991.

25. *ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა [1466-1770]*, წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958.

26. ო. სოსელია, *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)*, II, თბ., 1981.

27. თაყაიშვილი ე., *არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი*, წიგნი, II, ტფ., 1914.

არტანუჯის ეტიმოლოგია – ისტორიისათვის

ანოტაცია: სტატიაში გამოთქმულია ახლებური თვალსაზრისი არტანუჯის ციხის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: არტაანი, ტაო-კლარჯეთი, ზანიზმები გურულ-აჭარულ-იმერულში.

Revaz Sherozia

THE ETYMOLOGY AND HISTORY OF ARTANUJI CASTLE

Annotation : The article presents a new look about etymology of Artanuji castle's name.

Key words: Artaani, Tao-klarjeti, Zanisms in Gurua-adchara-Imereti dialects.

1. „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტების მიხედვით ქუჯი-ფარნავაზის დროიდან მოკიდებული საქართველო (იგივე კოლხეთი, იგივე ზემო და ქვემო იბერია) ერთი მთლიანი სახელმწიფო იყო. მიუხედავად დროდადრო შიდა სამეფო-სამთავროებად დანაწევრებისა, ენობრივ-კულტურული და ეროვნულ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ქვეყანა განუყოფელი, ერთიანი იყო.

მემატყიანეთა მონათხრობიდან აშკარად იკვეთება, რომ არაბობის დროს (და არამარტო) საქართველოს გადამრჩენი წამყვანი ძალა დასავლეთ საქართველო იყო, „რამეთუ კრძალულ იყო ქვეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთაასა“ (იოანე საბანისძე). არაერთი შემთხვევა შეიძლება გავიხსენოთ, როცა აღმოსავლელი მეფე-მთავრები დასავლეთს აფარებდნენ თავს. ეგრის-აფხაზეთის წინამძღოლები კი, თავის მხრივ, აქტიურად ებრძოდნენ მტერს საქართველოს ყველა კუთხეში.

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიგრაციული პროცესი, აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში მოსახლეობის გადასვლა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, ინტენსიური უნდა ყოფილიყო. ამავე პროცესს უნდა ჰქონოდა ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთში, შავშეთ-ტაო-კლარჯეთში, არტაანში, სადაც შედარებით უსაფრთხო საცხოვრის იპოვიდნენ სამცხე-ჯავახელები.

ბაგრატიონთა სამკვიდრო ტაო-კლარჯეთში, ბუნებრივია, მემატიანეთა ყურადღების ცენტრშია. თუმცა, ისინი თითქმის არაფერს ამბობენ ლაზეთზე, რომელიც ამავე რეგიონშია. XIII საუკუნემდე იგი ეგრის-აფხაზეთის ნაწილია. იოანე საბანისძეს ეს ნათლად აქვს მითითებული: „საზღვარ მათდა არს ზღვაა იგი პონტოროსაა, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტეანეთა, მისაზღვრამდე ქალდიაასა. ტრაპეზუნტი მუნ არს...“ სავარაუდოა, რომ დასავლეთ საქართველო, ეგრის-აფხაზეთი მოიცავდა არამარტო ლაზეთს ტრაპიზონის ჩათვლით, არამედ მიმდებარე ტერიტორიებსაც. სპერი, ტაო-კლარჯეთი, არტაანი ჩვენი მემატიანეების თვალსაწიერის მიღმა დროში ზანური მოსახლეობის საცხოვრისი უნდა ყოფილიყო. შეთხვევითი არ ჩანს, რომ ანდრია მოციქული ეგრისიდან „წავიდა გზასა კლარჯეთისა.“

2. **არტაანი** (არტანი), **არტანუჯი** „ქართლის ცხოვრებაში“ ხშირად სახელდება. ჯუანშერის მიხედვით არტანუჯის ციხე ვახტანგ გორგასლის ბრძანებით ააგეს. შემდეგ აშოტ კურაპალატმა არაბთაგან დანგრეული ციხე გაანახლა და „ალაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა კერძო მისსა ქუეშეთ ალაშენა ქალაქი.“

არტაანი ტაოს, კლარჯეთის, შავშეთისა და სპერ-ლაზეთის შუაშია მოქცეული. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სახელდების გამომწვევი ადგილ-მდებარეობა იყოს. ასეთ შემთხვევაში ძირად **რტ** უნდა მივიჩნიოთ, რომელიც **რთ**-სგან მოდის. ეს უკანასკნელი ქართველურ სისტემაში საკმაოდ პროდუქტიულია. იგი შეერთების გარდა (ხერთვისი) საპირისპირო მნიშვნელობასაც ითავსებს ისევე, როგორც **ყარ** ძირი (შეყრა//გაყრა). ზანურ მეტყველებაში **რთ**- ძირს სამი მნიშვნელობა უდასტურდება:

1. შერევა-შეერთება – **ართუ**, რომლისგანაც წარმოებულად მიმაჩნია **ქართი** (თბილისი) და შემდეგ **ქართლი**;

2. გაყრა-გაყოფა, **შარა-ორთუ** გზაგასაყარი;

3. ლაზურ მეტყველებაში შემორჩენილია ორთაანი **ორთანჯა** ფორმა, რომელიც შუა-შუათანა, საშუალოს აღნიშნავს. იმავე ლაზურში **ხოფა**-ს გვერდით გვაქვს **ორთა-ხოფა**. თუ ამ მასალის გავითვალისწინებთ, შეიძლება დავუშვათ, რომ **არტაანის** ამოსავალი ფორმა **ორთაანი** უნდა ყოფილიყო. მდებარეობის მიხედვით შესაძლებელია **შუა** მნიშვნელობაც ვიგულისხმოთ და **გასაყარიც**. **არტანუჯი** იმავე ძირს შეიცავს, რასაც **არტაანი**. სხვაობას **უჯ** დანართი ქმნის, რომელიც სავარაუდოდ **ჟ** და **ჯ**

ელემენტებად დაიშლება. შესაძარებლად შეიძლება ტოპონიმი
თბუჯის მოხმობაც.

აღნიშნულ რეგიონში არტაანი, არტანუჯი განმარტოებით
არ დგას. „ქართლის ცხოვრებაში კლარჯეთის გვერდით გვხ-
ვდება კლარჯი (ისევე, როგორც კახეთი-კახი, ეგრისი-ეგრი
და სხვა). ყურადღებას იქცევს არტაანის განაპირას სოფელი
ნორგოღეთი. აღარაფერს ვამბობ ბორჩხა, ფოცხოვი ტიპის ტო-
პონიმებზე (შდრ.: ფოცხო (ენერი) ნალენჯისის რაიონში), ძიქუა
(ახალქალაქი), აწყური, ჩიხორიში, ხვილიში (ასპინძა).

სპეციალისტებისათვის ცნობილია ზანიზმები გურულ-აჭა-
რულ-იმერულში. ტაო-კლარჯული მეტყველების შესწავლა ამ
კუთხით საინტერესო იქნება.

დროის “მექანიზაცია” და თომას კარლაილი

ანოტაცია: ინგლისელი ისტორიკოსის, პუბლიცისტისა და ფილოსოფოსის თომას კარლაილის (1795-1881) კალამს ეკუთვნის არაერთი პირველხარისხოვანი ნაწარმოები, მაგრამ მკვლევრები უპირველესად ასახელებენ კრიტიკულ ესეებს და მათ შორის „დროის ნიშნებს“, რომელშიც მწერალი ცდილობს მკითხველში გამოიწვიოს საზოგადოებრივი აქტივობა. იგი აღწერს ვიქტორიანულ ეპოქას, აცოცხლებს წარსულის ინტელექტუალურ გმირებს, უპირისპირდება ანმყოში არსებულ მექანიზაციას, მოჰყავს უფრო მეტი არგუმენტები სრული აღწერილობისათვის, რათა მკითხველთან დაამყაროს კავშირი და უფრო ადვილად გასაგები გახადოს „მექანიკის“ მნიშვნელობა, ანუ ხაზი გაუსვას იმდროინდელი საზოგადოების მექანიკურ ბუნებას, ვინაიდან სწორედ ასეთი „მექანიზმები“ ხდება თითოეული ადამიანის მიზანი. ესე დაიბეჭდა 1829 წელს ჟურნალ „ედინბურგის რევიუში“ და უნდა ყოფილიყო სამი წიგნის რეცენზია, მაგრამ გასცდა კონკრეტულ მიზანს და წარმოადგინა, თუ როგორ კნინდება გადაგვარებული საზოგადოების თვალში ის, რაც ფასეულია და ემოციური.

ამოსავალი სიტყვები: თომას კარლაილის ესეები, „დროის ნიშნები“, „მექანიზაციის“ პრობლემა, ჟურნალი „ედინბურგის რევიუ“

Lali chitanava

TIME „MECHANIZATION“ AND THOMAS CARLYLE

Annotation: English historian, publicist and philosopher Thomas Carlyles (1795-1881) created a lot of valuable works, but researchers mark out his critical Essays and among them “Signs of Time” is the best. In this work the writer tries to make the reader active. He describes Victorian period, uses intellectual heroes of the past and is against Mechanisation of the present. He gives many arguments for perfect description in order to maintain a contact with a reader and to make it clear for the reader the meaning of Mechanism. So, he wants to emphasise mechanical nature of the society of that time, as these mechanisms become the target for every human. The Essay was written in 1829 in a journal Edinburgh Review and there should have been three book reviews, but he went far more beyond his particular aim and presented increasing the admiration of technical and mechanical things and regarded it as a decay of society.

The starting words: Thomas Carlyles Essays, “Signs of Time”, “mechanization” problem, Journal of “Edinburgh Review”

ინგლისელი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი ტომას კარლაილი (1795-1881) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ბრიტანულ ლიტერატურულ საზოგადოებაში, შოტლანდიური წარმოშობის თომასი იზრდებოდა მკაცრ კალვინისტურ ოჯახში, თუმცა არ ისურვა სასულიერო კარიერა და 14 წლის ასაკში ჩააბარა ედინბურგის უნივერსიტეტში. შემდგომ წავიდა მათემატიკის მასწავლებლად ერთ-ერთ პროვინციაში, მაგრამ მალე ისევ ედინბურგში დაბრუნდა და ცხოვრება გააგრძელა ლიტერატურული საქმიანობით მიღებული შემოსავლებით. ის ასევე აქტიურად ეცნობოდა იურისპრუდენციას და ემზადებოდა გამხდარიყო ადვოკატი, თუმცა ეს საქმეც მალე მიატოვა, დაინტერესდა გერმანული ლიტერატურით და თარგმნა გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი“ (1924), „შილერის ცხოვრება“ (1825), ამას მოყვა არა ერთი პირველხარისხოვანი ნაწარმოები, მაგრამ მკვლევრები უპირატესად ასახელებენ კრიტიკულ ესეებს და მათ შორის „დროის ნიშნებს“, რომელშიც მწერალი ცდილობს გამოიწვიოს საზოგადოებრივი აქტივობა.

თომას კარლაილს თვლიდნენ ვიქტორიანული ეპოქის ერთ-ერთ ბრწყინვალე ლიტერატურულ სტილისტად, რომელმაც აღწერა აღნიშნული ეპოქის ინგლისი, გაცოცხლა წარსულის ინტელექტუალური გმირები და დაუპირისპირდება ანმყოში არსებულ „მექანიზაციას“. ამხილა არსებული სიტუაციის მანკიერი წყლულები, თუმცა თანამედროვეობის კრიტიკა რომანტიკულ სამოსში მოაქცია. გააიდებლა შუა საუკუნეები და შექმნა კულტი დიდი ადამიანებისა, რომლებიც ისტორიას წინ ეწევიან. (საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1985: 367-368). მიუხედავად იმისა, რომ ის ისტორიულ ნაშრომებს დიდი მონივნებითა და რუდუნებით ქმნიდა, გამოდიოდა საჯარო ლექციებით, აკეთებდა პოლიტიკურ განცხადებებს, ამას ხელი არ შეუშლია დიდი ესესისტი გამხდარიყო და მკითხველი საზოგადოებისთვის წარედგინა მნიშვნელოვანი კრიტიკული შეხედულებები გარკვეულ საკითხებზე. ამ მხრივ გამოირჩევა „დროის ნიშნები“, სადაც მწერალი ცდილობს მკითხველი საზოგადოებრივად გააქტიუროს და როგორც აღვნიშნეთ, დაუპირისპირდეს ანმყოში არსებულ მექანიზაციას, მოჰყავს უფრო მეტი არგუმენტები სრული აღწერილობისთვის, რათა მკითხველთან დაამყაროს კავშირი და უფრო ადვილად გასაგები გახადოს „მექანიკის“ მნიშვნელობა, ანუ ხაზი გაუსვას იმდროინდელი საზოგადოების მექანიკურ ბუნებას, ვინაიდან სწორედ ასეთი „მექანიზმები“ ხდება თითოეული

ადამიანის მიზანი. ესე დაიბეჭდა ჟურნალ „ედინბურგ რევიუში“ 1829 წელს და თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სამი წიგნის რეცენზია, მაგრამ გასცდა კონკრეტულ მიზანს და მკითხველ საზოგადოებას აჩვენა, თუ როგორ იზრდება მატერიალურისა და ტექნიკურის თავყვანისცემა და როგორ კნინდება გადაგვარებული საზოგადოების თვალში ის, რაც ფასეულია და ემოციური (საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1985: 368).

ესევეში მწერალი არაერთხელ აკრიტიკებს ინტელექტუალური წნეხის ქვეშ მოქცეულ საზოგადოებას. მისი აზრით, „მექანიზაციის ხანა“ არის გაზვიადებული და ფერწასული, ამიტომაც აღწერს იმ სამყაროს და არღვევს ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებას და აშკარაა, რომ ამ პრობლემას უფრო ღრმა ფესვები აქვს, კერძოდ, ნოსტალგიურ წარსულში. ამიტომაც თომას კარლაილი ვიქტორიანულ ეპოქას „მექანიკურ საუკუნეს“ უწოდებს, საუკუნეს სადაც არაფერი კეთდება ხელით, უმარტივესი ოპერაციის შესასრულებლად კი მზად არის მოხერხებული აპარატურა. „...დაძაბული შრომის ძველი ჩვეულება მივიწყებულია, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ, თუ როგორ უთმობს გზას ცოცხალი ხელოსანი უსულგულო მანქანას... ოსტატიც გამოჩნდა ორთქლის ძალით რომ ჩეკავს ნიწილებს, კრუხიც კი აღარ გეჭირდება. მთებს ვარღვევთ და ზღვებს ვუშვებთ გადასწორებულ მთაგრეხილებზე, წინ ვერაფერი გადაგვიდგება“ (ესეები 1989: :120-159). ავტორი ხშირად მიმართავს ჰიპერბოლას და განმეორებას, რათა გადმოგვცეს სპეციფიკური აზრები. ესე საკვება ენერგიითა და ცეცხლით, რომელიც განიცდის ესკალაციას, რათა რიტმთან შესაბამისობაში მოვიდეს, დაუსრულებლად მოჰყავს მაგალითები, რომ განამტკიცოს შეხედულება მექანიზაციაზე. რომ უდიდესი მასწავლებლის შეცვლა ბეჭდვით ინვევს უსულო საგნის გაპიროვნებას. კარლაილი დაუღალავად გვაძლევს იმ სფეროების ჩამონათვალს, სადაც მექანიზაციის ხელი ურევია, ამიტომ ინტელექტუალური გარემო ნაცვლად ემოციისა და დახვეწილი გონებისა, დამოკიდებულია მანქანაზე და რკინაზე (საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1985: 367-368).

თომას კარლაილის ენა არის ბელეტრისტიკული ჟანრის, რაც წარმოადგენს ვიქტორიანული ხანის კრიტიკას. მისი ლექსიკა მთლიანად დატვირთულია მორალით. თითოეული აზრაც შეიცავს ვნებიან განხილვას. მას თანაბრად შეეძლო მკითხველისათვის გადმოეცა შემთხვევის მნიშვნელობა და გამოცდილება. მიაჩნდა, რომ მთავარი დავალება ჰქონდა შესასრულებელი, რაც გამოიხა-

ტება „საკაცობრიო წინასიტყვაობაში“. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ კარლაილის სტილი ლიტერატურული სიბრძნის განვითარებაა. „...ხილული, გამჭვირვალე დღეები დასრულდა, მექანიზაციის სწრაფმა გამოჩენამ წარმოშვა მექანიკური გონება, რომელიც ყველაფერს კურნავს და მან შეიძლება დასცეს, გადათელოს ერთეულები...“ (ესეები:1989; 120-159). პოეზია, რომელიც არის გენიოსების შემოქმედება და ნებისმიერ ეპოქაში შთაგონებულია მაღალი მატერიებით, მექანიზაციის ფონზე იქცა იდუმალად და მიუწვდომლად. არსებობს „გემოვნების თეორია“, რომელიც სიბრძნისა და სილამაზის ღრმა, განუსაზღვრელი სიყვარულია.

„დროის ნიშნებში“ კარლაილი მიუთითებს მექანიზაციის გავლენაზე არა მარტო კულტურაში, არამედ განათლებაში, ხელოვნებაში, რელიგიაში. არაერთხელ აღნიშნავს თუ როგორ ათავისუფლებს „მექანიკა“ ადამიანს სულიერებიგან და საკუთარი თავის რწმენისგან, რაც დღესაც აქტუალურია, ვინაიდან ტექნიკა და მექანიზაცია ისე პროგრესული არასდროს არ ყოფილა როგორც ახლა, XXI საუკუნეში, და მართლაც, სამართლიანად აგონებს მწერალს მექანიზაციის მიერ მსოფლიოს დაპყრობა ბაბილონის გოდლის აშენების პროცესს, როდესაც ნოეს მიმდევრები ცდილობდნენ აეშენებინათ კოშკი, ღმერთმა კი დასჯის მიზნით შექმნა ენობრივი ბარიერი მშენებელთა შორის, რათა კომუნიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონოდათ და ამით ქაოსი შემოეტანათ. ეს გვაუწყებდა საყოველთაო განადგურებას, ისევე როგორც მექანიზაცია გვანიშნებს სულიერ სიცარიელეს. ეს კი თამამად შეიძლება ჩაითვალოს კარლაილის გაფრთხილებად მომავლისათვის, ვინაიდან არაერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ „მექანიკურ ხანაში“ ინგლისურმა საზოგადოებამ დაკარგა ხედვა და სულიერება. ის მიმართულია განსაზღვრული რეალობისკენ, კერძოდ ფულისკენ და სოციალური ორგანიზაციისაკენ. მწერალი დაჟინებით მოითხოვს საზოგადოების შეტრიალებას წარსულისაკენ, ბუნებრივი გზით დააბალანსოს ტექნოლოგიური აზროვნება (საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1979: 203-206).

თომას კარლაილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დინამიური აზროვნება არის პოზიტიური და მექანიკური აზროვნების ორეული, რომელიც ძალიან ენატრება საზოგადოებას. ყოველდღიურ ინგლისურ ცხოვრებაში დინამიზმი ნაკლებად იგრძნობა. მისთვის მექანიკის გაცნობა არის საზოგადოების მანქანა, რომელმაც გარდაქმნა საზოგადოების კოლექტიური იდეოლოგია და გაშიფრა დრო. „მე-

ქანიკის“ შეყვარება ჭკვიანსაც და სულელსაც თანაბრად აჯიბრებს ერთმანეთთან და იმორჩილებს მათ. ადამიანის ბუნებრიობა ნელ-ნელა ქრება, რადგან ის გადაჩვეულია ხელით მუშაობას. მწერალი კი მკითხველს ურჩევს შრომას, რადგან მანქანაზე დამოკიდებულები თავს იტყუებენ, საზოგადოება კი ფუქსავატია, ვინაიდან ბუნებრივი იდეები არ გააჩნია. ის სთხოვს ადამიანებს აღიდგინონ საკუთარი თავისადმი რწმენა, რამეთუ ხილვადია მხოლოდ ხელით გაკეთებული სამუშაო, თუმცა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ ადამიანებს არ გააჩნიათ სურვილი ბუნებრივად აკეთონ საქმე. თომას კარლაილის სიტყვებით, „...ჩვენ ვებრძვით მკაცრ ბუნებას, რაღაც მანქანების წყალობით ადამიანის ფიზიკური ძალა ამით დიდ მოგებას ხედავს. მასებში თანდათან ვითარდება მექანიკური სული. მანქანა არა მარტო გარეგნობაზე და ფიზიკურობაზე ახდენს გავლენას, არამედ სულიერებაზეც“ (ესეები:1989, 120-159). ამ სიტყვებით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მცხოვრებმა მწერალმა თითქოს იწინასწარმეტყველა თანამედროვე, XXI საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და ხაზი გაუსვა იმას, თუ როგორ არასასურველ შედეგამდე მივყავართ დღეს „ტექნიკურ აქსესუარებზე“ დამოკიდებულებას. საზოგადოება მართლაც შორსაა ფიზიკური შრომისგან, ხალხი მექანიკურ აზროვნებას ეჩვევა, რაც გარკვეულწილად დეგრადაციის სანინდარია, ვინაიდან ის ვერ შეიგრძნობს ადამიანის შინაგან სამყაროს, მის ხასიათს, სულს, გრძნობებს თუ მას თვალეში არ ჩახედვ, რასაც ვიდეოთვალის ნამდვილად ვერ გააკეთებს, რადგან ბევრია ისეთი რამ, რასაც ვერანაირი „მექანიკა“ ვერ შეცვლის, ამიტომაც საჭიროა ზღვარი, ვინაიდან მარტო არც „მექანიკურობა“ ვარგა და არც „დინამიურობა“, ორივე უნდა არსებობდეს და მათ თავსებადობას ადამიანი უნდა არეგულირებდეს.

ლიტერატურა

ესეები, 1989: *ესეები, თბილისი.*

ვებსტერი: *ვებსტერის ინტერნეტ ენციკლოპედია, ინგლისელი მწერლები.*, en.wikipedia.org/wiki/thomas-carlyle

ვებსტერი: *ვებსტერის ინტერნეტ ენციკლოპედია, ვიქტორიანული ეპოქის მწერლები*, www.victorianweb.org

საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1985: *ინგლისური ლიტერატურა, თბ.*

საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 1979: *ინგლისური ლიტერატურა, მოს., (რუს. ენაზე).*

გელა სვირავა, გიორგი სვირავა

ადამიანური რესურსების პერსპექტივაები საქართველოში ბრძელვადიან პერიოდში

ანოტაცია: გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის ცვლილებები ქვეყნის და ცალკეული რეგიონების მიხედვით; შემუშავებულია ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, გაანალიზებულია საქართველოს მოქალაქეობის მიმღები და ბინადრობის ნებართვის მქონე პირების რაოდენობრივი მდგომარეობა ქვეყნების მიხედვით; ბუნებრივი მატება და ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ქვეყნისა და რეგიონების დონეზე შესწავლილი. კვლევის საფუძველზე გაკეთებულია საქართველოს მოსახლეობის და ადამიანური რესურსების (სამუშაო ძალის) რაოდენობრივი პროგნოზი 2025-2100 წლისთვის. ამასთან ერთად, აღნიშნულია, რომ ადამიანური რესურსების გადინების, შემცირებისა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების გაზრდისათვის აუცილებელია მთლიანად გადაიხედოს ეკონომიკური პოლიტიკა და მასთან ერთად მოხდეს განათლების სისტემის რეფორმირება იმდაგვარად, რომ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სპეციალიზაციების განვითარებას და კვლევების ხარჯების ზრდას მშპ მინიმუმ 1,5 პროცენტის ფარგლებში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია რეგიონებში მოხდეს მსხვილი პროექტების განხორციელება, მაგალითად, როგორცაა „ანაკლიის პორტი“. ასეთი პროექტების არგანხორციელების შემთხვევაში კონკრეტულად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობა უახლოეს 45 წლის განმავლობაში შემცირდება 50 პროცენტით. მსგავსი მდგომარეობა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

ამოსავალი სიტყვები: ადამიანური რესურსები, ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, მიგრაციული სალდო, მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა, ადამიანური რესურსების (სამუშაო ძალა) პროგნოზი, საქართველოს მოსახლეობის პროგნოზი.

Gela Svirava, Giorgi Svirava

LONG-TERM PERSPECTIVES OF HUMAN RESOURCES IN GEORGIA

Annotation: we have analyzed Georgia's population by country and by

region, developed calculation methodology of occupied region's population, analyzed quantitative condition of Georgia's citizenship receiving persons and those with residency permit, natural increase and Natural increase coefficient are studied on the level of country and region. Based on research we made Georgia's population and human resource (work force) quantitative forecast for 2025-2100 years. Also, it is mentioned, that for human resource drain, decrease and natural population growth it is important for economical politics to be completely revised and with that, happen the reforming of educational system in a way, that the development of technology-generating specializations and increase of research costs within at least 1.5 percent of GDP to be fully supported. Also, it is important to implement large projects in the regions, such as, for example „Anaklia Port“. The Non-implementation of this kind of project specifically in region of Samegrelo-Zemo Svaneti will decrease the population in nearest 45 years by 50 percent. The situation is similar in almost all regions of Georgia.

Key words: *human resources, calculation methodology of occupied regions' population, natural increase coefficient, Migration balance, Economic activity of the population, human resource (work force) forecast, Georgia's population forecast.*

ტექნოლოგიების ეპოქაში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ბიზნესის განვითარებაზე. ამ უკანასკნელის უზრუნველსაყოფად კი მიმზიდველ ბიზნეს გარემოსთან ერთად აუცილებელია სამუშაო ძალა, რომელიც აკმაყოფილებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ კრიტერიუმებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მოლექულური ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში კიდევ უფრო მძაფრდება მაღალკონკურენტული სამუშაო ძალის გავლენა ბიზნესის და საერთოდ ეკონომიკის სწრაფ განვითარებაზე.

ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას, ეს არის დემოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებებით, რბილად რომ ვთქვათ, მეტად დამაფიქრებელია. 1989 წლის აღწერის მონაცემით ქვეყნის მოსახლეობა შეადგენდა 5,4 მლნ. კაცს. ხოლო ბოლო, 2014 წლის აღწერის მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 3,7 მლნ. კაცი (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გამოკლე-

ბით). ხოლო თუ გავითვალისწინებთ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღწერის შედეგებს 2018 წლისათვის საქართველოს მოსახლეობამ შეადგინა 4,0 მლნ. კაცი (აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე სხვადასხვა ექსპერტის თქმით, დეფაქტო აღწერის შედეგები არ არის ახლოს რეალურ რაოდენობასთან).

საქართველოს მოსახლეობა ოკუპირებული რეგიონების ჩათვლით 1989-2018 წლების პერიოდში შემცირდა 1415959 კაცით, ანუ 26.0%-ით.

1989-2018 წლებში შემცირების ტენდენცია დამახასიათებელი იყო საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობისათვის: პროცენტულად ყველაზე ნაკლები შემცირებით ხასიათდება ქ. თბილისის მოსახლეობა. 30 წლის მანძილზე მოსახლეობა შემცირდა 8,3 %, ანუ 105 ათასით. შემცირების შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია დევნილი მოსახლეობის კონცენტრაციით და შიდა მიგრაციით სხვა რეგიონებიდან. ქალაქ თბილისის შემდეგ პროცენტულად ყველაზე ნაკლებად შემცირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 11,8% ანუ 46 ათასით, აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი მცირე პროცენტული და რაოდენობრივი შემცირება განპირობებულია ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის განვითარებით და საერთო მიმზიდველობის გაზრდით, რის გამოც დიდი რაოდენობით მოხდა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური მიგრანტების რაოდენობის ზრდა.

ადგილობრივი მოსახლეობის პროცენტულად შემცირების კუთხით პირველ ადგილზეა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი. აქ მოსახლეობა შემცირდა 47,7 პროცენტით ანუ 27,5 ათასით. მეორე ადგილზე ამ კუთხით, [თუ გავითვალისწინებთ დევნილი მოსახლეობის რაოდენობას 45 ათასი კაცი], არის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, რომლის მოსახლეობა შემცირდა 150 ათასი კაცით ანუ 35,2%. ხოლო დევნილები მოსახლეობის გათვალისწინების გარეშე რეგიონის მოსახლეობა შემცირდა 105 ათასით ანუ 24,6%. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ყველაზე მეტად შემცირდა იმერეთის რეგიონის მოსახლეობა 265 ათასით ანუ 34,3%, შემდეგი ადგილი პროცენტულად მოსახლეობის შემცირების კუთხით მოდის სამცხე-ჯავახეთი 34,7% ანუ 83 ათასი კაცით. პროცენტულად მო-

სახლეობის შემცირების მხრივ შემდგომ ადგილზეა გურიის რეგიონი. აქ მოსახლეობა შემცირდა 30,3 % ანუ 48 ათასი კაცით. ქვემო ქართლის მოსახლეობა შემცირდა 29,5 % ანუ 180 ათასი კაცით. კახეთის მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 28,8 % ანუ 127 ათასით. მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობა შემცირდა 23,1% ანუ 28 ათასით. ხოლო შიდა ქართლის მოსახლეობა შემცირდა 19,6 % ანუ 63,1 ათასით აქვე უნდა ითქვას, რომ დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია სამაჩაბლოდან დევნილების დიდი რაოდენობით.

რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას, აქ ჩვენ გათვლა გავაკეთეთ როგორც დეფაქტო ხელისუფლების სტატისტიკის სამსახურის მონაცემების გამოყენებით, ასევე ჩვენ მიერ შემუშავებული მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშების მეთოდის მიხედვით. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა შემცირდა აფხაზეთის სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით 292 ათასით ანუ 54,5%, ხოლო ჩვენი მეთოდოლოგიის შესაბამისად, გაანგარიშებული მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე შემცირდა 350 ათასით ანუ 65,4%.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის რიცხოვნების დასადგენად გამოვიყენეთ მეთოდოლოგია, რომლის ამოსავალი პუნქტი არის მოსწავლეთა რაოდენობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. თუ ეს მაჩვენებელი სწორია, ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობა ძალზე ახლოს იქნება რეალურ რაოდენობასთან. ამასთან, ეს მეთოდოლოგია საშუალებას გვაძლევს დავიანგარიშოთ ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მოსწავლეთა რაოდენობას ვყოფთ საქართველოს მოსწავლეთა საერთო რაოდენობას გამოკლებულ საქართველოში მოსწავლეთა საშუალოშენიშნული რაოდენობა ერთ კლასზე, გაყოფილი საქართველოს მოსახლეობაზე. ეს ფორმულა ასე გამოიყურება:

$$K = X / [(Z - L) / M]$$

K – ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობა გაანგარიშება მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.

X – ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსწავლეთა საერთო რაოდენობა.

Z – საქართველოში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა.

L – საქართველოში მოსწავლეთა საშუალოშენიშნული რაოდენობა ერთი კლასზე.

M – საქართველოს მთლიანი მოსახლეობა.

აფხაზური ვებპორტალი „sputnik“-ის მონაცემებით მოსწავლეთა რაოდენობა აფხაზეთში შეადგენდა 26 611 მოსწავლეს. აქედან აფხაზები არის – 14 234 მოსწავლე, ქართველი – 4 743, სომეხი – 4 548, რუსი – 2 097, ბერძენი – 119, სხვა ეროვნებები – 879, [2]. ამ მონაცემის მიხედვით ზემოთ აღნიშნული ფორმულით თუ გავიანგარიშებთ აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს არა 243 936 [10], არამედ 185 268 კაცს. ამ მეთოდის მიხედვით სომეხი მოქალაქეები შეადგენს 31 663 კაცს ანუ 17,1%; აფხაზები 99 098 კაცს ანუ 53,5%; ქართველები 33 021 კაცს ანუ 17,8 %, რუსები 14 599 კაცს ანუ 7,9%. ბერძენი 828 კაცი ანუ 0,4%, სხვა ეროვნების მოსახლეობა 6119 კაცი ანუ 3,3%;

ქართველი მოსახლეობის გაანგარიშებებში დეფაქტო აფხაზეთის ოფიციალური სტატისტიკა ხშირად იყენებს ქართული მოსახლეობის ქართველებად და მეგრელებად გაყოფის მანიპულაციებს, რაც მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, ქართველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას და მეორე მხრივ, არის ნოყიერი ნიადაგი აფხაზ ეროვნებად გადაყვანისთვის სხვადასხვა მოტივით და ამით აფხაზების ხვედრითი წილის ხელოვნურად გაზრდის უზრუნველყოფა. თუმცა, აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველი მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში მიღებული არის, რომ ოჯახის უფროსი წევრები რჩებიან ოჯახში, ხოლო ახალგაზრდები გადმოდიან ქართველი მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ამ შემთხვევაში ქართველების რაოდენობას ამ ლოგიკით უნდა დაემატოს რამდენიმე ათასი. თუმცა, ამის ზუსტად დადგენა ამ ფორმულით შეუძლებელია. ამასთან, ახალგაზრდების მასობრივ გადინებას ხელს უწყობს ის აუტანელი სიტუაცია, რომელიც შექმნილია ქართველებისათვის ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება სამაჩაბლოს მოსახლეობას, ოკუპირებული ტერიტორიის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შეადგენს 53,6 ათას კაცს [4].

ჩვენი მეთოდოლოგიის მიხედვით გაანგარიშებული სამა-

ჩაბლოს მოსახლეობის რაოდენობის დადგენა ეყრდნობა საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „Южная Осетия Сегодня“ მონაცემებს, რომლის მიხედვით 2018 წლისთვის ზოგად საგანმანათლებლო სახელმწიფო დაწესებულებებში ირიცხებოდა 4797 მოსწავლე, ხოლო არასახელმწიფო დაწესებულებებში 547, მოსწავლეთა საერთო რაოდენობა შეადგენს 5344 [3].

ზემოთ აღნიშნული ფორმულით გაანგარიშებული სამაჩაბლოს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქი) მთლიანი მოსახლეობა 2018 წლისათვის შეადგენდა 37 205 კაცს. აქედან ქართველების რაოდენობა იყო 10,6% ანუ 3966 კაცი, რუსები 1,6% ანუ 610 კაცი, სომხები 1,0% 378 კაცი, სხვა ეროვნებები 1,1% ანუ 432 კაცი. ოსების რაოდენობა შეადგენს 85,5% ანუ 31 819 კაცს. [4]

სამაჩაბლოს რეგიონის მოსახლეობა შემცირდა ოკუპირებული ტერიტორიის სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით 45 ათასით ანუ 45,6%, ხოლო ჩვენი მეთოდოლოგიის მიხედვით, გაანგარიშებული მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 62 ათასით ანუ 62,5%.

ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა. 1989 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ასეთნაირად გამოიყურებოდა: ქართველები 3 787 393 კაცი ანუ 70,1 %, აზერბაიჯანელები 307 556 კაცი ანუ 5,7 %, სომხები 437 211 კაცი ანუ 8,1 %, რუსები 341 172 კაცი ანუ 6,3%, აფხაზები 95 853 კაცი ანუ 1,8%, ოსები 164 055 კაცი ანუ 3%, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები 267 601 კაცი ანუ 5,0%.

2014 წელს საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა საქართველოს მოსახლეობის, ოკუპირებული რეგიონების დეფაქტო აღწერების შედეგების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება: ქართველები 81,7 % ანუ 3 275 ათასი კაცი, აზერბაიჯანელები 5,8% ანუ 233 ათასი, სომხები 5,2% ანუ 210 ათასი, აფხაზები 3,1% ანუ 124,5 ათასი, ოსები 1,6% ანუ 62,5 ათასი, რუსები 1,2% ანუ 49,5 ათასი, სხვა ეროვნებები 1,4 % ანუ 55,7 ათასი.

2014 წელს იგივე მაჩვენებლები საქართველოს მოსახლეობის აღწერისა და ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება: ქართველები 82,9 %

ანუ 3261,5 ათასი კაცი, აზერბაიჯანელები 5,9% ანუ 233 ათასი, სომხები 5,1% ანუ 200 ათასი, აფხაზები 2,5% ანუ 99,1 ათასი, ოსები 1,2% ანუ 46,2 ათასი, რუსები 1,0% ანუ 41,7 ათასი, სხვა ეროვნებები 1,4 % ანუ 54,5 ათასი.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილება საქართველოს მოსახლეობის აღწერის, ოკუპირებული რეგიონების დეფაქტო აღწერების შედეგების მიხედვით, 1989-2014 წლებში შემდეგნაირად აისახა: ქართველების რაოდენობა შემცირდა 512 393 კაცი ანუ 13,5%, აზერბაიჯანელების 74 556 კაცი ანუ 24,2%, სომხების 227 211 კაცი ანუ 51,9%, რუსების 291 672 კაცი ანუ 85,5%, ოსების 101 555 კაცი ანუ 61,9 %, ერთადერთი აფხაზების რაოდენობა გაიზარდა 28 647 კაცით, ანუ 29,9 %, სხვა ეროვნებების რაოდენობა შემცირდა 211 901 კაცით ანუ 79,2%.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილება საქართველოს მოსახლეობის აღწერისა და ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის მიხედვით, 1989-2014 წლებში შემდეგნაირად აისახა: ქართველების რაოდენობა შემცირდა 525 893 კაცი ანუ 13,9%, აზერბაიჯანელების 74 556 კაცი ანუ 24,2%, სომხების 237 211 კაცი ანუ 54,2%, რუსების 299 472 კაცი ანუ 87,8%, ოსების 117 855 კაცი ანუ 71,8 %, ერთადერთი აფხაზების რაოდენობა გაიზარდა 3247 კაცით, ანუ 3,4 %, სხვა ეროვნებების რაოდენობა შემცირდა 213 101 კაცით ანუ 79,6%.

1989-2014 წლებში ეთნიკური ჯგუფების მოძრაობის დინამიკიდან ჩანს, რომ ორივე ვარიანტის მიხედვით, იკვეთება ერთი და იგივე ტენდენცია, რაც ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის ხასიათდებოდა შემცირების ტენდენციით, გარდა აფხაზებისა, რაც რა თქმა უნდა, მეტყველებს იმაზე, რომ ეს მაჩვენებელი არ არის ზუსტი. საერთო ტენდენციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის რაოდენობა გაცილებით უფრო ახლოს არის ზუსტ მონაცემებთან, თუმცა, როგორც ჩანს, არც ეს მაჩვენებელია ზუსტი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს არის ჩვენი მეთოდოლოგიის მიხედვით. ჟურნალისტი ვასილ გერაშენკოს ინფორმაციით, დღეს აფხაზეთში 69 900 აფხაზი ცხოვრობს [7,8,9].

თუ გადავხედავთ მოსახლეობის განაწილებას ქალაქსა და სოფელს შორის, დავინახავთ, რომ მოსახლეობის შემცირების ტენდენცია მომავალშიც იქნება. ამაზე მეტყველებს 2019 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, რომლის მიხედვით, ადგილი აქვს შემცირების ტენდენციას საქართველოს მასშტაბით, რაც რა თქმა უნდა, გამონეუულია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით. ამასთან ერთად, თუ არ მოხდა ხელისუფლებისა და მასთან ერთად, ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება, მოსახლეობის შემცირების ტენდენცია მიიღებს კატასტროფულ მასშტაბებს, რაც დემოგრაფიულ მდგომარეობასთან ერთად იქნება ქვეყნის სწრაფი გზით ლიკვიდაციის წინაპირობა.

მიგრაცია. თუ განვიხილავთ 2012-2018 წლებში იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობას სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით, დავინახავთ ტენდენციას, რომელიც შექმნის ცხად სურათს ქვეყანაში ამ კუთხით და არა მარტო ამ კუთხით მიმდინარე პროცესებზე. აღნიშნულ პერიოდში იმიგრანტების რაოდენობამ შეადგინა 597, 9 ათასი მათ შორის მამაკაცი 361,6 ათასი, ხოლო ქალი 236,3 ათასი. ემიგრანტთა რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 653,0 ათასი კაცი, მათ შორის მამაკაცი 374,5 ათასი, ხოლო ქალი 278,5 ათასი. აღნიშნულ პერიოდში მიგრაციული სალდო შეადგენს -55,1 ათას კაცს. ამასთან მამაკაცების ხვედრითი წილი შეადგენს 23,4 % ანუ -12,9 ათასი კაცი, ხოლო ქალების წილი 76,6% ანუ -42,2 ათასი.

საინტერესოა ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაა იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობის სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობის მქონე იმიგრანტთა რაოდენობამ აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 319,2 ათასი. მათ შორის მამაკაცი 187,9 ათასი, ხოლო ქალი 131,3 ათასი. ემიგრანტების რაოდენობა, რომელთაც ჰქონდათ საქართველოს მოქალაქეობა, შეადგინა 472,8 ათასი, მათ შორის მამაკაცები 260,7 ათასი და ქალი 212,0 ათასი. აღნიშნულ პერიოდში მიგრაციული სალდო შეადგენს -153,6 ათას კაცს. ამასთან, მამაკაცების ხვედრითი წილია 47, 5 % ანუ -72,9 ათასი კაცი, ხოლო ქალების წილი 52,5% ანუ -80,7 ათასი.

თუ შევადარებთ 2012-2018 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მიგრაციული სალდო სხვა ქვეყნების მიგრაციულ სალდოსთან,

დავინახავთ, რომ სხვაობა არის უარყოფითი 98,4 ათასი კაცი. ანუ მოსახლეობის ცვლილება მოხდა არსებულ რაოდენობაში 2,7%-ით, რაც ნიშნავს, რომ ადგილი აქვს მოსახლეობის კულტურული სტრუქტურის ცვლილებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები მოსახლეობის ჰარმონიული განვითარების კუთხით. ეს საკითხი მით უფრო პრობლემურია, როცა კონცენტრაცია ხდება დროის მცირე მონაკვეთში მიმზიდველ ცენტრებში.

მიგრაციული სალდოს ყველაზე დიდი მაჩვენებელი მოდის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე. მიგრაციული სალდო შეადგენს 27,8 ათასი ანუ მთლიანი ემიგრანტების 28,2%. თურქეთის მოქალაქეების – 14,4 ათასი ანუ 14,6 %, აზერბაიჯანის მოქალაქეების – 9,9 ათასი ანუ 10,1 %, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების – 6,6 ათასს ანუ 6,7%, უკრაინის მოქალაქეების – 6,1 ათასს ანუ 6,2%, ინდოეთის მოქალაქეების – 5,5 ათასს, ანუ 5,6%, სომხეთის მოქალაქეების – 2,3 ათასს ანუ 2,3%, სხვა ქვეყნის მოქალაქეების – 25,9 ათასს ანუ 26,3%

2012-2018 წლების განმავლობაში განსაკუთრებით კრიტიკული პერიოდია ბოლო სამი წელი, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა ზრდის ტენდენციით. ამასთან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო 2018 წელი, რომელიც რეკორდულია 2012 წლის შემდეგ.

ადამიანური რესურსების რაოდენობრივი მდგომარეობის რეალური წარმოჩენისთვის და განვითარების ტენდენციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეობის მიმღები მოქალაქეების საკითხის გათვალისწინება. 2010-2017 წლებში საქართველოს მოქალაქეობა მიიღო 51131 კაცმა, რაც შეადგენს საქართველოს მოსახლეობის 1,4 % ამასთან, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების რაოდენობამ, რომლებმაც მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა, შეადგინა 33 897 კაცი ანუ მოქალაქეობის მიმღებთა 66,3%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლები ხასიათდება ზრდის ტენდენციით. თურქეთის მოქალაქეები 3268 ანუ 6,4%; აშშ მოქალაქეები 2157 ანუ 4,2%; საბერძნეთის მოქალაქეები 1658 ანუ 3,2%; ისრაელის მოქალაქეები 1651 ანუ 3,2%; სომხეთის მოქალაქეები 1539 ანუ 3,0%; აზერბაიჯანის მოქალაქეები 515 ანუ 1,0%; მოქალაქეობის არმქონე 1434 ანუ საქართველოს მოქალაქეობის მიმღები მთელი რაოდენობის 2,8%.

ადამიანური რესურსების მართვის საკითხის სწორად გააზრებისთვის საჭიროდ ჩავთვალეთ ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეების სტატისტიკის ფაქტობრივი გაანალიზება ბოლო ცხრა წლის განმავლობაში. 2010-2018 წლებში ბინადრობის ნებართვა გაიცა 126 889 კაცზე, აქედან 2019 წლის 29 იანვრის 11:00 მდგომარეობით მოქმედი იყო 53 553. ცხრანწლიანი დინამიკა გვაძლევს შესაძლებლობას ვთქვათ, რომ გაცემული ნებართვის 42,2% დარჩა და ცხოვრობს დიდი ხნის განმავლობაში. მოქალაქეობის მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე მოდის გაცემული ბინადრობის ნებართვის 11,9% ანუ 15 061, ხოლო მოქმედი ბინადრობის ნებართვის 23,4%; ირანის მოქალაქეებზე მოდის გაცემული ნებართვის 14,5% ანუ 18185, ხოლო მოქმედი ბინადრობის ნებართვის 15,7% ანუ 8412; ინდოეთის მოქალაქეებზე მოდის გაცემული ნებართვების 16,5% ანუ 20889 ათასი, ხოლო მოქმედი ბინადრობის ნებართვის 12,6% ანუ 6744; თურქეთის მოქალაქეებზე მოდის გაცემული ნებართვის 12,9% ანუ 16369, ხოლო მოქმედი ბინადრობის ნებართვის 5,6% ანუ 2979; აზერბაიჯანის მოქალაქეებზე მოდის გაცემული ბინადრობის ნებართვის 6,9% ანუ 8785, ხოლო მოქმედი ბინადრობის ნებართვის 8,3 % ანუ 4447; სომხეთის მოქალაქეებზე მოდის გაცემული ბინადრობის ნებართვის 4,1% ანუ 5261, ხოლო მოქმედი ბინადრობის ნებართვის 8,4%, ანუ 4491; ჩინეთის მოქალაქეებზე მოდის გაცემული ბინადრობის ნებართვის 10,4% ანუ 13 253, ხოლო მოქმედი ბინადრობის ნებართვის 5,2%, ანუ 2814.

ბუნებრივი მატება. ბუნებრივმა მატებამ ქვეყნის მასშტაბით ოკუპირებული რეგიონების გარეშე შეადგინა 4 614 კაცი. თუმცა, თუ გადავხედავთ რეგიონების მიხედვით ბუნებრივ მატებას, დავინახავთ არაერთგვაროვან მდგომარეობას. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული რეგიონებიდან სულ 11, მხოლოდ 4 რეგიონი ხასიათდება ბუნებრივი მატებით, ხოლო რეგიონების აბსოლუტურ უმრავლესობაში აღინიშნება უარყოფითი ბუნებრივი მატება ანუ, ადგილი აქვს არა ზრდას, არამედ შემცირებას. ამასთან ზრდით გამორჩეული რეგიონებიდან ორი რეგიონი არის მეტწილად ეთნიკური აზერბაიჯანელებით და სომხებით დასახლებული რეგიონი, ამასთან ამ რეგიონებში იმ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, სადაც ეთნიკური ქართველები

უმეტესობაა, ასეთ მუნიციპალიტეტები ხასიათდებიან ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებლით, მაგალითად, ბორჯომის, თეთრიწყაროს და დმანისის მუნიციპალიტეტები. ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი ჰქონდა ქალაქ თბილისს 4039 და აჭარის რეგიონს 2362.

ბოლო 25 წლის მსგავსად, 2018 წელს ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებლით გამოირჩევა იმერეთის რეგიონი 1248 კაცი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა ქალაქ ქუთაისისა, ბუნებრივი მატების უარყოფით დინამიკით გამოირჩევა.

მსგავსად იმერეთისა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ბოლო 25 წლის განმავლობაში გამოირჩევა ბუნებრივი მატების უარყოფითი ტენდენციით, რაც 2018 წელსაც გაგრძელდა და შეადგინა 932 კაცი.

პროცენტულად ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელი ბუნებრივი მატების აქვს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონს 328 კაცი. პროცენტული თანაფარდობით რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის შემდეგ მოდის გურიის რეგიონი 419 კაცი. კახეთი, სადაც 2018 წლისათვის ბუნებრივი მატების უარყოფითმა მაჩვენებელმა შეადგინა 370 კაცი, მცხეთა-მთიანეთი 262 კაცი და შიდა ქართლის რეგიონი 62 კაცი.

ქვეყნის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 1994 წელს იყო 1,4, 2000 წელს 0,0, 2005 წელს 0,9, 2010 წელს 1,1, 2015 წელს 2,7, 2018 წეს 1,2.

2019 წლის მონაცემებით საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ რეგიონებიდან მხოლოდ სამ რეგიონში ჰქონდა ადგილი მოსახლეობის რაოდენობის ზრდას ეს არის ქ. თბილისი, ქვემო ქართლი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ბუნებრივი მატების მაჩვენებლები 2011-2016 წლებში საშუალოშენიშნულმა ბუნებრივმა მატებამ ოკუპირებული აფხაზეთის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით შეადგინა 433 კაცი. ამავე პერიოდში საშუალოშენიშნულმა მიგრაციულმა ზრდამ შეადგინა 104 კაცი. როგორც ჩვენი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული მოსახლეობის რაოდენობამ აჩვენა, ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა, ოკუპირებული რეგიონების სტატისტიკური სამსახურების მიერ მოცემული მა-

ჩვენებლების მიხედვით, არ ასახავს რეალურ მდგომარეობას და წარმოადგენს რალაც სასურველ ციფრებს, რომელიც მისაღებია ოკუპირებული რეგიონების დეფაქტო ხელისუფლებისათვის.

ადამიანური რესურსები (სამუშაო ძალა). 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 1998-2018 წლებში მნიშვნელოვანი მარვენებელია ადამიანური რესურსების რეალური მდგომარეობის ანალიზისთვის. 1998 წელს საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე 15 -ი და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა იყო 3016,8 ათასი კაცი, აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 1972,8 ათასი, დასაქმებულთა რაოდენობა იყო 1728,5 ათასი, მათ შორის დაქირავებული 724,4 ათასი, თვითდასაქმებულები 987,1 ათასი, უმუშევარი 244,7 ათასი, მოსახლეობამ სამუშაო ძალის გარეთ შეადგინა 1044,0 ათასი ხოლო უმუშევრობის დონემ შეადგინა 12,4 პროცენტი. 2005 წლისთვის 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა იყო 3160,3 ათასი კაცი. აქტიური მოსახლეობა 1982,7 ათასი, დასაქმებულები 1683,0 ათასი. მათ შორის დაქირავებულები 632,2 ათასი, თვითდასაქმებულები 1050,0 ათასი, უმუშევრები 299,7 ათასი. 1998 წელთან შედარებით უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა 55,5 ათასით ანუ 22,7 პროცენტით. მოსახლეობამ სამუშაო ძალის გარეთ შეადგინა 1177,6 ათასი ანუ 1998 წელთან შედარებით გაიზარდა 133,6 ათასით ანუ 12,8 პროცენტით. უმუშევრობამ შეადგინა 15,1 პროცენტი. 2010 წლისთვის 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა იყო 3114,8 ათასი კაცი. აქტიური მოსახლეობა 1970,9 ათასი, დასაქმებულთა რაოდენობა 1627,8 ათასი, მათ შორის დაქირავებულები 668,8 ათასი, თვითდასაქმებულები 956,6 ათასი. უმუშევრობამ შეადგინა 343,1 ათასი. 2018 წელთან შედარებით უმუშევრების რაოდენობა გაიზარდა 43,4 ათასით ანუ 14,5 პროცენტით. მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ იყო 1143,9 ათასი, ხოლო უმუშევრობის დონე იყო 17,4 პროცენტი. 2015 წელს 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა იყო 3019,1 ათასი კაცი ანუ შემცირდა 95,7 ათასით ანუ 3,1 პროცენტით. აქტიური მოსახლეობა იყო 2018,0 ათასი, დასაქმებული 1733,8 ათასი, მათ შორის დაქირავებულები 798,3 ათასი. აქ დაქირავებულთა რაოდენობა 2010 წელთან შედარებით გაიზარდა 129,5 ათასით ანუ 19,3 პროცენტით, თვითდასაქმებულები 928,0 ათასი, უმუშევრები 284,2 ათასი, სამუშაო ძალის

გარეთ იყო 1001,1 ათასი, ხოლო უმუშევრობა იყო 14,1 პროცენტი. 2016 წელს 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობა შემცირდა 3009,4 ათასამდე ანუ შემცირდა თითქმის 10 ათასით. აქტიური მოსახლეობა შემცირდა 22 ათასით და შეადგინა 1996,2 ათასი. დასაქმებული იყო 1717,3 ათასი ანუ შემცირდა 16,5 ათასით (1%). მათ შორის დაქირავებული 801,5 ათასი, თვითდასაქმებულები 909,5 ათასი, უმუშევრები 278,9 ათასი, ხოლო უმუშევრობის დონე იყო 14,0 პროცენტი. 2017 წელს 15 და უფროსი მოსახლეობა იყო 3012,3 ათასი, აქტიური მოსახლეობა შემცირდა 15,1 ათასით და შეადგინა 1981,1 ათასი. დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 10,7 ათასით და შეადგინა 1706,6 ათასი. მათ შორის დაქირავებული იყო 824,2 ათასი, თვითდასაქმებულები 881,6 ათასი, ხოლო უმუშევრები 276,4 ათასი. მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ იყო 1029,2 ათასი, ხოლო უმუშევრობის დონე იყო 13, 4 ათასი. 2018 წელს 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობა იყო 3034,3 ათასი. აქტიური მოსახლეობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 41,2 ათასით და შეადგინა 1939,9 ათასი, ხოლო 2015 წელთან შედარებით შემცირდა 78, 1 ათასით. დასაქმებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 12,4 ათასი და შეადგინა 1694,2 ათასი. დაქირავებული იყო 860,2 ათასი, ხოლო თვითდასაქმებულები 833,4 ათასი. უმუშევრები იყო 245,7 ათასი, ხოლო მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 1094,3 ათასი. უმუშევრობის დონე იყო 12,7 პროცენტი.

აქტიურობის დონე 1998 წელს იყო 65,4%, 2005 წელს 62,7%, 2010 წელს 63,3%, 2015 წელს 66,8%, 2016 წელს 66,3%, 2017 წელს 65,8%, 2018 წელს 63,9%.

დასაქმების დონე 1998 წელს იყო 57,3%, 2005 წელს 53,3%, 2010 წელს 52,3%, 2015 წელს 57,4%, 2016 წელს 57,1%, 2017 წელს 56,7%, 2018 წელს 55,8%.

2018 წელს ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობა ოკუპირებული რეგიონის სტატისტიკის ოფიციალური მონაცემებით იყო 201,8 ათასი, აქტიური მოსახლეობა 144,5 ათასი, დასაქმებულები 114,5 ათასი, მათ შორის დაქირავებულები 42,5 ათასი, თვითდასაქმებულები 72,1 ათასი, უმუშევრები 29,9 ათასი, მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 99,5 ათასი, ხოლო უმუშევრობის დონე 20,7 პროცენტი.

2018 წელს ოკუპირებული სამაჩაბლოს რეგიონის 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობა ოკუპირებული რეგიონის სტატისტიკის ოფიციალური მონაცემებით იყო 44,1 ათასი, აქტიური მოსახლეობა 27,5 ათასი, დასაქმებულები 22,0 ათასი, მათ შორის დაქირავებულები 12,5 ათასი, თვითდასაქმებულები 9,5 ათასი, უმუშევრები 5,5 ათასი, მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 16,1 ათასი, ხოლო უმუშევრობის დონე 20,8 პროცენტი.

2018 წელს ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობა, ჩვენ მიერ გაანგარიშებული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე იყო 152,2 ათასი, აქტიური მოსახლეობა 104,5 ათასი, დასაქმებულები 82,6 ათასი, მათ შორის დაქირავებულები 42,5 ათასი, თვითდასაქმებულები 40,1 ათასი, უმუშევრები 21,9 ათასი, მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 55,2 ათასი, ხოლო უმუშევრობის დონე 20,9 პროცენტი.

2018 წელს ოკუპირებული სამაჩაბლოს რეგიონის 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობა ჩვენ მიერ გაანგარიშებული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე იყო 29,5 ათასი, აქტიური მოსახლეობა 18,5 ათასი, დასაქმებულები 15,1 ათასი, მათ შორის დაქირავებულები 7,6 ათასი, თვითდასაქმებულები 7,5 ათასი, უმუშევრები 3,4 ათასი, მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 11,2 ათასი, ხოლო უმუშევრობის დონე 18,6 პროცენტი.

2018 წელს 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობა, საქართველოს მიერ კონტროლირებული ტერიტორიის, ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სტატისტიკის ოფიციალური მონაცემების მიხედვით იყო 3280,2 ათასი, აქტიური მოსახლეობა 2111,9 ათასი, დასაქმებულთა რაოდენობა 1830,8 ათასი, დაქირავებული იყო 915,2 ათასი, ხოლო თვითდასაქმებულები 915,0 ათასი, უმუშევრები იყო 281,1 ათასი, ხოლო მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 1208,9 ათასი, უმუშევრობის დონე იყო 13,3 პროცენტი.

2018 წელს 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობა, საქართველოს სტატისტიკის მონაცემების, ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გათვალისწინებით, ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით გაანგარიშებული მონაცემების მიხედვით იყო 3216,0 ათასი, აქტიური მოსახლეობა 2062,9 ათასი, დასაქმებულთა რაოდენობა 1791,9 ათასი, დაქირავებული იყო 910,3 ათასი, ხოლო თვითდასაქმებულები 881,0 ათასი, უმუშევრები

იყო 271,0 ათასი, ხოლო მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 1160,6 ათასი, უმუშევრობის დონე იყო 13,1 პროცენტი.

ზემოთაღნიშნული ფაქტორების, კორუფციის მაღალი დონის, არაეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის და სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების არაეფექტური ხარჯვის და ტექნოლოგიური კვლევების ხარჯების დონის გათვალისწინებით, მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული ტერიტორიაზე, 2025 წელს იქნება 3659,6 ათასი, 2050 წელს 3409,6 ათასი, 2075 წელს 3159,6 ათასი, 2100 წელს 2909,6 ათასი.

საქართველოს მოსახლეობა ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამაჩაბლოს რეგიონის ჩათვლით, დეფაქტო ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, 2025 წელს იქნება 3954,3 ათასი, 2050 წელს 3691,8 ათასი, 2075 წელს 3429,3 ათასი, 2100 წელს 3166,8 ათასი.

საქართველოს მოსახლეობა ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამაჩაბლოს რეგიონის ჩათვლით (ჩვენი მეთოდოლოგიის გაანგარიშებული), 2025 წელს იქნება 3878,6 ათასი, 2050 წელს 3616,1 ათასი, 2075 წელს 3353,6 ათასი, 2100 წელს 3091,1 ათასი.

ზემოთ მოცემული მოცემულობით ადამიანური რესურსები (სამუშაო ძალა) საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული ტერიტორიაზე, 2025 წელს იქნება 1876,7 ათასი, 2050 წელს 1748,5 ათასი, 2075 წელს 1617,2 ათასი, 2100 წელს 1492,1 ათასი.

ადამიანური რესურსების რაოდენობა (სამუშაო ძალა) ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამაჩაბლოს რეგიონის ჩათვლით დეფაქტო ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, 2025 წელს იქნება 2027,8 ათასი, 2050 წელს 1893,2 ათასი, 2075 წელს 1758,6 ათასი, 2100 წელს 1624,0 ათასი.

ადამიანური რესურსების (სამუშაო ძალა) რაოდენობა ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამაჩაბლოს რეგიონის ჩათვლით (ჩვენი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული), 2025 წელს იქნება 1989,0 ათასი, 2050 წელს 1854,4 ათასი, 2075 წელს 1719,8 ათასი, 2100 წელს 1585,2 ათასი.

ადამიანური რესურსების გადინების, შემცირების და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზრდისათვის აუცილებელია მთლიანად გადაიხედოს ეკონომიკური პოლიტიკა და მასთან ერთად მოხდეს განათლების სისტემის რეფორმირება იმდაგვარად, რომ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ტექნოლოგიაშემქმნელი სპეციალიზაციების განვითარებას და კვლევების ხარჯების ზრდას მშპ მინიმუმ 1,5 პროცენტის ფარგლებში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია რეგიონებში განხორციელდეს მსხვილი პროექტები, როგორცაა „ანაკლიის პორტი“. ასეთი პროექტების არგანხორციელების შემთხვევაში კონკრეტულად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობა უახლოეს 45 წლის განმავლობაში შემცირდება 50 პროცენტით. მსგავსი მდგომარეობაა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

ლიტერატურა

სვირავა გ, ბეჭვაია ც., „თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაციების დანერგვის დონე სხვადასხვა ქვეყნებსა და საქართველოში“, ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი. განვითარება და ინოვაციები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 25.10.2017. „ემ ჯი ემ“, 2017. გვ.36-48.

Школьная статистика Абхазии. 16.03.2016 1.07.2019. <https://sputnik-abkhazia.ru/infographics/20160316/1017530670.html>

„Южная Осетия Сегодня“. <http://south-ossetia.info/respublika-yuzhnaya-osetiya-segodnya/obrazovanie/> 1.07.2019.

Национальный состав (чел.) Южной Осетии в 1926-2015 годах, 1.07.2019. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%AE%D0%B6%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D0%9E%D1%81%D0%B5%D1%82%D0%B8%D1%8F

Этнический состав населения Грузии по данным всеобщих переписей. <http://www.demoscope.ru/weekly/2017/0723/comments/comm3.html> 2.06.2019.

Динамика национального состава Абхазии. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B0%D1%81%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%90%D0%B1%D1%85%D0%B0%D0%B7%D0%B8%D0%B8 2.06.2019.

მარსაგამვილი შ., გაზეთი, „ახალი თაობა“, „სომხები აფხაზე-
თიდან აფხაზეების განდევნას აპირებენ. http://info7.ge/archives/22639?fbclid=IwAR3_UIHz3_jJpAXDEUzsCR_gVd7kthesR-kAQ-rNPKW9R_ra1xhkRWNjHwjA 30. 07. 2019.

Армянские палачи готовят массовое заселение, <https://ru.ahar.az/news/vmire/38421.html> 2.05.2019.

Герашенко В, Армянская экспансия в Абхазии: как статья большинством на чужой землею, <http://kavkaztimes.com/%d0%b0%d1%80%d0%bc%d1%8f%d0%bd%d1%81%d0%ba%d0%b0%d1%8f-%d1%8d%d0%ba%d1%81%d0%bf%d0%b0%d0%bd%d1%81%d0%b8%d1%8f-%d0%b2-%d0%b0%d0%b1%d1%85%d0%b0%d0%b7%d0%b8%d0%b8-%d0%ba-%d0%b0%d0%ba-%d1%81%d1%82%d0%b0/> 2.05.2019.

Управление Государственной Статистики Республики Абхазия. АБХАЗИЯ В ЦИФРАХ за 2016 год. <http://ugsra.org/abkhaziya-v-tsi-frakh/2016-god.php> 2.05.2019.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia> 2.05.2019.

UNITED NATIONS. DESA / POPULATION DIVISION. World Population Prospects 2019. <https://population.un.org/wpp/Download/Standard/Population/> 2.05.2019.

მცირე ბიზნესი და საზოგადოების სოციალური სტაბილურობა

ანოტაცია: სტატიაში წარმოდგენილია მცირე ბიზნესის ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, კერძოდ, მის ეკონომიკურ როლთან ერთად წარმოჩენილია მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია. მცირე ბიზნესის განვითარება მიჩნეულია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად, რამდენადაც ის ქვეყანაში უზრუნველყოფს მის წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემების მოგვარებას -უმუშევრობის შემცირებასა და სიღარიბის დაძლევას.

ნაჩვენებია საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ეტაპები ისტორიულ ჭრილში, სახელმწიფოს განსაკუთრებული დაინტერესება მცირე ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაში. კვლევისას ანალიზისა და სინთეზის მეთოდის გამოყენებით გამოკვეთილია განსაკუთრებით მწვავე პრობლემები და ჩამოყალიბებულია მათი დაძლევის ხედვა; დასახელებულია ბოლო პერიოდში ქვეყანაში მოქმედი პროექტები მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით და ნაჩვენებია მათი რეალიზაციის შედეგები.

მცირე ბიზნესის განვითარება წარმოდგენილია როგორც რეგიონული განვითარების უთანაბრობის შერბილების საშუალება, საზოგადოების სოციალური სტაბილურობის გარანტი.

ამოსავალი სიტყვები: მცირე ბიზნესი, სახელმწიფო მხარდაჭერა, ბიზნესის განვითარების სტრატეგია, ბიზნესის სოციალური ფუნქცია, საშუალო კლასის ფორმირება, სტაბილური განვითარება.

Nino Maqatsaria

SMALL BUSINESS AND SOCIAL STABILITY OF SOCIETY

Annotation: In any country in the world, the importance of small business development is great in establishing a stable economic and political environment. Small business is recognized as a guarantor of employment, revenues growth and social stability. In the development of small business, the state's particular interest lies in its socioeconomic role. Solving problems in a small business is the same as sustained economic development. Development of small business has a special role in the regions of Georgia.

Today an important issues are resolved for the development of entrepreneurship. „Rules of the game“ of small business are relatively acceptable and stable. An administrative barriers ar fewer. Nevertheless there are still a number of problems in a small business development today. Many institutions of market infrastructure are not fully accessible to small entrepreneurs yet. Anty-monopoly activities are not enough. We don't have different approaches in small business policy by region specifics. The main problem of small entrepreneur is finances, expensive bank loans, which significantly interrupts start-up and development of new business.

Key words: *Small business, government support, business development strategy, social functioning of the business, the formation of the middle class, sustainable development.*

მცირე ბიზნესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კვლევა ძალზე აქტუალურია. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში მასში დასაქმებულია არასახელმწიფო სექტორში მომუშავეთა ძირითადი ნაწილი. საქართველოში დღეს მცირე ბიზნესის უდიდეს მნიშვნელობას განაპირობებს ის შესაძლებლობები, რაც მას აქვს ქვეყანაში არსებული უმთავრესი პრობლემის უმუშევრობისა და შესაბამისად, სიღარიბის დაძლევისათვის.

მცირე ბიზნესზე ისტორიული წყაროები თუ წერილობითი ხასიათის დოკუმენტებში, რომელიც რამდენიმე ათას წელს ითვლის, ჩანს, რომ ბიზნესის განვითარება უშუალოდ დაკავშირებული იყო მეფანშეობასთან, ფულს ძირითადად სესხად იღებდნენ მენარმეები, რომ დაემზადებინათ მოთხოვნადი პროდუქცია; თანამედროვე გაგებით, მცირე ბიზნესის განვითარება უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც ევროპიდან ჩასულმა ემიგრანტებმა აუთვისებელ ტერიტორიებზე გახსნეს მცირე ზომის საწარმოები და დაიწყეს მათთვის საჭირო საქონლისა თუ მომსახურების წარმოება.

მენარმეობის განვითარებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. დაუკავშირდა რა ხელოსნობის განვითარებას, შემდგომში მან რეგულარული სახე მიიღო ვაჭრობის არეალის გაფართოების კვალობაზე. ქართული ნაწარმი გაჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს გამოჩენილი ქართველი მენარმეებისა და მეცენატების უდიდესი როლი ქართული ბიზნესის ტრადიციების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში(ძმები ზუბალაშვილები, გიორგი ქართველიშვილი, დავით სარაჯიშ-

ვილი, მიტროფანე ლალიძე, აკაკი ხოშტარია და სხვ)(1); მათმა მოღვაწეობამ ქვეყანას საკმაო მენარმეობრივი გამოცდილება შესძინა.

მცირე ზომის მენარმეობა ხასიათდება რიგი უპირატესობებით: მას აქვს რისკზე ნასვლის მეტი შესაძლებლობა; ქმნის ახალ ნაწარმს, რამდენადაც მასშტაბების გამო მას შეუძლია დიდ ბიზნესთან შედარებით სწრაფად მოახდინოს რეაგირება ბაზარზე არსებულ სამომხმარებლო მოთხოვნაზე, აითვისოს ტექნიკური თუ ტექნოლოგიური სიახლეები; მას უღირს აწარმოოს ის საქონელი და მომსახურება, რომელიც აუცილებელია საზოგადოებისთვის, თუმცა მისი წარმოება არამომგებიანია მსხვილი და საშუალო ბიზნესისთვის.

გარდა ეკონომიკური როლისა, მცირე ბიზნესს გააჩნია არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია, კერძოდ, მას შეუძლია „საზოგადოების სოციალური წონასწორობისა და სტაბილური განვითარებისათვის ხელის შეწყობა“(1,84). ქმნის რა სამუშაო ადგილებს, ზრდის დასაქმებას და მოსახლეობის შემოსავლებს, ეკონომიკურ კეთილდღეობას, ის დიდ როლს ასრულებს სიღარიბის დაძლევაში; მცირე ბიზნესის განვითარება არის სოციალური უთანაბრობის შერბილების, საშუალო კლასის ფორმირების საფუძველი;

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის სერვიზაცია, რომელიც გულისხმობს ეკონომიკაში მომსახურების სფეროს ხვედრითი წილის ზრდას, ხშირად არ მოითხოვს დიდი მასშტაბის ბიზნესს. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზიც, რომლის გამოც ბიზნესის ყველაზე გავრცელებული ფორმა მცირე ზომის ფირმაა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში ხშირად მცირე მენარმეობის მიზანია უპირატესად სოციოკულტურული და სოციოფსიქოლოგიური ფასეულობების რეალიზაციის უზრუნველყოფა. ადამიანების დიდ ნაწილს სურს ჰქონდეს საკუთარი ბიზნესი. ასევე გამოიკვეთება ქონების განმკარგავი ქალების რაოდენობის ზრდის ტენდენცია, რომლებიც უპირატესობების გამო ირჩევენ მცირე ზომის ბიზნესს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად იწყება საქართველოში თანამედროვე ბიზნესის ლეგალური განვითარება; გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო არ თვლიდა საჭიროდ ბიზნესის განვითარებისთვის დამატებითი სტრატეგიის შემუშავებას,

რამდენადაც მიიჩნევდა, რომ საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმი თვითონ მოაგვარებდა ყოველივეს. მიუხედავად ამისა სწორედ ამ ტიპის ბიზნესის დამსახურებაა ის, რომ უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, ქვეყნის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ამ უძნელეს პერიოდში მოახერხა ფიზიკურად გადარჩენა; გარდამავალ პერიოდში ბიზნესს არსებობა უწევდა პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში, საგარეო ურთიერთობებში მოიშალა ადრინდელი ეკონომიკური კავშირები, მაშინ, როდესაც ახალი მხოლოდ ფეხს იკიდებდა; ამას ემატებოდა ძველი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; შეფერხებები საწარმოების რეგისტრაციისას, ადმინისტრაციული ბარიერები, მექრთამეობა, ჰიპერინფლაცია, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა, გადასახადების რაოდენობა და სიდიდე.

შემდგომ წლებში ბევრი რამ გაკეთდა აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, შემცირდა მისი დაწყების და რეგისტრაციის თანხები, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა, მათი პროცედურები. მნიშვნელოვანია საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება ბოლო წლებში; 2018 წლიდან ძალაში შევიდა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი მცირე ბიზნესისთვის; გამარტივდა საექსპორტო პროცედურები, რამაც მცირე ბიზნესსაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ქვეყნის გარეთ პროდუქციის გასატანად. ამის მაგალითია ქართული ღვინისა და თხილის გატანა ევროკავშირის ბაზრებზე. სახელმწიფოს გააჩნია ინსტიტუციური მექანიზმები და პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოს მცირე ბიზნესის პრობლემების მოგვარება. ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, დამსაქმებელთა ასოციაცია, მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, მენარმეობის სააგენტო, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მიუხედავად მცირე მენარმეობის განვითარებას კვლავაც ახასიათებს პრობლემები: განსაკუთრებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები და კრედიტების მიღების სირთულე; მცირე ბიზნესს მძიმე ტვირთად აწვება ენერგეტიკის ხარჯების ზრდა. არ არის მჭიდრო კავშირი მცირე და დიდი მასშტაბის ბიზნესს შორის, მაშინ, როდესაც მათი თანამშრომლობა ორივესთვის სასარგებლოების მომტანია; ეს განაპირობებს იმას, რომ არც ისე დიდია მცირე და საშუალო

სანარმოების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, 2014 წელს მან შეადგინა 18%(7); თუმცა რაოდენობრივად ქარბობენ მცირე სანარმოები და ქვეყნისთვის მათი რიცხვის ზრდა პრიორიტეტულია თუნდაც საზოგადოების სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის.

ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია სტაბილურ ეკონომიკურ ზრდაზე, გამოყოფს მცირე ბიზნესის მხარდასაჭერის ძირითად პრიორიტეტებს. ეს მიმართულებებია ძირითადად მცირე მენარმეობის ნახალისება, მისი სწავლება და გაყიდვებში დახმარება(6). მცირე ბიზნესის ნახალისებაში დიდი ადგილი უჭირავს საგადასახადო კანონმდებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ დაბეგვრასთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, ნაწილს მიაჩნია, რომ საჭიროა გადასახადების კვლავაც შემცირება მათთვის, ხოლო ზოგიერთები კი საერთოდ დაბეგვრის საკითხში დიფერენცირებულ მიდგომას სწორად არ თვლიან, რამდენადაც ეს ხელს შეუშლის ჯანსაღი კონკურენციის არსებობას. ჩვენის აზრით, მცირე ბიზნესის სოციალური როლიდან გამომდინარე, ღირს მისთვის საგადასახადო შეღავათების განევა, რამდენადაც გადასახადების გაზრდის ეკონომიკური ეფექტი გრძელვადიან პერსპექტივაში აშკარად აისახება საგადასახადო შემოსულობათა ბაზის შემცირებაში.

მცირე მენარმეობის ნახალისებაში დიდ როლს ასრულებს საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერა, რაც მოტივაციის გაზრდისა თუ ინვესტირების მყარი საფუძველია. დღეს მცირე ბიზნესის ყველაზე დიდი პრობლემაა მაღალი საპროცენტო განაკვეთები; შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ კომერციული ბანკებისთვის შეიმუშაოს და დახვეწოს მარეგულირებელი წესები მცირე ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი კრედიტების გასაცემად.

მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა უკავშირდება მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდებას ტრენინგების თუ სხვადასხვა სასწავლო პროგრამების სახით. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის მსგავსად, საქართველოშიც არსებობს ბიზნეს-ასოციაციები, თუმცა მცირე ბიზნესი ვერ ხედავს მასში განევრიანების აუცილებლობას; საჭიროა მათი მეტი მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მცირე სანარმოებს შესთავაზონ საჭი-

რო მომსახურება, რომ მასში სანევროს თანხის გადახდა არ დაენანოთ. სახელმწიფო პროგრამები გულისხმობს ტრენინგებს ბულალტრული აღრიცხვის, ბიზნესის დაგეგმვის, მარკეტინგის საკითხებში; ეს საჭიროა იმდენად, რამდენადაც ხშირი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში მენარმეებისთვის არასტაბილურობის შეგრძნებას იწვევს, ისინი ხშირად ძნელად გასაგებია მენარმეებისთვის, რაც კანონდარღვევებსა თუ დაჯარიმებს იწვევს. 2018 წელს საპილოტე რეჟიმში მუშაობა დაიწყო ფინანსური განათლების პროგრამამ მიკრო და მცირე ბიზნესისთვის (8,18)

მცირე ბიზნესს სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა გაყიდვებში. ამ მასშტაბის მენარმეები მომხმარებლებისთვის საქონელსა და მომსახურებაზე ინფორმაციის მისაწოდებლად უპირატესად სოციალურ ქსელს, ფეისბუქს იყენებენ. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა შეძენის სტიმულირებისთვის პროპაგანდა გაეწიოს ეროვნულ ნაწარმს სარეკლამო სლოგანებისა თუ სხვა სახით.

ჩვენს ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებისთვის პრიორიტეტულობა დასტურდება თუნდაც იმით, რომ ქვეყანაშს გააჩნია „მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“. შესაბამისად, საქართველოში არსებობს მენარმეობის პოლიტიკა, რომლის ძირითადი მიმართულებებია: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამენარმეო გარემოს გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო მენარმეობის უნარების განვითარება და სამენარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა“ (7,24); აღსანიშნავია, რომ ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგად საქართველოში შეიმჩნევა ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობის ზრდა 2012-2018 წლებში, კერძოდ 40,9 -დან 50,3 ათასამდე(9). წარმატებული პროექტია „წარმოე საქართველოში“, რომელიც ძირითადად რეგიონებში მიკრო და მცირე მენარმეობისთვის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებს; მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს სოფლის მეურნეობის პროექტები, როგორცაა „დანერგე მომავალი“, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, „შელავათიანი აგროკრედიტი“, აგროდაზღვევის

პროგრამა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები რეგიონული პროექტების დიდი რაოდენობით გამოირჩევა. აღსანიშნავია პროექტები ბათუმში, სიღნაღში, მესტიასში, რამაც საგრძნობლად განავითარა ეს რეგიონები, რამდენადაც გამოიწვია ასევე მცირე ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. საქართველოს ბევრ რეგიონში არის მცირე და საშუალო მენარმეობისთვის მნიშვნელოვანი რესურსების პოტენციალი; მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში სახელმწიფოს მხარდაჭერით განსახორციელებელი პროექტები, მათ შორის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია, შპს „ანაკლია-განმუხურის“ პროგრამის განხორციელება დაუკავშირდება მცირე ბიზნესის განვითარებასაც, რამდენადაც ის გაზრდის საკურორტო სერვისების აუცილებლობას, რომლის მიწოდებაც უფრო ხელსაყრელია მცირე მასშტაბის ბიზნესისთვის

სამწუხაროდ, ქვეყანაში დღემდე სახეზეა ეკონომიკის განვითარებაში რეგიონული უთანაბრობა. ამ პრობლემის არსებობის პირობებში რეალურ საფუძველს მოკლებულია ევროკავშირთან ასოცირება. სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის დიდი ნაწილი განთავსებულია დედაქალაქში, რასაც ხშირად უკავშირდება სამუშაო ძალის მიგრაცია; რეგიონში კი ძირითადად მცირე ბიზნესი ქმნის სამუშაო ადგილებს. აქ სამომხმარებლო მოთხოვნის დონე ვერ ავითარებს ბიზნესს. გარდა ამისა მცირე ბიზნესის არასტაბილურობას საზღვრისპირა რეგიონებში დიდწილად განაპირობებს პოლიტიკური ფაქტორი. საქართველოში მიუხედავად არსებული მხარდაჭერის სახელმწიფო სტრატეგიისა, არის მიზეზები, რომლებიც დღემდე ხელს უშლის მცირე ბიზნესის პრიორიტეტების რეალიზაციას; მცირე ბიზნესის მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა ანტინომოპოლიური ლონისძიებების გატარება და ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა; ინტენსიურად უნდა ხდებოდეს მენარმეობის მხარდაჭერის არსებულ პროგრამებზე სისტემატური დაკვირვება, ანალიზი და დასკვნების გამოტანა, უფრო ახალი პროექტების საჭიროების დასადგენად. თუმცა უნდა ითქვას, რომ მცირე ბიზნესის პრობლემების კვლევა და მისი შემდგომი განვითარება კომპლექსური საკითხია და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

ლიტერატურა

შურღაია ო. 2010. მცირე ბიზნესის საფუძვლები. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი.

აგნეს ბენასი-კუერი, ბენუა კიური და სხვ. 2016. ეკონომიკური პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა; თბილისი.

ზოლტან ფ. როჯერ რ. სტო 2014. სახელმწიფო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკაში, ბიზნესის განვითარების პირობების შექმნა. საგამომცემლო სახლი ლაბირინთი, თბილისი.

I.e. Effective Small Business Management: An Entrepreneurial Approach 10th.edition Hardcover, 2012. by Scarborough

ლომინაძე ს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიები ბიზნესში/ (1 ივლისი, 2019).

ტოლიაშვილი პ. მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგია. /<http://strategy.ge/2009/06/22/sme-development/>, (22 ივნისი, 2019).

მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგია. 2016-2020 წლისათვის http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf (1 ივნისი, 2019).

საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.pdf (1 ივნისი, 2019).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri> (1 ივნისი, 2019).

დროის მენეჯმენტი, როგორც ნარმატაბის სანიღარი

ანოტაცია: სტატიაში განხილულია დროის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. დროის მართვისა და მისი სწორად განაწილების აუცილებლობა დასაბუთებულია უცხოური გამოცდილებისა და ამ მიმართულებით ჩატარებული სხვადასხვა კვლევის საფუძველზე. ყურადღება გამახვილებულია დროის მენეჯმენტის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: დროის ეფექტური დაგეგმვა, დროის რესურსების პოვნა, პრიორიტეტების დადგენა, დაგეგმილის შესრულებაზე კონტროლი. განხილულია თითოეულის რეალიზების პრაქტიკული გზები. ხაზგასმულია, რომ დროის მენეჯმენტის ხელოვნების დაუფლება შესაძლებელია, ამისთვის საჭიროა გვეყოს გამბედაობა და გულწრფელობა დავისახოთ მიზანი, ვაქციოთ გეგმად და არ დაგვაბრკოლოს ნარმატებლობის შიშმა.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, დროის მართვა.

Giuli ekhvaia

TIME MANAGEMENT, GUARANTEE OF SUCCESS

Annotation: *The article discusses the actual subjects of time management. The inevitability of ruling and ordering time is based on foreign experience and different kinds of researches. The article focuses on the following subjects: effective time order, finding time, setting priorities and controlling fulfillment of plans. Each of them is analyzed according to practical ways of their realization. It is confirmed that one should be courageous and sincere enough to set the aim, turn the aim into the plan and never be scared of failure.*

Keywords: *management, time control.*

ნარმატება დიდწილად დამოკიდებულია, თუ როგორ სწორად ვმართავთ დროს და ვიყენებთ საკუთარ შესაძლებლობებს, ვფლობთ დროის მართვის ხელოვნებას. ნარმატებული ადამიანები მუშაობენ ბევრს და ასწრებენ ყველაფერს. მაგრამ ბევრი მუშაობა ყოველთვის არ ნიშნავს კარგად მუშაობას.

დროის ერთეულში მეტის მოსწრება და საკუთარი რესურსების ეფექტური გამოყენება დროის მენეჯმენტის მთავრი

ამოცანა (<https://www.e-xecutive.ru/wiki/index.php>). დროის მენეჯმენტს უცხოურ და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბოლო დროს დიდი ყურადღება ეთმობა. სულ უფრო იზრდება დაინტერესება დროის მართვისა და მისი სწორად განაწილებისადმი. ამიტომაც, ხშირია ამ მიმართულებით სხვადასხვა სემინარისა და ტრენინგის შეთავაზება. ცხადია ეს განპირობებულია პრობლემის აქტუალობით, ვინაიდან დღეს ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც დროის სიმცირეს არ უჩიოდეს.

დროის მართვისა და მისი სწორად განაწილების აუცილებლობის ნათელი მაგალითია პარეტოს პრინციპი (80-20 წესი). ეს არის ნებისმიერი საქმიანობის ეფექტურობის შეფასების პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ გამოყენებული ძალისხმევის 20%-ს მოაქვს შედეგების 80% – ი, და დანარჩენ 80%-ს – მხოლოდ 20%-ი. შედეგის მაქსიმუმი მიიღწევა მასზე დახარჯული მინიმალური ძალისხმევის გამოყენებით. დანარჩენი აქტივოვები ფაქტიურად უსარგებლოა. მშვენიერი მაგალითია ურთიერთობები: ჩვენი ნაცნობების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენთვის მნიშვნელოვანი, დანარჩენი კი უბრალოდ ნაცნობები არიან. ასევეა წიგნების კითხვისას, ფილმების ყურებისას, ზოგადად ინფორმაციის მიღებისას – ჩვენთვის სასარგებლოა მიღებული ინფორმაციის მხოლოდ მცირედი ნაწილი, რომელიც გვახსოვს, გვასწავლის და ცხოვრებაში გვადგება. შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არის ყოველთვის აუცილებელი, 100 % -იანი შედეგისგენ სწრაფვა, დავერდეთ 80%-ს, რომელზეც ჩვენი ენერჯის და ძალისხმევის მხოლოდ 20% -ი დაგვეხარჯება. და დანარჩენი რესურსები უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ. ზუსტად ამაში მდგომარეობს საკუთარი შესაძლებლობების მართვის ხელოვნება. ამგვარად, უნდა ვისწავლოთ განვსაზღვროთ ის 20% საქმიანობისა, რაც მართლა მნიშვნელოვანია და იმისკენ მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა, სხვა მხრივ დროის 80% ფუჭად დავხარჯავთ (<https://blh.com.ge>).

თუ ჩვენი ძალისხმევის უმეტესობა ფუჭია, როგორ განვასახვავოთ ის, რაც მართლა მნიშვნელოვანია და არ აღმოვჩნდეთ ფუჭი საქმეების ტყვეობაში – სწორედ ეს არის დროის მენეჯმენტის მთავრი ამოცანა და დროის მართვის ხელოვნება.

ვინც დროის მართვას ისწავლის, ის საკუთარ პიროვნებასა და ზოგადად ცხოვრების მართვას შეიძლებს. რეალურად ეს არის მოვლენების თანამიმდევრობის მართვის უნარი. დროის მართვა

არის სამუშაოს რიგის მიხედვით დალაგების უნარი, იმისათვის, რომ თქვენს საქმიანობასა და საზოგადოდ, ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიოთ, უნდა შეგეძლოთ პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი თანამიმდევრობის მკაცრად დაცვა (თრეისი 2018:44-45).

ეკონომიკური ლიტერატურასა და დამკვიდრებული პრაქტიკით დროის მენეჯმენტი გულისხმობს: დროის ეფექტურ დაგეგმვას; დროის რესურსების პოვნას; პრიორიტეტების დადგენას. დაგეგმილის შესრულებაზე კონტროლს (<https://www.e-xecutive.ru/wiki/index.php>, <https://blh.com.ge>, <https://psyfactor.org/lib/time-management-2.htm>, <https://sputnik-georgia.com/positive/20160519/231730806.html>). განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

დაგეგმვა.

დროის მართვა მიზნის განსაზღვრით იწყება. მიზნის შესაბამისად კი პრიორიტეტები უნდა დადგინდეს და ჩამოყალიბდეს გეგმა. გეგმა ეს არის მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოქმედებების მოწესრიგებული სქემა, რომელიც აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს. წერილობითი ჩამოყალიბებული გეგმა მიზნის საიმედო გაფორმება და მისი მატერიალიზაცია. გეგმის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი წარსული და აწმყო, მასზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი. ამიტომაც, მიზნის განსაზღვრა და გეგმის შემუშავება დროის მენეჯმენტის საკვანძო საკითხია და ეკონომიკურ ლიტერატურაში მას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

მიზნისა და გეგმის მნიშვნელობას ადასტურებს ჰარვარდის უნივერსიტეტიში განხორციელებული ცნობილი კვლევა. კერძოდ, ჩატარდა კურსდამთავრებულების მიზნების ხანგრძლივადიანი კვლევა და დაადგინდა, რომ კურსდამთავრებულების 83%-ს კარიერის მოწყობასთან დაკავშირებით არავითარი მიზანი არ ქონდა, 14%-ს ჰქონდა მკაფიოდ გამოხატული კარიერული მიზანი, მაგრამ მათ იგი არ ქონდათ დაფიქსირებული წერილობით. 3%-ს კი ჰქონდა მიზანი და დაფიქსირებული კიდევაც წერილობით. მათი კარიერული წინსვლისა და ანაზღაურების გამოკვლევებით კი გაირკვა, რომ კურსდამთავრებულების პირველ ჯგუფს საშუალო ხელფასი აქვს, მეორე ჯგუფის წარმომადგენლებს 3-ჯერ მეტი, ვიდრე პირველი ჯგუფის წევრებს, ხოლო მესამე ჯგუფს 10-ჯერ მეტი, ვიდრე პირველი ჯგუფის წევრებს. ჰარვარდის მეცნიერებმა გააკეთეს დასკვნა, რომ მარტო მიზნის არსებობა საკმარისი არ

არის, ადამიანმა ის წერილობით უნდა გადმოსცეს. ეს ინვევს სი-
ცხადეს აზროვნებაში (ხარხელიძე, მორჩილაძე 2016:30-31).

და რადგანაც, ჩვენი საქმიანობის 80 % მიმართულია ფუჭ
ძალისხმევაზე, ცხადია მხოლოდ მიზნის დასახვა საკმარისი არ
არის. აუცილებელია ამ მიზნების ერთობლიობიდან (თუნდაც
სურვილებიდან) უმნიშვნელოვანესის გამოყოფა და პრიორიტეტე-
ბის დასახვა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ:

ყველა საქმე შეიძლება 4 ჯგუფად დავყოთ: სასწრაფო და
მნიშვნელოვანი; მნიშვნელოვანი, მაგრამ არა სასწრაფო; სასწრა-
ფო, მაგრამ უმნიშვნელო; არც სასწრაფო და არც მნიშვნელოვანი.

ასეთი კლასიფიკაცია ატარებს ამერიკელი პრეზიდენტის
სახელს და ეწოდება ეიზენჰაუერის მეთოდი ([https://psyfactor.org/
lib/time-management-2.htm](https://psyfactor.org/lib/time-management-2.htm)). როგორც ვხედავთ, აღნიშნულ კლასი-
ფიკაციაში საქმეები დახარისხებულია მათი სასწრაფობის (გადაუ-
დებლობისა) და მნიშვნელობის მიხედვით. სამწუხაროდ, არც თუ
იშვიათად, საქმის სასწრაფობა გვიბიძგებს მნიშვნელოვან საქმე-
თა შემდეგისათვის გადასადებად. საბოლოო ჯამში, ეს ინვევს ღი-
რებული ამოცანების განსახორციელებლად დროის უკმარისობას.

პრიორიტეტის განსაზღვრა.

საქმისა და მიზნების პრიორიტეტულობის დადგენა არც თუ
მარტივი საქმეა. იმის დასადგენად თუ ნამდვილად რა გვინდა,
რა გვჭირდება ეკონომიკურ ლიტერატურაში, პრაქტიკულ ტრე-
ნინგებსა და სემინარებში, გარდა ზემოთ ხსენებული კლასიფი-
კაციისა, გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი.

ფართოდ გავრცელებულია დროის მართვის ABCDE მეთოდი,
რომელიც გამოიყენება სამუშაოს პრიორიტეტულობის განსაზღ-
ვრისათვის და გულისხმობს ამოცანების ღირებულებებისა და
პრიორიტეტების მიხედვით დალაგებას, სადაც პირველ რამდე-
ნიმე პუნქტში ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები დგას. კერძოდ:

A აღნიშავს ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელ ამო-
ცანას, რომლის შეუსრულება რომლის შესრულება დადებით
შედეგებს მოიტანს. შეუსრულებლობა კი უარყოფითს. დავუშვათ,
A ამოცანა რამდენიმე პუნქტისაგან შედგება. ამ შემთხვევაში
პრიორიტეტებად ალაგებთ მათ.

B აღნიშნავს ამოცანას, რომელიც სასურველია შესრულდეს,
მაგრამ სერიოზული შედეგები არ მოაქვს. ამ ამოცანის შეუსრუ-
ლებლობით, შეიძლება ვინმე შეფერხდეს ან განაწყენდეს, მაგრამ

მნიშვნელობით A პუნქტთან ვერ მოვა. არასდროს გადახვიდეთ B პუნქტზე A პუნქტის დასრულებამდე.

C აღნიშნავს ამოცანას, რომლის შესრულება სასურველია მაგრამ აუცილებელი არ არის. მას შედეგი არ მოაქვს.

D არის ამოცანა რომლის დელეგირება არის შესაძლებელი. სამუშაოს გადამისამართებით გამოთავისუფლდება დრო A ტიპის სამუშაოსათვის, რომელთა გადანყვეტა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

E შეიძლება სიიდან საერთოდ ამოიშალოს, რადგანაც ის რეალურად არაფერს ცვლის. ეს შეიძლება იყოს ამოცანა, რომელიც ერთ დროს პრიორიტეტული იყო, მაგრამ ამჟამად მნიშვნელობა დაკარგა. თქვენ ის უბრალოდ მოგწონთ ან ჩვევად გეგცათ, მაგრამ ყოველი წუთი, რომელიც E პუნქტის ამოცანაზე ხარჯავთ, აკლდება იმ საქმიანობას, რომელმაც შესაძლოა, თქვენი ცხოვრება შეცვალოს. (თრეისი 2018:60-65)

ეს მეთოდი გვეხმარება ამოცანების ღირებულებებისა და პრიორიტეტების მიხედვით დალაგებაში. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, გავერკვეთ რა არის ჩვენთვის ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი და ღირებული. ამის დასადგენად არსებობს სხვადასხვა მეთოდოლოგია, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

პასუხი უნდა გაეცეს ორ კითხვას: 1. თუ თქვენ დაგრჩათ 6 თვე, როგორ გაანაწილებდით დროს? ის რასაც ნამდვილად გააკეთებდით არის ის, რაც არის თქვენთვის ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი და ღირებული. ეს საუკეთესო ხერხია იყოთ გულწრფელი საკუთარ თავთან; 2. რას გააკეთებდით პირველ რიგში, მილიონი დოლარის ქონის შემთხვევაში? ამ კითხვის დასმის მიზანი არის – ცოტათი ცნობიერის მოტყუება, სინამდვილეში ეს კითხვა ჟღერს ასე: „რას გაუკეთებდით თქვენს ცხოვრებას, რომ გქონდეთ საშუალება ის გაგეკეთებინათ რაც გსურთ?“ და კიდევ, თქვენ გაქვთ 30 წამი, ჩამოწერეთ დღეისათვის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი. როდესაც გინევთ სწრაფად ფიქრი, იწყებთ ფიქრს თქვენს ყველაზე მნიშვნელოვან მიზნებზე (ხარხელიძე, მორჩილაძე 2016:39-40). ერთდროულად შეზღუდულობისა (დროში) და ყოვლისშემძლეობის (მატერიალურად) წარმოდგენა, ნათლად გვიჩვენებს, (გვაფიქრებს) თუ რა გვსურს რეალურად და რას ვესწრაფვით. გვაძლევს პასუხებს კითხვებზე: რა გვზღუდავს და რა გვაძლევს ძალას საკუთარი მიზნის მისაღწევად.

მიზნების რეალიზაცია.

მიზნების განსაზღვრის შემდგომ იწყება მათი რეალიზა-

ცია. ცხადია, გეგმის არსებობა, როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს იგი, არ ნიშნავს რომ ყველაფერი განხორციელდება. მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, თუ რა გვიშლის ხელს მიზნისკენ სწრაფვასა და წარმატების მიღწევაში. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ – შესაძლებლობების (რესურსების: თვით დროის, მატერიალურის) შეზღუდულობა, მაგრამ ხშირად საკუთარი მიზნებისაკენ სწრაფვაში ხელს გვიშლის, აგრეთვე, წარუმატებლობის შიში. ხშირად წარუმატებლობის შიში იმდენად ძლიერია რომ ადამიანებს უმოქმედობიკენ, საკუთარ მიზნებზე უარის თქმისკენ უბიძგებს. ეს ყველაზე ცუდია, რაც შეიძლება ადამიანმა გააკეთოს საკუთარი წარმატების გზაზე.

როდესაც თომას ედისონს კითხეს, როგორი დამოკიდებულება აქვს მას წარუმატებლობასთან, მან უპასუხა: „მე დავრწმუნდი, რომ როდესაც მე ვმუშაობ პრობლემაზე, შემიძლია მივალნიო წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამოვცდი მისი გადაწყვეტის ყველა არასწორ გზას. მე დამჭირდება ყველა არასწორი მეთოდი და წარმატებულად შემიძლია ჩავთვალო ყველა ნაბიჯი, რომელიც მე ჩემი შეცდომის დემონსტრირებას მიკეთებს (ხარხელიძე, მორჩილაძე 2016:44).“ ყოველი, თუნდაც წარუმატებელი მცდელობა – კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია (<https://sputnik-georgia.com/positive/20160519/231730806.html>). აღნიშნული ნათლად ადასტურებს, რომ წარუმატებლობის შიში არ უნდა დაგვაფრთხოს, უფრო მეტიც, წარუმატებლობა უნდა განვიხილოთ როგორც გამოცდილება, რამეთუ ყოველი შეცდომა რაღაცას გვასწავლის.

ჩვენი ცხოვრების მიზნის განსაზღვრისა და შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანი საქმეების დადგენის შემდგომ, ცხადია, უნდა მოხდეს ანიშნული საქმეების რეალიზების პრაქტიკული გზების დასახვა – საქმიანობის თანამიმდევრობის დადგენა. ვიმეორებ, საუბარია უკვე დადგენილი და განსაზღვრულ მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულების თანამიმდევრობაზე (არ ვახდენთ მიზნისა და ამოცანების გადაფასებას).

მნიშვნელოვანი საქმეები ბუნებრივია რამდენიმე ქვესაქმეს, ნაბიჯს აერთიანებს და მათი შესრულებაც მოწესრიგებული, ორგანიზებული მოქმედებების ერთობლიობას მოითხოვს. ეს შეიძლება განხორციელდეს ორი გზით:

პირველი: ზემოთ განხილული მეთოდით, კერძოდ უკვე და-

დგენილი მნიშვნელოვანი საქმეების სიმრავლიდან გამოვყოთ უფრო მნიშვნელოვანი ან/და რთული და უპირატესად (პირველ რიგში) განვახორციელოთ ისინი;

მეორე ზემოაღნიშნულისგან დიამეტრალურად განსხვავებული მეთოდი. ცხადია მნიშვნელოვანი ამოცანები ერთნაირი სირთულის ვერ იქნება. მათგან პირველ რიგში შევასრულოთ ის საქმეები, რომელთა განხორციელება ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. ამოცანები, რომელთა გადაჭრის გზები უდავოდ (უეჭველად) და მკაფიოთ ვიცით და არ მოითხოვს დამატებით ან/და დიდ ძალისხმევას. საქმეები, რომელთა შესრულების მიმართულებები დასადგენია ამის შემდეგ განვახორციელოთ.

პირველ მეთოდის მნიშვნელობასა და მოქმედების მექანიზმზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და მასზე არ შეეჩერდები. რაც შეეხება მეორე მიმართულებას, ეს მიმზიდველია არა მარტო დროის ეფექტურად გამოყენების, არამედ საქმიანობასა და მიზნისკენ სწრაფვის გზაზე თავდაჯერებულობის მოსაზრებიდან გამომდინარე:

თუ მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებას მარტივი ელემენტებით დავინწყებთ, განცდა იმისა, რომ ბევრი რამ წარმატებით დავძლიეთ (ანუ გადაჭრილ ამოცანათა სიმრავლე) თავდაჯერებულს გაგვხდის, მეორეს მხრივ კი ცოდნა, რომ ცაიტნოტში არ ვართ, პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზას გვაპოვინებს. ასე მაგალითად, ტესტირებისას მიზანშეწონილია პასუხი გავცეთ ჯერ იმ ტესტებს, რომელთა პასუხებშიც, უეჭველად დარწმუნებული ვართ და დრო არ დაგვარგოთ ოდნავ მაინც სეჭვო საკითხებზე. სანამ გზის პოვნაზე დროს ვკარგავთ, განვიცდით სტრესს, რაც თავის მხრივ სწორად აზროვნებასა და მოქმედებაში გვიშლის ხელს, ალღოს გვაკარგვინებს. უპირაწია თავიდან გადავჭრათ მარტივი საქმეები. ეს არ უნდა ავურიოთ არამც და არამც ადრინდელ ამოცანების (მიზნების) მნიშვნელობის მიხედვით დალაგებაში, არ გავაიგივოთ მიზნიდან გადახვევასთან და არ მივიჩნიოთ პრიორიტეტების შეცვლად. დიდ (რთულ) საფიქრალზე ზედმეტად კონცენტრაციამაც შეიძლება დროის ფუჭ ხარჯვამდე მიგვიყვანოს.

ასე მივიღებთ უმნიშვნელოვანესისა და უმარტივესის საინტერესო კომბინაციას. რომელიც დაგვეხმარება: დროის ეფექტურად გამოყენებაში (არ ვყოვნდებით რთულ მოცემულობაზე), წარმატებით ნახალისებულს კი ერთის მხრივ მეტი დრო გვაქვს

სხვა ამოცანების გადასაწყვეტად და მიღწეული წარმატებით თავდაჯერებულნი (მინიმუმ წარუმატებლობით სტრესში არ მყოფნი) უკეთ ვაზროვნებთ და ვსაქმიანობთ. სხვა გვარად, რომ ვთქვათ, თავს უფლება უნდა მივცეთ მნიშვნელოვანი საქმეების შესრულება მისი ადვილი ელემენტების გადანყებით დავიწყოთ

დაგეგმილის შესრულება და კონტროლი.

გეგმის შედგენისას მისი (ცალკეული პუნქტების) რეალიზაციის ვადებიც უნდა განისაზღვროს. დადგენილი ვადები, როგორც საკონტოლო მაჩვენებლები, შესაძლებლობას იძლევა გაკონტროლდეს გეგმის შესრულება. ჩვენს თავში უნდა მოვიძიოთ ძალა დავიცვათ აღნიშნული ვადები. ამასთან, აუცილებელია გაავანალიზოთ (სრულად გავაცნობიეროთ) ყველა ხელისშემშლელი (ყურადღების გამფანტავი) აქტივობა და უარი ვთქვათ მასზე.

დამტკიცებულა, რომ თუ ადამიანი იწყებს, თავს ანებებს და მერე აგრძელებს სამუშაოს, მისი შესრულების ხანგრძლივობა 500%-ით იზრდება. ყოველ ჯერზე, როდესაც ამოცანს უბრუნდებით, ხელახლა ეცნობით იმ ადგილს, სადაც შეჩერდით და გეგმავთ თუ როგორ განაგრძოთ მუშაობა. კიდევ ერთხელ გინევთ ინერციის გადალახვა და ტემპის აღება, შინაგანი ძალის მოკება და მუშაობის პროდუქტიული რიტმის აწყობა (თრეისი 2018:145.) არ შეჩერდეთ, ვიდრე ამოცანას მთლიანად არ დაასრულებთ. ეს არის სამუშაოს მაღალი ხარისხისა და ინდივიდუალური პროდუქტულობის გამოვლენის მთავარი პირობა (თრეისი 2018:152).

ეს არ ნიშნავს, რომ არ გავითვალისწინოთ გეგმისგან გადახვევის შესაძლებლობა და ნებისმიერ ფასად არ დავუშვათ გეგმისგან გადახვევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გეგმა დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოქმედებების მონესრიგებული სქემაა. ცხოვრება კი ცვალებადია და გეგმის გადახედვის აუცილებლობა სავსებით ბუნებრივია და შეიძლება დადგეს დღის წესრიგში: შესაძლებელია მიზნის მისაღწევად ახალი გზები და შესაძლებლობები მოძებნოს ან კონკრეტულმა ამოცანამ ამჟამად მნიშვნელობა დაკარგოს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ახალი მიზნების დასახვა და შესაბამისი გეგმის შემუშავება. უნდა გვახსოვდეს: გეგმა არ არის თვითმიზანი და მზად უნდა ვიყოთ მასში სასიკეთო ცვლილებების განსახორციელებლად.

ამგვარად, დროის სწორად მართვა წარმატების საწინდარია. ამასთან, დროის მენეჯმენტის ხელოვნების დაუფლება შესაძლებე-

ლია და თავიდან აგვარიდებს უსაგნო ფუსფუსს, საშუალებას მოგვცემს ჩვენი საქმიანობა წარვმართოთ ნამდვილად მნიშვნელოვანი საქმეებისაკენ. მიზნის მისაღწევად სვლა მარტივი ნაბიჯებით შეგვიძლია. ამისათვის საჭირო გვეყოს გამბედაობა და გულწრფელობა დავისახოთ მიზანი, ვაქციოთ ის გეგმად. მიზნისკენ სწრაფვისას არ დაგვაბრკოლოს წარუმატებლობის შიშმა. მივიღოთ წარუმატებელი მცდელობა, როგორც გამოცდილება უკეთესი ხერხის ძიებისათვის და გამოვიმუშაოთ უნარი ყველაფერზე წინ მნიშვნელოვანი სამუშაო დავაყენოთ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ეფექტურად ვიმუშაოთ და დროის რესურსი რაციონალურად გამოვიყენოთ, გაეზდეთ თავდაჯერებული და წარმატებული.

ლიტერატურა

მანანა ხარხელიძე, გიორგი მორჩილაძე. 2016. *დროის მენეჯმენტი*. თბილისი.

ბრაიან თრეისი. 2018. 21 ოქროს წესი „შეჭამე ბაყაყის.“ თბილისი.

პარეტოს პრინციპი BLH <https://blh.com.ge> (26.04.2019).

დროის მართვა (თაიმ -მენეჯმენტი) <http://b2p.ge> (26.04.2019).

Тайм-менеджмент: простые способы управления временем <https://psyfactor.org/lib/time-management-2.htm> (20.05.2019).

Тайм-менеджмент <https://www.e-xecutive.ru/wiki/index.php> (23.05.2019).

არჩილ გამზარდია, დროის მენეჯმენტი და წარმატების დაგეგმვა. საჯარო ლექცია, თსუ 04.05.2018. <https://4u.ge/ka/drois-menejmenti-da-warmatebis-dagegmva-archil-gamzardia> 26.04.2019წ.

ედისონი: ყოველი, თუნდაც წარუმატებელი მცდელობა – კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, <https://sputnik-georgia.com/positive/20160519/231730806.html> (23.05.2019).

დროის მართვის ABCDE მეთოდი, დავით კენჭაძე. 15.11.2015. <https://www.bpn.ge/article/17217-drois-martvis-abcde-metodi-davit-kenchaze/> (20.04.2019).

ვილფრედო პარეტოს სოციოლოგიური სისტემა <http://socium.ge/downloads/klasikurisocetoriebi/vilfredo%20pareto.pdf> (20.05.2019).

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებები

ანოტაცია: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველია. ეკონომიკური ზრდა, მოსახლეობის კეთილდროება, ინვესტიციური მიმზიდველობა და უმუშევრობის შემცირება წარმოდგენილია კონკურენტუნარიანი მცირე და საშუალო ბიზნესის არსებობის გარეშე. პოსტსაბჭოთა მენტალური და თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებით გაჯერებული, რადიკალური ხედვები ხშირად ეკონომიკურ პოლიტიკას აყენებს რადიკალური გადანაცვლებების საჭიროების წინაშე, რასაც ხელისუფლება და ბიზნესი ხშირ შემთხვევაში თანამოაზრეებად და ზოგჯერ მხარეებადაც, კი გამოყავს. შესაბამისად საინტერესო და აქტუალურია მათი თანაცხოვრება, რაც ხშირ შემთხვევებში დეკლარირებული სიკეთეების აცდენებს ინვესს და რადიკალურ მიმართულებებს აყალიბებს. მსხავსი დისონანსების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია თანამედროვე განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენებით საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების დახვეწა, დამატებით აქტიური ღონისძიებების გატარება.

ამოსავალი სიტყვები: მცირე ბიზნესი, საშუალო ბიზნესი, კონკურენტუნარიანობა, ინვესტიციები, ინოვაციები, მენარმოება.

Lasha Narsia

MAIN DIRECTIONS FOR INCREASING THE COMPETITIVENESS OF SMALL AND MEDIUM BUSINESSES IN GEORGIA

annotation: Development of SMEs is the basis for economic and political stability of the country. Economic growth, population welfare, investment attractiveness and unemployment reduction are unimaginable without the existence of competitive small and medium businesses. Satisfied with post-soviet mental and modern market economics, radical visions often lead to economic policy in the face of radical decisions that the government and business often

use as partners, and sometimes even as parties. Accordingly, their coexistence is interesting and urgent, which often leads to discredited sclerosis and forms radical directions. In order to avoid disadvantages, we need to improve the measures taken in the field of competitiveness of small and medium business in Georgia by using the experience of modern developed countries, to carry out additional active measures.

Keywords: *Small business, medium business, competitiveness, investments, innovations, entrepreneurship.*

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველია. თანამედროვე პირობებში დასაქმების გაზრდის და ფირმების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის საციცოცხლოდ აუცილებელია მცირე კომპანიების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. ხშირ შემთხვევაში მათი კონკურენტუნარიანობა შეიძლება შესუსტდეს და შესაბამისად მოხდეს ბაზრიდან განდევნაც კი. განსაკუთრებით ხშირ შემთხვევაში ხდება მათი შთანთქმა ან საქმიანობის პროფილის შეცვლა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ნათლად დაგვიჩვენა კონკურენტუნარიანობის გავლენა და მნიშვნელობა ეროვნულ და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებზე.

მაიკლ პორტერის მოსაზრების თანახმად ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ კონკურენტუნარიანობას ნებისმიერ ინდუსტრიაში, მოიცავს ფართო კატეგორიებს (Porter2006:114).

ადამიანური რესურსები: პერსონალის რაოდენობა, უნარები და ღირებულება (მათ შორის მენეჯმენტის);

ფიზიკური რესურსები: ქვეყნის მიწა, წყალი, მინერალური რესურსების სიმრავლე, ხარისხი, ხელმისაწვდომობა და ღირებულება, ჰიდროელექტროსადგურების წყაროები, თევზჭერის საფუძვლები და სხვა ფიზიკური თვისებები.

ცოდნის რესურსები: დაგროვილი სამეცნიერო, ტექნიკური და საბაზრო ცოდნა წარმოების და მომსახურების სფეროში.

კაპიტალის რესურსები: ქვეყანაში არსებული კაპიტალის მარაგი.

ინფრასტრუქტურული რესურსები: მახასიათებლები (მათ შორის, ტიპი, ხარისხი) და ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის გამოყენების ღირებულება.

სწორედ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებში სწორად გა-

დანაწილებულმა ადამიანურმა, ფიზიკურმა, ცოდნის, კაპიტალის და ინფრასტრუქტურულმა რესურსებმა ხელი შეუწყო მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და წამყვან როლს. მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებშიც.

განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამენარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და, საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია – ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები (ევროკომისია 2010).

ჩვენი მოსაზრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე და მათ კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაზე გავლენის მქონე ფაქტორები დეტალურად შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- საქმიანობის სფეროში გამოცდილება;
- გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა;
- არსებული კადრების კვალიფიკაციის დონე;
- მართვაში გამოყენებული გამოცდილება;
- საჭირო რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
- ადგილმდებარეობა;
- გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი;
- საქმიანობის დივერსიფიცირების შესაძლებლობა;
- ინოვაციებზე წვდომის შესაძლებლობა;
- სავალუტო რყევებისას დამცავი მექანიზმების არსებობა;
- კადრების უწყვეტი გადამზადების სტრატეგიის არსებობა;
- წარმოების და მომსახურების დივერსიფიცირება;
- განვითარების მცირე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიის არსებობა;
- ფინანსურ რესურსებზე წვდომა;
- ხელსაყრელი რეგულაციების და ნებართვების არსებობა;
- ახალი ბაზრების მოძიების შესაძლებლობა;

- ეფექტური სარეკლამო ღონისძიებების გატარება;
- სტეიჰოლდიების ინტერესების გათვალისწინება;
- საქმიანობის პროცესში უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით თანამედროვე მიდგომების დაანერგვა;
- საგარეო ბაზრებზე გასვლა;
- დამოუკიდებელი აუდიტორების რეკომენდაციების გათვალისწინება.

ეფექტობით ეს არის ფაქტორთა კომპლექსი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილის გათვალისწინება სასიცოცხლოდ აუცილებელია მცირე და საშუალო კომპანიების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და თანამედროვე პირობებში ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისათვის.

საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით(9)

(1 ივნისი 2019)

რეგიონები	რეგისტრირებული	აქტიური
	სუბიექტი	სუბიექტი
სულ	741 811	168 168
ქ. თბილისი	325 717	71 172
აფხაზეთის ა.რ.	163	12
აჭარის ა.რ.	65 459	16 696
გურია	17 844	4 259
იმერეთი	100 517	22 843
კახეთი	45 424	10 526
მცხეთა-მთიანეთი	13 775	3 095
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6 190	1 225
სამეგრელო-ზემო სვანეთი	57 102	12 076
სამცხე-ჯავახეთი	22 210	5 036
ქვემო ქართლი	54 937	12 903
შიდა ქართლი	32 473	8 325

როგორც ცხრილიდან ჩანს 2019 წლის 1 ივნისის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული და აქტიური სუბიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით სულ რეგისტრირებულია 741 811 სუბიექტი. მათ შორის დღეისათვის აქტიურია 168 168 სუბიექტი, რაც პროცენტულად 22,66%-ია. როგორც

ცხრილის ანალიზიდან ჩანს საქართველოს 12 რეგიონში აქტიური სუბიექტების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისში – 21,85%; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა – 7,36%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – 25,50%; გურია – 23,86%; იმერეთი – 22,72%; კახეთი – 23,17%; მცხეთა-მთიანეთი – 22,46%; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სავანეთი – 19,78%; სამეგრელო – ზემო სვანეთი – 21,48%; სამცხე – ჯავახეთი – 22,67%; ქვემო ქართლი – 23,44%; შიდა ქართლი – 25,63%. აქტიური სუბიექტების მიხედვით პოტენციულად ლიდერთა სამეულშია: შიდა ქართლი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და გურია; ხოლო აქტიური სუბიექტების რაოდენობის მიხედვით: თბილისი, იმერეთი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

რეგიონებში მცირე და საწარმოების სიცოცხლისუნარიანობის და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფლად საჭიროდ მიგვაჩნია, რეგიონში არსებული რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, რაშიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესის განვითარების ხელსაწყოების გამოცდილების გათვალისწინება.

ბულგარეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის წლიური ანგარიშში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ხელსაყრელი ბიზნეს გარემო არის მთავარი ასპექტი, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოს კონკურენტუნარიანობაზე. ასეთი გარემო მოიცავს შემდეგ ძირითად ფაქტორებს: 1. მიმდებარე გარემოს ფაქტორები: მაკროეკონომიკური პირობები – ეკონომიკური ზრდა, ეროვნული შემოსავლის დონე, სიმდიდრის კონცენტრაცია, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი, გაცვლითი კურსი; პოლიტიკური პირობები – ეკონომიკური თავისუფლება, ბიუროკრატიული პროცედურები, დაბეგვრის საერთო სისტემა, ნახალისება და სუბსიდირება, სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულებები, ექსპორტისა და იმპორტის კვოტები; 2. სამრეწველო დონის ფაქტორები: რყევების მოთხოვნა – ფასების ელასტიურობა, მოთხოვნის შემოსავლიანი ელასტიურობა, სეზონური რყევები; კონკურენცია – საერთაშორისო დონე, კოალიცია ორგანიზაციებს შორის, კონკურენცია, სტრატეგიული ალიანსები; მომწოდებლები – ხელმისაწვდომობა და ხარისხის რესურსები, ლოკალიზაცია, მინოდების კონცენტრაცია; კლიენტები – ლოკალიზაცია, გაყიდვების კონცენტრაცია, ფინანსური ჯანმრთელო-

ბა. 3 სანარმო (კომპანია) – ფაქტორები: ხარჯები ან ხარჯები – ნედლეული ხარჯები, შრომის ხარჯები, შენახვის ხარჯები, კაპიტალის ღირებულება; ტექნოლოგიები – ტექნოლოგიური პროცესები, პროდუქტები, ინვესტიციების კვლევა და განვითარება, საკუთრებაში არსებული პატენტები
(Sibel Ahmedova 2015:1104).

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა უნდა

გახდეს სახელმწიფოებრივი რეგიონის პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება. რაც საშუალებას მისცემს რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარებას. მიაღწიოს განვითარების მაღალი დონეს და გააუმჯობესოს მოსახლეობის კეთილდღეობა.

არ უნდა იყოს რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება


მხოლოდ ბიზნესის ამოცანა, არამედ ის უნდა იყოს ხელისუფლების ორგანოების ძირითადი საზრუნავი. ხელისუფლებამ და ბიზნესმა ერთობლივად უნდა გააუმჯობესოს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მექანიზმები სანარმოები.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობა არის კომპლექსური მახასიათებელი, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების დიდი რაოდენობას. კონკურენტუნარიანობის შეფასება უნდა შეიცავდეს სამომხმარებლო მიმზიდველობას და მწარმოებლების ინტერესებს წარმოებასა და გაყიდვებში. ეკონომიკური ფაქტორები განსაზღვრავენ საქონლის კონკურენტუნარიანობის შეფასებას, რაც ასახება მომხმარებელთა და მწარმოებლების ინტერესებში. უფრო მეტიც, კონკურენტული ფაქტორები ასახავს არა მხოლოდ პარამეტრებს მსგავსი პროდუქტების, არამედ ახასიათებს პოტენციური მყიდველების საჭიროებებსაც.

მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდამჭერის ბიზნეს ასოციაციები საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდამჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა: პალატა დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით. მისი მთავარი ფუნქციებია ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნეს უნარების და ბიზნესის დაგეგმვის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა,

სანარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვა. პალატის წევრობა ნებაყოფლობითია. ამჟამად, პალატას ჰყავს 1 007 წევრი, რომელთა 90% მცირე და საშუალო მენარმეა. წევრობის გადასახადი მერყეობს 0 ლარიდან 10 000 ლარამდე და დამოკიდებულია განუღებულ მომსახურებაზე. მცირე და საშუალო სანარმოები არ იხდიან წევრობის გადასახადს (ევროკომისია 2010:26).

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს (%)



რაც შეეხება უმსხვილეს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკის სექტორის მიხედვით 2018 წელს, მონინავე პოზიციაზეა საფინანსო სექტორი 22,5 %, ტრანსპორტი 17%, ენერჯეტიკა 12,8%, დამამუშავებელი მრეწველობა 11,5%; მშენებლობა 8,4%; უძრავი ქონება 7,3%; სასტუმროები და რესტორნები; სამთომომპოვებელი მრეწველობა 5,4 % და დანარჩენი სექტორი 9.1% (8). აღსანიშნავია ჩამოთვლილ სფეროებს შორის მიმზიდველობის თვალსაზრისით მცირე და საშუალო სანარმოები საქმიანობენ საფინანსო, სატრანსპორტო, მშენებლობის, უძრავი ნონების, სასტუმროების და რესტორნების სექტორებში. მაგრამ აქვე შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს მცირე და საშუალო სანარმოების მხრიდან სანდოობის და სტაბილურად საქმიანობის მცირე გამოცდილება, რაც ხშირ შემთხვევებში უცხოური ინვესტირებისათვის ხელშემშლელი ფაქტორია.

ინოვაციების შემოტანა ბაზარზე (%) (8)

	2016 %	2017 %
თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული პროცესები საქონლის/მომსახურების წარმოებისთვის?	44.9%	41.6%
თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული ლოჯისტიკის, მიწოდების და დისტრიბუციის მეთოდები თქვენი ნედლეულის ან წარმოებული საქონლის/მომსახურებისთვის?	22.0%	24.3%
თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მხარდამჭერი აქტივობები თქვენი საწარმოო პროცესებისთვის (მაგ. შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვის, გამოთვლების მომსახურების სისტემები)?	33.1%	34.1%
სულ	100.0%	100.0%

შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ „დიახ“ პასუხის შესაბამისად

როგორც ცხრილიდან ჩანს 2016-2017 წლებში ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული პროცესები საქონლის და მომსახურების წარმოებისათვის მხოლოდ 44,9% და 41,6% შემოიტანა; ახალი არსებითად გაუმჯობესებული ლოჯისტიკის, მიწოდების და დისტრიბუციის მეთოდები ნედლეულის ან წარმოებული საქონლის და მომსახურებისათვის 22,0% და 24,3% გამოიყენა; ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მხარდამჭერი აქტივობები საწარმოო პროცესისათვის შემოიტანა მხოლოდ საწარმოების 31,1% და 34,1%. ეს მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია და საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. საკმაოდ ბევრია სამუშაო საწარმოებში ინოვაციების დანერგვის კუთხით, რადგანც სწორედ ინოვაციების დანერგვა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში მიგვაჩნია მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რესურსად.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვანია გამართული მენეჯმენტის სისიტემის არსებობა. კონკურენტუნარიანობის მენეჯმენტის წახალისება არის ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ კონკურენტუნარიანობას და მუდმივად აუმჯობესებენ ამ პროცესს. შესაბამისი სტიმულირების ინსტრუმენტების გამოყენების

მაქსიმალური დაბრუნების უზრუნველსაყოფად, ისინი უნდა იყოს კლასიფიცირებული ორი კრიტერიუმით: მოტივების მიხედვით (ეკონომიკური, ადმინისტრაციული, მორალური, შემოქმედებითი) საქმიანობა; დამოკიდებული გავლენაზე (ჯილდო, სასჯელი).

მნიშვნელოვანია პროექტი, რომელიც მხარს უჭერს საქართველოში ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან (DCFTA-სთან) დაკავშირებული ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმების დანერგვას. ეს საფუძველს უყრის მცირე და საშუალო ბიზნესის გამყარებას ფართო ზრდის უზრუნველყოფისათვის, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ახალ ნორმატიულ პირობებთან ადაპტირების უზრუნველსაყოფისათვის, რაც საშუალებას აძლევს მას, გამოიყენოს შესაძლებლობები DCFTA-ს ფარგლებში (7).

ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია:

– მცირე და საშუალო მენარმეებისათვის სამენარმეო უნარების ასამაღლებლად მხარდაჭერა. აუცილებელია რეგიონულ ცენტრებში არსებობდეს მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ცენტრები, სადაც მსურველებს საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია და ცოდნა მცირე და საშუალო მენარმეობის საკითხებზე. სადაც იფუნქციონირებს ტრენინგ ჯგუფები და დაინტერესებული პირები ჩაერთვებიან მათთვის სასურველი უნარების დასაუფლებლად. ტრენინგების თემატიკა განსაზღვრული იქნება მცირე მენარმეობის გაძღოლისათვის აუცილებელი უნარების განვითარებისათვის;

– კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მცირე და საშუალო ბიზნესში საჭიროდ მიგვაჩნია მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა. არსებული გარემო ერთი შეხედვით ხელს უწყობს დარგში თავისუფლად შესვლას, მაგრამ მრავლი ბიზნესი ვერ ახერხებს ბაზრზე თავისუფალ საქმიანობას ეგრეთ წოდებული „უხილავი მონოპოლიების“ ხელშეშლის გამო. აუცილებელია ანტიმონოპოლიური სამსახურის მეტი აქტიურობა. ეს ხელს უშლის ასევე ადგილობრივ და უცხოელი ინვესტირების აქტივობებს მცირე და საშუალო საწარმოებში;

– მცირე და საშუალო საწარმოების მწირი საინვესტიციო შესაძლებლობების განვითარებისათვის „ანარმოე საქართვე-

ლოს“ ფარგლებში გამოყოფილი რესურსები არასაკმარისია მათი განვითარებისათვის, თანაც აღნიშნული რესურსების მიმართვა ბიზნეს შეუძლია მხოლოდ ალჭურვისათვის და არა სხვა მიმართულებით. საჭიროა ფონდის არსებობა, რომელიც ზედმეტი ბიუროკრატიული ფორმალობების გარეშე მხარს დაუჭერს მცირე და საშუალო ბიზნეს გაფართოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით. დამატებით მხრდაჭერას საჭიროებს დამწყების ბიზნესი, რომელსაც განვიხილავთ, როგორც სამუშაო ადგილების შექმნის და ეკონომიკური ზრდის მასტიმულიზებელ საშუალებას:

– სწორად მოხდეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მცირე და საშუალო ორგანიზაციების განვითარების პერსპექტივების შეფასება. მიეცეს შესაბამისი რეკომენდაციები რეგიონებში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესის კეთების მსურველებს და მქონე სუბიექტებს, იმ პოტენციურ გამონვევებსა და სიკეთეებზე რაც შეიძლება მიიღონ DCFTA-ს ფარგლებში. არის გარკვეული ქმედებები მთავრობის და არასამთავრობო სექტორის მხრიდან, მაგრამ უნდა ავლნიშნოთ, რომ ეს არასაკმარისია იმ მოსალოდნელი სიკეთეების გათვალისწინებით, რასაც იძლევა DCFTA.

აუცილებლად მიგვაჩნია მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური აქტივობების მხარდაჭერისათვის მიზნობრივი „ინოვაციური განვითარების პროგრამების“ დანერგვა და განხორციელება. სწორედ ინოვაციური მიდგომების დანერგვა წარმოების და მომსახურების სფეროში მოგვცემს საშუალებას შევამციროთ ის ჩამორცენილობა, რაც სამწუხაროდ დღეისათვის არსებობს აღნიშნულ სექტორში ქართულ რეალობაში;

ვფიქრობთ, მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება შესაძლებელს გახდის ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობას ამაღლებას. მენარმეებს საშუალებას მისცემს განავითარონ საქმიანობა, თამამად მიიღონ საჭირო გადაწყვეტილებები, შექმნან კონკურენტუნარიანი პროდუქცია და მომახურება. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები აღიქვან საკუთარი საქმიანობის მხარდაჭერად და ევროპის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას შეხედონ, როგორც შანსს საკუთარი ბიზნესის მდგრადობის და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის.

ლიტერატურა

ევგენი ბარათაშვილი, ლარისა თაკალანძე. 2018. *მენეჯმენტის საფუძვლები*. თბილისი.

საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. 2017.

ევროკომისია 2010: დიალოგი „მცირე და საშუალო მენარმეობის პოლიტიკაზე“ აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში (Dialogue on «SME Policy» with regard to the multilateral framework of the Eastern Partnership

საქართველოს მენარმეობის განვითარების სააგენტო, მისია და ხედვები <http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/aboutus/Mission--Vission> (7.29.2019).

Porter, M, *The Competitive Advantage of Nations*, THE FREE PRESS, A Division of McMillan, Inc., New York, 2006

Sibel Ahmedova, Factors for Increasing the Competitiveness of Small and Medium-Sized Enterprises (SMEs) In Bulgaria, *Sibel Ahmedova / Procedia _ Social and Behavioral Sciences* 195 (2015) 1104 _ 1112.

მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარება და DCF-TA საქართველოში <http://www.eu4business.eu/ka/programme/mcire-da-sashualo-mecarmeobis-ganvitareba-da-dcfta-sakartveloshi> (7.29.2019).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba?fbclid=IwAR0Qc7s2Fem6ZRRI5BU8wipddqxp5QCCajOqFLATm_pVUzd09UXfy6r2wpU (7.29.2019)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/68/regionebis-mikhedvit> (7.29.2019).

ენერჯის წყაროები და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ანოტაცია: ნაშრომი ეხება თანამედროვე პირობებში გამოყენებული ენერჯის წყაროების და მომავლის შესაძლო დომინანტი ენერჯის შერჩევის საკითხებს. განხილულია დღევანდელ პირობებში გამოყენებული ენერჯის წყაროების შედარებითი დახასიათება, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები-ეკოლოგიური უსაფრთხოება, რესურსების მარაგი, თვითღირებულება, გამოყენების არეალი.

ნაშრომში მოცემულია მომავლის შესაძლო დომინანტი ენერჯის შერჩევის კრიტერიუმები. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მომავლის დომინანტი ენერჯის წყაროების ორი მიმართულება-წყლის დაშლის შედეგად მიღებული წყალბადური ენერჯია იმ პირობით, თუ გამოინახა წყლის დაშლის ახალი არატრადიციული მეთოდი ენერჯის ნაკლები დანახარჯით და ბირთვული ენერჯია-მისი მიღების, გამოყენების და რადიაციული ნარჩენების შენახვის ტექნოლოგიების აბსოლუტურად უსაფრთხო მეთოდების შემუშავების პირობებში. ასევე გამოიკვეთა დაბალტემპერატურული ბირთვული ენერჯის პერსპექტივა.

ამოსავალი სიტყვები: ენერჯია, ეკოლოგია, დომინანტი, ბირთვული, წყალბადური.

Enver Arveladze, Badri Naneishvili

ENERGY SOURCES AND RELATED PROBLEMS

Summary: Problems being considered in this article concern the ecological questions of environment arisen as the result of processing of energy sources. Also the positive and negative sides of the application of some energy sources and the criterion of choice of dominant energy.

ჩვენს პლანეტაზე მოსახლეობის რიცხოვნება, ენერჯეტიკული რესურსების ხარჯვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. რამდენად პარადოქსულად არ უნდა ჩანდეს ადამიანის ქმედება, იცხოვროს უფრო კომფორტულად და მდიდრულად, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ და ჩვენივე ქმედებიდან გამომდინარე, ვლებულობთ ექვივალენტური დოზით უარყოფით

შედეგებს, უმთავრესად - ეკოლოგიური სიტუაციის დამძიმებას.

1. ბოლო საუკუნის განმავლობაში პლანეტის მოსახლეობა გაიზარდა დაახლოებით 3,5-ჯერ (პლანეტის მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლოს – 1,658 მილიარდი, XX საუკუნის შუა პერიოდში – 2,484, XX საუკუნის ბოლოს დაახლოებით 6 მილიარდი, ხოლო ბოლო მონაცემებით დედამიწის მოსახლეობა შეადგენს 7 მილიარდამდე ადამიანს), რესურსების ხარჯვა კი თითქმის 32-ჯერ. ენერჯის უდიდესი მომხმარებლებია განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები, სადაც ეს მაჩვენებლები ერთ სულ მოსახლეზე 10-ჯერ მაღალია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. ექსპერტების გათვლით განვითარებადი ქვეყნები ენერჯის მოხმარების მხრივ ინდუსტრიულ ქვეყნებს რომ გაუტოლდნენ, ენერჯის გლობალური ხარჯვა 5-ჯერ გაიზრდებოდა (Население и экологические изменения. 2001. UNFPA. фонд организации объединенных наций в области народонаселения).

2. თუ გავითვალისწინებთ ენერჯის ხარჯვის დღევანდელ მასშტაბებს და მის შედეგებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პლანეტის ეკოსისტემა ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლებს. ენერგომატარებლების ხარჯვის დღევანდელი ტემპებით თუ ვიმსჯელებთ, ნავთობის რესურსები პლანეტას მხოლოდ 40-50 წელი თუ ეყოფა, ბუნებრივი აირისა დაახლოებით 130 წელი, ქვანახშირისა-380 წელი. როგორც ვხედავთ, ამ თვალსაზრისით მომავალი არც თუ ისე საიმედო და სახარბიელო ჩანს. ტრადიციული ენერგორესურსების მწირი მარაგი პრობლემის ერთი მხარეა. ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მათი გადამუშავება დღევანდელი ტექნოლოგიებით ინვესტს შეუქცევად ეკოლოგიურ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, მეცნიერები ჩაფიქრდნენ, როგორ უნდა გაგრძელდეს ენერჯის მოპოვება და ხარჯვა ისე, რომ ჩვენი პლანეტა გლობალური კატასტროფის წინაშე არ აღმოჩნდეს? რომელი ენერგორესურსების წყაროდან მიღებული ენერჯია იქნება დომინანტი?

დღევანდელი მიმე ეკოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ენერჯის წყაროების შერჩევას ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი გახდა მისი ეკოლოგიური უსაფრთხოება, ასევე მისი უმრეტი წყარო და თვითღირებულება. ენერჯის წყაროების გამოყენების მხრივ კაცობრიობამ ორი ეტაპი უკვე გაიარა: მერქნის შეცვლა ქვანახშირით XIX საუკუნეში და ქვანახშირის

შეცვლა ნავთობითა და ბუნებრივი აირით XX საუკუნეში. შედარებით ახალია ჰიდრო ენერჯია, ბირთვული, მზის, ქარის, ზღვის მიმოქცევის, ოკეანის თბური ენერჯიები. ასევე ბიომასალა და წყალბადური ენერჯია. მიუხედავად მრავლად ჩამოთვლილი ენერჯიის წყაროებისა, თითოეულს გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც და სამომავლოდ რომელიმე ერთ-ერთზე, როგორც დომინანტ ენერჯიაზე გათვლა, რომელიც მოხსნიდა პრობლემას უსაფრთხო ენერჯომატარებელზე, ან სრულად დააკმაყოფილებდა მზარდ მოთხოვნილებას ენერჯიაზე – ნადრეჯია, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილი მიმოხილვიდანაც.

ჰიდროენერჯია, ატმოსფეროს დაბინძურების მხრივ აბსოლუტურად უსაფრთხოა. მისი დადებითი მხარეა ასევე წყალსაცავებით წყლის ხარჯვის რეგულირება, რაც შესაძლებელს ხდის აცილებულ იქნას დამანგრეველი წყალდიდობები. უარყოფით მხარეებს განეკუთვნება ის, რომ დიდი წყალსაცავების ზონაში ძლიერდება სეისმური აქტივობა, რომლის შესამცირებლად საჭიროა საგანგებო ღრმა ბურღილების გათხრა. ამის გარდა, წყალსაცავები ფარავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდ ფართობებს. მაგალითად, ვოლგის წყალსაცავებმა დაფარა 25 მილიონი ჰექტარი მიწის ფართი.

2012 წლის მონაცემებით მსოფლიო ელექტროენერჯიის დაახლოებით 3% მოდის ჰიდროენერჯიაზე [Bernard Chabot. Analysis of the Global Electricity Production up to 2014]. ინდუსტრიულ ქვეყნებში ჰიდროენერჯიის ხვედრითი წილი უფრო მაღალია, მაგ. აშშ-ში ის შეადგენს დაახლოებით 52%-ს. საქართველოში ამ რესურსის დაახლოებით 10%-ია გამოყენებული, ამ დონეზეა ჩინეთიც, რომელიც ჰიდრორესურსების მხრივ ყველაზე მდიდარია მსოფლიოში.

თბოელექტროსადგურები ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ტრადიციული ენერჯიის წყაროა. თუმცა თანამედროვე პირობებში ასეთ ენერჯიაზე უარს ამბობენ განვითარებული ქვეყნები და მისი დიდი ხვედრითი წილი ძირითადად მოდის განვითარებად ქვეყნებზე. რისი მიზეზიცაა თბოელექტროსადგურების მიერ გარემოს სერიოზული დაბინძურება, უპირველესად ქვანახშირისა და ნავთობპროდუქტების წვის შედეგად გამოყოფილი აირებით: და სხვა. აქედან ყველაზე დიდი მოცულობით

გამოიყოფა, მისი მაღალი კონცენტრაცია ატმოსფეროში ქმნის ე.წ. „სათბურულ ეფექტს“. ამ დროს ატმოსფეროში არსებული -ის ფენით ხდება დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი სითბოს შეკავება, რაც იწვევს დედამიწის დათბობას. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის -ის კონცენტრაცია ატმოსფეროში დაახლოებით 12-ჯერ გაიზარდა. /Стэн Бернстайн 2001:6/ მეცნიერები საგონებელში არიან ჩავარდნილი და ასეთი დასკვნებიც კი კეთდება: შეიძლება ამან გამოიწვიოს მყინვარწვევებში, აისბერგებსა და ანტარქტიდაში ყინულის დნობის მნიშვნელოვანი გადიდება, რაც გამოიწვევს ზღვებისა და ოკეანეების დონის მატებას და შეიძლება გახდეს გრანდიოზული წყალდიდობების მიზეზიც. რაც შეეხება გოგირდისა და აზოტის ოქსიდებს, ისინი ძლიერ ტოქსიკური აირებია და იწვევს მრავალ დაავადებას, ასევე მუავა წვიმებს.

მზის ენერგიას დიდი უპირატესობა აქვს ორგანულ სათბობებთან შედარებით. ეს არის ენერგიის საკმაოდ სუფთა სახე. მზის ენერგიის გარდაქმნა ელექტროენერგიად ხდება ფოტოგალვანური ელემენტებით. მზის ენერგიის გამოყენების ერთ-ერთი სახეა ჰელიოთერმული დანადგარები, რომლებიც სხივურ ენერგიას თბურ ენერგიად გარდაქმნის. ასეთ სისტემაში მზის სხივი ლინზების საშუალებით ფოკუსირდება მიმღებ სითხეში და სითხე თბება. ხოლო სითბო ელექტროგენერატორს გადაეცემა (დანერგილია ავსტრალიაში, საბერძნეთში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში). უარყოფითი მზარეებია: მზის ენერგია არ არის უწყვეტი ენერგიის წყარო, ადგილი აქვს დიდი ფართი მიწის ტერიტორიების ბლოკირებას. ენერგიის ეს სახე 2-4-ჯერ ძვირია ტრადიციულ წყაროებთან შედარებით, მისი გამოყენება არაეფექტურია ჩრდილოეთის ქვეყნებში.

ქარის ენერგიის ათვისება XX საუკუნის 70-80 წლებში დაიწყო. ქარის გენერატორებში ქარის კინეტიკური ენერგია გარდაიქმნება ელექტროენერგიად. თანამედროვე ქარის გენერატორების მშენებლობა მიზანშეწონილია ადგილებში, სადაც ქარის სიჩქარე შეადგენს 4-25 მ/წმ-ს. გენერატორების სიმძლავრე დამოკიდებულია მბრუნავი ფირფიტის ფართზე. ყველაზე თანამედროვე ქარის გენერატორი აშენდა 2005 წელს კომპანია „Enercon“-ის მიერ. გენერატორის სიმძლავრე შეადგენს 6.0 მგვტ-ს. ამ გენერატორის კომპის სიმაღლეა 124 მეტრი, როტორის

დიამეტრი კი 114 მეტრი. ამჟამად კომპანია „clipper windpower“-ი აშენებს ყველაზე მძლავრ აეროგენერატორს, რომლის სიმძლავრე იქნება 7,5 მგვტ. ქარის ენერჯის ბუმი კალიფორნიაში. მსოფლიოში გამოიმუშავებული მთელი აეროენერჯის 80% კალიფორნიაზე მოდის. აშშ-ის სხვა რეგიონებშიც იზრდება ამ სახის ენერჯის წილი. სადგურები შენდება სკანდინავიის ქვეყნებშიც. ვერ ვიტყვით, რომ ამ სახის ენერჯია არის ეკოლოგიურად სუფთა, რადგანაც აეროდანადგარები იწვევს ხმაურსა და ჰაერის ვიბრაციას, რომლის დროსაც წარმოიქმნება ისეთი სიხშირის ბგერები, რომლებიც ძლიერ ვნებს მწერებსა და ფრინველებს და იწვევს მთელი რიგი სხვადასხვა სახის ფრინველის განადგურებას.

ოკეანის მიმოქცევის ენერჯია იმსახურებს საგანგებო ყურადღებას. ეს არის პრაქტიკულად ეკოლოგიურად სუფთა ენერჯია. ოკეანეებში მიმოქცევა ხდება დღე-ღამეში 2-ჯერ. მისი საშუალო სიმაღლე 0,5 მეტრს შეადგენს. მაგრამ ვიწრო ყურეებში შეიძლება 10-20 მეტრიც იყოს. მიმოქცევის ხარჯზე ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად ჩვეულებრივ კაშხალს აგებენ, რომლის ძირში ტურბინებია დამონტაჟებული და ელექტროენერჯია გამოიმუშავდება როგორც კაშხალის ავსებისას, ასევე მისი დაცლისას. პირველად ასეთი ენერჯია სამრეწველო მასშტაბით მიღებულ იქნა საფრანგეთში 1968 წელს (ლარანჰესი, სიმძლავრე 320 მგვტ).

ეკოლოგიური თვალსაზრისით ბირთვული ენერჯია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სუფთა და ასევე ეკოლოგიურად ყველაზე უფრო საშიში და დამანგრეველი ენერჯის წყარო. ცხადია, პირველ ვარიანტში ვგულისხმობთ ბირთვული რეაქტორების აბსოლუტურად საიმედო და გამართულ მუშაობას, მეორეში კი ავარიულ შემთხვევებს. ბირთვული ენერჯის წყაროა ატომის ბირთვის დაშლა, რომლის დროსაც გამოიყოფა კოლოსალური ენერჯია. მაგალითად, ერთი გ/მოლი ჰელიუმის ბირთვის დაშლისას გამოიყოფა იმდენი ენერჯია, რამდენსაც გამოიმუშავებდა 1 საათში დნეპროჰესის ელექტროსადგური. მაგრამ თანამედროვე პირობებში ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული ავარიული შემთხვევები, რაც შეიძლება უდიდესი რადიაციული დაბინძურების წყარო გახდეს (მაგალითად, 1986 წელს ჩერნობილის ავარია და იაპონიაში 2011 წელს ცუნამით

გამონვეული ატომური ელექტროსადგურის დაზიანება). ამას გარდა ძალიან მწვავედ დგას საკითხი რადიაციული ნარჩენების შენახვა-გადამუშავების საქმეში. ტრადიციულად რადიაციულ ნარჩენებს ათავსებენ რკინა-ბეტონის კონტეინერებში, რომელიც იძირება ოკეანის ფსკერზე. კონტეინერის შენახვის პერიოდი გაცილებით მცირეა რადიექტიული ნივთიერებების დაშლის პერიოდთან შედარებით. მაგ. იზოტოპ პლუტონიუმ 238-ის სიცოცხლის ხანგრძლივობაა 86 წელი. ატომური ელექტროსადგურები 2012 წლისათვის გამოიმუშავებდნენ მსოფლიოში საერთო ენერჯის 5,7 %.

როგორც ვხედავთ, განხილული ენერჯის წყაროებიდან ზოგიერთის მარაგი იწურება, ზოგ შემთხვევაში ტექნოლოგია არ არის ბოლომდე საიმედო, ზოგიერთისა ეკოლოგიურად ბინძურია. ენერგომატარებლების მიძიმე დეფიციტი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდება ენერჯის ორგანული წყაროების ამონურვის შემდეგ. აქედან გამომდინარე ოცდამეერთე საუკუნეში უნდა მოხდეს თვისობრივად ახალი ნახტომი დომინანტი ენერჯის წყაროს შერჩევის საკითხში. ცხადია, ერთ-ერთი და უმთავრესი კრიტერიუმი იქნება ეკოლოგიური უსაფრთხოება და ენერჯის წყაროს უშირეტობა. ამ პარამეტრებით იდეალური ენერგომატარებელი არის წყალბადი (Справочник азотчика. Москва. химия. 1986 ст. 48-62. 510). რა იძლევა ამის მტკიცების საფუძველს?

წყალბადის წვისას გამოიყოფა დიდძალი ენერჯია, ის დაახლოებით 4-ჯერ უფრო მეტ სითბოს იძლევა, ვიდრე ქვანახშირი და 3-ჯერ – ვიდრე ნავთობი.

ეკოლოგიური თვალსაზრისით წყალბადი არის აბსოლუტურად სუფთა ენერჯის წყარო, რადგანაც მისი წვის პროდუქტია მხოლოდ წყლის ორთქლი, რომელიც არ იწვევს გარემოს დაბინძურებას.

არსებობს ბუნებაში წყალბადის მიღების უშირეტი წყარო – წყალი.

აქედან გამომდინარე შესაძლებელია უშირეტი ენერჯის წყაროს ძიების ციკლი დასრულდეს ასე: მერქანი – ქვანახშირი, ნავთობი, გაზი – წყალი.

ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ასეთი ტერმინიც „წყალი, ეს არის მომავლის ქვანახშირი“.

მაგრამ, ჯერჯერობით ეს პროექტი ვერ განხორციელდება

იმ მარტივი მიზეზით, რომ წყლის დაშლა ტრადიციული ხერხით – ელექტროლიზით, რომლის დროსაც მიიღება წყალბადი, საჭიროებს დიდ ენერგიას, რის გამოც ამ გზით მიღებული წყალბადის ენერგოტევადობა ბევრად არ აღემატება იმ ენერგიას, რაც საჭიროა ექვივალენტური რაოდენობის წყლის დასამლელად. ამიტომ საჭიროა გამოინახოს წლის დაშლის რაიმე არატრადიციული მეთოდი ნაკლები ენერგიის ხარჯით.

ბუნებაში გვაქვს მსგავსი პრეცედენტის გადაწყვეტა, როცა მაღალი ენერგიის პირობებში მიმდინარე ქიმიური პროცესების წარმართვა ხდება წარმოუდგენლად დაბალი ენერგიის პირობებშიც. ამის კარგი მაგალითია კოჟრის ბაქტერიების მეშვეობით ჰაერში არსებული თავისუფალი აზოტის (მოლეკულური ფორმის -ის) ფიქსაცია, ანუ მისი გადაყვანა ნაერთის მდგომარეობაში, რის შედეგადაც ბმულ აზოტს ადვილად ითვისებს მცენარე. ცაღია, რომ არა კოჟრის ბაქტერიების ასეთი უნიკალური ბიოკატალიზური თვისება, ჰაერში არსებული მოლეკულური აზოტის ათვისება მცენარის მიერ შეუძლებელი იქნებოდა აზოტის მოლეკულის ატომებს შორის არსებული სამმაგი ბმისა და ამ ბმის მაღალი ჯამური ენერგიის გამო (925 კჯ/მოლი). მაგალითად, აზოტი -ის ფორმით რომ შევიდეს რეაქციაში O-თან, საჭიროა ძალიან დიდი ენერგია. ეს რეაქცია შესაძლებელია წარმართოს არანაკლებ 3000-4000°C-ის ტემპერატურის პირობებში. თუმცა წყლის შემთხვევაში მსგავს ბუნების წყალბადას არ უნდა ველოდეთ. ამიტომ, მეცნიერები განაგრძობენ კვლევებს უფრო დაბალი ენერგიის პირობებში წყლის დაშლის შესაძლო მექანიზმის ძიების გარშემო. ერთი რამ ცხადია, თუ ვერ გამოინახა წყლის დაშლის ასეთი მექანიზმი, ორიენტაცია წყლის მომავლის დომინანტი ენერგიაზე დარჩება მხოლოდ ოცნებად. აქედან გამომდინარე, ორგანული რესურსების ამონურვის შემდეგ დომინანტი ენერგიის წყაროდ მაინც რჩება ბირთვული ენერგია. ცხადია, ძალიან მაღალ დონეზე აყვანილი უსაფრთხოების თანამეროვე ტექნოლოგიებით. ამის პარალელურად გაიზრდება ხვედრითი წილი ისეთი ენერგომატარებლებისა, როგორიცაა: მზის, ჰაერის, ჰიდროელექტროსადგურების და სხვათა უფრო დახვეწილი ტექნოლოგიებით.

გამოჩნდა სენსაციური ინფორმაცია გენერატორ E-CAT-ის შესახებ (Анатолий Лемьш: 1-6), რომელიც შეიძლება იყოს

დიდი ენერჯის წყარო მცირე ენერჯის დანახარჯით. გენერატორ E-CAT-ის ავტორია იტალიელი ინჟინერი ანდრეა როსი. გენერატორი წარმოადგენს მინიატურულ დანადგარს, მის კერამიკულ კორპუსში ჩამონტაჟებულია 20სმ სიგრძისა და 2სმ დიამეტრის მილი, რომელიც ასრულებს რეაქტორის ფუნქციას. მილის ბოლოში მორგებულია ელექტროქსელში შესაერთებელი ჩამრთველი. რეაქტორში წყალბადის მაღალი წნევის არეში მოთავსებულია 0,5 გრ. ნიკელის ფხვნილი და რაღაც „საიდუმლო“ კატალიზატორი. E-CAT-ის მუშაობის საწყის ეტაპზე რეაქტორს ახურებენ ელექტრული დენით. შემდეგ კი რეაქტორი ავტომატურ რეჟიმში ახდენს ენერჯის გამომუშავებას, რომელიც დიდად აღემატება დახარჯულ ენერჯიას. ამ მინიატურულმა დანადგარმა 32 დღეში გამოიმუშავა 1,5 მეგავატის ექვივალენტი სითბო. მეცნიერთა აზრით ეს ენერჯია მინიმუმ მილიონჯერ მეტია ვიდრე იმავე მოცულობაში ნებისმიერი ქიმიური წყაროდან მიღებული ენერჯია.

სამი სხვადასხვა ცნობილ მეცნიერთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა ფხვნილის იზოტოპური შედგენილობის ცვლილება რეაქტორის გამოცდამდე და მის შემდეგ. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ E-CAT ნამდვილად გარდაქმნის სანვავს ბირთვულ დონეზე, რაც ნიშნავს იმას, რომ რეაქტორში მიმდინარეობს დაბალტემპერატურული თერმობირთვული რეაქციები. მაგრამ, მეცნიერთა გასაკვირად, რადიაციული ნარჩენები ვერ იქნა დაფიქსირებული. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ პროცესი ეკოლოგიურად არის აბსოლუტურად სუფთა და უვნებელი. თავიანთი გამოკვლევის ანგარიშში მეცნიერები აღნიშნავენ „არ არის დამაკმაყოფილებელი ის, რომ ამ შედეგებს ჯერ-ჯერობით არა აქვს დამაჯერებელი თეორიული ახსნა, მაგრამ ექსპერიმენტების შედეგების უგულებელყოფა არ შეიძლება იმ მოტივით, რომ მას ვერ მოეძებნა თეორიული ახსნა“.

გენერატორ E-CAT-ის პირველი ღია გამოცდა ჩატარდა ჯერ კიდევ 2011-წლის იანვარში, მაგრამ მაშინ მეცნიერთა დიდი ჯგუფი სრული უნდობლობით შეხვდა გამოცდის შედეგებს. მათ წარმოუდგენლად ჩათვალეს ასეთი მიკროდანადგარით დიდძალი ენერჯის მიღება, თანაც ეს შედეგი არ იყო გამყარებული თეორიული ახსნით. ამის შემდეგ კიდევ რამოდენიმეჯერ ჩატარდა გენერატორის გამოცდა. ერთ-ერთი ბოლო ტესტირება გენერატორმა გაიარა

2014 წლის მარტი-აპრილის თვეში, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნა სკეპტიკოსთა ყველა შენიშვნა და გამონათქვამები.

საბოლოოდ მეცნიერთა კონსილიუმმა დაადასტურა-გენერატორი E-CAT მუშაობს და აწარმოებს წარმოუდგენლად დიდ ენერჯიას.

ამის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ანდრეა როსი იტალიიდან გადაბარგდა ამერიკაში, სადაც მან დაარსა თავისი ფირმა და 2013 წელს მიიღო საავტორო უფლება გენერატორზე. 2014 წლის იანვარში ამერიკულმა კომპანიამ industrial heat-მა, როსისგან მიიღო უფლება დაბალტემპერატურულ თერმობირთვულ სინთეზზე, E-CAT-ის წარმოებაზე და რეალიზაციაზე. ბოლოს როსი დათანხმდა „НАСА“-თან თანამშრომლობას და შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით მან მიიღო მყარი უსაფრთხოების გარანტია. რადგანაც ამ გენერატორის შემდგომი მოდიფიკაციისა და მასობრივი დანერგვის შემთხვევაში მსოფლიოში კარდინალურად შეიცვლება ენერგომატარებლებზე არსებული მდგომარეობა. ცხადია ნავთობკომპანიების მამები და ორგანული საწვავებით მდიდარი ქვეყნები ყოველმხრივ შეეცდებიან წინ აღუდგნენ ასეთი სახის ენერჯიის წყაროს დანერგვას.

ეს ახალი ინფორმაცია ბადებს იმის რწმენას, რომ შორს არ არის ის დრო, როცა წარმატებით გადაწყდება მომავლის ეკოლოგიურად სუფთა დომინანტი ენერჯიის შერჩევის საკითხი.

ლიტერატურა

Население и экологические изменения. 2001. UNFPA. фонд организации объединенных наций в области народонаселения.

Справочник азотчика. Москва. химия. 1986 ст. 48-62. 510.

Стэн Бернстайн. 2001. Население и экологические изменения. UNFPA. Фонд организации объединенных нации в области народонаселения.

Анатолий Лемыш. Цену на нефть убил холодный термоядерный синтез. www.kramola.info.23.okt.2014.

Bernard Chabot. Analysis of the Global Electricity Production up to 2014.

პოლიტიკური ქცევის არსი და ფორმები

ანოტაცია: ნაშრომის მიზანია პოლიტიკური ქცევის არსისა და ფორმების შესწავლა. პრობლემის კვლევის პროცესი ეყრდნობა შედარებითი და ემპირიული ანალიზის მეთოდებს. წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ პოლიტიკურ მეცნიერებაში პოლიტიკური ქცევისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ნაწილობრივ შესწავლის ცდაა. პოლიტიკური ქცევა ესაა პოლიტიკური აქტიურობისა და პასიურობის სახე, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკის სუბიექტების მოქმედების სხვადასხვა ფორმას, გამოწვეულს ამ სუბიექტების პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკის სუბიექტების ქცევის ანალიზის პროცესში.

ამოსავალი სიტყვები: პოლიტიკური მონაწილეობა, პოლიტიკური მოღვაწეობა, პოლიტიკური გადაწყვეტილება, პოლიტიკური აქტიურობა, პოლიტიკური პასიურობა.

Malkhaz Gogua

THE ESSENCE OF POLITICAL BEHAVIOR AND FORMS

Abstract: The aim of the work is to study political behavior and formation. Researching process of the problem depends on the methods of comparing and empirical analysis. The work is partly studying effort of political behavior and related problem in Georgian Political Science. Political behavior is the form of political activeness and passiveness, which represents different forms of political persons' actions, with aim of satisfying politically important interest of these persons. Conclusions according to the researching result can be used in the process of analysis of political behavior.

Keywords: political participation, political movement, political decision, political activeness, political passiveness.

პოლიტიკური ქცევის საკითხს დიდი ხანია იკვლევენ მეცნიერები. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები გამო-

თქვეს ფრანგმა მეცნიერებმა გ. ტარდმა და გ. ლე ბონმა (XIX ს-ის მეორე ნახევარი და XX ს-ის დასაწყისი). ისინი ძირითადად პოლიტიკური ლიდერისა და მასების ქცევის საკითხებით დაინტერესდნენ (*ჭანუყვაძე, ჭანია 1996: 141-143, ლე ბონი 2013*). პოლიტიკური ქცევის პრობლემაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ამერიკელმა მეცნიერებმა. XXს-ის 20-იან წლებში ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ჩ. მერრიამმა და მისმა მოწაფემ ჰ. ლასუელმა ამერიკულ პოლიტიკურ მეცნიერებაში აქცენტი გადაიტანეს ადამიანთა ქცევის შესწავლაზე. ისინი ძირითადად ეყრდნობოდნენ სოციოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ანალიზს (*რეხვიაშვილი, ჯალიაშვილი, ხოჭოლავა 1991:47*). ყოველივე ამან, ამერიკულ პოლიტიკურ მეცნიერებაში საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკური პროცესების კვლევის ბიჰევიორალისტურ (*ჯონსონი, რეინოლდსი 2013: 63-71*) მიმართულებას. ამერიკულ პოლიტიკურ მეცნიერებაში ბიჰევიორალიზმის დამკვიდრებამ სათავე დაუდო ამომრჩეველთა ქცევის, პოლიტიკური ლიდერისა და ელიტის, პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკური კულტურის საკითხების, პოლიტიკური პარტიების ქცევის ემპირიულ შესწავლასა და გაანალიზებას. ამ მხრივ საყურადღებოა ა. ბენტლის (*მაცაპერიძე 2014*), ტ.პარსონსის (*პარსონსი 1998*), დ. ისტონის (*ისტონი 1997*), გ. ალმონდის (*ალმონდი, ვერბა 1963*) და სხვათა შრომები. ამერიკულმა გამოკვლევებმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს ევროპელ მეცნიერთა ნაშრომებზე, რომლებიც ძირითადად დაინტერესებულნი იყვნენ პოლიტიკური ქცევის საკითხების შესწავლით.

პოლიტიკური ქცევის პრობლემებით მკვლევართა ასეთი დაინტერესება გამოიწვია იმ კითხვების არსებობამ, რომლებიც წლების განმავლობაში ანუხებდა, როგორც მეცნიერებას, ისე საზოგადოებას. ეს კითხვებია: რა არის პოლიტიკური ქცევა? რა ფაქტორები მოქმედებს ამომრჩეველთა ქცევაზე? პოლიტიკური ქცევის რამდენი ფორმა არსებობს?.. და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა შეიძლება მარტივად, მაგრამ თუ ღრმად ჩაუყვირდებით პოლიტიკური ქცევის საკითხებს, მათზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია.

მდგომარეობას ართულებს ის, რომ ხშირად პოლიტიკურ ქცევას მოიხსენიებენ ტერმინებით: პოლიტიკური მოღვაწეობა, პოლიტიკური მონაწილეობა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ

ამ ტერმინს აქვს საკუთარი განმარტება, ისინი თავიანთი არსით თავსდებიან პოლიტიკურ ქცევაში, რამდენადაც თითოეული მათგანი პოლიტიკური აქტიურობისა და მოქმედების სახეა, ხოლო პოლიტიკური ქცევა ამ აქტიურობისა და მოქმედების გამოხატულებაა, რომლითაც იქმნება პოლიტიკური პროცესი. თუმცა თუ ერთმანეთს შევადარებთ პოლიტიკურ მოღვაწეობას და პოლიტიკურ ქცევას, მათ შორის გარკვეულ განსხვავებასაც დავინახავთ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოლიტიკური აქტიურობის სახეა, ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ პოლიტიკის სუბიექტების პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, მაგრამ განსხვავება ვიპოვოთ ამ მოღვაწეობასა და იმ მოქმედების ფორმებში, რომლებსაც მიმართავენ ისინი ამა თუ იმ ვითარების გამო. მაგალითად, პარლამენტის დეპუტატი თუ მონაწილეობს პარლამენტის მუშაობაში, გადაწყვეტილებების მიღებაში და ა.შ., ეს ითვლება პოლიტიკურ მოღვაწეობად, მაგრამ თუ ეს დეპუტატი თავის მხარდამჭერებთან ერთად გამოვიდა ქუჩაში, მონაწილეობა მიიღო საპროტესტო აქციაში და ა.შ., ეს უკვე ითვლება პოლიტიკურ ქცევად. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც თანამედროვე დასავლეთის პოლიტიკურ მეცნიერებაში პოლიტიკურ ქცევას პოლიტიკურ მოღვაწეობადაც მოიხსენიებენ. ეს გამოწვევულია იმით, რომ პოლიტიკური მოღვაწეობაც თავისი არსით, გარკვეული აქტიურობისა და მოქმედების გამოხატულებაა.

პროფ. ე. მელეშკინას აზრით, პოლიტიკური ქცევა ეს არის აქტიორების მიერ სუბიექტურად მოტივირებული სხვადასხვა სახის პოლიტიკური მოღვაწეობის რეალიზაციის პროცესი, რომელიც დამკვიდრებულია შინაგანი განწყობით. ამასთან ერთად პოლიტიკური მოღვაწეობა უნდა გავიგოთ, როგორც პოლიტიკური აქტიორების მოქმედების ერთიანი ფორმა, რომელიც წარმოქმნილია გარკვეული პოლიტიკური პოზიციით (*პოლიტიკური პროცესი 2001:153*). ამ განმარტებიდან ირკვევა, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობასა და პოლიტიკურ ქცევას შორის გარკვეული მსგავსებაცაა, მაგრამ მეცნიერები განსხვავებაზეც მიუთითებენ და მოჰყავთ ამის მაგალითები. ასე რომ, პოლიტიკური მოღვაწეობა ესაა პოლიტიკური პროგრამის, იდეოლოგიის, კანონების და ა.შ. შემუშავებასა და მიღებაში მონაწილეობა, ხოლო პოლიტიკური ქცევა მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებით გამოწვეული, პოლიტიკის სუბიექტების აქტიურობისა და მოქმედების სხვადასხვა ფორმაა.

რაც შეეხება პოლიტიკურ მონაწილეობას, ზოგიერთი მეცნიერი პოლიტიკურ პროცესში პიროვნების მონაწილეობას პირდაპირ პოლიტიკურ ქცევად მოიხსენიებს (*ჭანუყვაძე, ჭანია 1996:110*). პროფ. ვ. შუბითიძის განმარტებით, „პოლიტიკური მონაწილეობა ესაა ცალკეული მოქალაქეების ქმედება, რომლის ძალითაც მათ მთავრობასა და პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა ან მათთვის მხარდაჭერა სურთ“ (*შუბითიძე, ქოჩორაძე 2001: 125*). ჩვენი აზრით, პოლიტიკური მონაწილეობა პოლიტიკური ქცევის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ახასიათებს აქტიურობის საკუთარი ფორმები. არსებობს პოლიტიკაში მონაწილეობის აქტიური და ნაკლებად აქტიური ფორმები, ე.ი. საუბარია მონაწილეობის ინტენსიურობაზე, როდესაც ინდივიდები აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკურ პროცესში ან გარკვეული მიზეზების გამო არანაირ აქტიურობას არ იჩენენ. ამ უკანასკნელს მეცნიერები აბსენტიზმს (ლათ. *absentis* – არდამსწრე, არმყოფი) უწოდებენ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში მოქალაქეები საერთოდ არ მონაწილეობენ პოლიტიკაში. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ არჩევნები, როდესაც მოქალაქეები ამა თუ იმ მიზეზით არ მიდიან არჩევნებზე. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ასარჩევი პოლიტიკური ძალებისადმი ან კანდიდატებისადმი უნდობლობით, ან არჩევნების ჩაშლის მიზნით, ან საარჩევნო კანონით და ა. შ. ანუ ყოველივე ეს პოლიტიკაში მონაწილეობაა, ოღონდ პასიური, თავშეკავებული ფორმით. თუმცა, მეცნიერები მაინც აქტიურ მონაწილეობას ემხრობიან, მათი აზრით, „პოლიტიკური მონაწილეობა არის ძირითადი ფაქტორი: ის ინდივიდები, რომლებსაც შეუძლიათ პოლიტიკაში საკუთარი პოზიციების თუ ინტერესების დაფიქსირება, უკეთეს შედეგებს აღწევენ, ვიდრე აპათიური ინდივიდები“ (*ჯონსონი, რეინოლდსი 2013: 10*) აღსანიშნავია, რომ არჩევნებში მოქალაქეთა პასიური მონაწილეობა დამახასიათებელია, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამ ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული არჩევნებიც.

„ამომრჩევლის ქცევას აშკარად განსაზღვრავს როგორც მიმდინარე პროცესები, ასევე სამომავლო პერსპექტივა. პირველი – ერთ კონკრეტულ არჩევნებზე ახდენს გავლენას და ზოგად-საარჩევნო საკითხებში ძნელად თუ გაგვარკვევს: აქ მთა-

ვარი ეკონომიკური სიტუაციაა ქვეყანაში, და ხელისუფლების პოპულარობა უშუალო კავშირშია უმუშევრობის, ინფლაციის, თუ შემოსავლების დონესთან. აქ გადამწყვეტი- ამომრჩევლის მატერიალური კმაყოფილებაა (ე. ნ. „კარგად ყოფნა“) და ხელახლა არჩევის იმედად, ხელისუფლებებიც, სწორედ წინასაარჩევნოდ, ეკონომიკური სატყუარის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობენ ხოლმე „(ჭეიჭუდი 2008: 338).

პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოყოფენ პოლიტიკური მონაწილეობის კონვენციურ და არაკონვენციურ ფორმებს. პირველში იგულისხმება პოლიტიკაში კანონიერი მონაწილეობა, ხოლო მეორეში – უკანონო, ანტიკონსტიტუციური მონაწილეობა (მაგშტადტი 2011: 336-338).

პოლიტიკური ქცევის კონვენციურ ფორმებს მიეკუთვნება: აბსენტიზმი, ხმის მიცემა, სანქცირებულ მიტინგებში მონაწილეობა, სახელისუფლო სტრუქტურებისადმი მიმართვა და ა.შ.

პოლიტიკური ქცევის არაკონვენციურ ფორმებს მიეკუთვნება: არასანქცირებულ მიტინგებში მონაწილეობა, შენობებისა და საგზაო მოძრაობების ბლოკირება, სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობა და ა.შ.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მეცნიერები თვით კონვენციურ და არაკონვენციურ ფორმებშიც გამოყოფენ მონაწილეობის მაღალ აქტიურ, ნაკლებად აქტიურ და საშუალო აქტიურობის ფორმებს. ისინი კონვენციური მონაწილეობის ფორმებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას არჩევენბში ხმის მიცემას უთმობენ, რამდენადაც იგი „დემოკრატიულ სისტემებში პოლიტიკური მონაწილეობის ცენტრალური და ყველაზე მასობრივი ფორმაა. მთელი საარჩევნო კამპანიის მიზანი სწორედ მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემაზე ზეგავლენის მოხდენაა. ხმის მიცემით განისაზღვრება და ვლინდება არჩევნების შედეგები“ (მატაბერიძე, 2003: 243). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს არჩევნებში მონაწილეობის აქტიური და პასიური ფორმები. ეს უკანასკნელი აბსენტიზმის გარდა გულისხმობს ასარჩევი კანდიდატის მიერ ხმის მიცემას, ხოლო აქტიურში იგულისხმება ამომრჩევლის მონაწილეობა.

პოლიტიკური მონაწილეობის საინტერესო ტიპოლოგია შეიმუშავეს მ. კაასმა და ა. მარშმა (კაასი, მარში 1979: 153-155). მათ შეისწავლეს პოლიტიკურ პროცესებში სუბიექტების სხვა-

დასხვა მონაწილეობა და ამის საფუძველზე გამოყვეს ინდივიდების პოლიტიკაში მონაწილეობის ფორმების ხუთი ჯგუფი: 1. არააქტიურები, 2. კონფრომისტიები, 3. რეფორმისტიები, 4. აქტივისტიები, და 5. ისინი რომლებიც აცხადებენ პროტესტს.

პოლიტიკურ მეცნიერებაში მიღებულია პოლიტიკური მონაწილეობის ტიპოლოგიზაცია იმისდამხედვით, თუ რა როლს ასრულებს სუბიექტი პოლიტიკურ პროცესში. ამის მიხედვით გამოყოფენ ავტონომიურ და მობილიზებულ მონაწილეობას (*პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები 1996: 144-146*). ავტონომიურია ისეთი მონაწილეობა, როდესაც ინდივიდი თვითონ, საკუთარი შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას, ხოლო მობილიზებულია მონაწილეობა, როდესაც ინდივიდი მოქცეულია სხვა სუბიექტების ზეგავლენის ქვეშ და იმის მიხედვით მოქმედებს. ავტონომიური მონაწილეობა დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნებისათვის, ხოლო მობილიზებული ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმებისათვის.

პოლიტიკური ქცევის ფორმებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საპროტესტო ქცევას. ზოგიერთი დასავლელი მეცნიერი, მაგალითად ა. მარში (*მარში 1990*) მიუთითებს, რომ საპროტესტო ქცევა წარმოადგენს მხოლოდ არაკონვენციური მოქმედების ფორმას და ამასთან დაკავშირებით გამოყოფს საპროტესტო ქცევის შემდეგ ფორმებს: პეტიციის დანერა, დემონსტრაციებში მონაწილეობა, შენობების ბლოკირება, ბოიკოტი და ა. შ. ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, რამდენადაც დემოკრატიულ ქვეყნებში საპროტესტო გამოსვლებს შეიძლება ჰქონდეს კონვენციური ხასიათი ანუ ქცევა რომელიც შეესაბამება კანონიერ ქმედებას. ცნობილია, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში საპროტესტო გამოსვლები ძირითადად იმართება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლება ლეზულობს ისეთ გადაწყვეტილებას რომელიც ხელყოფს ადამიანთა უფლებებს. რა თქმა უნდა, ასეთ დროს მოქალაქეთა პროტესტი სამართლიანია, თუ იგი არ შეიცავს მონოდებას არსებული პოლიტიკური სისტემის ძალადობრივი გზით შეცვლის შესახებ. ამ ქმედებით მოქალაქეები მოუწოდებენ ხელისუფლებას შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება ან შესწორებები შეიტანოს მასში. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ხელისუფლება ასეთ საპროტესტო გამოსვლებს უპირისპირებს ძალას, რამდენადაც იგი ასეთ

ქმედებებს კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს. ამის მაგალითად გამოგვადგება 2006 წლის გაზაფხულზე დასაქმების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების გამო სტუდენტთა მასობრივი გამოსვლები საფრანგეთში, როდესაც ხელისუფლებამ სტუდენტების დასაშოშმინებლად ძალისმიერ მეთოდებს მიმართა. თუმცა, საბოლოოდ, იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო და შეეცვალა მიღებული გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ „კოლექტიური ქცევა, ჩვეულებრივ, ასოცირდება ნორმებთან, რომლებიც მეტწილად არ ემთხვევა კონვენციურ ნორმებს, იგი ყოველთვის არ არის საზოგადოებისათვის საზიანო. პირიქით, ხშირად კოლექტიური ქცევა დადებითი სოციალური და კოლექტიური ცვლილებების საფუძველია...“ (ბალიაშვილი 2013: 343). ასე რომ, ის აზრი, თითქოს საპროტესტო ქცევა არის მხოლოდ არაკონვენციური მოქმედება, არასწორია. თუმცა ამ დებულების აღიარება დამოკიდებულია ხელისუფლებისა და პოლიტიკური სიტემის დემოკრატიულობაზე, ქვეყნის პოლიტიკურ კულტურაზე და ა.შ.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე ირკვევა, რომ პოლიტიკური ქცევა- ესაა პოლიტიკური აქტიურობისა და პასიურობის სახე, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკის სუბიექტების მოქმედების სხვადასხვა ფორმას, გამონწვეულს ამ სუბიექტების პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

ლიტერატურა:

ბალიაშვილი 2013: ბალიაშვილი მ, *სოციალური ფსიქოლოგიის დანყებითი კურსი*, თბ., 2013.

ლე ბონი 2013: ლე ბონი გ. *ერები და ბრბო*, თბ., 2013.

მაგმტადტი 2011: მაგმტადტი თომას მ, *გავიგოთ პოლიტიკა*: იდეები, ინსტიტუტები და პროცესები, თბ., 2011.

მაცაბერიძე 2003: *მაცაბერიძე არჩვენები და საზოგადოება*, თბ., 2003.

მაცაბერიძე 2014: *მაცაბერიძე მ. არტურ ბენტლის „დაინტერესებულ ჯგუფთა“ თეორია*, თბ., 2014.

რეხვიაშვილი, ჯალაიაშვილი, ხოჭოლავა 1991: რეხვიაშვილი ი, ჯალაიაშვილი ჯ,

ხოჭოლავა ვ, პოლიტოლოგია, თბ., 1991.

შუბითიძე, ქოჩორაძე 1988: შუბითიძე ვ, ქოჩორაძე ო. პოლიტოლოგია, თბ., 2001.

ჭანუყვაძე, ჭანია 1996: ჭანუყვაძე ვ, ჭანია ვ. პოლიტოლოგია, თბ., 1996.

ჯონსონი, რეინოლდსი 2013: ჯონსონი ჯ. ბ, რეინოლდსი ჰ. ტ, პოლიტიკის მეცნიერების

კვლევის მეთოდები, თბ., 2013.

ჰეივუდი 2008: ჰეივუდი ე. პოლიტიკა, თბ., 2008

Истон 1997: Истон Д. Категории системного анализа. В книге Антология мировой политической мысли. Отв. ред. Т.А.Алексеева, М., 1997.

Основы политической науки 1996: Основы политической науки. Учебное пособие, под. ред. В. П. Пугачева, часть II. М., 1996.

Парсонс 1998: Парсонс Т. Система современных обществ. М., 1998.

Политический процесс 2001: Политический процесс: основные аспекты и способы анализа. Под ред. Е. Ю. Мелешкиной. М., 2001.

Almond, Verba 1963: Almond G, Verba S. The Civic Culture: Political Attitudes end Democracy in Five Countries. Princeton, 1963.

Kaase, Marsh 1979: Kaase M, Marsh A. Political Action Repertory. Beverly Hills, London, 1979.

Marsh 1990: Marsh A. Political Action in Europe end USA. London, 1990.

თინათინ ბიგანიშვილი

დიდგორის ალეგორია, ალუზია და პარადიგმა
„ვეფხისტყაოსანში“

(ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველების
მიხედვით)

Tinatini Biganishvili

ALLEGORY OF THE DIDGORI WAR, ALLUSIONS AND
PARADIGMS IN THE POEM „THE KNIGHT IN THE
SHOES OF A PANTHER“

Annotation: In the Georgian mythology the underworld, ctonic world is symbolized by Kajeti (Kajaveti), the residence of negative demons, after defeating of which St. George and other Sons of God after descent to the underworld obtain treasure, chalice. This is the initiation path of St. George. In `The Knight in the Panther's Skin` the symbolic drama of the heroic initiation is given through the images of the Georgian mythology and folklore.

In the Georgian culture and mentality of XII c. the defeating of the underworld, ctonic world, the victory over the lower world is the end of the initiation path of sunny heroes and knights. In `The Knight in the Panther's Skin` it is symbolized by two episodes: defeating of Kajeti and the big war of Khataeti. Also, these two episodes contain symbols and allegories, allusions and paradigmatic meanings, which are connected with the main Georgian symbol of the defeating of evil by God's knights _ The Didgori battle.

რუსთველის პოემის დაწერის დრო, მართალია, დღემდე კამათის საგანია, თუმცა საბოლოოდ მაინც დადასტურებულია, რომ ტექსტი დაინერა არა უადრეს თამარის გამეფებისა და დავით სოსლანთან დაქორწინებისა და არა უგვიანეს მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედისა. შესაბამისად, ეს 30-წლიანი ან 40-წლიანი პერიოდი საუკუნეების გადმოსახედიდან უკვე ბევრი ისტორიული, ფაქტობრივი და, ამასთანავე, ლიტერატურული საკითხის დაზუსტების საშუალებას გვაძლევს.

„ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულად წაკითხვას საფუძველი

ჩაუყარეს ვახტანგ მეექვსემ, დავით გურამიშვილმა, ილია ჭავჭავაძემ და შემდეგ ეს რუსთველოლოგიური მეთოდი ამ დარგში საკმაოდ მყარად დაინერგა.

მიუხედავად იმისა, რომ თამარის ეპოქას ოქროს ხანა ეწოდება, ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უხვია გარდახდილი ომებისა და ბრძოლების თვალსაზრისით, რაც ასახულია „ქართლის ცხოვრებაში“. ამ ომთა უშუალო მონაწილე და მთავარსარდალი იყო ოვსეთის უფლისწული, (ეფრემიანი) გვერდითი შტოს ბაგრატიონთა მემკვიდრე დავით სოსლანი, რომელსაც რუსთველის პერსონაჟთა ერთ-ერთ პროტოტიპად და წმიდა გიორგის, როგორც ღვთის რაინდის მიწიერ გამოვლინებად სახავს ზვიად გამსახურდია თავის რუსთველოლოგიურ კვლევათა კრებულში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“: „როგორც ადრეც აღგვინიშნავს, ვეფხისტყაოსანში ალეგორიულად შექმნილია საკრალური არსებები, მაგრამ ამავე დროს ისინი პოეტისთვის მის თანამედროვე ისტორიულ პიროვნებებსაც განასახიერებენ... თამარ მეფე ... ვეფხისტყაოსნის გმირებში კი მას შეესაბამება თინათინი და ნესტანი, რომელნიც მის ორ სხვადასხვა ასპექტს გამოხატავენ. ასეთი საკრალური არსების გვერდით ბუნებრივია ვერ იდგებოდა ჩვეულებრივი მოკვდავი. ამიტომ თამარ მეფის რაინდი, დავით სოსლანი, პოეტის წარმოსახვაში წმ. გიორგის, ღვთის რაინდის მიწიერი გამოვლინებაა და ალეგორიულად შექმნილია, როგორც ვეფხისტყაოსანი ტარიელი, მიქაელ-გიორგის მითოპოეტური სახე“ (გამსახურდია 1991:217).

მამასადამე, „ვეფხისტყაოსანში“ ისტორიული მოვლენები ალეგორიულად არის ასახული. თავის მხრივ, ყოველი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ერის ცნობიერებაში, ერის ე.წ. კოლექტიურ არაცნობიერში აღიბეჭდება და შემდეგ განსხეულდება მხატვრულ ტექსტებში. აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურის ქრისტიანული საფუძვლიდან გამომდინარე, იმ ეპოქაში, როცა რუსთველი მოღვაწეობდა, ბუნებრივი იყო მასშტაბური ისტორიული მოვლენების იპოდიგმური ძირების ძებნა საღმრთო წერილსა და საღმრთო გარდამოცემაში. ეს ტენდენცია საერთო იყო, როგორც საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეებისთვის, ასევე ხელოვნების სხვადასხვა სფეროსა და ლიტერატურის დარგთა წარმომადგენელთათვის. აქედან გამომდინარე, თუკი

რუსთველი თავის პოემაში, შუა საუკუნეების რაინდთა ცხოვრების წესიდან გამომდინარე, საომარი სცენების ამსახველ არაერთ ეპიზოდს გვთავაზობს, ამის ობიექტურ მიზეზთა შორის რუსთველის პიროვნულ გამოცდილებაც უნდა დასახელდეს (მდრ. სარგის თმოგველი, რომელსაც თმოგვი ომში მონაწილეობისა და დამსახურების გამო ერგო) და ასევე ისტორიული რეალობის ასახვის სურვილიც. როგორც ეს არაერთხელ აღვნიშნეთ (ბიგანიშვილი 2014: 78-138), პოემის რენესანსულობა არაერთი მხატვრული კომპონენტით ვლინდება, მათ შორის ერთ-ერთია მხატვრული რეალიზმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი. რუსთველმა, ისევე, როგორც დანტე ალიგიერმა, სიმბოლურ-ალეგორიული მეტყველება და მხატვრული რეალიზმი, ეს ორი ურთიერთსაპირისპირო შემოქმედებითი მეთოდი გააერთიანა და ამიტომაც არის პოემის სიუჟეტი ორპრიანი: რეალური და ალეგორიული. ალეგორიული შრე კი სახეთა და სიმბოლოთა იპოდიგმურ-პარადიგმული სისტემის გარეშე რუსთველის ეპოქაში სრულიად წარმოუდგენელი იყო. სწორედ ეს კულტურული და მხატვრული ტენდენცია გვაძლევს საფუძველს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი საომარი სცენები განვმარტოთ, წავიკითხოთ ალეგორიულად, სახეთა პარადიგმული სისტემის მიხედვით და, ამასთანავე, კონკრეტულ სტრიქონებში წარმოდგენილ ალუზიათა ჯაჭვიც ამავე განმარტების მართებულობის დასამტკიცებლად გამოვიყენოთ.

საომარ სცენებს შორის, თავისი მასშტაბურობითა და მხატვრული მნიშვნელობით, გამოირჩევა ხატაეთის დიდი ომი (აღსანიშნავია, რომ ეპითეტი „დიდი“ რუსთველს შემთხვევით არ გამოუყენებია. თუკი ეს ორი საომარი სცენა, ეპიზოდი ჯოჯოხეთის წარტყვევნის ალეგორიებია, მაშინ ამ ეპითეტს გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს ვნების შვიდეულის სახელწოდებებთან: დიდი ორშაბათი, დიდი ხუთშაბათი და ა.შ.; ამ საკითხის შესახებ დეტალურ მსჯელობას ქვემოთ შემოგთავაზებთ) და ქაჯეთის ციხის აღება. რუსთველი, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი, ბუნებრივია, პოემას ერთი ამოსუნთქვით არ დანერდა, არამედ ყოველ ეპიზოდს გულდაგულ ამუშავებდა, მონახაზს ქმნიდა, მის ხორცმესხმას გარკვეულ დროს უთმობდა, მასალის დასამუშავებლად საჭირო ლიტერატურულ თუ ისტორიულ წყაროებს იშველიებდა. საომარი სცენების ასეთი დახვეწილი

ოსტატობით აღწერა კი, ლიტერატურის მთავარი პრინციპიდან გამომდინარე – ლიტერატურა არის რეალობის ბაძვა – გვაფიქრებინებს, რომ რუსთველს, სავარაუდოდ, თავადაც მიუღია საომარ მოქმედებებში მონაწილეობა ან არაერთი ისტორიული წყარო შეუსწავლია, რომლებშიც, როგორც წესი, ესა თუ ის ომი თუ ბრძოლა მემატყანეთა მიერ დეტალურად არის აღწერილი. ასეთ ომებს შორის თავისი მასშტაბურობითა და მსოფლიო მნიშვნელობით რუსთველის ეპოქაში გამორჩეული იყო ბრძოლა თბილისისა და მისი შემოგარენის სანახებთან დავით IV-ის, აღმაშენებლის, მთავარსარდლობით, რომელსაც, საომარი ველის ტოპონიმიკიდან გამომდინარე, დღემდე ეწოდება დიდგორი.

ზვიად გამსახურდია წმიდა გიორგის, როგორც ღვთის რაინდის ხორციელ გამოვლინებას უწოდებდა დავით სოსლანს. თავის მხრივ, თამარ მეფე თავის იამბიკოში დავითის სახელს ალუზორულად და პარადიგმატულად უკავშირებს როგორც დავით წინასწარმეტყველს, ისრაელის მეფეს, ასევე დავით აღმაშენებელს. მეტიც, დავით სოსლანის გამარჯვებას უშუალოდ უკავშირებს დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ომის შემდეგ გელათში შეწირული ოქროს მანიაკის სიმბოლოს, როგორც ძღვევის მატერიალურ დადასტურებას, რაც, თავის მხრივ, ფილისტიმელთა წინააღმდეგ ისრაელიტთა გამარჯვების (პირველი მეფეთა 17:50,51) შემდეგ დავითის მოქმედების ალუზია და პარადიგმატული მოცემულობაა (პირველი მეფეთა 17:54): გამარჯვების შემდეგ დავითმა გოლიათის თავი „იერუსალემად წარიღო“, როგორც მტრის დამარცხების მატერიალური დასაბუთება. ამ პარალელების შესახებ მსჯელობს ნესტან სულავაც, როდესაც ის თამარის იამბიკოს განმარტავს, რაც ჩვენი სამეცნიერო მსჯელობის ერთ-ერთ საუკეთესო არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

თამარ მეფის იამბიკოში დავით აღმაშენებლის, დავით სოსლანისა და დავით წინასწარმეტყველის გამარჯვებათა (დიდგორი, შამქორი, დავითისა და გოლიათის შერკინება) სახე-სიმბოლოების ალუზორულ და პარადიგმატულ მოცემულობას, თამარის იამბიკოს (უშუალოდ ტექსტის) გარდა, ქართლის ცხოვრების კონკრეტული ეპიზოდიც ადასტურებს. განვიხილოთ ეს ორი პარალელი:

თამარ მეფის იამბიკოში „ცასა ცათასა“ მესამე და მეოთხე სტროფებში ვკითხულობთ:

„შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით
როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწაი შენი და მიერივე,
ცხებულებასა ღირს-მყავ და თვისობასა
ედემს, ლადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით.
შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთუმელობ,
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ შჯულთა მოძღურისა ღაზოდ მძღუენი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა ათაბაგი.“ (სულავა 2003: 295).

აღნიშნული ტექსტის შესახებ მსჯელობის დროს ნესტან სულავა იმონებებს ამონარიდს ქართლის ცხოვრებიდან: „ქართულ ჯარს გაუძღვა დავით სოსლანი, „წამძღუანელი ძელისა ცხოვრებისა და შემყრელი დროშისა სვიანად მოხმარებულისა, ბაგრატიანურისა და უფროსლა გორგასლიანურისა“. ივნისის თვეში, ხუთშაბათ დღეს, შამქორთან ქართველებმა სძლიეს და დათრგუნეს „ორთავი იგი ვეშაპი“. მათ დიდძალი ალაფი და ტყვე მოიპოვეს ამ ომში, უმთავრესი კი იყო ხალიფას დროშა, ნადავლიდან ყველაზე გამორჩეული, მნიშვნელოვანი და, რა თქმა უნდა, სიმბოლური: „და წარუღეს დროშაცა ხალიფასაგან ღაზოდ წარმოგზავნილი“. იგი შალვა ახალციხელს მოუპოვებია. მემატინის ცნობით, თამარი „მსგავსად მამის პაპისა“ იქცევა: „დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღვთისმშობელისასა, მსგავსად მამის პაპისა მათისა: მაშინ მას წარეგზავნა მოძრცვილი ქედისაგან დორბეზე სადაყაის ძისა, ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძვირფასისათა“. დავით აღმაშენებელმა დიდგორის ომში მტრისთვის წართმეული ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს მანიაკი ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირა, თამარმა შამქორის ომში გამარჯვების შედეგად მოპოვებული დროშაც ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირა.“ (სულავა 2003: 71).

დიდგორის ომი/ბრძოლა მომდევნო თაობებისთვის იპოდიგ-მურ სახეს რომ წარმოადგენდა, სანყისი ფორმის, ეტალონის, პირველსახის ფუნქციას ასრულებდა, ამაზე მიუთითებს თამარის ისტორიკოსის (ისტორიანისა და აზმანის ავტორის) მიერ შამქორის ბრძოლის აღწერის დროს დიდგორის ხსენება. აღნიშნული

პარალელები არ გამოორჩენია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შემსწავლელ მეცნიერს, პროფესორ შოთა მესხიას. ის წერს: „თამარის ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლის ამბებს იხსენიებს საქართველოს ლაშქრის მიერ 1195 წელს შამქორის ომში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღწერის დროს და სხვათაშორის აღნიშნავს: თამარმა იწყო შამქორის ბრძოლის შემდეგ მოპოვებული ნადავლის შეწირვა, „დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოილო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა (გელათისა ღმრთისმშობელსა, მსგავსად მამის პაპისა (ე.ი. დავით აღმაშენებლისა) მათისა“, რომელსაც დიდგორის გაქცევის (ე.ი. ბრძოლის) შემდეგ დურბეიზ სადაყის ძის ქედისგან (კისრისაგან) მოძარცული ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკი შეუწირავს ამავე მონასტრისთვისო. როგორც ჩანს, დიდგორის ბრძოლაში დამარცხებული და გზააბნეული „არაბეთის მეფის“, დუბეისათვის ქართველ მოლაშქრეებს კისრიდან მოუგლეჯიათ მისი მფლობელის სიძლიერისა და სიზვიადის მაუწყებელი ძვირფასი, მოთვალულ-მომარგალიტებული ყელსაბამი, რომელიც ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად დავით აღმაშენებელს გელათის მონასტრისთვის შეუწირავს“ (მესხია 1972: 116, 117).

„ძღვევაი საკვირველი“ – ასე იხსენიებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლას (მესხია 1972: 117; 120). თავის მხრივ, მაცხოვარს, იესო ქრისტეს ეწოდება „ძღვევა“, რადგან ძღვევის იპოდიგმას ჯვარცმა განასახიერებს, როგორც ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებას. ჯვარცმის არაერთი წინასახეა აღწერილი ძველ აღთქმაში, ხოლო ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების ერთ-ერთ იპოდიგმას დავითისა და გოლიათის შერკინება წარმოადგენს. შესაბამისად, თუკი ქაჯეთის ციხის აღება და ხატაეთს წასვლა და დიდი ომი ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების ალეგორიებია, სახეთა იპოდიგმურ-პარადიგმატული სისტემის მიხედვით, რუსთველის მსოფლმხედველობის გათვალისწინებით, ამ ალეგორიის იპოდიგმურ საფუძველს დავითისა და გოლიათის შერკინება, ჯოჯოხეთის წარტყვევნა (შდრ: „მამინ ქაჯეთს მოინია უსაზომო რისხვა ღვთისა“ (1423,1), ჯვარცმა წარმოადგენს, ხოლო სახეთა პარადიგმატული მოცემულობის თვალსაზრისით, ბოროტებაზე გამარჯვების ეს სიმბოლო ქართულ ისტორიოგრაფიასა (დავით აღმაშენებლის მემატთან – „ძღვევაი საკვირველი“; თამარის ისტორიკოსი – დიდგორისა და შამქორის შედარება,

„მსგავსად მამის პაპისა“) და რუსთველის ეპოქის ქართულ ლიტერატურაში, პოეზიაში (თამარ მეფის იამბიკო „ცასა ცათასა“, იოანე შავთელის „აბდულმესიანი“) მყარად დამკვიდრებულ პარადიგმას, ამავდროულად ალუზიას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რუსთველი, რომელიც თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო, იმავე სახეთა სისტემის ესთეტიკურ ეკვივალენტს გვთავაზობს „ვეფხისტყაოსანში“, რასაც მისი თანამედროვენი. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აღინიშნოს, რომ თამარ მეფის იამბიკოს შესახებ მსჯელობის, წყაროთა მოძიებისა და დამონმების პროცესში ნესტან სულავა ახსენებს დავით რექტორის კრებულს, სადაც გადამწერი მიუთითებს, რომ იამბიკო „ცასა ცათასა“ შოთა რუსთველს ეკუთვნის (სულავა 2003: 70).

ამასადაამე, აღნიშნული იპოდიგმურ-პარადიგმატული სახეთა სისტემა რუსთველის ეპოქის ქართული ცნობიერების არსებითი მახასიათებელია. რუსთველი კი თავისი დროის წამყვანი ლიტერატურული და მსოფლმხედველობითი ტენდენციების ამსახველია. სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას ზვიად გამსახურდია, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ სახეთა პარადიგმატული სისტემის შესახებ მსჯელობის დროს წმიდა გიორგის, დავით სოსლანისა და დავით წინასწარმეტყველის (დავით სოსლანს „ეფრემიანს“ უწოდებს) დაკავშირებას ცდილობს პოემაში მოცემული სიმბოლოების, ალეგორიული ეპიზოდებისა და ალუზიების განმარტების საფუძველზე.

ქთონურ არსებებზე (შდრ. „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯნი, დევნი, ასევე იხილეთ „სპარსის“ იმავე ხორეზმელების, როგორც სიმბოლოს მნიშვნელობის შესახებ მარიამ კარბელაშვილის სტატია „პოლიტიკური ტერმინოლოგია ვეფხისტყაოსანში და რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხი („სპარსული//სპარსნი“), ლიტერატურული ძიებანი, XXXV, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2014; გვ. 9-27; ასევე შდრ. „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“ (550, 2) ზ. გამსახურდიას აზრით, ინდოეთი სამოთხის სიმბოლოა, ხოლო ხორეზმი ქვესკნელისა – გამსახურდია 1991: 270, 271) გამარჯვება, ქვესკნელის წარმოცეცხვა, ჯოჯოხეთის წარტყვევება, „ძღვევაი საკვირველი“ ქაჯეთის ციხის აღებისა თუ ხატაეთს წასვლისა და დიდი ომის იპოდიგმურ ფორმებს წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, მხატვრულ ლიტერატურაში

სახეთა პარადიგმული სისტემის ესთეტიკური მოცემულობის დადასტურებაა. „ვეფხისტყაოსანში“ სახეთა პარადიგმულობა სიმბოლოებით, ალეგორიებითა და ალუზიებით ვლინდება. ამიტომაც ვცდილობთ კონკრეტული ალეგორიების, სიმბოლოებისა და ალუზიების განმარტებით განვაზოგადოთ არაერთგზის გამოთქმული შეხედულება, რომ რუსთველი საქართველოს ისტორიის რეალიებს „შეფარვით“, ქარაგმულად აღწერდა, ხოლო ბოროტებაზე გამარჯვების ერთ-ერთ პირველსახედ მეთორმეტე საუკუნის საქართველოში უდავოდ დიდგორის ომი მიიჩნეოდა. ამას ზემოთ დამოწმებული ისტორიოგრაფიაც ადასტურებს. ცხადია, ზვიად გამსახურდიას მიერ წმიდა გიორგის, დავით წინასწარმეტყველისა და დავით სოსლანის, ასევე დავით აღმაშენებლის ურთიერთაკავშირება „ვეფხისტყაოსნის“ სახეთა სისტემის განხილვის დროს ზემოაღნიშნულ ლიტერატურულ ტენდენციას უკავშირდება, რასაც ზვიად გამსახურდია იოანე შავთელის „აბდულმესიანის“ ოდების მაგალითზეც განიხილავს: „აბდულმესიანის“ ოდების ერთ ნაწილში შექებულია მეფე-მამაკაცი, რომელიც უთუოდ დავით აღმაშენებელი უნდა იყვეს, მით უმეტეს, რომ ერთგან ნათქვამია მასზე, რომ იგი არის „დემეტრეს ძალით გარშეზღუდული“, ე.ი. ნახსენებია დავითის ვაჟი დემეტრე. მაგრამ სხვა ოდებში, ისევ მეფე-მამაკაცის ქებისას ნათქვამია, რომ მან დაიმონა შავი ზღვისკენ ლიმონა (ლაზეთი, ტრაპიზონი), ხარკი დაადო მას, „ვინც არის ჯიმმედს მფლობელი“, ე.ი. ნახსენებია 1204 წლის ამბები. ამასთან ნახსენებია გელათი, როგორც მეფეთა საძვალე, რომელიც დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში ჯერ დასრულებულიც არ იყო“ (გამსახურდია 1991: 218, 219).

ხატაეთის დიდი ომი და ქაჯეთის ციხის აღება, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების, ქვესკნელის ძალაუფლების დამხობის, ჯოჯოხეთის წარტყვევნის, სიკვდილის ბორკილთა შემუსვრის, ქთონური სკნელის დაძლევის, „საკვირველი ძლევის“ ალეგორიებია. ალუზორული კავშირები ბიბლიასთან თუ ისტორიოგრაფიულ ტექსტებთან კი უშუალოდ სტრიქონთა დამოწმებით, ციტატების მოყვანით უნდა წარმოვანინოთ. „ვეფხისტყაოსანში“ ბიბლიის ალუზორულ მოცემულობას იკვლევს ნესტან სულავა. მისი სამეცნიერო კვლევის დამოწმებით არაერთი ალუზორული სტრიქონი შეიძლება

გაიშიფროს. ნესტან სულავას აზრით, თინათინის გამეფების ეპიზოდს ბიბლიური, კერძოდ, ძველალექსიკონური და ისტორიული ალუზიების სიუხვე ახასიათებს. ალუზიების ჯაჭვს და სახეთა პარადიგმული სისტემით ალეგორიებისა და სიმბოლოების მხატვრულ წარმოჩენას „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან სულავა კონკრეტული მაგალითის მიხედვით განიხილავს: „თინათინი, რომელსაც მამამ ლეგიტიმური პრინციპების მიხედვით გადასცა სამეფო ძალაუფლება იმ მოტივით, რომ „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“ (48/47), სიმბოლური და ალუზიური თვალსაზრისით იუდას, იესეს, დავით წინასწარმეტყველის, სოლომონის ჩამომავალია; აგრეთვე, საღვთისმეტყველო ლიტურატურაში მაცხოვრის, იესო ქრისტეს წარმოსახვა ლომის მეტაფორა-სიმბოლოს საშუალებით თინათინს მაცხოვრის სულიერ ჩამომავლად მოგვააზრებინებს, რაც თინათინის სულიერი და ინტელექტუალური სახის სრულყოფილების ნათელი დადასტურებაა. ეს ევანგელური ალუზიაა, რასაც არეკლავს ჰიმნოგრაფიაც; მაგალითად შეიძლება დასახელდეს იოანე მინჩხის საგალობლები. თინათინის გამეფება, ამავე დროს, ისტორიული მეტაფორა-ალუზიაა, ვინაიდან, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ სამეცნიერო ლიტურატურაში, თინათინის სახე თამარის ხატებასთანაა დაკავშირებული“ (სულავა 2009: 143).

ქთონური სივრცის დაძლევის მითოლოგემა ისევე ზოგადია და მოცულობითი, როგორც კოსმოგონიური მითოლოგემები, წარღვნისა და ესქატოლოგიური მითოლოგემები (მითი, როგორც ისტორიული რეალობის მხატვრული, სახეობრივი სისტემით, მეტაფორებით, სიმბოლოებით ასახვა), მაგალითად: ტიტანომაქია, ურანიდებისა და კრონიდების დაპირისპირება, მინოტავრისა და თეზევსის მითოლოგემა, ქვესკნელად შთასვლის მითოლოგემები (ოდისევსი, ენეასი, გილგამეში, თეზევსი და ა.შ.). შესაბამისად, ქვესკნელის დაძლევა ხშირად წარმოჩენილია ქთონურ არსებებთან შერკინების მხატვრული ფორმითაც, მაგალითად: ლაბირინთის მკვიდრი კაციჭამია მინოტავრის დაძლევა თეზევსის მიერ, სასიძოების შემუსვრა ოდისევსისა და ტელემაქეს მიერ; ბიბლიური პარალელიზმის თვალსაზრისით, ფარაოს მხედრობათა შემუსვრა მენამულ ზვაში; ასევე დავითისა და გოლიათის შერკინება, მოსეს წინამძღვრობა უდაბნოში საღვთო, რჩეული ერისა, იონას შთანთქმა ვეშაპის მიერ და ა.შ.

აღნიშნული საკითხის შესახებ ზ. გამსახურდია წერს: „რაც შეეხება ქაჯეთს, იგი არის ქვესკნელის ალეგორია, რაზედაც პირველად მიუთითა კ. გამსახურდიამ თავის ესსეში „დანტე ალიგიერი“. ეს იგივეა, რაც საშუალო სპარსული ტრადიციის მაზენდარანი, რომელსაც შემდეგნაირად უხასიათებს ხიზრი (ნმ. გიორგი) ნიზამი განჯელს „ისკანდერნამეში“: „მაზენდარანიდან არაფერი გამოდის ორი რამის გარდა: ადამიანები, დევების მსგავსნი და თავად დევები“ (ნიზამის დამოძღვრა ხიზრის მიერ). ასევეა ქაჯებიც; ისინი უხორცონიც არიან და ხორციელნიც, ასე რომ დავა იმის შესახებ ხორციელნი იყვნენ ქაჯები თუ უხორცონი, მოკლებულია საფუძველს. ქაჯეთი ბოროტების საუფლოა, შავი მაგიის ციტადელია. და თუ ქაჯეთს ლაშქრობა მიწიერი ქვეყნის დალაშქვრას ჰგავს, ეს იმიტომ ხდება, რომ ანტიურობაში და შუა საუკუნეებში ქვესკნელად შთასვლა მიწიერ ასოციაციებთან იყო დაკავშირებული (მაგ., დანტესეული ჯოჯოხეთის გვირაბები, ჯურღმულები, ჭალაკები, მდინარეები და სხვა). თავად ქაჯები ქტონური დემონებია, მათ შეესაბამება ინდური რიქმასები, არაბული ჯინები, გერმანული ელფები და ვალკირიები“ (გამსახურდია 1991: 214).

ქართულ ფოლკლორულ ცნობიერებასა და მითოლოგიაში კი ქტონური საუფლოს დაძლევა ნმ. გიორგის სახესთან, ხატთან, კულტთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, დიდგორის ომი, როგორც ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვება და „საკვირველი ძლევა“ ომში წმიდა გიორგის სასწაულებრივ მონაწილეობას ასახავს. ამის შესახებ მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის მემოტიანე: „ხელი მაღლისა შეენეოდა და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას და წმიდა მონამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძლოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამონვენულთა ურჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმონამისა გიორგისა“ (წმინდანთა ცხოვრება, თბილისი, 2001).

ფოლკლორულ ტექსტებში წმიდა გიორგის მიერ ქაჯეთისა, ქტონური საუფლოს, ბნელეთის სამეფოს ძლევის შესახებ, ქართულ მითოლოგიაში დამკვიდრებული ლეგენდებისა და თქმულებების შესახებ, რაც წმიდა გიორგის კულტს უკავშირდება, ზვიად გამსახურდია წერს: „ნმ. გიორგის ინიციაცია ქართულ

მითოლოგიაში აირეკლა ქვესკნელში ანუ ქაჯთა ქალაქში მისი შთასვლის მოტივით. ეს თქმულება ემყარება ხევსურული ზეპირსიტყვიერების უამრავ ძეგლს, სადაც აღწერილია წმ. გიორგის ლაშქრობა ქაჯეთში. ხახმატის წმ. გიორგი ემზადება სალაშქროდ, ხატი შეჰკრებს ანგელოზთა მხედრობას, სხვა ღვთისშვილნი ეხმარებიან თავიანთ ძმადნაფიცს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიცი, ძმადნაფიცობაც წმ. გიორგის რიტუალებთან არის დაკავშირებული)... აქ ქაჯეთი წარმოდგენილია, როგორც მიღმა სამყარო, ბერძნული მითოლოგიის ჰადესი, ქტონურ ძალთა საუფლო, ქრისტიანული გაგების ჯოჯოხეთი“ (გამსახურდია 1991: 179, 180).

დიდგორის ომის წინ თავის რიტორიკულ სიტყვაში დავით აღმაშენებელმა მტრის ლაშქარი ეშმაკსა და მის მხედრობას შეადარა (მდრ. დავითისა და გოლიათის შერკინების ეპიზოდი: „სიტყუად იწყო დავით საულისა და ჰრქუა: ოდეს ვმწყსიდი საცხოვართა მამისა ჩუენისათა უდაბნოსა ზედა, მოვიდის ლომი, ანუთუ დათვი და წარიღის კრავი, ანუთუ ვაცი; ვენივი და პირისა მისისაგან გამოუღი, და თუ ზედა-მიმიხდის, მე მკლავნი მოვსცნი და შევმუსრი და მოვკალი იგი. და ან შერაცხილ იყავნ უცხოთესლი იგი წინადაუცუეთელი, ვითარცა ერთი ბოროტთა მხეცთაგანი. ვითარ არა მოვიდე და მოვჰკლა იგი და აღვზოცო ყუედრებაი ისრაელსა შორის დღეს? რამეთუ ვინ არის წინადაუცუეთელი ესე, რომელი აყუედრებს ბანაკსა ღმრთისა ცხოველისასა?“ – პირველი მეფეთა 17: 34-36). დიდგორი, რომ მხოლოდ პოლიტიკური ფუნქციით არ გამოირჩეოდა, არამედ მას ჰქონდა ბოროტების საუფლოს დიდი სულიერი ძალისხმევით დაძლევის მნიშვნელობაც, ამას მიუთითებს ქართული მატეიანის ფურცლები და ის კონტექსტი, რომლითაც დიდგორის ომი იმ ეპოქის მოაზროვნეებმა მომავალ თაობებს დაუტოვეს. შესაბამისად, რუსთველის ცნობიერებაში „დიდი ომი“ და ქაჯეთის ციხის აღება იპოდიგმურად დიდგორს რომ უკავშირდება, ამას, ერთი მხრივ, სამი მნათობი გმირის, როგორც წმიდა გიორგის მსგავსი ღვთის რაინდების მხატვრული სახეებიც ცხადყოფს, მეორე მხრივ, ხატაეთის ომისა და ქაჯეთის ციხის აღების საომარი ტაქტიკის ზედმიწევნით მსგავსება დიდგორის ომში დავით აღმაშენებლის საომარ ტაქტიკასთან, რასაც განსაკუთრებით ააშკარავებს საკრალური მნიშვნელობის 300

მეომრის მონაწილეობა, როგორც ხატაეთის დიდ ომში, ასევე ქაჯეთის ციხის აღების დროს. მემატიანეთა ცნობით კი დავითის მიერ გამოორჩეული მეომრების მცირე რაზმი, რომელმაც მტერი ერთგვარი ხრიკით დაარწმუნა, რომ ისინი დეზერტირები იყვნენ, რაც დასტურდება მტრის რიგებთან მათი უვნებელი მიახლებით, რიცხოვნობით ორასს არ აღემატებოდა. ზოგი ცნობით ისინი ყვიჩაღნი იყვნენ, ზოგი ცნობით – ევროპელი რაინდები (მესხია 1972: 11-113), თუმცა, სავარაუდოა, რომ ისინი განსაკუთრებული საბრძოლო ხელოვნების მცოდნე მეომრები იყვნენ, რომელთა შორის, იქნებ ეთნიკური სხვაობაც არსებობდა, მაგრამ საომარი ოსტატობის თვალსაზრისით – მსგავსება. ამ ტაქტიკურ მსგავსებას ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდი ცხადყოფს. ისტორიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმ დეტალზე, რომ მტერმა ეს 200 მეომარი დეზერტირებად მიიჩნია და თავის რიგებთან მიახლოების უფლება ამიტომაც მისცა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ, ცხადია, ისინი მტერს საომარი ყიჟინით არ მიუახლოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დეზერტირების შთაბეჭდილებას ვერ შექმნიდნენ. სწორედ ამგვარ ტაქტიკურ ხერხს იყენებს ტარიელი ქაჯეთის ციხის აღებისას. გასათვალისწინებელია, რომ ქაჯეთის ციხე ძმადნაფიცებმა სწორედ ტარიელის თათბირის მიხედვით აიღეს. დიდგორის იდენტური ტაქტიკის ალუზია კი შემდეგ სტროფშია მოცემული:

„პირველ ამოდ მოდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად,
მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დახვდეს გულ-ხმიერად;
გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად,
მიდგეს გარეთ, მუზარადნი დაიხურეს ჟამიერად.“ (1421)

ქაჯეთის ციხის აღების, როგორც ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების, ჯოჯოხეთის ნარტყვევის მეტაფორული ფორმაა: „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1428,2).

ჯოჯოხეთის ნარტყვევის ალუზია გვხვდება ქაჯეთის ციხის აღების არაერთ ეპიზოდში: „ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“ (1429,2), გეგონებოდათ იუპიტერი და სატურნი ერთმანეთს შეხვდნენო. სატურნი რომ ტარიელის, ზვიად გამსახურდიას სახისმეტყველების მიხედვით, დავით სოსლანისა (შესაბამისად, დავით აღმაშენებლის, დავით წინასწარმეტყველის) და ჯოჯოხეთში ძლევით შთასული მაცხოვრის სახე-სიმბოლოა,

მეტაფორაა, ამას ცხადყოფს შემდეგი სტრიქონები:

„მაშინ ქაჯეთს მოინია უსაზომო რისხვა ღმრთისა, კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა.“ (1423,1;2).

აღნიშნული სტრიქონების პნკარედულ თარგმანში ვკითხულობთ: „მაშინ ქაჯეთს ღვთის უზომო რისხვა დაატყდა, განრისხებულმა სატურნმა მზის ქველმოქმედი ძალა უკუაგდო“ (1423, 1,2 „ვეფხისტყაოსნის“ პნკარედული... 2013).

მამასადამე, ქაჯეთის დამხობა კრონოსს/სატურნს მიენერება. სახეთა პარადიგმატულ სისტემას თუ მივმართავთ, მაშინ კრონოსი, სიმბოლურად იგივე ტარიელი, მაცხოვარია, რომელმაც ჯოჯოხეთის ძალნი შემუსრა: „ჯოჯოხეთად შთახვედ, მაცხოვარო ჩვენო, ჯვარცმა თავს იდევ და სამისა დღისა დაფლვა“ (აღდგომის საგალობელი). შესაბამისად, თუკი სატურნი მაცხოვრის სიმბოლოა, მითოსური არქეტიპია, მითოლოგიური წინასახეა, მაშინ იუპიტერი, იგივე მუშთარი, რომელიც სატურნის, იმავე ზუალის ძეა და რომელსაც მამის წინააღმდეგ განდგომა ედება ბრალად, ადამის სიმბოლო უნდა იყოს, პირველი მამათმთავრისა. თავის მხრივ, სატურნისა და იუპიტერის ერთად წარმოსახვა აღდგომისა და ამალღების, მამის მარჯვენით ძის ჯდომის სიმბოლოა. არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ დემეტრე დავით აღმაშენებლის ძლიერებად არის მოხსენებული (იხ. ზემოდათმნებული ციტატა), რადგან დიდგორის ომი დავით აღმაშენებლისა და დემეტრე უფლისწულის ერთობით მიღწეული გამარჯვება იყო.

ამრიგად, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, საღვთო წერილში, ქართულ ცნობიერებასა და კულტურაში დამკვიდრებული სახეთა პარადიგმატული სისტემის მიხედვით, ბნელეთის ძლევა, ჯოჯოხეთის წარტყვევნა, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვება საღვთო რაინდთა ინიციაციის დაგვირგვინებას წარმოადგენს. ეს კი „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯეთის ციხის ალების ეპიზოდის მძლავრი ალეგორიით არის გადმოცემული. ამ ეპიზოდში კი ალუზორულად არის ასახული დიდგორის ომი, რომელიც ქართულ ცნობიერებაში ბოროტების დამარცხებისა და სიკეთის აღზევების უცვლელ, მუდმივ და განუმეორებელ იპოდგამად, პირველსახედ არის აღბეჭდილი.

დასკვნა: ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, საღვთო წერილში, ქართულ ცნობიერებასა და კულტურაში დამკვიდრებული სახეთა პარადიგმატული სისტემის მიხედვით, ბნელეთის ძლევა, ჯოჯოხეთის წარტყვევნა, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვება საღვთო რაინდთა ინიციაციის დაგვირგვინებას წარმოადგენს. ეს კი „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდის მძლავრი ალეგორიით არის გადმოცემული. ამ ეპიზოდში კი ალუზორულად არის ასახული დიდგორის ომი, რომელიც ქართულ ცნობიერებაში ბოროტების დამარცხებისა და სიკეთის აღზევების უცვლელ, მუდმივ და განუმეორებელ იპოდიგმად, პირველსახედ არის აღბეჭდილი.

ფოლკლორულ ტექსტებში წმიდა გიორგის მიერ ქაჯეთისა, ქთონური საუფლოს, ბნელეთის სამეფოს ძლევის შესახებ, ქართულ მითოლოგიაში დამკვიდრებული ლეგენდებისა და თქმულებების შესახებ, რაც წმიდა გიორგის კულტს უკავშირდება, ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაში ვრცელ გამოკვლევას გვთავაზობს. წმ. გიორგის ინიციაცია ქართულ მითოლოგიაში აირეკლა ქვესკნელში ანუ ქაჯთა ქალაქში მისი შთასვლის მოტივით. ეს თქმულება ემყარება ხევსურული ზეპირსიტყვიერების უამრავ ძეგლს, სადაც აღწერილია წმ. გიორგის ლაშქრობა ქაჯეთში. ხანმატის წმ. გიორგი ემზადება სალაშქროდ, ხატი შეჰკრებს ანგელოზთა მხედრობას, სხვა ღვთისშვილნი ეხმარებიან თავიანთ ძმადნაფიცს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიცი, ძმადნაფიცობაც წმ. გიორგის რიტუალებთან არის დაკავშირებული)... აქ ქაჯეთი წარმოდგენილია, როგორც მიღმა სამყარო, ბერძნული მითოლოგიის ჰადესი, ქთონურ ძალთა საუფლო, ქრისტიანული გაგების ჯოჯოხეთი.

ხატაეთის დიდი ომი და ქაჯეთის ციხის აღება, ზოგადად, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების, ქვესკნელის ძალაუფლების დამხობის, ჯოჯოხეთის წარტყვევნის, სიკვდილის ბორკილთა შემუსვრის, ქთონური სკნელის დაძლევის, „საკვირველი ძლევის“ ალეგორიებია. ალუზორული კავშირები ბიბლიასთან თუ ისტორიოგრაფიულ ტექსტებთან კი უშუალოდ სტრიქონთა დამონშებით, ციტატების მოყვანით წარმოვანინეთ.

ლიტერატურა

ბიბლია, ძველი აღთქუმაი, ახალი აღთქუმაი, სულხან-საბა ორბელიანის რედაქციით; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ელენე დოჩანაშვილმა, ნინო მელიქიშვილმა და სოფიო სარჯველაძემ; ქარჩხაძის გამომცემლობა, 2017.

ბიგანიშვილი 2014: ბიგანიშვილი თ., რუსთველი და დასავლური პროტორენესანსი, კომპარატივისტული კვლევები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1991.

„ვეფხისტყაოსნის“ პნკარედული... 2013: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ (ტექსტი პნკარედული განმარტებებით „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის მსურველთათვის), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

კარბელაშვილი 2014: კარბელაშვილი მ., „პოლიტიკური ტერმინოლოგია ვეფხისტყაოსანში და რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხი („სპარსული//სპარსნი“), ლიტერატურული ძიებანი, XXXV, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2014.

მესხია 1972: მესხია შ., „ძღვევი საკვირველი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1972.

შოთა რუსთველი 1988: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, სარგის ცაიშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და ლექსიკონით, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1988.

სულავა 2003: სულავა ნ., XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 2003.

სულავა 2009: სულავა ნ., „ვეფხისტყაოსანი“ – მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა, გამომცემლობა „ნეკერი, 2009.

10. წმინდანთა ცხოვრება 2001: წმინდანთა ცხოვრება, თბილისი, 2001.

ზ. გამსახურდია მხატვრული თარგმანის ღირებულების შესახებ

ანოტაცია: სტატიაში შეკრებილი და შეჯერებულია ზ. გამსახურდიას კონცეფციები თარგმანის ხელოვნების შესახებ, რომელიც მას გამოთქმული აქვს მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“ [1984] და ასევე ეხება თავის ესეებში [1991]. სტატიის ქვეთავებში სათითაოდ არის გაანალიზებული მისი ძირითადი შეხედულებები მთარგმნელობითი ხელოვნების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, იმაზე თუ რა მიაჩნია მას თარგმნილი ნიმუშების ღირსებად თუ ნაკლოვანებად.

საკვანძო სიტყვები: ფსევდოპოეტური თვითნებობა, იდეის პროფანაცია, სტილის იმპორტირება.

Khatuna Gogia

Z.Gamsakhurdia about Evaluation of the quality of Literary translations

Annotation: The concepts of Z.Gamsakhurdia about art of translation is gathered and analyzed in the article, which is given in the monography “The Knight in the panter’s skin” in English~ (1984) and also he refers in his esseys (1991). In the subtitles of the article it is separately analysed his opinion about the important problems of art of translation, he writes about what he considers to be the Strength and weakness of translated fiction.

Key words: profanation of idea, importing the style, ... translations.

„თარგმანი გამოცდაა მხატვრული თხზულებისა“ /გოეთე/.

ზ. გამსახურდიას „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“ 1984 წელს გამოიცა. წიგნის შესავალში აღნიშნულია, რომ მონოგრაფია მეცნიერის ბოლო ათი წლის შრომას იტევს. მასში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია რუსთველის მსოფლმხედველობის გამომხატველ სტროფებზე, სადაც იკვეთება პოეტის ფილოსოფიური და თეოლოგიური კონცეფციები ანუ მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი ეხება პოემის ეთიკურ-ფილოსოფიური ინტერპრეტაციას, ტექსტის განმარტებას (ძველქართულად – „თარგმანებას“), რაც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად ხდებოდა. რუსთველთან დაკავშირებით გაუგებრობის მიზეზიც

ყოველთვის პოემის არასწორი გაგება, მისი ღრმად ეზოტერული შინაარსის ვერამოკითხვა იყო (გამსახურდია 1984, 7). ზ. გამსახურდიას ეს მონოგრაფია გამოვიდა საბჭოთა პერიოდში, როცა წმინდა მამათა საღვთისმეტყველო ნაშრომები მკითხველისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. მონოგრაფია აგებულია პოემის თეოლოგიური ანალიზისა და წმინდა მამათა საღვთისმეტყველო, ანტიკური პერიოდისა თუ შუა საუკუნეების ფილოსოფოსთა ფუნდამენტურ ნაშრომებთან შედარების მეთოდით. ნაშრომი რუსთაველს წარმოაჩენს პოეტ-მოაზროვნედ, ცხადყოფს მისი მსოფლმხედველობის საფუძვლებს. საბჭოთა პერიოდის კრიტიკისთვის კვლევის მეთოდების მიხედვითაც ეს ნაშრომი სრულიად გამონაკლისი გახლდათ.

მართალია, მონოგრაფიის მთავარი ღირსება რუსთაველის მრწამსისა და მსოფლმხედველობის შუასაუკუნეობრივი და რენესანსული კულტურის კონტექსტში წარმოაჩენაა, მაგრამ ზ. გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპის, ურუშაძის, სტივენსონისა და ვივიენის ინგლისური თარგმანების ხარისხზე მსჯელობს, საიდანაც ძალიან კარგად ჩანს მისი შეხედულებები ზოგადად მთარგმნელობით ხელოვნებაზე, მხატვრული თარგმანების ღირებულებაზე. რა მიაჩნია მეცნიერს მხატვრული თარგმანის ღირსებად თუ ნაკლოვანებად? როდის არის დედნის აზრები თუ ინტონაციები სწორად გადმოტანილი ახალ ენაზე? როგორ ხდება კარგ თარგმანში ორიგინალის მსგავსი მხატვრული ეფექტის მიღწევა? რა მეთოდები და საშუალებები უნდა გამოიყენოს მთარგმნელმა მიზნის მისაღწევად? ერთი სიტყვით, როგორ თარგმანს თვლის მეცნიერი სწორ, ზუსტ, ადეკვატურ, სრულფასოვან, ეკვივალენტურ ანუ საერთო ჯამში – წარმატებულად? ამ პრობლემებს ზ. გამსახურდია თავის წერილებსა და ესეებშიც ხშირად შეჰხებია და გასათვალისწინებელი მოსაზრებები გამოუთქვამს: „ჭეშმარიტად მაგიას ესაზღვრება მთარგმნელის ხელოვნება. თუ იგი შემოქმედებითი წვის შედეგია და არა უბრალო განმეორება. ასეთ დროს ხელხლა იშვის ნაწარმოები, იგი სუნთქავს ისეთივე პირველყოფილი სისადავითა და მშვენიებით, როგორც თავად ორიგინალი. მხოლოდ ასეთი თარგმანი არ გახდება უცხო სხეული ეროვნული ლიტერატურისათვის, მხოლოდ ასეთ თარგმანს შეიყვარებს ესთეტი კაცის მგრძნობიარე სული“ (გამსახურდია 1991, 364). მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“

საკმაოდ აღმოჩნდა პასუხები ამ საინტერესო კითხვებზე. ჩვენი სტატიის მიზანია მათი შეკრება-განზოგადება და თანამედროვე მთარგმნელობით ხელოვნებასთან მისადაგება.

კულტურული კონტექსტის გათვალისწინება. ზ. გამსახურდია პირველ რიგში აუცილებლობად თვლის სათარგმნი მასალის – ტექსტის – კულტურულ დეკოდირებას. ეს არის ერთადერთი გზა იმისთვის, რათა არ გავცდეთ ავტორისეულ მსოფლალქმას. ზ. გამსახურდია განიხილავს პოემის ყველაზე მნიშვნელოვან სტროფებს რუსთველის პერიოდის კულტურის კონტექსტში. მას შედარებისთვის მოხმობილი აქვს დიდძალი პარალელური მასალა. უმეტესწილად, ეს არის აღმოსავლეთის ეკლესიის, კერძოდ, კაბადოკიელ წმინდა მამათა ნაშრომები, რომელთა ნააზრევსა და ტერმინებს ხშირად ეყრდნობა რუსთაველი. ნათელი ხდება, რომ ზოგი სტროფის გააზრება მათი გაცნობის გარეშე შეუძლებელია.

თუ ნაწარმოებში არსებობს განსაკუთრებული პასაჟი, სადაც ავტორის კონცეფცია ნათლად იკვეთება, ის მთარგმნელს არ უნდა გამოეპაროს და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ასეთია პირველი სტროფი. ზ. გამსახურდიას თქმით, ამ სტროფში ავტორი აყალიბებს თავის მსოფლმხედველობრივ კრედოს, რომელიც რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათისაა და ტერმინოლოგიურად ამჟღავნებს ბიბლიასთან ნათესაობას, ამიტომაც იგი ზედმინწევნით ზუსტად უნდა ითარგმნოს: „ის არის გეზის მიმცემი არა მარტო აზრისმიერი, არამედ სტილისმიერი თვალსაზრისითაც. პოემის ქვაკუთხედისადმი სწორი ალღოს აღება მთარგმნელისათვის გარანტიაა შემდგომი წარმატებისა“ (გამსახურდია 1984, 40). მეცნიერის ეს შეხედულება აუცილებლად გასათვალისწინებელია ზოგადად დღევანდელი მთარგმნელებისთვისაც, რომელთა წინაშე სხვადასხვა დროისა და მიმდინარეობის ლიტერატორთა შემოქმედება დევს. საჭიროა მთარგმნელი იცნობდეს, თუ რომელ კულტურულ კონტექსტში ქმნიდა კონკრეტულ ტექსტს ავტორი და რა იყო მისთვის ნიშანდობლივი, რათა ამოიცნოს დედნის კონცეპტუალური იდეები, ნაწარმოების ფილოსოფიურ-ეთიკური საფუძვლები და ავტორის მსოფლმხედველობა. ეს ხდება ერთგვარი გასაღები ტექსტის სიღრმეების გასახსნელად.

ამრიგად, კულტურული კონტექსტის ცოდნა თარგმანის ხარისხზე უთუოდ აისახება.

„ფსევდოპოეტური თვითნებობა“. ბევრი ტერმინი „ვეფხისტყაოსანში“ ისეთივე სიზუსტით არის ნახმარი, როგორც ფილოსოფიურ ან თეოლოგიურ ქმნილებაში“ (გამსახურდია 1984, 45). ეს ეხება ისეთ სიტყვებს, როგორცაა: „რომელმან“, „სამყარო“, „ქვეყანა“, „სული“, „სახე“, „გვარი“, „ტომი“, „ხატი“, „უცნაური და უთქმელი“, „ერთარსება ერთი“, „მზიანი რამე“, ზეგარდამო არსნი და სხვა მრავალი. მათი მცდარად წაკითხვის საფრთხე მუდამ არსებობს. ისინი ტერმინებია და არა რიგითი სიტყვები, ამიტომ არ შეიძლება ნებისმიერად ჩანაცვლდეს. იმისთვის, რომ მთარგმნელებმა მათ ზუსტი ექვივალენტები შეუსაბამონ, საჭიროა მათი გადამონმება, როგორც ამას ზ. გამსახურდია აკეთებს. ის ეძებს რუსთველისეული ამა თუ იმ სიტყვის სიხშირეს იმ პერიოდის სხვა ძეგლებში, ადგენს მათ კონტექსტს, სემანტიკურ ნიუანსს. ამით პასუხი ეცემა კითხვას, თარგმანი ხომ არ არღვევს იმდროინდელი აზროვნების კანონიკას, რომელიც თავის დროზე მკითხველში არავითარ გაუგებრობას არ იწვევდა? გამსახურდიას თქმით: „როცა საქმე გვაქვს ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ტერმინებთან, მას არ უნდა მოვეპყრათ ფსევდოპოეტური თვითნებობით“ (გამსახურდია 1984, 81).

ამრიგად, იმ ტერმინების, რომლებიც ავტორის მსოფლმხედველობრივ კრედოს გამოხატავენ, თარგმანში სიზუსტით გადმოტანა აუცილებელია. ეს მითითებაც შეიძლება განვზოგადოთ და ზოგადად მთარგმნელობით ხელოვნებაში გავითვალისწინოთ.

ლექსის კონცეფციის გადასხვაფერება-პროფანაცია. სხვადასხვა კონტექსტში ორიგინალის მთავარი ღირსება სხვადასხვაა: შეიძლება ეს იყოს აზრობრივ-ფილოსოფიური, ან სახეობრივ-მეტაფორული, მუსიკალურ-ალიტერაციული, რაც უნდა იქნეს ამოცნობილი და აუცილებლად უნდა გადმოვიდეს. ამა თუ იმ კონტექსტში მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს რომელიმე მათგანი, რისი ჩაკარგვაც გააბათილებს დედნის ღირსებას, ანუ თარგმანი ღირებულებას კარგავს. „რაც უფრო მეტად დაემყარება თარგმანი ჭეშმარიტ თარგმანებას (განმარტებას), მით უფრო სრულყოფილი იქნება იგი და ნაკლები იქნება საფრთხე ტექსტის დამახინჯებისა და პროფანაციისა“ (გამსახურდია 1984, 8) საჭიროა დედნის ტექსტის სიღრმის სათანადოდ გაზომვა-შეფასება, რადგან მისი არასწორი ინტერპრეტაცია – წარუმატებელი თარგმანის მთავარი მიზეზია. აზრის გადასხვაფერება მიუღებელია განსაკუთრებით მაშინ, როცა

დედანი პოეტის მყარ მსოფლმხედველობას აამკარავებს, ხოლო მთარგმნელი საშუალო გემოვნების მკითხველზე მორგების მიზნით ფსევდო სტრიქონებით ანაცვლებს მათ. ზ. გამსახურდიას სიტყვებით თუ ვიტყვით, ასეთი თარგმანი „შეკვეცილი და გაპროფანებულია“, შედარებით უმნიშვნელო იდეამდეა დაყვანილი კონცეპტუალური დედააზრი (გამსახურდია 1984, 83).

ამრიგად, თარგმანის სიავეკარგის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მთარგმნელი დედნის ღირსებას სიღრმისეულად სწვდება. მთარგმნელი, პირველ რიგში, საუკეთესო მკითხველია. იგი ავტორს, როგორც ოსტატს, ძალიან კარგად უნდა იცნობდეს.

სტილის იმპორტირება. მთარგმნელმა უნდა დაიცვას ავტორის სტილისტური კონცეფციები. თარგმანს უნდა ჰქონდეს დედნის ეკვივალენტური ესთეტიკური ღირებულება. ამისათვის საჭიროა – ტროპული საშუალებების, სტილური თავისებურებების გადმოტანა და არა შეცვლა-გადასხვაფერება, სახეების ჩუქება ან წართმევა-იგნორირება. გამსახურდიას თარგმანის ნაკლულოვნებად მიაჩნია, თუ მთარგმნელი ტექსტის ლაკონურობას სიტყვამრავლობით ანაცვლებს და ტექსტში ჩაამატებს ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს, რაც დედანში არაა, რადგან ეს ავტორის სტილსა და სულს არღვევს, ასევე ნაკლად მიიჩნევს მანერულობას, სენტიმენტალურ გაბუნდოვანებას, ღვარჭნილობას, ფსევდორომანტიული, სენტიმენტალური, ულაზათო, განელილი ფრაზებით უბრალოებისა და მკაფიოობის ჩანაცვლებას. მთარგმნელის პიროვნება თარგმანში ყოველთვის ჩანს, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს საკუთარი სტილი, არამედ უნდა გადმოიტანოს დედნის ავტორის სტილი.

თითქმის იგივე აზრს გამოხატავს ნაბოკოვი, როცა ამბობს: მთარგმნელი.... „ავტორის სტილისა და მეთოდების შესახებ ყველა დეტალს ყურადღებით უნდა გაეცნოს; კარგად უნდა ერკვეოდეს სიტყვების სოციალურ წარმომავლობაში, მოდურობის პერიოდებში, ისტორიასა და სხვადასხვა ეპოქაში წარმოქმნილ ასოციაციებში. ამ ყველაფერს მესამე მოთხოვნასთან მივყავართ: ნიჭსა და ცოდნასთან ერთად, მთარგმნელს მიზაძვის უნარიც უნდა ჰქონდეს – უნდა შეეძლოს ავტორად გარდაისახოს, მისი სახასიათო მანერები და მეტყველება გადაიღოს, ქცევა და აზროვნება გაითავისოს; ამ დროს უკიდურესად დამაჯერებელი

უნდა იყოს“ /ნაბოკოვი/. ლექსის კონცეფციის გადასხვაფერება-შეკრეჭაზე მკითხველის გემოვნებაზე მისი მორგების მიზნით ვ. ნაბოკოვი მსგავ აზრს სხვა ადგილას ასე გამოხატავს: „ყველაზე საშინელი სიმდაბლე ისაა, როცა შედეგს აშალაშინებენ, აპრილებენ, საძაგლად ალამაზებენ და იმ ფორმას აძლევენ, რომელიც საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებს ყველაზე მეტად შეესაბამება“ – /ნაბოკოვი, თარგმანის ხელოვნება/.

სიტყვათა ნიუანსების შეგრძნება. ზევით თარგმანის სიზუსტეზე ვისაუბრეთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თარგმანი სიტყვასიტყვითი უნდა იყოს და პნკარედს დაემსგავსოს. თარგმნა შემოქმედებაა და არა მექანიკური პროცესი, რაზეც წიგნში ნათქვამია: „ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ პნკარედის სკრუპულოზურობას ვითხოვთ მხატვრული თარგმანისგან, მაგრამ თარგმანმა (მითუმეტეს ლექსის პროზაული თარგმანმა) დედნის ტექსტს უნდა უერთგულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში უცხოელი მკითხველი ვერ შეიქმნის სწორ წარმოდგენას პოეტის მსოფლმხედველობაზე, მაგრამ ფრაზა არაზუსტი შეიძლება იყოს მაშინ, როცა დედნის იდეას ასე უფრო ნათლად გადმოსცემს, ანუ თუ იდეა არაზუსტი თარგმანით უკეთ გადმოიცემა, დასაშვებია გადახვევა. ამ დროს მთავარ როლს ენის სპეციფიკა თამაშობს. კონკრეტულ იდეას სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ფრაზა უკეთ გამოხატავს. აქ მთარგმნელმა ანგარიში უნდა გუნოს ამ სპეციფიკას“ (გამსახურდია 1984, 114).

ზოგჯერ ადეკვატურობის მიღწევა ითხოვს არადედნიესული, მაგრამ ლოგიკური ჩანართების გაკეთებას. ზოგადად, თარგმანში ყოველთვის ჩნდება არადედნიესული ჩანართიც და კლებაც. აქ ბენვის ხიდზე სიარულია საჭირო მთარგმნელის მხრიდან, რადგან ეს უნდა მოხდეს დედნის იდეის დაუმახინჯებლად და შინაარსობრივი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე. ზ. გამსახურდია ამ იდეას მეტაფორულობით გამოხატავს ესეში „თარგმნითი ლიტერატურის საჭიროებანი:“ „მთარგმნელს მოეთხოვება როგორც პოეტური გზნება, ისე ლინგვისტური სკრუპულოზურობაც. თუმც აქაც საჭიროა ოქროს შუალედი. მთავარია, მთარგმნელმა შექმნას ცოცხალი ექვივალენტი ნაწარმოების სტილისა. ეს არის პირველი გასაღები დედნის განწყობილების აღსადგენად. ზედმეტ სრუპულოზურობას დაუშვებელი კალკირებისაკენ მივყავართ, ხოლო გადაჭარბე-

ბულ ად ლიბიტუმ-ს დედნის სულის დაკარგვისაკენ. ცნობილი თქმაა: კარგი მთარგმნელი ეს არის ოდისევსი, რომელიც მშვიდობით დააღწევს თავს სკრუპულოზურობის სცილასა და თავისუფალი თარგმანის ქარიზმად“ (გამსახურდია 1991, 365). „გადაჭარბებულ ერთგულებას ხშირად თარგმანში სერიოზულ ლაპსუსებამდე მივყავართ, რომელსაც ლინგვისტიკასთან მეტი საქმე აქვს, ვიდრე ლიტერატურისმცოდნეობასთან“ (იქვე, 447). „ბუკვალიზმს მივყავართ მხატვრული ელემენტის მოსპობისაკენ, მაგრამ თარგმანში მთავარია დედნის პოეტური ჩანაფიქრისა და საერთო სულის რეპროდუქცია, ვიდრე ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების მონური გადმოტანა“ (იქვე, 448).

თარგმნის პროცესში მთარგმნელის გონებაში სიტყვები ერთმანეთზე ათასგვარ გავლენას ახდენენ და არა მხოლოდ სიტყვები, არამედ – ბგერებიც. ამის დასტურია, რომ ხანდახან წარმოიშობა უნებლიერ რითმები და ალიტერაციები. სიტყვათა ერთმანეთზე გადაბმის მაგიაზე ყურადღებას მამხვილებს ნაბოკოვიც: „სიტყვების ასეთი ურთიერთკავშირი და სხვადასხვა ენის ვერბალური სერიების შეუსაბამობა კიდევ ერთ წესს აღმოგვაჩინებს, კერძოდ: სტრიქონში სამი მთავარი სიტყვა ერთმანეთს უმაგრებს ზურგს და თან რაღაც ისეთს უმატებს, რაც მანამდე არ ჰქონია – არც ცალკე და არც სხვა კომბინაციებში. ფარული ღირებულებების ასეთი გაცვლა შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ სიტყვებს შორის უბრალო კონტაქტით, არამედ ზუსტი პოზიციით, როგორც სტრიქონის რიტმთან, ასევე ერთმანეთთან მიმართებაში. მთარგმნელმა ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს“ /ნაბოკოვი/.

ზოგჯერ დედანში არ არსებობს ის ლექსიკური ერთეული, რასაც მთარგმნელი ჩართავს, მაგრამ განწყობილებითა და ინტონაციით რაღაც „უხილავი“ გადმოაქვს სიტყვიერად. თუ ზუსტი აღწერილობა დედანში არსებული სიტუაციისა და აბსოლუტურად ლოგიკურად ჯდება მთლიანი ლექსის კონტექსტში – ეს მთარგმნელის მიგნებაა და მის მთარგმნელობით ტექნიკას ადასტურებს.

მთარგმნელს არც ის უნდა გამოეპაროს, როცა ავტორი სიტყვას არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარობს ასევე, როცა გრამატიკისადმი და სემანტიკისადმი აქვს ინდივიდუალური მიდგომა.

შუალობით თარგმანები. გამსახურდია წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანები მნიშვნელოვანია, რადგან კაცობრიობა ამ ენაზე ეცნობა მას და მეტიც, „სხვა ენაზე

მთარგმნელები უპირატესად სარგებლობენ ინგლისური თარგმანებით, ვინაიდან ინგლისური ენა მრავალთათვისაა მისაწვდომი“ (გამსახურდია 1984, 9) – აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ზ. გამსახურდია დასაშვებად მიიჩნევს ე. წ. შუალოებით თარგმანებს – ანუ როცა მთარგმნელმა ორიგინალის ენა ზედმიწევნით არ იცის („ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთა უმრავლესობამ სრულყოფილად არ იცოდა ქართული ენა), თარგმანების კრიტიკული შესწავლის შემდეგ შეიძლება გაეცნოს სხვა ენაზე თარგმანითაც, რათა შეძლოს მათი შედარება და ნამუშევრის ამ გზით დახვეწა.

ამრიგად, ზ. გამსახურდიას შეხედულებები ასე შეიძლება განვაზოგადოთ: თარგმანის ხელოვნებისთვის უპირველესი ოთხოვნაა – ნაწარმოების სწორად კითხვა და გაგება, მისი კულტურული, ეთიკურ-ფილოსოფიური დეკოდირება, შემდეგ კი – სამწერლო და პოეტური ოსტატობის გზით ამ ყველაფრის სხვა ენაზე რეალიზაცია ბუნებრივობის შენარჩუნებით. მთარგმნელი – უპირველეს ყოვლისა, არის საუკეთესო მკითხველი და თუ კარგი მკითხველის მთავარი ღირსება ისაა, რომ მწერლის ცხოვრებით შეუძლია იცხოვროს, განიცადოს, რასაც დედნის ავტორი განიცდის. თარგმანი შემოქმედის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი გზაა, როცა შედგება ისეთი ტანდემი ავტორსა და მთარგმნელს შორის, რომ სხვა ენაზე მკითხველმა დედნის ყველა სიკეთე მაქსიმალურად შეიგრძნოს.

ლიტერატურა

გამსახურდია, ზვიად. 1984. „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე. თბილისი: 1984

გამსახურდია, ზვიად. 1901. *წერილები. ესსეები*. თბილისი: ხელოვნება 1991.

ნაბოკოვი, ვლადიმერ. 4. 06. 2016. *თარგმანის ხელოვნება*, ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი არილი. <http://arilimag.ge/%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%99%E1%83-9D%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92/> (10.05.2019).

ზვიად გამსახურდიას ზღაპარ-იგავების გმირთა მითოლოგემა

ანოტაცია: ზვიად გამსახურდიას ზღაპარ-იგავების გმირთა მითოლოგემა ასეთია: სიკეთე ამარცხებს ბოროტებას. ბოროტი სხვა სახეს იღებს. მთავარი გმირი ცდილობს, ის გააკეთილშობილოს. ორივე იგავი წინასწარმეტყველურია. თხზულებათა არაერთ ეპიზოდში წინასწარაა განჭვრეტილი მათი შექმნიდან ოცი წლის შემდეგ განვითარებული მოვლენები. იგავების მითოლოგიური გმირების პროტოტიპი თავად ავტორია. მან არა მარტო საკუთარი მისია და სამოქმედო გეგმა ჩამოაყალიბა ამ ზღაპრებში, არამედ იწინასწარმეტყველა მითოლოგიური საბურველით შემოსვაც.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უამრავმა თანამზრახველმა არ ინება მისი სასუფეველში გადასახლების დაჯერება და საიქიოში წაიღო სიხარული სათაყვანებელი პრეზიდენტის უვნებლად დაბრუნებისა. ასე იშვა ახალი მითოლოგიური გმირი - ზვიადი, რომელიც დღემდე ყველგანაა, სანამ მისი იდეა ცოცხლობს.

საკვანძო სიტყვები: მგელთავა, აუნონავი ხმის ჭაბუკი, ჭუმანის-ტი, მითოლოგიური გმირი.

Tamta Rogava

MITHOLOGEMA OF THE HEROES IN ZVIAD GAMSAKHURDIA'S FAIRY-FABLES

Annotation: Mythologema of the Heroes in Fairy-Fables of Zviad Gamsakhurdia is the following: the kindness triumphs over the wickedness. The evil gets another face. The main hero tries to ennoble it. Both fables bear the prophetic character. In many episodes of the composition, the events which developed and took place after twenty years from their creation, are predicted in advance. The prototype of the mythology heroes of the fables represent the author himself. In these fairy tales he had established not only his own mission and action plan, but also he had predicted coating with mythological pelage.

Whether it is surprising or not, many of his accomplices did not wish to believe his transmission to the Kingdom and he took with himself, to the other word the happiness of appearing of admired president. So was born the new mythological hero-Zviani, who exists everywhere till today, until his idea remains alive.

ზვიად გამსახურდიას ფენომენის ასახსნელად რევაზ სირაძის მოგონებაც კმარა. „1990 წელს ... რუსთაველის ინსტიტუტში წლიური თემები უნდა დაგვემტკიცებინა. თანამშრომლებმა გამომიცხადეს, ქვეყანას ცეცხლი უკიდია, ჩვენგან შველა უნდა და ამ დროს რა გული გაგვიძლებს სამეცნიერო ნაშრომების საწერადო. რას ვეტყოდი...საგონებელში და სადარდებელში ვარ ჩავარდნილი და ამ დროს ილება კარი და შემოდის ზვიადი, მოაქვს გამზადებული ყველაფერი! ისე გამიხარდა, გულზე მომეშვა, ჩამოვუარე ყველას, – აგერ, ეს კაცი, დღედაღამ იქ ტრიალებს, თქვენ რა დაგემართათ-მეთქი“ – იხსენებდა მეცნიერი ზვიად გამსახურდიას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (სირაძე 2018:81).

როცა ვსაუბრობთ, რომ მისი სიკვდილით იდეოლოგი, ერის წინამძღვარი დაკვარვით, სპეციალისტებისთვის ამ დიდ სატიკვარს ემატება ისიც, თუ როგორი ღრმად მოაზროვნე ლიტერატორი გამოაკლდა ქართულ მეცნიერებას. თუ გადავხედავთ ზვიად გამსახურდიას ცხოვრების გზას, მართლაც გაგვაოცებს მისი ძალისხმევა. როგორ ახერხებდა ასეთი ცხოვრების წესის ადამიანი ასე ნაყოფიერად ემუშავა. როგორც ცნობილია, 1978 წლის მაისიდან იგი დაღესტნის ნახევარუდაბნოში, დაბა კოჩუბეიში, საქართველოდან გადასახლებული, მიწურში ცხოვრობდა და თარგმნიდა მათეს სახარებას ძველბერძნულიდან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს თარგანი მან გამოაქვეყნა ფსევდონიმით გიორგი მარიამიძე, რაც ღია ანდლულაძის დაკვირვებით, ნიშანდობლივია, რადგანაც ეს დეტალი მკვლევრის მიერ ხალხური ქრისტიანული ტრადიციების საფუძვლიან ცოდნას ააშკარავებს (ანდლულაძე 1996: 15).

ნარუშლელია შთაბეჭდილება, რომლებსაც ზღაპარ-იგავები „სასწორთვალა და უწონადო ხმის ჭაბუკი“ და „მგელთავა და ამაღლების ციხე“ განგაცდევინებს. აქ კოლხურ-ქართული მითოლოგიური ძირების, ბერძნული პარადიგმებისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის საოცარი სინთეზი იგრძნობა. ამკარავდება მწერლის უაღრესად დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება.

მართებულად შენიშნავს მკვლევარი ღია ანდლულაძე: „ზვიად გამსახურდიამ ქართულ ზღაპარს ეროვნული თვითშეგნების ტენდენცია გაუმკვეთრა, ამოსწია მთავარი და დასტური მისცა ჩვენი ვინაობის იმ საბუთებს, რომელიც ზეპირსიტყვიერებამ უსახელო კურთხეულთა ღვანლით შემოგვინახა“ (ანდლულაძე 1996: 14).

ტექსტების დეკოდირების თვალსაზრისით საინტერესო დასკვნებს გვთავაზობენ თენგიზ ჯანჯღავა და ლია ანდლულაძე. თენგიზ ჯანჯღავას დაკვირვებით „სასწორთვალა და აუნონავი ხმის ჭაბუკი“ წინასწარმეტყველურია. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია თავადვე ამბობდა თურმე, რომ შექმნა წინასწარმეტყველური ზღაპარი, რომლის შინაარსიც მაშინ ბევრმა ვერ გაიგო. გაზეთ „სარანგის“ რედაქციამ კი ასეთ ტექსტად სწორედ ეს ზღაპარი ჩათვალა და გამოაქვეყნა (*ჯანჯღავა 1995: 12*).

თენგიზ ჯანჯღავამ გამოიფრა ამ იგავის არაერთი სახე-სიმბოლო. მისი აზრით, მწერალმა გადმოსცა საბჭოთა კავშირის მიერ ჩვენი ქვეყნის დამონება და ერის ამხედრება მტარვალის წინააღმდეგ. ზღაპარში ქვეყანა „ყინულეთი“ რუსეთია, სადაც მზე არ ამოდის, „სასწორთვალა“ კი წონის და განსაზღვრავს ყველაფერს. იგი სასტიკი სისტემის ერთ-ერთი მეთაურია, სავარაუდოდ, ლენინი, რომელიც განსხვავებულ, კრიტიკულ აზრს ხალხში არ აჭაჭანებს. „სასწორთვალას“ აწონვის შემდეგ კი ადამიანები დიდ თანამდებობებს აღწევენ ხელმწიფის კარზე, თუმცა ეს ყველაფერი დროებითია. იმ ადამიანებში, რომლებიც სასწორთვალას სტუმრობდნენ და ამით მაღალ თანამდებობებს აღწევდნენ, იგულისხმებიან მოლაღატე ქართველები, რომლებიც ომებში რუსეთის მხარეს იჭერდნენ და სხვისი მითითებით ასრულებდნენ ყველაფერს. „აუნონავი ხმის ჭაბუკში“ კი იგულისხმება ის გმირი, რომელიც თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და უკან არაფერზე იხევდა. „აუნონავი ხმის ჭაბუკი“ არის თვით ამ ზღაპრის ავტორი, რომელიც „ყინულეთის ქვეყანაში“ ყინულს დაადნობს და „სასწორთვალასაც“ გააგებინებს, რომ იმ ერს, სადაც ასეთი პატრიოტები ცხოვრობენ, ვერ დაამონებს და დაიმორჩილებს სამუდამოდ (*ჯანჯღავა 1995: 12-38*).

თენგიზ ჯანჯღავასვე ანალიზის მიხედვით, ასევე წინასწარმეტყველურია „მგელთავა და ამაღლების ციხე“. „ამაღლების ციხეში“ მთავრობის სასახლე, ხოლო „წვერწითელა ჯადოქარში“ – ლენინი და მისი მიმდევრები იგულისხმებიან: „ზვიადის ეს ზღაპარი, ფაქტიურად, დაშიფრული პროგრამაა, სტრატეგიული გეგმაა გრანდიოზული გეგმის გადანყვეტისთვის“ (*ჯანჯღავა 1996: 53*).

მგელთავა ზღაპრის მთავარი პერსონაჟია, რომელიც სიმამაცით გამოირჩევა. სწორედ მის თვისებებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ზვიად გამსახურდიას განასახიე-

რებს. ხოლო ბრძენის მიერ მიცემული დავალებები ეს ის საქმიანობებია, რასაც იგი აწარმოებდა წარმატების მისაღწევად. მგელთავას ყოველ დაბრკოლებასა და დახმარებაში დისიდენტის გამოსვლები, ხალხის აღტკინება და სხვა უამრავი დამაიმედებელი ინფორმაცია იგულისხმება. ამ ზღაპარში კარგად ჩანს ზვიადის ყოველი წარმატება და სიმამაცე, თუ როგორ იღვწის საქართველოს თავისუფლებისთვის და კომუნისტური პარტიის თავიდან მოსაშორებლად.

ზვიად გამსახურდიას ზღაპარ-იგავთა მთავარი გმირები ჰუმანისტები არიან. მართალია, მათი ცხოვრების კრედიტ ბოროტისგან თავის დაღწევა და მასზე გამარჯვებაა, მაგრამ შურისძიების ნაცვლად მის გაკეთილშობილებას ცდილობენ.

მგელთავა გველემშაპს ამალლების ციხეში მიუჩენს ბინას და მის მიერ გადარჩენილ ბავშვს ჩააბარებს, რათა განვრთნას და მოაქციოს იგი. საბოლოოდ ყველა რიგდება: ამინდის შვილები ურიგდებიან ცეცხლის შვილებს, ცვრის მზეთუნახავი – მზეს.

კომიკურ ვითარებაში აღმოჩნდებიან მეორე ზღაპრის ფინალის მიხედვით მოღალატე ადამიანები. აუწონავი ხმის ჭაბუკის გამოჩენის შემდეგ გამლღვალ ყინულს ვერაფერი აკავებს. დიდებულები ვერსად მოიკიდებენ ფეხს, გარდა დავინწყების ქალაქისა, სადაც ყოველდღე იმართება წარმოდგენები ხალხისათვის „მელისყურა არწივი-ოცნება“. ხშირად ამბობენ, რომ სასწორთვალას ხელ-ფეხი დავინწყების ქალაქშია, ხოლო შიგნეული უკვდავების სახაბაზოში, თავად სასწორთვალა კი არსად არის, არც იქ და არც აქ.

ამდენად, ზვიად გამსახურდიას ზღაპრების გმირთა მითოლოგემა გახლავთ ბოროტის გაკეთილშობილება.

თხზულებების წინასწარმეტყველებებთან დაკავშირებით, ჩემდათავად, ვიტყვი ერთს, ზვიად გამსახურდიამ თავისი ზღაპარ-იგავებით იწინასწარმეტყველა სიკვდილის შემდგომი სიცოცხლეც. ავტორი გახლავთ პროტოტიპი როგორც მგელთავასი, ისე აუწონავი ხმის ჭაბუკისა. ეს უკანასკნელი კი მითოლოგიური გმირები არიან. ჩვენს თვალწინ მითოლოგიური გმირის მანტიით შეიმოსა ზვიად გამსახურდიაც. თომას გოლოცის ჩანაწერის მიხედვით, მას პარლამენტარ მერაბ კიკნაძისთვის უკითხავს, თუ სად იყო ზვიადი, მას კი მიუგია პასუხად, რომ ის ყველგანაა: „ჩვენი დამეგობრების შემდეგ მივხვდი, რას გულისხმობდა. გამ-

სახურდია არ იყო აჩრდილი. ეს იყო იდეა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, სად იქნებოდა ფიზიკურად“ (გოლოცი 2018: 157).

როგორც ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ პიროფლიანი გმირი ლუხუმი ვერ გაიმეტა მოსაკლავად ხალხმა და „ტროფობის მთაზე“ (აქ.ლაშარის გორი-თ.რ.) შედგომა უწინასწარმეტყველა, ისევე ვერ გაიმეტა დასალუჰად ქართველმა ერმა ერის წინამძღვარი. ალბათ, ბევრ ჩვენგანს ეყოლება ისეთი ნაცნობი თუ ახლობელი, რომელმაც თან წაიღო სიხარული უვნებელი ზვიად გამსახურდიას დაბრუნებისა. ამ ფონზე უკეთ ვიაზებ თამარ მეფესთან დაკავშირებულ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ლეგენდებსაც და მათ ვაჟასეულ ინტერპრეტაციას: „... ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს, თამარს ცოცხალსა გხედაო“ რომ მიმართავდა ნეტარს.

ასე იშვა ახალი მითოლოგიური გმირი -ზვიადი, რომელიც დღემდე ყველგანაა, სანამ მისი იდეა ცოცხლობს.

ლიტერატურა

სირაძე: სირაძე რ. „ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებიდან“, ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, შემდგენლები ნინო ოდილავაძე, კახმეგ კუდავა, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2018; გვ. 81, ნაბეჭდი;

ანდლულაძე: ანდლულაძე ლ. „ზვიად გამსახურდია – ერის მაჯის „შემტყვებარი“, ზღაპარი და სინამდვილე, ზ. გამსახურდია, ლ ანდლულაძე, თ. ჯანჯღავა, „ხმა ერისა“, თბ., 1996., გვ. 12-32;

ჯანჯღავა: ჯანჯღავა თ. „ზვიადის ზღაპარი „მგელთავა და ამაღლების ციხე“, ზღაპარი და სინამდვილე, ზ. გამსახურდია, ლ ანდლულაძე, თ. ჯანჯღავა, „ხმა ერისა“, თბ., 1996წ., გვ. 33-54;

ჯანჯღავა: ჯანჯღავა თ. „ზვიადის ერთი უცნაური ზღაპრის საიდუმლო“, თბ., 1995, გვ. 12-38;

გოლოცი: გოლოცი თ. „ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში“ (ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ქოიავამ, 2014. გვ. 157)., ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, შემდგენლები ნინო ოდილავაძე, კახმეგ კუდავა, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2018 წელი, გვ. 152-157.

ზვიად გამსახურდია – ამერიკული პოეზიის მთარგმნელი

ანოტაცია: ნაშრომი დაწერილია ზვიად გამსახურდიაზე, როგორც ამერიკული პოეზიის მთარგმნელზე. მცირე მოცულობის კომპილაციური მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ამერიკული ლექსის თარგმნა და კვლევა მეოცე საუკუნიდან მიმდინარეობს ჩვენში. ნაშრომის ძირითადი საკითხია ზვიად გამსახურდიას თარგმანების თავისებურებათა განსაზღვრა. ვიყენებ შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის მეთოდს და სხვადასხვა ავტორის ტექსტების სინქრონული ნაკითხვით ვადგენ მათ ურთიერთგანსხვავებას.

ნაშრომში კეთდება დასკვნა, რომ ზვიად გამსახურდია – მთარგმნელი ითვალისწინებს ზვიად გამსახურდია – მკვლევრის მიერ დადგენილ ინდივიდუალურ ნიშნებს და მათზე დაყრდნობით ქმნის თარგმანს. მისი ყოველი თარგმანი – ეს არის ორიგინალის ინტერპრეტაცია, რომელიც ავტორისა და მთარგმნელის ინტელექტუალურ თუ ემოციურ სივრცეში გამყოფებს.

ამოსავალი სიტყვები: ამერიკელი პოეტები, ვერლიბრი ამერიკულ პოეზიაში.

Zeinab Saria

ZVIAD GAMSAKHURDIA - TRANSLATOR OF AMERICAN POETRY

Annotation: *The work is written about Zviad Gamsakhurdia, as a translator of American poetry. A small volume of a compilative review shows that the translation and research of American poetry took place in the twentieth century in Georgia. The main issue of the work is to define the features of the translations of Zviad Gamsakhurdia. Using the methodology of comparative study of literature and synchronous reading of various authors' texts, I find their differentiating features. The work concludes that Zviad Gamsakhurdia _ the translator considers individual signs of Zviad Gamsakhurdia _ the researcher and creates the translation based on them.*

Key words: *American poets, Vers libre in American poetry, translations of Zviad Gamsakhurdia.*

თარგმანის სფეროში კარგად გათვითცნობიერებული ადამიანები აქა-იქ ამბობენ, რომ დიდი შეუსაბამობაა პოეზიის თარგმნა. ეგ ისეთი ემოციის, განცდისა და ფორიაქის ნაზავია,

რომ არ ითარგმნება სხვა ენაზე, იმავე ენაზე უნდა ეზიარო, რომელზეც შეიქმნა და აგიჩქარდეს გულისცემა. სხვა ენაზე ლექსს ეკარგება ფერი, სურნელი, აკლდება გულის ფეთება. ამბობენ, სხვა ენაზე ვერ გადაიტანო გულისცემას, დიდი მონდომებით ნაქსოვი ხალიჩის მეორე პირს გვახსენებსო თარგმანი, ბევრს ჰკარგავს და საკუთარ თავს არა ჰგავსო არანაირად.

მიუხედავად ამისა, ინერება თარგმანები. ამზადებენ ორიგინალის პნკარედებს და პოეზიას თარგმნიან სხვადასხვა ენაზე. განსაკუთრებით დღეს გახდა აქტუალური ლიტერატურული ტექსტის თარგმნა. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამ (2018 წელი, ოქტომბერი) კარი გახსნა ევროპელი მკითხველებისკენ. ქართველი ავტორები მიემგზავრებიან სხვადასხვა ქვეყანაში ჯგუფ-ჯგუფად და ჩნდება ახალი ანთოლოგიები, თარგმანები, პოეტები იმკიან აღიარებებს...

როდესაც ზვიად გამსახურდია დაინტერესდა ამერიკული პოეზიის თარგმანით, შიგ შუაგულ საბჭოთა სინამდვილეში ვცხოვრობდით და ევროპული თუ ამერიკული ხელოვნებისაგან რკინის ფარდები გვყოფდა ოთხივე მხრიდან. 70-იან წლებში ჩვენთან როგორღაც შემოვიდა ამერიკული თუ ბრიტანული როკმუსიკა; ელექტროგიტარა, ბასგიტარა თუ დასარტყმელი ინსტრუმენტები გამაყრუებლად ხმაურობდნენ ჩვენს ოთახებშიც. ჩვენი ახალგაზრდები გატაცებით უსმენდნენ „როლინგ სტოუნზის“, („The Rolling Stones“) «ბითლებისა» („The Beatles“) თუ «ლედ ზეპელინის» მუსიკას. ესეც ამერიკულ თუ ბრიტანულ სინამდვილესთან ზიარება იყო, მაგრამ ანტისაბჭოურ ქმედებად ითვლებოდა. თუ ვინმე ჩუმად უსმენდა რადიოგადაცემა «ამერიკის ხმას», შიშნულად იხედებოდა ირგვლივ, რაიმე საეჭვო ხომ არ შეინიშნებოდა, რაც გასცემდა მის საქციელს და აზღვევინებდა სასტიკად?!

ასეთ ვითარებაში მართლაც რომ გაბედულება იყო ამერიკული პოეზიით დაინტერესება, მისი კვლევა და თარგმნა.

სიმართლე რომ ვთქვათ, დიდი ხნის გამოცდილება არცა გვაქვს ამერიკული პოეზიის თარგმნისა და კვლევისა. ამ სფეროთი ჩვენი დაინტერესება მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იკვთება და ერთ-ერთი პირველი ნიმუში, რომელიც წაიკითხა ქართველმა მკითხველმა – ეს არის ე.ა. პოს (1809-1849) „ყორანი“. 1845 წელს გამოაქვეყნა ავტორმა ეს ნაწარმოები გაზეთ „ნიუ იორკ ივნიგ მირორში“. 61 წლის შემდეგ, 1906 წელს ვაჟა-ფშაველამ თარგმნა ეს ტექსტი (შემდეგ ბევრმა სცადა „ყო-

რანის“ გადმოთარგმნა და გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2011 წელს ამ შედეგის 21 თარგმანი შესთავაზა მკითხველებს).

მეოცე საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს და 20-იანი წლების დასაწყისში უკვე უ. უიტმენი ითარგმნება. ჟურნალი „ხომალდი“ და გაზეთი „ორიონი“ ბეჭდავს ხარიტონ ვარდომვილის თარგმანებს: „ლექსები ყველასადმი“, „სალუტი მთვარეზე“, „დიდება ქვეყნად“ ... ლ. ლოლობერიძე ამუშავებს ნაშრომს „უოლტ უიტმენი“ (ნ. დარბაისელი, „ზვიად გამსახურდია – ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი,“ <http://www.bu.org.ge/x450?lang=geo>).

1921 წელს ვ. კოტეტიშვილის ანალიზი გამოქვეყნდა უიტმენის შემოქმედებაზე, ხოლო 1926 წელს კ. გამსახურდიამ თარგმნა რამდენიმე ნაწარმოები და იკვლია კიდევ ეს პოეტი.

ქართულ ცნობიერებაში საკუთარი ადგილი რომ ჰქონოდა ამერიკულ ლიტერატურას, ამისათვის იღვწოდა ზვიად გამსახურდიაც. არ იყო შემთხვევითი, რომ მე-19 საუკუნის ამერიკული პოეზიიდან მან თარგმნა უ. უიტმენი და ე. დიკინსონი. მთარგმნელმა ქართველთა წინაშე წარმოადგინა პოეტები, რომელთა პოეზიაც გეზის მიმცემი იყო მეოცე საუკუნის ამერიკელი პოეტებისათვის. ისინი მათ თანამედროვეთა უმრავლესობას პოეზიის ქვედა ზღვარს ქვევით მყოფნი ეგონა, რადგანაც მათი ტექსტები არ იქმნებოდა ძველებური, ტრადიციული ესთეტიკით. ზ. გამსახურდიამ მოიხელთა ამ პოეტების ახალი ესთეტიკის ნიუანსები და დიდი პოეტები შეიცნო მათ არსებაში.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ როდესაც ზვიად გამსახურდია მუშაობდა ამერიკული პოეზიის თარგმანებზე, ქართულ რეალობაში კლასიკური პოეზიის შაბლონი ბატონობდა. პოეტური ესთეტიკა ცნობდა და აღიარებდა ამაღლებულ რომანტიკულ ტონალობას და ბოლორითმიან ლექსს. გალაკტიონისა და ცისფერყანწელების მიერ დამკვიდრებული ვერლიბრი, როგორც ნ. დარბაისელი ამბობს ზემოთ მითითებულ წერილში, ცოტა ვინმეს თუ ახსოვდა. თავისუფალი ლექსის ბუნება და ნიშნები ჯერაც საკვლევი იყო, ხოლო ამ სალექსო ფორმისთვის გზის გაკაფვა, თითქოს, ისევ ხელახლა ხდებოდა აუცილებელი (მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ცირეკიდის, შალვა აფხაიძისა და გრიგოლ ცეცხლაძის წერილები 20-იან წლებში უკვე არსებობდა). ზვიად გამსახურდიას თარგმანები მკითხველს თავიდან აფიქრებდა იმაზე, რომ ვერლიბრში ტაეპებს ინტონაცია აერთიანებს, ხოლო

კონვენციურ ლექსში – მეტრულ-რიტმული კანონი კრავს სტროფებში მოქცეულ პნკარებს.

ზვიად გამსახურდიამ თარგმნა ედვინ არლინგტონ რობინსონი, რობერტ ფროსტი, მასტერსი, ეზრა პაუნდი, ემი ლოუელი, ჰილდა დულიტილი, ტომას სტერნზ ელიოტი, რობინსონ ჯუფერსი, კარლ სენდბერგი...

რომ გავიგოთ, რა სტილის მთარგმნელია ზვიად გამსახურდი, დავაკვირდეთ მის ერთ-ერთ თარგმანს, მაგალითად, რობერტ ფროსტის მცირე მოცულობის ლექსს „ცეცხლი და ყინული“:

Robert Frost (1874 - 1963)

Fire and Ice / Some say the world will end in fire, / Some say in ice. / From what I've tasted of desire / I hold with those who favor fire. / But if it had to perish twice, I think I know enough of hate / To know that for destruction ice / Is also great / And would suffice.

პნკარედი ასეთია: ვინ იმას ამბობს, რომ მსოფლიოს იმსხვერპლებს ცეცხლი,/ ვინ კიდევ – ყინული./ როცა სურვილებს ვიხსენებ,/ მჯერა ცეცხლოვანი სასრული./ მაგრამ თუ ორგზისი იქნება დაღუპვა,/ ვფიქრობ, ვიცი სიძულვილიც,/ მისი გამყინვარების ძალა / ასევე დიდია და ამის შემძლებელი.

ზვიად გამსახურდიამ ლექსი თარგმნა ასე:

ერთნი სამყაროს დასასრულად ცეცხლს გვიქადიან, / მეორენი – გამყინვარებას. / როცა ვიხსენებ, თუ რა მნადდა და რა მნადიან, / ვემხრობი მათ, ვინც აღსასრულად ცეცხლს გვიქადიან, / მაგრამ თუ ორგზის შეგვეხსნება ნგრევის კარები, / მე სიძულვილსაც კარგად ვიცნობ, ახლა რომელიც / მაფიქრებინებს, რომ ნგრევისთვის გამყინვარება ? / ძალა არის არანაკლებ განუზომელი.

როგორც ვხედავთ, ქართული ტექსტი იკითხება ძალზე ბუნებრივად, შენარჩუნებულია ენის თავისებურებანი, არსად იგრძნობა ხელოვნურობის ნასახიც. თარგმანი აზრობრივად მიჰყვება ორიგინალს და სათქმელი ოსტატურად გადმოდის ჩვენს ენაზე. იგრძნობა სინტაგმების არისტოკრატიული შეფერილობა. აკუსტიკურად კარგად შეიმჩნევა რითმები, ფრაზა უფრო თავისუფლად გაიმართა თოთხმეტმარცვლოვან ბესიკურში, ვიდრე, ვთქვათ, ათმარცვლიან საზომში შეძლებდა ამას. ვფიქრობთ, ეს ის თვისებაა, საერთოდ რომ ახასიათებს ზვიად გამსახურდიას თარგმანებს (თარგმანის ტაეპში მეტი მარცვალია, ვიდრე ორიგინალში).

ახლა დასაკვირვებლად შევარჩიოთ რობერტ ფროსტის

„ნოემბრის სტუმარი“ და ვნახოთ მისი ორი თარგმანი.

*My Sorrow, when she's here with me, / Thinks these dark days
of autumn rain /Are beautiful as days can be; / She loves the bare, the
withered tree; /She walked the sodden pasture lane. / Her pleasure will
not let me stay. /She talks and I am fain to list: /She's glad the birds
are gone away, /She's glad her simple worsted gray /Is silver now with
clinging mist. / The desolate, deserted trees, /The faded earth, the heavy
sky, /The beauties she so truly sees, /She thinks I have no eye for these,
/And vexes me for reason why. / Not yesterday I learned to know /The
love of bare November days /Before the coming of the snow, /But it were
vain to tell her so, /And they are better for her praise.*

„ჩემი მწუხარება როდესაც მეწვევა და ჩემში სახლდება, ფიქრობს შემოდგომის უბრალო დღეებზე, მომქანცველ წვიმაზე, როს სიმშვენიერე ბუნების კვდომისა ისევ განახლდება, მას უყვარს ალვების კვდომა ვერცხლისფერი და ცაღ ამაღლება, ჩვენ მიერ მრავალგზის თელილი მინდვრების ნესტი და სინაზე.

მისი სიამტკბილე აროდეს მშორდება და მეც უდრტვინველი, მისი მოსალბუნე საუბრის სმენისას არასდროს ვიღლები, და მას უხარია, როდესაც ფერები, რუხნი, საკვირველნი, და მას უხარია, როდესაც ჯგუფ-ჯგუფად გვტოვებენ ფრინველნი, ვერცხლად იქცევიან ირგვლივ შემომდგარი ფაფუკი ნისლებით.

მაშინ გაძარცვული ხეების მოწყენა, ის ჩემი ნალველი, მინა გადამჭკნარი და შავი ღრუბლებით ცა დამძიმებული, ყველა ეს მშვენება, მისგან ჭეშმარიტი სისავსით ნახული, ისევ აღუქმელი ჰგონია ჩემს სულში და ღრმად დამარხული იდუმალებისათვის მომიხმობს კვლავ და კვლავ, სიამით ვნებული.

რამდენი ხანია, რაც მე შევიყვარე და რაც მე შევითვისე ნოემბრის დღეები, ჩუმი გაძარცვული ნოემბრის დღეები, პირველ მოთოვამდე რომ იბინდებიან მდუმარე ტყეები... მაგრამ ამაო ყველა დარწმუნება ჩემთვისაც და მისთვისაც, რადგან მისის თვალით სხვაა ეს ქვეყანა და ეს სივრცეები.”

(თარგმანი ზვიად გამსახურდიასი)

მეორე თარგმანი ეკუთვნის ნანა გოგოლაშვილს:

*ნალველს, როდესაც მეწვევა ხოლმე,
ჰგონია, წვიმით მოქუფრულ დღეებს
შემოდგომაზე დღე არ სჯობს ხიბლით,
ეტრფის ტანშიშველ, განძარცვულ ხეებს*

და ლობე-ყორეს მიუყვება სველი ბილიკი.
არ სიამოვნებს დუმილი ჩემი,
მესაუბრება, მაიძულებს ვუსმინო მის ფიქრს,
ხარობს ჩიტების გადაფრენას, უბრალო სამოსს,
ტანს შემოტმასნილ ნაცრისფერ ხაოს
როგორ დაჰყრია ვერცხლივით ნისლი.
ასე ჰგონია, თვალი არ მიჭრის,
ვერ ვამჩნევ ირგვლივ ნაღდსა და ლამაზს,
ვერც უნუგემო, უბედურ ხეებს,
ვერც დამზრალ მინას, ვერც პირქუშ ცარგვალს.
ან მე რას მერჩის, მახელებს რათა?!
რა, გუშინდელი ბიჭი კი არ ვარ,
არ განმეცადოს თოვლის მოსვლამდე
დედიშობილა ნოემბრის ტრფობა.
დავშვრი ამოდ, ვერ შევისმინე,
დღეები უკეთ ამბობენ ხოტბას.

(გოგოლაშვილი 2002: 48-49).

თარგმნასთან ერთად, ზ. გამსახურდია იკვლევს კიდევაც თავის რჩეულ ავტორებს. როდესაც უკვირდებოდა რ. ფროსტის პოეზიის თავისებურებებს, თვითონვე დააფიქსირა შემდეგი ნიშნები: ლექსების მოჩვენებითი სიმშრალე, მანერულობას განრიდებული გამოხატვა, გულწრფელობა, მგზნებარე ტემპერამენტის გაზავება გონებისმიერ ყინულთან, ოპტიმიზმი, ურბანისტული თემების იგნორირება, მკრთალი ფერების გამოყენება. იკვეთება, რომ ფროსტი ტრადიციულია, ხალხურობაშია მისი ფესვები, მაგრამ მისი პოეზია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა. თემატიკა, პოეტური სახეები თუ ვერსიფიკაცია ექსტრავაგანტული ნოვაციებით არ გამოირჩევა. პოეტმა შეინარჩუნა ბოლორიტმოვანი ლექსი (გამსახურდია 1991: 281-282). მის ლირიკაში გამოარჩევენ „ნოემბრის სტუმარს.“ აქ ხედავენ ხელოვანის თვალით ხილულ პანორამას. პოეტური ქსოვილი გამჭვირვალეა, ინტონაციები – მშვიდი და სასაუბრო. თანბრად უზავდება ერთიმეორეს აზრი და ემოცია.

ზ. გამსახურდიასეულ თვრამეტმარცვლიან ტაეპებს ნ. გოგოლაშვილისეულ თარგმანში ათმარცვლიანი პწკარები ცვლის და, იქნებ, ეს უფრო ადეკვატურად ჩაგვეთვალა ორიგინალის გადმოსაცემად, მაგრამ ფროსტის ტრადიციულობასა და შო-

პენჰაუერთან მიახლოებას („სამყარო არის ჩემი წარმოდგენა“) სწორედ ამგვარი ვრცლად გადაჭიმული ტაეპები უხდება. ორიგინალის ავტორი ინტიმური სიახლოვით გადაეხსნება ბუნებას, შინაგანი ენერგეტიკით ეხმიანება გარესამყაროს ძალებს. ამიტომაც არის, პოეტიზმებიც უხდება ამ შერწყმას ბუნებასთან. ფროსტის თავისებურებას (დარბაისლური ტრადიციულობა) გრძელი საზომის შერჩევით ვიზუალურადაც გვიჩვენებს ზ. გამსახურდია. შთამბეჭდავია ორივე ინტერპრეტაცია.

მთარგმნელი ცვლის ტაქტიკას, როდესაც თარგმნის კარლ სენდბერგს. რომანტიზმის კლიშეებს უპირისპირდება კ. სენდბერგი და ზვიად გამსახურდია უცდომელი ინტუიციით აგნებს ყოველივე ამის სიმბოლურად გამომხატველ ლექსს „არჩევანი.“ ეს უკვე სხვა წყობის პოეტია. მისი თქმები შეიძლება იყოს გაურანდავი და ალაგ-ალაგ ვულგარულიც. სენდბერგი ახლებურად ამბობს, არარაფინირებულად, სინატიფეს მოკლებული ხერხებით, პოეტურ ქსოვილში კარს უხსნის ჟურნალიზმს, ბევრგან უახლოვდება პროზაულ თხრობას. ამგვარი განსხვავებული პოეტური ესთეტიკის დამამკვიდრებელია კ. სენდბერგი:

„ისინი ბევრს შემოგთავაზებენ,

მე – სულ ცოტაოდენს.

მთვარის ლიცლიცი შუალამის შადრევნის ფონზე

და წყლის რაკრაკი თვლემის მომგვრელი,

გაშიშვლებული მხრები, ღიმილი,

ხან სიყვარული, ხან ლალატი,

სიკვდილის შიში, სინანულის კვლავ დაბრუნება-

ყოველივე ამას გთავაზობენ თქვენ -

მე კი მოვდივარ,

მომაქვს პური, მარილმოყრილი,

მძიმე ჯაფის უღელი,

დაუცხრომელი ბრძოლა

და გეუბნებით:

აჰა, აიღეთ:

შიმშილი,

საფრთხე

და სიძულვილი.“

როგორც ვნახეთ, ჩამოიშალა რომანტიკული პოეტიკის ნატიფი ესთეტიკა, დამკვიდრდა სოციალური თემატიკა, დე-

მოკრატული სათქმელი მოიტანა დრომ. ტრადიციულ რიტმებში ჩამწყვედული ლექსი გათავისუფლდა მეტრული არტახებისაგან და მიიღო ვერლიბრის ფორმა. ეს მართლაც დიდი ცვლილება იყო პოეზიაში. ახალი ესთეტიკით დაწერილი ლექსები: „ჩიკაგო,“ „უდაბნი,“ „რიცხვების კაცი“ გახდა ამ პოეტის სავიზიტო ბარათები. მის ლექსებს მოაქვს ირაციონალიზმი და ზეგრძნობადი რეალობა, რაღაც ისეთი, ლორკა ტერფებიდან რომ გრძნობდა და „დუნდეს“ უწოდებდა.

დავაკვირდეთ ლექსს, რომელსაც ჰქვია „ბალახი“:

Grass

BY CARL SANDBURG

Pile the bodies high at Austerlitz and Waterloo. /Shovel them under and let me work— /I am the grass; I cover all. /And pile them high at Gettysburg /And pile them high at Ypres and Verdun. /Shovel them under and let me work. /Two years, ten years, and passengers ask the conductor: /What place is this? /Where are we now? /I am the grass. /Let me work.

ბალახი

(მთარგმნელი ზ. გამსახურდია 1971: 41)

დაახორეთ გვამები აუსტერლიცსა და ვატერლოოში.

დამარხეთ მინაში და მიმიშვით სამუშაოდ –

მე ვარ ბალახი; მე ვფარავ ყველაფერს.

დაახორეთ გვამები გეტისბურგში,

დაახორეთ იპრესში, ვერდენში,

დამარხეთ მინაში და მიმიშვით სამუშაოდ.

ორი წელი, ათი წელი და მგზავრები ჰკითხავენ

გამყოლს:

„რა ჰქვია ამ ადგილს?

სად ვიმყოფებით?“

მე ვარ ბალახი.

მე ვფარავ ყველაფერს.

ბალახი

(მთარგმნელი – შ. იათამვილი 2004 :17)

დაახვავეთ სხეულები ვატერლოოსთან, აუსტერლიცთან,

ჩაფლეთ მინაში და მაცადეთ, რომ ვიმუშაო –

მე ბალახი ვარ; მე ამქვეყნად ყველაფერს ვფარავ.

და დაახვავეთ სხეულები გეტისბურგთანაც,

დაახვავეთ იპრთან, ვერდენტანს,
ჩაფლეთ მინაში და ნება დამრთეთ, რომ ვიმუშაო.
ორი წელი, ათი წელი, და მგზავრები დაუსვამენ კითხვას
კონდუქტორს:
„სადა ვართ ახლა?
რა ადგილია?“
მე ბალახი ვარ.
დამაცადეთ, რომ ვიმუშაო.

ლექსში ჩამოთვლილია მასშტაბური ბრძოლების ადგილები, სადაც ათასობით მსხვერპლი დაეცა. ვატერლოო ნაპოლეონ ბონაპარტის უკანასკნელი ბრძოლის ადგილია, სადაც ინგლისის, ნიდერლანდებისა და პრუსიის ალიანსი ებრძოდა ნაპოლეონის ფრანგულ არმიას; აუსტერლიცში მიმდინარეობდა ბრძოლა ნაპოლეონისა და რუსეთ-ავსტრიის ჯარებს შორის; გეტისბურგში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა; იპრი იბრძოდა გერმანიასთან პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და გერმანელებმა აქ ქიმიური იარაღი გამოიყენეს; ვერდენი ქალაქია საფრანგეთში. იგი იყო პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელებსა და ფრანგებს შორის სამხედრო ოპერაციის არენა. ბალახი ფარავს ამ ადგილებში სიავის კვალს, შლის და აქრობს ავკაცობის ნაკვალევს. ნარმავლობის განცდა მოდის ამ ლექსიდან.

თუ სინქრონულად წავიკითხავთ ორიგინალსა და პირველ თარგმანს, შემდეგ – ორიგინალსა და მეორე თარგმანს, ხოლო შემდეგ – პირველ და მეორე თარგმანებს, ვნახავთ, რომ ინვარიანტულ ტექსტებს ვეცნობით. თარგმანები ლექსიკურად და სემანტიკურად თითქმის მსგავსია. მცირედენი სხვაობა განპირობებულია მთარგმნელთა პერსონალური სტილური თავისებურებებით. თუ ერთგან არის „დაახვავეთ“, ხოლო მეორეგან – „დაახორეთ“, ასევე ერთგან ვკითხულობთ „ჩაფლეთ“, ხოლო მეორეგან – „დამარხეთ“, ეს სინონიმური სხვაობაა, მაგრამ ფინალური ფრაზა Let me work როცა ითარგმნება ასე: „დამაცადეთ, რომ ვიმუშაო“, ვფიქრობ, ნაკლებ კრეატიულია და ვარჩევ მეორე ვარიანტს: „მე ვფარავ ყველაფერს“, თუმცა, პირველი ვერსია უფრო ახლოა ტექსტთან. სამაგიეროდ, მეორე ვერსია ბევრად ახლოა ნაწარმოების იდეასთან.

ზვიად გამსახურდიას ყურადღების ცენტრში იყო ტომას სტერნზ ელიოტი, რომელსაც მიაჩნდა, რომ პოეტი ჩვენს ცივილიზაციაში სირთულით უნდა ხასიათდებოდეს და თვითონ

იყო კიდევაც რთული პოეტი, ოღონდ ეს ცალკე საუბრის თემაა. არანაკლებ აინტერესებდა წერილის დასაწყისში ნახსენები უოლტ უიტმანი, სულისა და სხეულის პოეტი, რომლის „ბალახის ფოთლებს“ უიტტიერი თუ ცეცხლში წვავდა, ემერსონი თაყვანისცემით ესალმებოდა... ზ. გამსახურდიამ რომ რაღაც აუხსნელი ბედისწერის კარნახით მისი „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო“ თარგმნა, თითქოს საკუთარ განწირულ ბედს შეეხმინა ბევრად ადრე, სანამ მის თავს მსგავსი უბედურება დატრიალდებოდა.

რა შეიძლება დავასკვნათ?

ზვიად გამსახურდიას თარგმანები – ეს მართლა ამერიკის ხელახლა აღმოჩენას უდრიდა ქართველი მკითხველისათვის. გამოიკვეთა ახალი ესთეტიკა, რომელიც ადამიანის ღრმა შინასკნელს ააშკარავებდა; გამოჩნდა ჯერმიუკვლეველი სამყარო, რომელიც თითოეული ადამიანისაგან გამოსხივდება. ამერიკული სული იგუმანა მკითხველმა, იგრძნო, პიროვნულ „მე“-ში რომ მთელი სამყარო ირეკლება. ზვიად გამსახურდიამ თავისი თარგმანებით ახალი პოეტიკა გაუშინაურა ქართულ სინამდვილეს, ტრადიციულისაგან განსხვავებული.

ამ ნაშრომის ავტორს იოტისოდენადაც არა აქვს თემის ამონურვის პრეტენზია, მაგრამ აქვს მკითხველის დაინტერესების სურვილი.

ლიტერატურა

გამსახურდია 1971: გამსახურდია ზ. ამერიკელი პოეტები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971;

გამსახურდია 1972: გამსახურდია ზ. XX საუკუნის ამერიკული პოეზია. თბილისი: გამომცემლობა განათლება“, 1972;

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., წერილები, ესსეები, თბ., გამომც. „ხელოვნება“, 1991 წ.

გოგოლაშვილი 2002: გოგოლაშვილი ნ., ამერიკული პოეზია, თბ., გამომც. „ლომისი“, 2002 წ.

ნ. დარბაისელი, „ზვიად გამსახურდია – ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი,“ <http://www.bu.org.ge/x450?lang=geo>

იათაშვილი 2004: იათაშვილი შ., ამერიკელი პოეტები, თბ., გამომც. „მერანი“, 2004 წ.

რუსთველისეული პერსონაჟები ბიოგრაფიულ რომანში

(როსტომ ჩხეიძის მერაბ კოსტავას ცხოვრების ქრონიკები –
„ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“)

ანოტაცია: სტატიაში ხაზგასმულია ბიოგრაფიული რომანის სა-
თაურის იდეურ-შინაარსობრივი დატვირთვა. ზოგადად, როსტომ
ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების სახელწოდების ალუზიური ხა-
სიათი. პარალელური მსჯელობის საშუალებით შედარებულია „ვე-
ფხისტყაოსნის“ ტარიელ-ავთანდილი და XX საუკუნის ზვიად-მერაბი
(ცხოვრების წესით, რაინდული მეგობრობით-ავთანდილ-ტარიელის
რეალური სახე). აღნიშნული რომანის მხატვრულ-პუბლიცისტური
თხრობის ფონზე საკვლევი საკითხის ნათელსაყოფად დამოწმებუ-
ლია თითოეული მათგანის სახელის ეტიმოლოგია, რაც არსებითად
მიმყენებელია მთავარ სათქმელთან.

„ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ სათაურის ესთეტიკიდანვე კრა-
ვს მერაბისა და ზვიადის ცხოვრების გზას: აღმატებულ ხელოვნებას-
თან ზიარება, დიქტატორულ რეჟიმთან შერკინება, ბრძოლა ერის სუ-
ლიერ-ცნობიერი მდგომარეობის სიჯანსაღისათვის. საგულისხმოა, რომ
დოკუმენტური მასალები რომანში საოცარი მხატვრული უშუალობით
არის გადმოცემული. მართალი მიდგომის, მწერლის შემოქმედებითი
თავისთავადობის გამო თითოეული პასაჟი დამარწმუნებელია. მკითხ-
ველი თანაზიარი ხდება ამ ორი ხელდასხმული ადამიანის გაუბზარავი
მეგობრობისა, ჭეშმარიტად ჯოჯოხეთურ გამოცდებს რომ გაუძლო
საბჭოურ ყიამეთში, ასევე ეროვნული მოძრაობის პერიოდში -სათანადო
სამსახურების მიერ პროვოცირებული თუ ადამიანური სულმდაბლობით
ამპარტავნებად ზევებულ საქართველოშიც. ინფორმაციულ-ცნობიერი
ნაკადის კორიანტელი: ლიტერატურის, მუსიკის, პოლიტიკის შრეთა
სიღრმეებს რომ მოგატარებს და სათქმელს დახვეწილი თანმიმდევრობით
მოგიტანს, როსტომ ჩხეიძის მიერ არჩეული მხატვრული ხერხია.

ამ სქელტანიან ნაწარმოებს მთავარ ღერძად გასდევს ჭეშმარი-
ტად რუსთველისეული რაინდული მეგობრობა მერაბ კოსტავასა და
ზვიად გამსახურდიასი, განგებამ რომ შეკრიბა კონსტანტინე გამ-
სახურდიას ფუძეზე, კოლხურ კოშკში. ისინი სულიერი წყობით ემსგავ-
სებოდნენ რუსთველისეულ პერსონაჟებს, ბოროტთან ბრძოლის გზაც
მსგავსი თვითგაღებით, უფლის მინდობით აირჩიეს.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, ტარიელი, ავთანდილი,
ზვიადი, მერაბი, მეგობრობა.

**PERSPNAGES LIKE RUSTAVELI'S
IN A BIOGRAPHICAL NOVEL**

(Rostom Chkheidze's 'Son of music', 'Days of storm'-
cronicle of Merab Kostava's life)

Annotation: *In the article a summary account and ideological meaning in the title of the biographical novel and in general allusive style of Rostom Chkheidze's biographical novels is underlined. The author is drawing a parallel between 'The Knight in the Panther's Skin' Tariel-Avtandil and Zviad-Merab, people of the 20-th century. (A real face of Avtandil-Tariel, their life style, knightly friendship is shown). By telling above mentioned novel in artistic and publicistic way the etymology each of the names is proved to make clear the research question, which leads to the main point. From the aesthetics of the title 'Sons of music' and 'Days of storm' the author links the way of Zviadi's life to the highest art, eucharist and struggle against dictatorial regime, fight for the health of the nation's conscious and soul.*

It is significant that documental materials in the novel are shown with amazing frankness. For true attitude, creativity and originality each passage is convincing. The reader shares the true friendship of these two special friends who managed to face the challenges in Georgia where the soviet darkness and arrogance of national movement was rising. Artistic peculiarity of the work is that it guides you to informatical awareness through the deep lays of literature, music, politics and tells you everything with refined sequence. It is the method chosen by Rostom Chkheidze

This thick book carries true knightly friendship of Merab Kostava and Zviad Gamsakhurdia who where brought by fate on ruds of Konstantine Gamsakhurdia in Colchic tower. They were similar to Rustaveli's personages, the way of struggling with evil was chosen by them in the same way.

Key words: *'The Knight in the Panther's skin', Tariel, Avtandil, Zviad, Merab.*

1918 წლის 26 მაისი სისხლის ღვარცოფით ჩამოქეუფრა 1921 წლის 25 თებერვალმა.

და:

დასუსხული თავისუფლების მე-20 წელს- 1938 წლის 31 მარტის ზვიად გამსახურდია, ამავე წლის 26 მაისს მერაბ კოსტავა მოვევლინენ ამ ქვეყანას.

მათ შექმნეს ეპოქა. ამ ეპოქას ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჰქვია, საბჭოთა საქართველოს იატაკქვეშეთში

რომ დაიწყო და XX საუკუნის 80 – იანი წლების აზვირთებით მივიდა საბოლოო დამოუკიდებლობამდე. (1991 წლის 9 აპრილი)

ზვიადისა და მერაბის ცხოვრების გზა არის დასტური, იმის რომ ისინი სახელდადებული მისიით მოვიდნენ ამქვეყნად- ეს იყო მისია ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლისა. მათ იტვირთეს ხელდასხმის ვალი. ეს ორი სახელი შეიმთლიანა ცნობილმა ეპითეტმა „კოლხური კოშკის რაინდები“... აკი ეამაყებოდა მერაბს: „კონსტანტინეს მეც თავის მართვედ მივაჩნევარო“.

მართვეობიდანვე აიყოლიეს ფიცი თავისუფლებისთვის თავდაუზოგავი ბრძოლისა. ზვიადისა და მერაბის სახე ჯერაც ცოცხალია მოგონებებში. მეტ-ნაკლებად გადაიარა დრომ; დარჩა ნაყოფი მათი ბრძოლისა-ის, რაც ხელისგულზე დევს, მაგრამ თაობებს უნდა შემორჩეს მათი სრულყოფილი პორტრეტი. მომავლის წინაშე ამ ფუნქციის შემსრულებელია „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“. ეს არის როსტომ ჩხეიძის რიგით XXIII რომანი. მას რამდენადმე უსწრებდა „ეკლის გვირგვინი“ (რომანი-დილოგია ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე) ეს სახელწოდება გამჭვირვალე ბიბლიური პარადიგმაა. საგულისხმოა, რომ რომანების სათაურები უმეტესწილად ალუზიურია.

„ბურჯი ეროვნებისა“ (იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა) – პირდაპირი ალუზია იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილისა.

„დევების სტუმარი“ – (ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკა. ალუზია ვაჟა-ფშაველას პოემის სათაურისა „დევების ქორწილი“.)

„მგზავრი თიბათვის მზეში“ – (მიხაკო წერეთლის ცხოვრების ქრონიკა) გალაკტიონის თიბათვის მზის ალუზია და ა.შ.

„ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ – მერაბ კოსტავას ცხოვრების ქრონიკები.

აქ ალუზიაზე არ ვსაუბრობთ, მაგრამ სათაურის შთაგონება არ არის ძნელი ამოსახსნელი და მაინც: ავტორი გვაკვალთანებს: იხსენებს კონსტანტინე გამსახურდია უმცროსის სურვილს: „კარგი იქნება თუ მერაბ კოსტავაზეც დანერ...“ ისე, რომ მათი სიჭაბუკე ჩანდესო: „როგორ მოდის ორივე (მერაბი და ზვიადი-ნ.ფ.) მუსიკიდან და ფილოსოფიიდან... განსაკუთრებით მაინც მუსიკიდან“... (რ. ჩხეიძე – 5. 2017)

როსტომ ჩხეიძისთვის ეს ფრაზები სათაურის განმსაზღვრელიც გახდა, მწერლის შთაგონებას შეუნყვილა ზვიად გამსახურდიას მერაბისადმი მიძღვნილი გამოსათხოვარი ესეის სათაური

„ძე ქარიშხლისა“ და შედგა მრავლისმეტყველი, გარკვეული აზრით, მათი სულიერი წყობისა და ცხოვრების გზის დამტვევი სახელწოდება – „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“, ზვიადი და მერაბი ჭეშმარიტი მუსიკის მეტრფენი იყვნენ, ჰეროიკულ ჰანგებში იშვინენ თითქოს. მერაბ კოსტავა მუსიკამცოდნე იყო, ზვიადისთვის მუსიკა „შინ“ სამყარო იყო, საბოლოოდ ყოველივე ამან ჩამოაყალიბა იდეურ-მხატვრულ-რითმული მთლიანობის სათაური. „მუსიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გმირთა შინაგანი ბუნებისა და უმნიშვნელოვანეს სიტუაციათა გასახსნელად. იგი მოქმედებს სიტყვისა და განსჯის მიღმა, როგორც ერთგვარი ინტუიცია“ (კოსტავა – აგმ. 44:2009)

„ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ არის ქარგა ხელდასხმულ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ეს სქელტანიანი ნაწარმოები საოცარი ჰარმონიულობით ასახავს ეროვნულ გმირთა სულიერ სამყაროს, ინტერესებს, ინტელექტს, პოლიტიკურ ბრძოლას, ხელოვნების ორი დიდი სივრცის: მუსიკისა და ლიტერატურისადმი მათ სიყვარულს – შემოქმედებით ურთიერთობას.

მერაბის ზღვარდაუდებელი სტოიციზმი ემთლიანებოდა მუსიკის სამყაროსთან უფაქიზეს ურთიერთობას. მუსიკისმცოდნე იყო... მის სამყაროში „ორი სული იბრძოდა მუსიკისა და პოეზიის, ვიდრე პოეზიის სული იმძლავრებდა, ოღონდ მუსიკის ტალღათა მძლავრ პულსირებას მუსიკიდან გადმოიტანდა სტრიქონებში“ (რ. ჩხეიძე – 407:2017). ამ სისავსიდან მოემართებოდა ქვეყნოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, უნებლიე პოლიტიკოსად ქცეული უგულისათდესი ქართველი, ჭეშმარიტი ჭირისუფალი მამულისა.

მხარიმხარ იდგნენ ადამიანები (ადამი – პირველხატი უძლიერეს სანყისად რომ ჩასახლებოდათ, ღირებულის ერთგულების დამლით) ზვიადი და მერაბი. მხარიმხარ იდგნენ და უმთავრეს მიზნად ბრძოლისა, ქაჯთავან დაპყრობილი ნესტანის (საქართველოს) – წითელი რეჟიმის კოლონიური პყრობილებისგან გათავისუფლების გზაზე უმნიშვნელოვანეს ამოცანად რწმენის აღდგენა მიაჩნდათ. სიტყვის ძალმოსლებას უნდა გაეღლო ათეისტური ყინული, „საბჭოთა ადამიანებისათვის“ არსისმიერი ღირებულებები უნდა გაეცნობიერებინათ.

თვითგამოცემებით, პროკლამაციებით, ლექსებით, იგავებით, მეცნიერული გამოკვლევებით ნიადაგს ამზადებდნენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებისა.

ჯერ სიტყვა უნდა გათავისუფლებულიყო, სიტყვის არსი და ღირსება უნდა დაბრუნებოდა საზოგადოებას და ბრძოლაც ამით მოიკრებდა ძალას. რომანში ხაზგასმულია, რომ უნდა დაძლეულიყო „საგანგამო მეტასტაზები“ ვულგარული მატერიალიზმისა, ვულგარული ნატურალიზმისა, უხეში სოციალოგიზმისა ფსიქონალიზურ ჭუჭყში ქექვისა – ფროიდიზმისა, „ანტილიტერატურისა“.

ზვიადსა და მერაბს მუსიკით, ლიტერატურით, პოლიტიკით უნდა ნათელეყოთ, რომ „ყოველი ადამიანი მონოდებულია იმისკენ, აირჩიოს გზა ღმერთკაცობისა, მაღალი სულიერი იდეალის სამსახურისა, გზა საღვთო ქალაქის მოქალაქეობისა, სადაც უნდა გამეფდეს სიყვარული, ჭეშმარიტება და სამართლიანობა“ (რ. ჩხეიძე – 55: 2017).

ამ მისიის მტვირთველნი ტარიელ-ავთანდილობას იმეორებდნენ XX საუკუნეში. ისინი რუსთველისეული „შუენიერნი ამხანაგნი“ იყვნენ, განგების ნებით გადანასკვნულნი სამშობლოს ბედთან. რამდენად მრავლის დამტევია მერაბ კოსტავას სიტყვები: „ის, ვინც ზვიადის წინააღმდეგია, წინააღმდეგია ჩემი და საქართველოსი“ („ოქროს საწმისი“ – 9: კრებული 2006).

მას სჯეროდა ზვიადის, მეგობრობის ზოგადად: „თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, მაშინ მე ვიტყვი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს, ეს კი უკვე ქვეყნის დანგრევას უდრის“ (რ. ჩხეიძე- 465: 2017).

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ნაწარმოებს განსაკუთრებულ ძალმოსილებას აძლევს მწერლის მხატვრულ-პუბლიცისტური სტილი.

რომანში დოკუმენტური მასალები საოცარი მხატვრული უშუალობით არის გადმოტანილი. მართალი მიდგომის, სულიერი ნყობის, შემოქმედებითი თავისთავადობის გამო თითოეული პასაჟი დამარწმუნებელია. ასეთია ეპიზოდი ზვიადის მონანიებისა, რომლის გამოყენებაც ბევრჯერ სცადეს მერაბისა და ზვიადის რაინდული მეგობრობის, ზოგადად – მოძრაობის დასანგრევად. მიზეზ-შედეგობრივი კავშირით ასახული ამ ეპიზოდის შემდეგ ავტორი საოცრად ტევადი, დასკვნითი ძალმოსილების ფრაზას გვიხვედრებს ოღლა დემურიას მოგონებით შემოტანილს: პატიმრობიდან დაბრუნებული მერაბი ოჯახში გამართულ მცირე წვეულებაზე თანამეინახისგან დახვავებულ ხობტა-დიდებას რომ აღკვეთს და იტყვის: „პირველობა ეკუთვნის ზვიადს!“ (რ. ჩხეიძე – 464: 2017). მეგობრობის არსად ტარიელ-ავთანდილობა სახელდარქმეული იყო მათ სოცოცხლეშივე, მათ მიერვე. მერაბ

კოსტავა ზვიად გამსახურდიას მიმართავდა:

„ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ ძალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანადგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია“...

(„ძმას ქრისტესმიერს“ – „მიჯნა“-5. 2019)

„საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შუაგულში და მის წინამძღოლად ზვიად გამსახურდია უნდა ყოფილიყო – ნესტანის მძებნელი ტარიელი, ხოლო პირადად მისი როლი კვლავ იმითვე უნდა შემოფარგლულიყო, დატუსაღებამდე როგორც განსაზღვრულიყო – ავთანდილობით...“

„ავთანდილობა ერთობ ძნელიაო... თვითონ ირქმევდა ამ სახელს მათი პიროვნული ხასიათებიდან გამომდინარე“ (რ. ჩხეიძე – 472: 2017).

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელ – ავთანდილის სულიერი ნათესაობა მრავალგან არის ხაზგასმული. პირველივე შეხვედრისას „უცხოობით არ დარიდეს.“ თინათინისგან დათქმული ვადის ამონურვისას ავთანდილი არაბეთში მიდის, თუმცა ძმადნაფიცს დაბრუნების ფიცს აძლევს. „იმ ღამესა ერთგან იყვნეს შვენიერნი ამხანაგნი“. ეს ერთდ ყოფნა დაურღვეველია. „შუენიერნი ამხანაგნი“, ცხადია, მხოლოდ აღნაგობას არ გულისხმობს, ისინი სულიერი „შუენიერების“ ძალმოსილებით არიან შეკრულნი.

ზვიადი და მერაბი ამ ფიზიკურ-სულიერი მონაცემების რაინდები იყვნენ, სიყვარულის მაღალი იერარქიული საფეხურის მკვიდრნი – „შუენიერნი ამხანაგნი“.

და თუ სახელთა ეტიმოლოგიებს მივაქცევთ ყურადღებას: ტარიელი არის სიყვარული, კაბადოკიურ ენაში სიტყვა „ტარჰულა“ ძლევას, გამარჯვებას ნიშნავს“ (ზ. გამსახურდია – 245: 1991)

„ვატანუდინი“ (ავთანდილი) არაბულად ნიშნავს სარწმუნოების ბინას, კერას, სამშბლოს... პოემაში იგი წარმოადგენს სარწმუნოების, რწმენის პერსონიფიკაციას ანუ განსახიერებას, კერძოდ, ფილოსოფიური რწმენისას“ (ზ. გამსახურდია – 249 :1991).

თუ განსახილველ ნაწარმოებს მივუსადაგებთ რუსთველისეულ პერსონაჟებს, ყურადღებას ვამახვილებთ მათი სახელეების ეტიმოლოგიაზეც. ზვიადი (ტარიელი) ქართული სახელია; ზვიადი მიზნისკენ სიყრმიდან თავგანწირულად, სრული თვითგალებით მსწრაფი. მერაბი (ავთანდილი) რომ დაეუღლა მძიმე გზასავალზე, კურთხეული ერთგულებითა და მსხვერპლისუნა-

რიანობით. მერაბი სახელის ეტიმოლოგიით არის „მზესავით ელვარე“ (ჭუმბურიძე – 556: 1987).

ვალერიან გაფრინდაშვილი ამბობდა: „სახელი უფრო ადრე აიყრის ტანს, ვიდრე სიტყვაო“. ალბათ ამაშიც არის ამოუხსნელი კანონზომიერება. „მზესავით ელვარეს“ (მერაბის) სულის ამოძახილი იყო:

*„შემაძლებინე, მაღალო ღმერთო,
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო.
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო,
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.
მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,
გავუადვილო ნუთისოფელი,
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,
აი, ქართული საგალობელი“.*

მ. კოსტავა – 78 (აგშ – 37. 2009).

მერაბ კოსტავას „ძმას ქრისტესმიერს“ და ზვიად გამსახურდიას „ნამებულ ძმისადმი“ მათი ურთიერთობის, დისიდენტური მოძრაობის, თავისუფლების მეტრფე რაინდთა სულიერი ბიოგრაფიაა ერთგვარად.

*„და ეძიებდი ჭეშმარიტებას,
ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს...“*

აქაც ზვიადი სახელდება ტარიელად. ზვიადი „ნამებულ ძმისადმი“ მიძღვნაში ხაზს უსვამს ნათლის გამოხსნის მისიას:

*„ავაგოთ ქვაზე ტაძარი ჩვენი,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“.*

როგორც ლოგოსი და მუსიკა ავსებს ერთმანეთს, ასეთივე სულის მთლიანობა იყო ზვიადი და მერაბი. მათ ქრისტესმიერ თანაზიარობას ვერ შეეხო ნუთისოფლის ზადი, ვერც სპეცსამსახურებმა დაარღვიეს მათი მთლიანობა. სწორედ ამ კურთხეული რაინდული ძმობის ჰიმნებია ეს მიძღვნები.

„ქრისტესმიერი“ და „ნამებული“ ძმები დატყვევებულ საქართველოს რწმენის, თავისუფლების, სიყვარულის, თვითმყოფადობის მესიტყვედ მოევილინენ. კოსმიური ძალმოსილების იყო მათი სიტყვა, რადგან ესაფუძვლებოდა ლოგოსის ერთგულება.

„მუსიკის ძეთა ქარიშხლიანი დღეები“ იწყება მათი ევროპელ შემოქმედებათა ეგზისტენციალიზმისადმი ცნობიერი და-

მოკიდებულების ასახვით. მთავრდება სხვა განზომილებაში ერთიანობით...

მამადავითზე მათი დამკვიდრება ღვთისმშობლის ღმირს მეტაფორით გამოხატა მაკა ჯოხაძემ: „საუკუნის მიწურულს ეს ღმირილი ორჯერ აღიბეჭდებოდა თბილისის ცაზე, მამადავითის შემოგარენში.

პირველად – როცა მერაბ კოსტავას ნემტს მიიბარებდა წმინდა მთა

და მეორედ – როდესაც სიჩუმის მისტერიაში ქრისტესმიერი ძმის, ზვიად გამსახურდიას ნანამები სხეული დაიკრძალებოდა მის გვერდით“ (რ. ჩხეიძე – 663. 2017).

1977 წლის 1 აპრილს მწერალთა კავშირიდან გარიცხული, 2007 წლის 1 აპრილს ერის სიყვარულით მოსილი ეროვნულ გმირად მიეხალა ძმას ქრისტემიერს.

მერაბ კოსტავას მიერ შეცნობილ – მიღებული ზვიადის სიმტკიცე და წრფელი ჭირისუფლობა ქვეყნისა დადასტურა პრეზიდენტის 100-დღიანმა ჯოჯოხეთმა, როცა ლაკადის მთებს შეფარებული, თანამოაზრეებთან ერთად სხვადასხვა ერთგულ ოჯახს აფარებდა თავს.

შევარდნაძის განკარგულება: „მე ზვიად გამსახურდია ცოცხალი არ მჭირდება!“ ფეხდაფეხ მოსდევდა მათ.

დღეს ყველამ იცის, ზვიად გამსახურდიას ჰქონდა რეალური შანსი გასულიყო ქვეყნიდან, მან კატეგორიული უარი თქვა! „თქვენ თუ გინდათ, წადით. მე არსად არ მივდივარ!“- იხსენებს პრეზიდენტის კატეგორიულ პასუხს წაღწევის პრეფექტი ზურაბ გუჩუა (პრეზიდენტის დევისის ჯოჯოხეთური დღეების თანაზიარი).

„ჯერ კიდევ როდის არ ეპარებოდა ეჭვი მერაბ კოსტავას“. (რ. ჩხეიძე – 485. 2017) ვალერია ნოვოროდსკაიამ ზვიად გამსახურდიას „ჩვენი დროის მეფე მათეუმი“ უწოდა.

ჩვენი ისტორია ვერ დაიკვეხნის თაობათათვის საინტერესო მასალის სიუხვით. „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ მხატვრული ისტორიაა XX საუკუნის II ნახევრის ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობისა, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, სხვა მოღვაწეთა პირუთენელი პორტრეტებია ასახული...

როსტომ ჩხეიძის ვრცელ მხატვრულ სამყაროს – ღირსეული თვითმყოფადი საქართველოსთვის მებრძოლთა ცხოვრების ქრონიკებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გვემულ

– ჰეროიკული გზის ამსახველი ქმნილებებიც მიემატა.

ხვაგრეულია სამკალი, მადლით ცხებულია მომკელი და იქმნება რომანები გაგრძელებად ოთარ ჩხეიძის „მატიანე ქართლისაის“ ციკლისა. მაინც გამომერჩევა „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“; ალბათ იმიტომ, რომ ჩვენმა თაობამ გულსა და გონებაში გამოატარა ეს უმძიმესი ტკივილები ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა, ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ასპექტში და როცა მწერალი იმ წლების მახასიათებელ ქაოსს, ბოროტებას, მსხვერპლისუნარიანობას, ღალატს, ერთგულებას, მოლოდინის განზილებას, მხატვრულ ყალიბში იმ წესრიგს მისცემს, რომ წიგნს ხურავ განცდით: აქ მთლიანობაა, მომავალ თაობებს აქვთ ნათელი სურათი- განსაკუთრებული სევდიანი მადლიერება ეუფლება მკითხველს. მერაბისა და ზვიადის გზას კოლხური კოშკიდან მთან-მინდამდე თვალს რომ მიადევნებ, „ბორიაცის“ „ახალმონესეთა“ იდეოლოგიურ – სულიერი მემკვიდრეები 90-იანი წლების ამ მძიმე დრო-ჟამით გინწყლულებენ სულს... და თუ ინფორმაციულ – ცნობიერი ნაკადის კორიანტელი დგას, მწერალი ლიტერატურის, მუსიკის, პოლიტიკის შრეთა სიღრმეს მოგატარებს, მკითხველი, ვისაც ეროვნული მოძრაობის მიერ გამოვლილი გზა, ჯანსაღად ევროპული საქართველო აინტერესებს ყოველთვის დიდი ინტერესით წაიკითხავს მერაბ კოსტავას ცხოვრების ქრონიკას „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“.

ლიტერატურა:

გამსახურდია ზვიად. 1991. *ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება*. თბილისი.

კოსტავა მერაბ. 2009. *აზრები. შეგონებები. გამონათქვამები* (აგშ). თბილისი.

მიჯნა. №2-3 (13- 14). 2019. (მერაბ კოსტავა „ძმას ქრისტესმიერს“).

ჩხეიძე როსტომ. 2015. *ეკლის გვირგვინი*. თბილისი.

ჩხეიძე როსტომ. 2017. *ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის*. თბილისი.

„ოქროს საწმისი“. 2006. *თვითგამოცემის საიუბილეო კრებული*. თბილისი.

ჭუმბურიძე ზურაბ. 1987. *„დედაენა ქართული“*. თბილისი.

1991–92 წ. სამხედრო გადატრიალების ასახვა უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიაში

(საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით)

ანოტაცია: პუბლიკაცია შეეხება ისეთ დრამატულ მოვლენას საქართველოს უახლოეს ისტორიაში, როგორცაა 1991-92 წლების მიჯნის სახელმწიფო გადატრიალება და მისი ასახვა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნარკვევში ქრონოგრაფიული თანმიმდევრობით, გამოცემის წლების მიხედვით განხილულია საქართველოს ისტორიის აკადემიური სახელმძღვანელოები და ისტორიული ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებშიც ასახულია აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური პერიპეტეიები. ისტორიოგრაფიული კვლევა ამ მიმართულებით ჯერ არ ჩატარებულა და ამ მხრივ წარმოდგენილი სტატია სიახლეს წარმოადგენს. პუბლიკაციაში ნაჩვენებია განხილული წიგნების ავტორების დამოკიდებულება მოვლენისადმი. ფინალში სტატიის ავტორი ასკვნის, რომ საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მეცნიერული კვლევა-ძიება ამ მიმართულებით მომავალში მეტი ინტენსივობით წარიმართება.

Zaal Kortua

1991-1992 MILITARY TURNOVER IN THE RECENT GEORGIAN HISTORIOGRAPHY

(concerning the 80th anniversary of Zviad Gamsakhurdia,
the first president of Georgia)

Annotation: The publication concerns the state turnover in 1991-1992, the dramatic event in the recent history of Georgia, and its description in the modern Georgian historiography. Academic textbooks and historic scientific researchers are discussed in chronological order, pursuant to the years of publication. They show the political situation of this period. Historiographic research in this field has never been conducted and this article represents the novelty. Publication shows the attitudes of the book authors toward the event. The author of the article concludes that scientific research in this field will be carried on more intensively since this issue is very actual.

1991-92 წლების მიჯნის საქართველოს პოლიტიკური მოვლენები ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ფურცელს წარმოადგენს. კანონიერი, პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლების დამხობამ მისი პოლიტიკური ოპოზიციის, კრიმინალური ელემენტებისა და რუსეთის ფედერაციის საჯარისო შენაერთების მიერ სათავე დაუდო დესტრუქციული ძალების მოსვლას ქვეყნის სათავეში. საქართველოში განხორციელებული სამხედრო გადატრიალება მსგავსი ტიპის გადატრიალებებისაგან განსხვავდება რიგი მახასიათებლებით:

1. კრიმინალური ელემენტის, ქვეყანაში არსებული კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთა უპრეცედენტო აქტიური ჩართულობა მიმდინარე და შემდგომი პერიოდის პროცესებში;

2. გარეშე სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების პირდაპირი მონაწილეობა;

3. რევანშისტული ძალების ანუ ე.წ. „მესამე კოლონის“ (პოლიტიკური ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა, საბჭოთა ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი) აქტიური მონაწილეობა გადატრიალების იდეურ მომზადებასა და განხორციელებაში;

4. გადატრიალების შედეგებმა მოიცვა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგი და მიმართულება და მისი მთლიანი პარალიზება მოახდინა. მოვლენა იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ გავლენა იქონია ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაზე მთელი შემდგომი ორი ათეული წლის განმავლობაში და უკან დასწია მათი ტრანსფორმაცია-გარდაქმნის, ახალი დემოკრატიული ფასეულობების დანერგვა-ინპლანტაციის ტემპი.

როგორც აღინიშნა, გადატრიალებამ გამოიწვია ქვეყნის მასშტაბით სრული ეკონომიკური და პოლიტიკური კოლაფსი: სახალხო მეურნეობის მოშლა და ნგრევა, სახელმწიფო ქონების აბსოლუტური დატაცება, სახელმწიფო მმართველობითი სისტემის პარალიზება ცენტრსა და ადგილებზე, სასურსათო და ენერგო კრიზისი. ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები კრიმინალური ზედაფენის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდნენ, სრულად დაკარგეს რა ქვეყანაში მართლწესრიგის აღდგენისა და ამ მიმართულებით საჭირო ინიციატივის გამოჩენის უნარი. დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ ქვეყანაში მოიძალა დემოკრატიული ინსტიტუტები. საქართველო, სულ რამდენიმე წლის წინათ სსრ კავშირში შემავალი, ცხოვრების დონით ყველაზე განვითარებული რესპუბლიკა, დროის უმცირეს მონაკვეთში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ მხარედ გადაიქცა.

სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლის შედეგად გააქტიურდნენ სეპარატისტული ძალები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის მმართველ პოლიტიკურ ელიტასთან ერთად ყველაფერი გააკეთა საქართველოს ფართომასშტაბიან საომარ კონფლიქტში ჩასაბმელად. „სახელმწიფო საბჭო“ – ქვეყნის უმაღლესმა მმართველმა ორგანომ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში 100-ზე მეტი ერთეული სამხედრო ტექნიკა შეიყვანა „სარკინიგზო მაგისტრალებზე წესრიგის დასამყარებლად.“ ამ ფორმით აფხაზეთში წესრიგის დამყარების ცდა საბედისწერო აღმოჩნდა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსთვის. ის საომარ კონფლიქტში აღმოჩნდა ჩათრეული არა მარტო სეპარატისტებთან და მათ ჩრდილო კავკასიელ მოკავშირეებთან, არამედ რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთებთან, რომლებიც საბრძოლო ტექნიკითა და საომარი აღჭურვილობით უწყვეტად ამარაგებდნენ სეპარატისტთა შეიარაღებულ ფორმირებებს. შუალედური ე.წ. „სამშვიდობო“ ხელშეკრულებები, რომლებიც თან ახლდა საომარ კონფლიქტს, რუსეთის ფედერაციის მედიატორობით მიმდინარეობდა და ყველა ეტაპზე საქართველოსთვის წამგებიანი აღმოჩნდა. მთავრობა გულუბრყვილოდ თანხმდებოდა მედიატორის მიერ შემოთავაზებულ საზავო პირობებზე, რაც ქვეყნისთვის კატასტროფული შედეგებით დასრულდა კიდევ. 1993 წლის სექტემბრის ბოლოს ხელისუფლებამ დაკარგა ყოველგვარი კონტროლი აფხაზეთზე. ასეულ ათასობით ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილი აღმოჩნდა.

აფხაზეთის ომი ქვეყანაში არსებული ურთულესი შინაგანი დაძაბულობისა და პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა, რაც უკიდურესად უშლიდა ხელს ერთიანობის განცდას და კარს მომდგარი უდიდესი სამიშროების გათავისებას. ომის დასკვნით ეტაპს საბედისწეროდ დაემთხვა ზვიად გამსახურდიას მთავრობისა და პირადად დევნილი პრეზიდენტის ჩამოსვლა დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდში. ხელისუფლების ორივე შტო – დევნილი და ფაქტიური მმართველი, ყოველნაირად ცდილობდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ან შენარჩუნებას და ქვეყანაში სრული კონტროლის დამყარებას. „სახელმწიფო საბჭო“, ე. შევარდნაძის მეთაურობით ცდილობდა კანონიერი პრეზიდენტის მომხრეთა გადაბირებას და ურჩთა ლიკვიდაციას. განსაკუთრებული პრობლემები მას დას. საქართველოში – სამეგრელოსა და აფხაზეთში შეექმნა. აფხაზეთში სამხედრო შენაერთების შეყვანის ერთ-ერთ მიზეზად იქ

ე.ნ. „ზვიადისტების“ სიმრავლე და მათ მიერ სოხუმში მრავალათასიანი მიტინგების ორგანიზება შეიძლება დავასახელოთ. ზუგდიდში მყოფი ზ. გამსახურდია უმთავრეს ამოცანად თბილისში ჩასვლას და ხელისუფლების დაბრუნებას მიიჩნევდა. გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ძალები დეზორგანიზებულად მოქმედებდნენ. მათი უმნიშვნელო ნაწილი სეპარატისტებს ებრძოდა, ნაწილი – სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებში იყო განლაგებული და „სახელმწიფო საბჭოს“ დაქვემდებარებაში მყოფი შენაერთებისგან („მხედრონი“, სხვა ფორმირებები) იცავდა მოსახლეობას და საკუთარ კონტროლ-ქვემ არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს.

არსებულმა არნახული მასშტაბების სამოქალაქო დაპირისპირებამ, ქაოსმა და ანარქიამ საბოლოო ჯამში ქვეყნის ტერიტორიული რღვევა გამოიწვია, რომლის უმთავრესი მიზეზიც 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებში იღებს სათავეს.

როგორ აისახა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენა 1991-92 წწ. სამხედრო გადატრიალების საკითხი? ისტორია გარკვეულწილად კლასობრივი მეცნიერებაა, რომელიც მმართველი პოლიტიკური გუნდის ინტერესების გამოხატვას ემსახურება. ისტორიული მეცნიერების „პარტიულობის და ისტორიზმის“ პრინციპები საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენდა, რომელიც ე.ნ. „ისტორიზმის პრინციპით“ თავის უმთავრეს მიზნად ისტორიული პროცესის მმართველი პოლიტიკური ელიტის სტრატეგიული კურსის დაცვასა და მისი სიძლიერის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. ისტორიის გარკვეულწილად სუბიექტურობა მისი არსის განუყოფელი ნაწილია. აქ მთავარია, თუ ვინ არის ისტორიული მოვლენისა თუ ფაქტის შემოქმედი და ვინ რა პოზიციიდან უყურებს მას. ისტორიული მოვლენის აბსოლუტური ობიექტურობით შესწავლა ძალიან რთულია, მისი მეტ-ნაკლები სიზუსტით შესწავლა მოვლენის პოლიტიკურად აქტუალური ფაზიდან სხვა, პოლიტიკურად შედარებით განელეხულ გარემოში გადასვლიდან იწყება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, გადატრიალების ინიციატორთა და უშუალო შემსრულებელთა პოლიტიკური ზეობის პერიოდში ამ საბედისწერო მოვლენის მიზეზ-შედეგობრივ სრულფასოვან შესწავლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. „მანტის“ მეცნიერთა დიდი ნაწილი შეგნებულად არიდებდა თავს არა თუ კვლევას, არამედ ამ საკითხზე საუბარსაც კი.

ქვეყნისა და ზოგადად საზოგადოების განვითარების უმ-

ნიშვნელოვანესი მოვლენების შესწავლა ისტორიული მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა. მომავალში თაობამ „...აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია. უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ქეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“ /ივ. ჯავახიშვილი/.

ერთი ცნობილი გერმანელი ისტორიკოსისა არ იყოს, ისტორიას არ გააჩნია განვითარების უზოგადესი კანონები, ისე როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს – ფიზიკას, ქიმიას ან მათემატიკას, მაგრამ ისტორია სჯის საზოგადოებას თავისი გაკვეთილების უცოდინარობისათვის.

ზემოთ აღნიშნული პროცესების პირველი ზოგადი ასახვა ქართულ ისტორიოგრაფიაში განეკუთვნება 1996 წელს, როცა გამოიცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო – დამხმარე კურსი საშუალო და არასპეციალური უმაღლესი სკოლისათვის (ავტორთა ჯგუფი ი. ანთელავა, მ. გაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი). წიგნის რედაქტორია ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, უდროოდ გარდაცვლილი უნიჭიერესი მეცნიერი ილია ანთელავა. 335 გვერდიანი სახელმძღვანელოს 315-ე გვერდზე ვკითხულობთ: „...საქართველო კი, რომელმაც პირველმა გაიღო მსხვერპლი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, იზოლაციაში აღმოჩნდა, რადგან მისი რეჟიმი არ იქნა ცნობილი დემოკრატიულად. 1992 წ. დასაწყისში პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას რეჟიმი სამხედრო ძალით დაემხო.“ ეს არის და ეს, სხვა არაფერი წერია ზემოთაღნიშნულ სახელმძღვანელოში საქართველოს უახლოეს ისტორიაში ყველა შემდგომი უბედურების სათავედ წოდებული მოვლენის თაობაზე.

2002 წ. გამოიცა ისტორიკოსების მ. ვაჩნაძის და ვ. გურულის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის IX კლასის სასკოლო სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოში მოკლედ, შედარებით თანმიმდევრულად არის ასახული 1991-92 წწ. მოვლენები. ავტორები აღნიშნავენ სამხედრო ძალით კანონიერი მთავრობის დამხობის შესახებ, თანმიმდევრულად აღწერენ შემდგომი პერიოდის მოვლენებს, ხაზს უსვამენ, რომ „აფხაზეთში მარცხს ხელი შეუწყო საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ.“

2003 წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ისტორიკოსების: ვახტანგ გურულის, მერაბ ვაჩნაძის, დიმიტრი შველიძის, ნესტან კირთაძის, ავთანდილ ნონკოლაურის, პაატა ფირანიშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტე-

ტის სტუდენტებისთვის „საქართველოს ისტორია XX საუკუნე.“ ნაშრომში გატარებულია იგივე აზრი, რაც მ. ვაჩნაძისა და ვ. გურულის ზემოთ აღნიშნულ სახელმძღვანელოში. ავტორები ხაზს უსვამენ ოპოზიციის მოლაღატებრივ როლს მიმდინარე პროცესებში და დასძენენ, რომ სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში.

2008 წ. გამომცემლობა „უნივერსალმა“ დაბეჭდა ისტორიკოს დიმიტრი შველიძის მონოგრაფია „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.)“ შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ნაშრომი წარმოადგენს პირველ სქელტანიან (571 გვ.) ფუნდამენტურ გამოკვლევას 1991-1992 წწ. საქართველოში მომხდარი სამხედრო გადატრიალების წინაპირობების, მსვლელობისა და თანმდევი პოლიტიკური მოვლენების შესახებ. ავტორი ეყრდნობა მდიდარ ბიბლიოგრაფიულ ბაზას: მრავალფეროვან პერიოდულ გამოცემებს, რომლებიც ნათლად ასახავენ საკვლევე პერიოდის რეალურ პოლიტიკურ სიტუაციას; ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერთა მემუარებს, ინტერვიუებს, გამონათქვამებს, რომლებიც საკვლევ პერიოდში და მის შემდეგაც მრავლად იბეჭდებოდა; ისტორიულ და პოლიტიკურ ანალიტიკურ გამოკვლევებს. წიგნის ფინალში ავტორი აყალიბებს ლოგიკურ, ობიექტურ დასკვნებს 1991-92 წწ. მოვლენების შესახებ, რომლებსაც ძნელია არ დაეთანხმო.

2010 წელს კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ისტორიკოს კახა შენგელიას სქელტანიანი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში, რომელიც მოიცავს ისტორიულ მონაკვეთს უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე. ავტორი 290-ე გვერდზე ლაკონურად, მაგრამ გარკვევით აყალიბებს თავის ხედვას ზემოთ აღნიშნული ისტორიული მოვლენის შესახებ. „საბჭოთა კავშირის ხელისუფლება აშკარად ებრძოდა „ურჩ რესპუბლიკებს“, რომელთაგან საქართველო გამოირჩეოდა. 1991 წლის შემოდგომაზე მან სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებულ ოპოზიციას. 1991 წლის 22 დეკემბრიდან ანტისამთავრობო სამხედრო და სხვა სახის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ალყაში მოაქციეს მთავრობის სასახლეში მყოფი ეროვნული ხელისუფლება. 1991 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიამ თავის ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად თბილისი დატოვა.“

2012 წ. გამოიცა საქართველოს ისტორიის ოთხტომეული. სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ცნობილი ქარ-

თველი ისტორიკოსები: აკადემიკოსები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: მ. სამსონაძე, მ. ნათელაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური. წარმოდგენილი ოთხტომეული წარმოადგენს საბჭოთა ეპოქაში გამოცემული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მოდერნიზაციის ერთგვარ ცდას. ჩვენი შეფასების საგანს არ წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის აკადემიურობის საკითხი ზემოთ ნახსენებ გამოცემასთან მიმართებაში. ერთგვარი გაკვირვებით აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად ავტორთა პერსონალის მაღალი სამეცნიერო რეიტინგისა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის განხილვა-შესწავლისაგან მათ საერთოდ თავი შეიკავეს და მხოლოდ 1990 წლის მოვლენებით შემოიფარგლნენ. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ არ გააგრძელა მუშაობა ავტორთა ჯგუფმა თუნდაც 2003 წლამდე, ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“ მოვლენების შესწავლით. ერთი რამ ცხადია, რომ ასეთი ფართო ფორმატის სამეცნიერო პროდუქცია, როგორც წარმოდგენილი გამოცემა, მკითხველისთვის მეტი სიახლის მომცემი უნდა ყოფილიყო.

2014 წ. გამოიცა ისტორიკოსების მ. ვაჩნაძის და ვ. გურულის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო (XIX-XX საუკუნეები), რომელშიც ავტორები შეუცვლელად იმეორებენ წინა ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს აღნიშნული საკითხის შესახებ.

საქართველოს უახლოესი ისტორიის პრობლემური საკითხების შესწავლის საქმეში უდაოდ საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს ბრიტანელი ისტორიკოსის დონალდ რეიფილდის 2019 წელს ქართულ ენაზე გამოცემული ნაშრომი „საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე; სამიათასწლოვანი ისტორია.“ სქელტანიანი ნაშრომის 564-ე გვერდზე ავტორი აღწერს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში, ის საკმაოდ ნეგატიურად ახასიათებს ზ. გამსახურდიას მოღვაწეობას ქვეყნის პირველი პირის რანგში. ავტორი აღნიშნულ პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა და გარკვეული სიახლოვეც ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებთან, რაც ნათლად ეტყობა მის წარმოდგენას საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ ზ. გამსახურდია მხარს უჭერდა „სამეგრელოს დამოუკიდებლობას“ და საქართველოს ორ ნაწილად გაყოფას, რაც კატეგორიულად მიუღებელი აზრია. დ. რეიფილდი მოვლენებს ცოცხლად აღწერს, მაგრამ მისი დასკვნები ხშირად სანდოობით არ გამოირჩევა.

1991-92 წწ. მოვლენები დიდი ხნის განმავლობაში იქნება სამეცნიერო დისკუსიისა და განხილვის საგანი. მომავალში ბევრ ბურუსით მოცულ საკითხს მოეფინება ნათელი. შეიცვლებიან პიროვნებები, შეიცვლება მიდგომა. მომავალი თაობა განსხვავებული თვალთ შეხედავს საქართველოს უახლოესი ისტორიის ამ მეტად დრამატულ ფურცელს და შეეცდება ისტორიის გაკვეთილების მართებულად განზოგადებას, რათა მომავალში არ იქნას დაშვებული მსგავსი მძიმე ხასიათის შეცდომები.

ლიტერატურა

მ. გაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი. ი. ანთელავას რედაქციით. 1996. საქართველოს ისტორია. დამხმარე კურსი საშუალო და არასპეციალური უმაღლესი სკოლისათვის.

მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. 2002. საქართველოს ისტორია. IX კლასის სასკოლო სახელმძღვანელო.

ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე, დიმიტრი შველიძე, ნესტან კირთაძე, ავთანდილ ნონკოლაური, პაატა ფირანიშვილი. 2003. საქართველოს ისტორია XX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ გამომცემლობა.

დიმიტრი შველიძე. 2008. პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.). გამომცემლობა „უნივერსალი“.

კახა შენგელია. 2010. საქართველოს ისტორია. კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული. 2012. სარედაქციო საბჭო: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე; მ. სამსონაძე, მ. ნათმელაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური.

მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. 2014. საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო (XIX – XX საუკუნეები).

დონალდ რეიფილდი. 2019. საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე; სამიათასწლოვანი ისტორია.

ლიტურგიკული მისტერია ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

ანოტაცია: დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი. მან არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზა დაუსახა ქართველ ერს, არამედ აღუდგინა რელიგიური ცნობიერება და შთაუბრა მებრძოლი ქრისტიანობის სული. მთელი მისი შემოქმედება მართლმადიდებლური სულითაა გაჟღერებული. იგი ქმნის ახალ პოეტურ ფრაზებს, რომელიც უფრო გამუსიკებული ლიტურგიკაა, ვიდრე უბრალოდ პოეზია. მაშინ, როცა მისი თანამედროვეები რელიგიის ხსენებასაც ერიდებოდნენ, იგი ქმნის მუსიკალურ ლოცვებს: ნმიდა გიორგისადმი, ნმიდა ნინოსადმი, სავედრებელს ერისადმი, წერს ლექსებს სათაურით: პროსკომიდია, აღდგომა, მელქისედეკი – **მეფე სალიმისა, ბეთანია, უძღები შვილი...**

ზ. გამსახურდია არა მარტო პოეტურ ლოცვებს უძღვნის სათაყვანებელ წმინდანებს, არამედ საღვთო ლიტურგიასაც პოეტურ სახეს აძლევს. ამის დასტურია ლექსები “ნათლისღება”, “მანანასადმი”... რაც შეეხება ლექსს „მამა“, იგი უთუოდ მაცხოვრის გეთესემანიის ბაღში აღვნიღილ ლოცვას მოგვაგონებს.

მის პოეზიაში ხშირია სულისშემძვრელი ხილვა და ბედისწერის წინასწარი განჭვრეტა, სიკვდილის ცხადი და ხელშესახები შეგრძნება. ზ. გამსახურდია თვით თარგმნის დროსაც სათარგმნ ობიექტად იღებს ქრისტიანულ სულთან ახლოსმდგომ მწერლებს, წმინდანებს, მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას.

სათარგმნ მასალასთან მწერლის სულიერი კავშირის გამოვლინების ერთ-ერთი ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ მართლმადიდებლობის დიდი მამების ათანასე დიდის, გრიგოლ ნოსელის, იოანე დამასკელის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვათა ნაშრომები.

ზვიად გამსახურდიას ცხოვრება პოეზიით, საქმითა და სიტყვით მარად უფლის საკურთხეველის წინამე მდგომი მლოცველის მოღვაწეობაა.

საკვანძო სიტყვა: პოეტური ლოცვა.

Luiza Khachapuridze, Teona Khupenia

LITURGICAL MYSTERY IN ZVIAD GAMSAXHURDIA'S POETRY

Annotation: For today's Georgian society, the attitude of Zviad Gamsakhurdia to true Orthodox faith is less well known. He not only showed to the

Georgian nation the way to gain state independence but he restored the Religious consciousness to Georgian people and Inspired by the spirit of Christianity.

All his works are full of orthodox spirit. He creates new poetic phrases, which are more intensely melodic liturgica than just poetry.

While his contemporaries avoid mentioning religion, he creates musical prayers: to Saint George, to Saint Nino, prayers for the nation... He writes the poems under the titles: Proscomidia, Easter, Melkesidek _ King of Salim, Betania, Prodigal son ...

Z. Gamsakhurdia not only dedicates poetic prayers to his devout saints but he also gives the poetic form to the Holy liturgy. The poems are proof of this: „Epiphany“, „For Manana“ ...

As for the poem „Father“, he resembles the prayer of the Savior in the Garden of Gethsemane.

Key Word: *Poetic Prayer*

დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის, მათ შორის მართლმორწმუნე მრევლისათვის, ნაკლებადაა ცნობილი ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება ქვეყნარტი მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი. მან არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზა დაუსახა ქართველ ერს, არამედ, აღუდგინა ქართველ ხალხს რელიგიური ცნობიერება და შთაუხსნა მებრძოლი ქრისტიანობის სული.

„ქრისტიანული იდეალი გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, მხოლოდ მას შეუძლია თანამედროვე ადამიანი დეგრადაციისგან იხსნას, ამიტომაც ჩემს ხალხში ამ იდეალთა აღორძინება ცხოვრების მიზნად დავისახე, აი რა არის ჩემი ბრძოლის არსი!“ (ზ. გამსახურდია, 1999). ამ შეგონებითაა სავსე ზვიად გამსახურდიას ცხოვრება და მოღვაწეობა. დიახ, რელიგიური თვალსაზრისით მისი შემოქმედება და ცხოვრების გზა ერთმანეთის თანმდევია.

შეიძლება ითქვას, რომ დავით გურამიშვილის შემდეგ ქართული ლირიკის საგანძურში თითქმის არ მოიპოვება ქრისტიანულ-ბიბლიური თემატიკის ისეთი შთამბეჭდავი ვარიაციები, როგორც ეს ზვიად გამსახურდიას პოეზიაში გვხვდება.

მთელი მისი შემოქმედება მართლმადიდებლური სულითაა გაჟღენთილი. იგი ქმნის ახალ პოეტურ ფრაზებს, რომელიც უფრო გამუსიკებული ლიტურგიკაა, ვიდრე უბრალოდ პოეზია. მაშინ როცა მისი თანამედროვეები რელიგიის ხსენებასაც ერი-

დებოდნენ, იგი ქმნის მუსიკალურ ლოცვებს: წმიდა გიორგისად-
მი, წმიდა ნინოსადმი, სავედრებელს ერისადმი:

წმიდა გიორგი

„წმიდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არის,
შემუსრე, უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენი სამკვიდრო შენი, გეორგია!..“

წმიდა ნინო

„ნათლის ანგელოსს ჰგავდი, როს წარმართთ დაგვიზავდი...
დედავ და ემბაზო ჩვენო, ნინო, ქართლს ბენლისა მთენო,
უკვდავო სიკვდილსა შინა, მარად გვიძლოდე წინა!“.

ლოცვა ერისადმი

„უფალო, გვედრი, დაიფარე მამული ჩემი,
შენი წილხვდომილი, კვართმომადლებული,
მარად სხივოსანთა უკვდავი თემი,
სადაც წარმოგ ზავნე ბარძიმი ქებული
და ოქროს სანმისის მაღლი მზიური
აღმოაცისკროვნე, ვით წყარო ცხოველი,
რათა ზიარებით აღზევდეს ყოველი...
შენი ბარძიმია ტურფა ივერია,
მისი განმართლება შენს ცაზე სწერია,
შენთანა დაფლული, ოთხი დღისა მკვდარი,
ქრისტე, აღადგინე და მოეც ჯვარი,
ცათა დიდება ხარ და თემთა მთენი,
უფალო, აკურთხე სამკვიდრო შენი!“ (ზ. გამსახურდია,
1989).

აქ უთუოდ „ერზე ლოცვა“ გაგვახსენდება, შდრ.: „აცხოვნე,
უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი..“

წერს ლექსებს სათაურით: პროსკომიდია, აღდგომა, მელქი-
სედეკი – მეფე სალიმისა, ბეთანია, უძღები შვილი (ეს უკანას-
კნელი ბიბლიური სიუჟეტის მისეული პოეტური ვარიანტია)...

ზ. გამსახურდია არა მარტო პოეტურ ლოცვებს უძღვნის
სათაყვანებელ წმინდანებს არამედ, საღვთო ლიტურგიასაც პოე-
ტურ სახეს აძლევს. მისი ლექსი „ნათლისლება“ ამის დასტურია:

მაგ. ნათლისლების ტიპიკონში ვკითხულობთ: „რაოდენთა
ქრისტეს მიერ ნათელ გილებიეს და ქრისტე შეგიმოსიეს, აღი-
ლუია“. ამავე დროს მღვდელი მოსანათლს ფეხებზე და ყურე-

ბზე სცხებს მირონს სიტყვებით: „სლვად გზასა სიმართლისასა, სმენად სარწმუნოებისა“

ახლა ზვიადს მოვუსმინოთ:

„ხელთა შენთა შემქმნეს და დამბადეს მე,

დღემ განგინათლა არყოფნის ღამე,

ცა იხილავს თვალთა შენთა ახელილთა სულიწმიდის სახელითა.

სლვად გზასა სიმართლისასა, სმენად სარწმუნოებისა, იცხე მირონი,

გულს შთაიბეჭდე სიტყვანი სათნოებისა არ საძვირონი,

რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გიღებიეს,

სული შენი უქრობ კელაპტრად ჰგიეს,

უკვდავებად აღიმსთე და შეიმოსე ქრისტე!“ (ზ. გამსახურ-დია, 1989).

საღმრთო ლიტურგიის მისტერია იგრძნობა ლექსში „სონეტი მანანას“. წირვისას მღვდელი ჯერ საკმეველს კანკელში ჩასვენებულ ხატებს უკმევს, შემდეგ მრევლს და ამბიონზე დაბრუნებული აღებს აღსავლის კარს. წიგნში „წესი დაგანმარტება საღმრთო ლიტურგიისა“ (1993) ვკითხულობთ: „ამ დროს შუატაძარში მყოფნი გულში უნდა ამბობდნენ: „წარემართენ ლოცვა ჩემი ვითარცა საკმეველი შენ წინაშე“. ეს რიტუალი ლექსში ასე ყლერს:

„გამართე მზერა, მოიმარჯვე იმედის ფარი,

გრძნობათა შენთა საკმეველი უკმიე ხატებს

და როს დიდებით განიხვენება აღსავლის კარი,

შეინირავენ ლოცვას შენსას მონადამეტეს...“ (ზ. გამსახურ-დია, 1989).

რაც შეეხება ლექსს „მამა“, იგი უთუოდ მაცხოვრის გეთესემანიის ბაღში აღვწელილ ლოცვას მოგვაგონებს: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ (მათე, 26,29). აქ ლირიკული პერსონაჟი ახალ შინაგან სიცოცხლეს ანიჭებს ბიბლიურ ეპიზოდებს და დამოუკიდებლად აგრძელებს თავის არსებობას. ამასთანავე ლექსი ისეთი ღრმა შინაგანი სევდით არის აღსავსე, როგორსაც მოსალოდნელი განსაცდელის ხილვა აღძრავს ხოლმე ადამიანში:

„თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ,

უფალო, ამაცდინე სასუმელი ესე.

მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი,
უფალო, ამაცდინე ესე სასუმელი.
ნუ ჩემი იყოფინ, არამედ შენი,
შენ თავად ნება ხარ, სიმართლის მჩენი,
ხამს მოყვასისათვის სიმძიმე ვითვისო,
გვედრი, შემინყალე, ძეო დავითისო!“ (ზ. გამსახურდია, 1989).

ეს არის სულისშემძვრელი ხილვა და ბედისწერის წინასწარი განჭვრეტა, სიკვდილის ცხადი და ხელშესახები შეგრძნება. ეს შეგრძნებები ხშირია მის პოეზიაში. მაგ. ტერენტი გრანელი-სადმი მიძღვნილი ლექსის ქვეთავში «ეპიტაფია» ვკითხულობთ:

„ვჭვრეტ სალამოს – ნიმბიანს, დანისლულს,
ო, რაგვარად ეუცხოვა ტანი სულს...
შენკენ მომაქანებს ფიქრის ჩქარი წვა მე
რარიგ მეუცხოვა საკუთარი გვამი...
ვდუმვარ და არა აქვს ძალა ჩემს სტრიქონებს,
ბინდიან ფიქრებში ქარი თუ მიგონებს...
რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას,
ნექტარიც წავიღე და შხამიც იმდენი...
რარიგ ვეუცხოვე მინის გაშლილ მკლავებს,
დასცქერის გოლგოთა გაძარცვულ საფლავებს...“ (ზ. გამსახურდია, 1989).

ზ. გამსახურდია თვით თარგმნის დროსაც სათარგმნ ობიექტად იღებს ქრისტიანულ სულთან ახლოსმდგომ მწერლებს, წმინდანებს, მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას.

სათარგმნ მასალასთან მწერლის სულიერი კავშირის გამოვლინების ერთ-ერთი ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ მართლმადიდებლობის დიდი მამების ათანასე დიდის, გრიგოლ ნოსელის, იოანე დამასკელის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვათა ნაშრომები. მიგვაჩნია, რომ ამ წმინდანის ცხოვრება და ტკივილები ეტყობა განსაკუთრებით ახლოს იყო ზ. გამსახურდიას სულთან, ამიტომაც იკვეთება მისი საოცრად ფაქიზი დამოკიდებულება გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი.. სამშობლოდან გაქვევებული, დევნილობაში მყოფი წმინდანის სულიერ განცდებში იგი თითქოს თავის მომავალ ბედისწერას ხედავს: „...ჩემი ახლობლები საფლავებში განისვენებენ. მხოლოდ სამშობლოდა დამრჩა, მაგრამ ბოროტმა დემონმა ჩემზე სიძულვილის შავი ტალღები აღმართა და იქიდანაც გამაძევა; ახლა მე მარტოხელა მგზავრი

ვარ, ქრისტე, მეუფეო! შენა ხარ ჩემი სამშობლო, ჩემი სიმტკიცე და ჩემი ნეტარება. შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის! ნეტავ მელირსოს, ღმერთო, რომ მრავალი ტანჯვისა და მწუხარების საზღაურად განსვენება ვპოვო შენში!“ (ნმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ფიქრები დევნილობაში)...(ზ. გამსახურდია, 1994).

ზვიად გამსახურდიას ცხოვრება პოეზიით, საქმითა და სიტყვით მარად უფლის საკურთხევლის წინაშე მდგომი მლოცველის მოღვაწეობაა. მან შეძლო, ათეიზმის ხანაში ტაძრებში მინავლებული საღვთო ლიტურგია პოეტური სიტყვით გაეჟღერებინა ქართულ საზოგადოებაში, თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით იგი საქართველოს ისტორიაში რჩება „ლეგენდად“, ეროვნული მოძრაობის მუხტის მომტანი და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ხორცშემსხმელ „ლეგენდად“.

ლიტერატურა

ახალი აღთქუმაი, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების თარგმანთა გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2003

გამსახურდია ზ. 1989. *მთვარის ნიშნობა*. თბ.

გამსახურდია ზ. 1990. *წერილები და ესეები*. თბ.

გამსახურდია ზ. 1994. *რჩეული თარგმანები*, თბ.

გამსახურდია ზ. 1995. *დილემა კაცობრიობის წინაშე*. თბ.

გამსახურდია, ზ. 1999. *მართლმადიდებლობის შესახებ*, თბ.

ნესი და განმარტება საღვთო ლიტურგიისა, თბ., 1993.